


ՀԱՅԱՍՏԱՆ



1986

მთბილოცაჲთ

ახალ

წელს!

სესია

342

გამოცემის ოცდამეცხრა წელი

1

იანვარი

1986

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკპ XXVII ყრილობის შესახებ დრად

3. დიდი ფორუმების ფილიზალი

კოეზია და კროზა

- 6. გურამ ფანჯიკიძე — სპირალი, რომანი, დასასრული
- 114. გელა შალვაშვილი — ლექსები
- 117. დათო მალრაძე — ლექსები
- 120. დალი მახშიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

- 121. გეორგ ჰაიმი — ლექსები. გერმანულიდან თარგმნეს გივი ალხაიშვილმა და ნაირა გელაშვილმა

გამოსათხროვარი

- 124. შუქია აფრიდონიძე — არნოლდ ჩიქობავა — მო-
წაფე და მასწავლებელი
- 126. მგარ მემიშივი, ეთარ ვილიანი, ნინო რუხაძე,
რევაზ აბაშიძე — ქართული ფილოლოგიის მუშე-
50ბა
- 126. ვლადიმერ მინაშვილი — ქართული ლიტერატურა
დიდი ენათმეცნიერის თვლით

წერილები

- 128. ჯარჯი ფსოველი — მწერლის პირველი როენი
- 133. პაატა ჩხიძე — ხმები გამგვირვალე გურუსიდან
- 136. რომან შენგელია — ფილოლოგიური ცნებათა ქარ-
თული ტერმინების შესახებ
- 146. გურამ ქორანაშვილი — ქართული ცივილიზაციის
რეობის შესახებ
- 156. როდამ ფალავა — 50-იანი წლების გერმანიის ფე-
დერაციული რესპუბლიკის კროზა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიშვილი

თედო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

გურამ გვგავიძე
გივი გვგავიძე
გიორგი გუგულია
თეიმურაზ დონაშვილი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი
მედიკოსი

ავთანდილ
ჩხიკვიციანი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ტინდაძე
გოგი წარეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოსოელიძე
მედიკოსი

დიდი ფორუმების წელიწადი

ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით ახალი წლის, იმ წლის წინ, რომელიც იწყებს მეთორმეტე ხუთწლიელს, ეს არის სკკპ XXVII ყრილობის წელი, რომელსაც მოაქვს ახალი კეთილისმყოფელი ცვლილებები საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაში. — აღნიშნა თავისი სიტყვის დასასრულს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა თბილისის საქალაქო პარტორგანიზაციის მე-40 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე. თავისთავად ეს ერთი უდიდესი მოვლენაც საქმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ 1986 წლის გამორჩეულ სიმბოლურ გვესაუბრა. მაგრამ. ამასთანავე, შედგება აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა, ხოლო მაისში საქართველოს მწერალთა X ყრილობა.

საბჭოთა ხალხი ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზებს გამოვლილ გზას, მიღწევებს, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, შეაფასებს გაკეთებულის შინაარსს და განსაზღვრავს მის ადგილს სოციალისტური საზოგადოების დიდ ისტორიულ მაგისტრალზე. სკკპ XXVII ყრილობა დასახავს სწორედ სამომავლო გზებს, შეუფასებელი არ დარჩება მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების არცერთი სფერო, კიდევ ერთხელ შემოწმდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, ის ფორმები, რომლებსაც მიმართავდა ჩვენი ხალხი. ასე ღრმად განსჯილი და შემოწმებული ჩვენი შრომისა და მოღვაწეობის ფორმები, სოციალისტური საზოგადოების არსებობის ფორმები, დაგვანახებს, რომ დიად გარდაქმნათ ისტორია საბჭოთა ხალხის ცხოვრება; რომ იგი, აშენებს რა პირველი დედამიწის ზურგზე სრულიად ახალ საზოგადოებას, მიაკვლევს და ამკვიდრებს სიახლეებს... შეიარაღებული მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი თეორიით, შეუმცდარად წარმართავს ცხოვრებას, იგი ტონს აძლევს კაცობრიობის ფიქრებსა და მისწრაფებებს უკეთესი მომავლისაკენ. პარტია და მთავრობა, მტკიცედ ერთგულებენ რა ლენინური დემოკრატიის კურსს, ყოველ ღონეს ხმარობენ მსოფლიო მშვიდობის მისაღწევად. სრული განიარაღებისათვის ბრძოლა, იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უპირველესი ამოცანა. ამ საკაცობრიო საქმეში ჩვენი ქვეყანა გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას საყოველთაო მშვიდობის პრობლემა, რომ თანამედროვე ადამიანს მოსვენებას არ უკარგავდეს „გლობალურ კატასტროფაზე“ ფიქრი, რომ ყველა კონტინენტის ბავშვებისათვის მოწმენდილი და მშვიდი იყოს ცა, რომ ადამიანის ძალა და ენერჯია იხარჯებოდეს არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლისა და სილამაზის სამსახურში, კოსმოსის მშვიდობიანი მიზნებით შესწავლასა და ათვისებაში.

ქ. ს. პარტიის

ბევრი, ძალიან ბევრი პრობლემა გადაწყვედა სკკპ XXVII ყრილობაზე. ამიტომ ემზადება ასე საგანგებოდ საბჭოთა ქვეყანა ამ დიად ფორუმში სახვედრად. მასთან არის დაკავშირებული ყოველი პროფესიის წარმომადგენელთა იმედები და მიზნები.

უფრო ადრე შედგება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, თავიანთ მიღწევებს უპატივებენ სამშობლოს. მათ შრომაში ჩაქსოვილია საგანგებო მოწადინება — კიდევ უფრო ძლიერი გახადონ საქართველოს ეკონომიკა, კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი ქვეყნის წვლილი საერთო საქმეში. მრავალდარგოვანი რესპუბლიკის ყველა მონაპოვარი სახეზეა. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ამ მონაპოვართ, ეს მონაპოვარი არაერთგზის აღინიშნა დიდი ჯილდოთი. მიღწევები საამაყო კულტურის ყველა სფეროში. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავმა ნაწარმოებებმა შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანას, თვალსაჩინოა ქართული მეცნიერების წვლილი! დღეს ამ მიღწევათა შესახებ საქვეყნოდ ლაპარაკობენ. და მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ, თუ კიდევ რამდენი რამ არის ვასაკეთებელი, როგორი სიფხიშლე, როგორი შემართებაა საჭირო, რომ ყველა ნაკლს მოვერიოთ, მეტი ვასაქანი მივცეთ ხალხის შემოქმედებით ენერჯიას და ეკონომიკურ პოტენციალს. კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ ამოიფხვრას ჩვენში ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, ზნეობრივი ჯადი. მცირეოდენი ყურადღების მოდუნება და ეს მანკიერებანი მაშინვე ამწვედებიან, აფოფინდებიან, ამახინჯებენ ჩვენი კომუნისტური ცხოვრების წესს და ხელს უშლიან ჭეშმარიტად სბეტაჟ ადამიანებს შრომასა და მოღვაწეობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავდაუზოგავად იბრძვის ყოველდღე, რომ ბოლომდე გამოავლინოს საგულდაგულოდ შენიღბული ეს ნაკლი, ამხილოს, დაანახოს ხალხს მისი ჭეშმარიტი ბუნება და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი. ქართველი ხალხი თვალს ადევნებს ამ ბრძოლის ყოველდღიურ პროცესს და ერთსულოვნად უჭერს მხარს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სამართლიან გადაწყვეტილებებს.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა ერთხელ კიდევ დაგვანახებს თუ როდენ დიდა ის წვლილი, რაც ქართველ ხალხს შეაქვს საბჭოთა ქვეყნის შემდგომი აღმავლობის საქმეში. დაგვანახებებს, რა დიდი რეზერვები გააჩნია მას, როგორი ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი რესპუბლიკის წინაშე, დაგვანახებებს სამომავლო გეგმების გრანდიოზულობას და მათი განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტულ საშუალებებს.

ქართული მწერლობის დამოკიდებულება ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებისადმი მუდამ აქტიური იყო, არის და იქნება. არახდროს არ ყოფილა ქართველი მწერალი მოვლენების შორით შემყურე, იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ და ყოველთვის დროზე ამბობდა თავის ავტორიტეტულ სიტყვას. ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების გზები განუყრელია თავად საბჭოთა საქართველოს, საერთოდ საბჭოთა ქვეყნის განვითარების მავისტრალური გზისაგან. დღეს არავის ჭირდება შეხსენება ჩვენი ეროვნული მწერლობის მიერ ამ საუკუნეში გამოვლილი გზისა, არც მონაპოვარის კონკრეტული დასახელებაა აუცილებელი.

მაღე გაიმართება საქართველოს მწერალთა X ყრილობა. გაიმართება იგი

სწორედ დიდი მოვლენებით აღსავსე 1986 წელს, დიდი ფორუმებისათვის შანდობლივი მატყვარების აღმოსვროში. მწერლობისათვის ყველა ფაქტი მოვლენა, რაც კი განსაკუთრებული მნიშვნელობას ატარებს, ერთმანეთთან დაკავშირებულია ათასი ძაფით და ეს ყველაფერი ასევე ორგანულად არის თავად მწერლობასთან დაკავშირებული. მწერლის დამოკიდებულება არ შეიძლება იყოს ინდიფერენტული, იგი პროცესების აქტიური მონაწილეა. თავის არიდება, განზე დადგომა შეუთავსებელია მწერლის ბუნებასთან. ასე ესმოდა და ასე ესმის ქართულ მწერლობას თავისი მოვალეობა, არასოდეს გაქცივია ცხოვრების მიმართულებას და დღესაც ღირსეული მემკვიდრე უკვდავი ტრადიციებისა, ამბობს საკუთარ სიტყვას. თანამედროვე ქართული მწერლობის მონაპოვარი ქართველი ხალხის ინტერესებს შეესატყვისება, მისით არის ნასაზრდოები. ქართული ლექსი, მოთხრობა, ნოველა, რომანი, პიესა, კრიტიკა არის მოწინავე, პროგრესიული, იგი დგას დღევანდელი მოთხოვნათა დონეზე. ქართული მწერლობის საუკეთესო მონაპოვარი ფართოდ არის ცნობილი საკავშირო არენაზე, თარგმნილია საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.

მაგრამ, აღბათ, ყველაზე მეტად შემოქმედს ამშვენებს უკმარისობის გრძნობა. ამ გრძნობას მოკლებული მწერალი, როგორც შემოქმედი, მკვდარია, მისგან ახალს აღარაფერს არ უნდა ველოდეთ. ქართული ეროვნული მწერლობა იმიტომ იპყრობდა ახალ-ახალ მწვერვალებს, რომ ადრე დალაშქრული სიმბოლოები ეპატარავებოდა. იგი სულ წინ იყურებოდა, არ აკმაყოფილებდა მიღწეული და ეს გრძნობა შეაქმნევიანებდა დიდებულ მხატვრულ ტილოებს.

ახალ სიტყვას ითხოვს თანამედროვეობა ქართველი მწერლისაგან, მასშტაბურ სიტყვას ითხოვს ეპოქა, რომელიც დაიტვირთა ახლად შესაცნობი მსოფლიო და ეროვნული მასშტაბების მოვლენებით, აი, რაზე ფიქრობს დიდი ფორუმების წინ ქართული მწერლობა. მას ღრმად აქვს გაცნობიერებული თავისი როლი და ყრილობაზე დასახავს ახალ მიზნებს, ახალ გეგმებს. მწერალთა ყრილობა არ იქნება შეხვედრა მწერლისა მწერალთან, საუბარი მხოლოდ ლიტერატურულ მოვლენებზე, მწერალთა ყრილობა უთუოდ იქნება მწერლის შეხვედრა მშობელ ხალხთან, საუბარი ეროვნულ და საკაცობრიო პრობლემებზე. დიდი ქართული ლიტერატურის ძირათადი საგანი მუდამ ეს იყო, ჩვენ ხალხს ვაბარებთ ანგარიშს — ეს კი ყველაფერს ნიშნავს და ჩვენი ვალია ღირსეულად ჩავაბაროთ ერს ანგარიში. ჩვენ ხალხს ვუზიარებთ სამომავლო გეგმებს და ჩვენი ვალია ის გეგმები შეესატყვისებოდეს ქართველი ერის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს.



ს. ა. მ.



გურამ ფანჯიკიძე

ს პ ი რ ა ლ ი

რომანი

თავი მეთხუთმეტი

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. პროფესორი ოთარ კახიშვილი აკადემიაში იყო წასული პრეზიდენტის სხდომაზე. დირექტორის მოსაცდელში რამდენიმე თანამშრომელმა კაცმა მხოლოდ იმიტომ შემოიხედა, დირექტორის მდივნის სავსე მკერდისთვის რომ შეეველო თვალი.

მარინე დვალი მოწყენილი იჯდა. დრო რომ გაეყვანა, ხან ვის ურეკავდა და ხან ვის.

ღილიდანვე სევდა დაეუფლა. თვითონაც არ იცოდა, გულზე ნაღველმა რატომ გადაუარა.

ქმარს უკვე ხუთი წლის გაცილებული იყო. თუმცა თვალის ხარბად შემვლები არ აკლდა, დღემდე მთხოვნელი არავინ გამოუჩნდა. მთავარი მიანიც ის იყო, რომ ოცდახუთი წლის ქალს თვითონ არ ჰქონდა გათხოვების სურვილი. ვეღარც კი წარმოედგინა, მამაკაცისთვის როგორ უნდა ეკოცნა. სამაგიეროდ, შემოჭერილ შავ მაისურებს იცვამდა ან უსახელო, გულმოღეღილ ჯემპრებს, სა-

განგებოდ ცდილობდა, ძუძუები და ძუძუებს შორის ღარი ისეთი ზომით გამოსჩენოდა, ყველაზე უფრო რომ აგეიებს მამაკაცს.

მარინე დვალმა შესანიშნავად იცოდა, ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის მოსაცდელში უმრავლესობა იმიტომ კი არ შემოდიოდა, რომ დირექტორის ნახვა უნდოდათ, აცუნდრუქებულ მამაკაცებს ოცდახუთი წლის ქალის მოღეღილი მკერდისათვის თვალის შევლები სურვილი ჰქლავდათ.

დირექტორის მდივანმა თავიდანვე შენიშნა, ლაპარაკის დროს თვალებში კი არ უყურებდნენ, მკერდს ხარბად ჩასჩერებოდნენ და ცდილობდნენ, მზერა იქ ჩაეპარებინათ, სადაც კაბა ჰფარავდა ლამაზ მკერდს.

მამაკაცთა გაღიზიანებულ და ამღვრეულ თვალებს რომ ხედავდა, სადისტურ სიამოვნებას განიცდიდა. ეს არ იყო მამაკაცის ყურადღებით და საკუთარი სილამაზის აღიარებით მოგვირილი სიამოვნება. ეს იყო შურისძიება თავისი ქმრისადმი, საერთოდ, მამაკაცებისადმი, რომელთა ხარბ და ავხორცობით აწყლიანებულ თვალებში მხოლოდ პირუტყვს ხედავდა.

დასახული. დასაწყისი იხ. „ციხკარი“ 1985 წ. № 11, 12.

რა საცოდვები იყვნენ ეს მამაკაცები. არა, საცოდვები კი არა, ამბარხნენბი! ლოკოკინასავით თავიდან ფეხებამდე ლორწოიანები. მარტო ინსტიტუტის თანამშრომლები როდი იყვნენ ასეთები. უცხო პირებიც, სტუმრებიც და ქუჩაში გამვლელებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. სასაცილოდ ეჩვენებოდა მათგან მოძღვნილი საჩუქრები, შოკოლადის ფილები, ფრანგული სუნამოები, ყვავილები... ქმართან გაყრის პირველი დღიდანვე ივრძნო, მამაკაცებმა ყურადღება რომ გაახუთყვეს. ამჩატებულ მამაკაცთა თვალები გაცილებით უტიფრად მიძვრებოდნენ ძუძუებს შორის საცთუნებელივით გამოჩენილ ღარში, უფრო ბილწად ელამუნებოდნენ მარინეს ოდნავ მსხვილ, მაგრამ ლამაზ მკლავება. ხელის ჩამორთმევის დროს უფრო დიდხანს ეჭირათ ხელში მისი გრძელი და კარგად მოვლული თითები. უფრო მრავალმნიშვნელოვნად ჩასჩერებოდნენ თვალებში და კომპლიმენტებშიც უფრო მეტ ქვეტექსტებს დებდნენ.

მარინე დეალი სიყვარულით ვაკყვა მეუღლეს. უბედნიერესი ქალი ეგონა თავი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ საერთოდ ეზიზღებოდა მამაკაცთა მოდგმა. საბოლოოდ ირწმუნა, სიყვარული ბრმაოა. აბა, როგორ ვერ შენიშნა ამ ერთი შეხედვით საკმაოდ მომხიბვლელი, მაგრამ სინამდვილეში პრიმიტივი კაცის არსებაში პირუტყვი?! მარინეს ქმარი მეუღლეში ცხოველური ყინის დაკმაყოფილების საშუალებას ხედავდა. ლოგინში ჩაწოლისთანავე მშვიერი სვავივით დაატყებოდა ხოლმე მარინეს ჯიშინს ხეულს, შემდეგ გადაბრუნდებოდა და ხერხინვას ამოუშვებდა.

მეორე, ვინც მარინე აღწალს კაცის სახელი შეაზიზღა, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი შოთა ბელაშვილი იყო, ორმოცდათხუთმეტს მიღწეული ჩასუქებული კაცი თითქოს ორი ბურთისაგან იყო აწყობილი.

პირველი ბურთი, საკმაოდ დიდ ღრამეტრის მქონე ხორცის ბურთი, მღელღელ გადაჭრილ ორ მორხე იდო. მეორე, გაცილებით პატარა ბურთი, სადაც მისი ინტელექტი ბოლომდე დასული სანთელივით ბეჭუტავდა და სადაც იყო, ჩაქრებოდა, დიდ ბურთზე ისე იყო დაწებებული, რომ ერთხელაც არ გადმოვარდნილა. კისერი არსად მოუჩანდა და, ალბათ, არც ესაჭიროებოდა პატივცემულ მეცნიერს. შემთხვევას არ გაუშვებდა, მარინესათვის ხელი არ ჩამოერთმია, ბილწი მზერა მკერდზე არ მოეფათურებინა. ბატონი შოთა როგორც კი მისაღებიდან გავიდოდა, მარინე უმაღვე ფრანგული ოდეკოლონი იწმენდა ხელებს. გულარეულს ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ხელში ბაყაყი სჭეროდა.

— მე შემიძლია თქვენ უსაზღვრო ბედნიერება მოგანიჭოთ! — უთხრა ერთხელ ბატონმა შოთამ, როცა მარინე მისაღებში მარტო დაიგულა, იცოდა, დირექტორი მეცნიერებათა აკადემიაში იყო და კარგა ხანს არ მოვიდოდა.

— რას მომანიჭებთ? — სახეზე ზიზღნარევი ღიმილი გადაეკრა ქალს. თან გულწრფელად გაუკვირდა, ბელაშვილმა თავი რომ დახარა, ზედა ბურთი რატომ არ გადმოვარდაო.

— უსაზღვრო ბედნიერებას, დიახ, უსაზღვრო ბედნიერებას მოგანიჭებთ, როგორც მამაკაცი და როგორც ინტელიგენტი. მე ვიცი თქვენი სილამაზის ფასი, ძვირფასო მარინე!

ქალის სახეზე დამცინავი ღიმილი ერთხანს კიდეც იყო უძრავად გაჩერებული. უცებ ღიმილი გაცოფებამ ისე შეცვალა, როგორც ეკრანზე ერთი სლaidი შეცვლის ხოლმე მეორეს.

— სანამ სილას გაგაწნავდეთ, აქედან გაეთრიეთ.

— ქალბატონო მარინე! — გაწითლდა პატარა ბურთი.

— გაეთრიეთ-მეთქი!

— მარინე ტარასოვნა! — სამი ნაბიჯი უკან გადადგა ბატონმა შოთამ.

შეეშინდა, ქალის ხმა არავინ ვაიგონოსო. — დაწყნარდით, უმორჩილესად გთხოვთ, დაწყნარდით! მე მხოლოდ მინდოდა...

— მე არ ვიცი, შენ რა გინდოდა, — მოერია თავის თავს მარინე, — სჯობია შინ წახვიდე, ჩვეულებისამებრ, წინსაფარი გაიკეთო და მეუღლეს ქუჩის დარეცხვაში მოეხმარო!

მარინე დვალს განსაკუთრებულ ბედნიერება მაშინ ეუფლებოდა, როცა ოჯახის, მეუღლის ერთგულ კაცუნებს ამარსუნებდა, სამსახურიდან სახლში რომ კარტოფილით, რძითა და მაწვნით დატვირთულები ბრუნდებოდა.

გატანჯული და იმედგაცრუებული, სიყვარულზე რწმენაგატეხილი და მომავალზე ხელჩაქნეული ქალი ჯერ კიდევ გუშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ემოციებისა და სექსისაგან დაცლილი სხეული ისევ აივსებოდა მამაკაცთან შეხვედრის საოცარი, თითქმის დაუოკებელი სურვილით.

დიახ, ყველაფერი ერთბაშად და მოულოდნელად მოხდა.

უცებ კარი რამაზ კორინთელმა შემაღლო.

მარინე შეკრთა, ამ არცთუ ლამაზი, მაგრამ სპორტული აღნაგობის, ენერგიული ჭაბუკის დანახვა ქალში ყოველთვის გაუგებარ გრძნობას იწვევდა. ვერ მიმხვდარიყო, მოსწონდა თუ ეზიზღებოდა თვითდაჯერებული და თავზედი ჭაბუკი. ერთი კი ნაღდი იყო, მღელვარება იპყრობდა და წონასწორობიდან გამოდიოდა. იმ დღიდან, პირველად რომ ნახა, ცნობისმოყვარობა ჰკლავდა, საიდან იცოდა რამაზ კორინთელმა, რა სურათი ჰქონდა კედელზე დაკიდებული ან როგორი ტორშერი ამშვენებდა მის ოთახს?!

ის დღე იყო და ის დღე. რამაზ კორინთელი თითქმის აღარ დალაპარაკებია. დირექტორის კაბინეტში პირდაპირ შედიოდა. მდივანი ქალისაკენ ზრდილობის გულისთვისაც არ

იხედებოდა. სალამზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი.

მარინე დვალმა დიდი ფიქრის შემდეგ მიიხილა დაასკვნა, რომ ინსტიტუტის ახალი თანამშრომელი თუ არ ეზიზღებოდა, ძალზე აღიზიანებდა. კაცმა რომ თქვას, რამაზ კორინთელს მარინესათვის არაფერი დაუშვავებია. არც ზოგიერთიგვით უტიფრად შეუვლია თვალი მისი გულმკერდისათვის, არც უდიერად მიუმართავს როდისმე. იქნებ ის აღიზიანებდა, დირექტორის კაბინეტის კარს დაუკითხავად რომ აღებდა?

დღეები გადიოდა. ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი მხოლოდ რამაზ კორინთელით ცხოვრობდა.

გულჩახვეულმა, ენერგიულმა ჭაბუკმა თავიდანვე მიიქცია ინსტიტუტის თანამშრომელთა ყურადღება. ზოგს მოსწონდა ცივი, სიტყვაძუნწი, მაგრამ ძალზე კორექტული და თავაზიანი ჭაბუკი. ზოგი ვერ იტანდა, თუმცა ზიზღის არც საფუძველი ჰქონდათ, არც საბაბი. რატომღაც მისი თავლისფერი, ერთი შეხედვით კეთილი თვალები არ მოსწონდათ. დიახ. ერთი შეხედვით კეთილი, რომლის სიღრმიდან თითქოს ბოროტება იმზირებოდა.

მითქმა-მოთქმას ბევრმა მოვლენამ შეუწყო ხელი. სექტემბრის დასაწყისში კვლევით ინსტიტუტს ამერიკელი მეცნიერები ეწვივნენ, ორი კვირის შემდეგ ფრანგები. მიღებაზე ორივეჯერ რამაზ კორინთელი თარჯიმნობდა. მერე როგორი დინჯი და კორექტული იყო. ერთი წუთითაც ვერ შენიშნავდით ყოყოჩობას, ენების ცოდნით გამოწვეულ ქედმძლავრობას. თარგმნიდა დინჯად, გარკვევით, მოკრძალებით. ოღონდ ხანდახან ცდილობდა, ის სისულელეები გამოესწორებინა, ინსტიტუტის დირექტორი ან რომელიმე თანამშრომელი რომ წამოროშავდა ხოლმე.

დღეები გადიოდა, სენსაცია სენსაციას ემატებოდა. გაიგეს, რომ ერთი

თვია მანძილზე უნივერსიტეტში ორი კურსის საგნები წარმატებით ჩააბარა. ისიც იცოდნენ, იანვარში მთლიანად დახურავდა უკანასკნელ კურსს და სადიპლომოსაც დაიცავდა.

უნივერსიტეტშიც უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ ფენომენალური ნიჭის ჰაბუკზე. ბევრმა სიტყვა „გენოსიცი“ კი მოიშველია რამაზ კორინთელის დასახასიათებლად.

მარინე დვალი ერთს კი გრძნობდა აშკარად. რამაზ კორინთელი მეტისმეტად აღიზიანებდა, მაგრამ მისი ყოველი ნაბიჯი ძალზე აინტერესებდა.

ახლაც, კარი რომ შემოაღო, ახალგაზრდა ქალს გუნება კიდევ უფრო გაუფუჭდა.

— დირექტორი აკადემიაშია და შეიძლება არც მოვიდეს! — მიაგება ცივად ვაჟს, თუმცა კორინთელს ერთი სიტყვაც კი არ ჰქონდა ნათქვამი.

ვითომც არც გაეგონოს მარინეს სიტყვები, რამაზ კორინთელი ჯიქურ მივიდა მაგიდასთან.

— ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, მცხეთისკენ გავისეირნოთ! — უცერემონიოდ და თავხედურად უთხრა ახალგაზრდა ქალს.

დირექტორის მდივანმა გოცებით ამოხედა ჰაბუკს.

— რა ბრძანეთ? — ესლა მოახერხა ბოლოს.

— ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, მცხეთაში გავისეირნოთ-მეთქი! დაგირეკავთ ზუსტად თერთმეტ საათზე.

რამაზ კორინთელი პასუხს არ დაელოდა; შემობრუნდა და მოსაცდელი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ჰაბუკის თავხედობით გაღიზიანებულმა მარინემ ხმა ვერ ამოიღო. ვერც ის გადაწყვიტა, რა ექნა, დაერეკა და კორინთელი გემრიელად გამოელანძღა თუ ჰაბუკის ნათქვამი არაფერად ჩაეგდო და მომავალში აღარ მისალმებოდა.

შინ რომ დაბრუნდა, სინანულმა შეიპყრო, რატომ არ დაეუძახე და საკადრისი პასუხი არ გავეციო. უნე-

ბურად კედელზე ჩამოკიდებულ დეგას ბალერინებს მიაჩერდა. ხანს უყურა, მერე თავი გაიქნა და მტკიცედ გადაწყვიტა, ხვალ თერთმეტ საათზე რომ დამირეკავს, მოვახსენებ, რისი ღირსიც არისო.

დამშვიდებული აბაზანაში შევიდა, ნელთბილი წყალი გადაივლო და სამზარეულოს მიაშურა. ეგონა, საბოლოოდ დაეწყნარდი და დავმშვიდდიო. სამწუხაროდ, მალე მიხვდა, რამაზ კორინთელის სახეს თავიდან (იქნებ გულიდან) იოლად ვერ ამოიგდებდა.

რატომღაც ფრანგული სუნამო ისხურა, სარკესთან მივიდა, თმა საგულდაგულოდ დაივარცხნა, ხალათი ბოლომდე ჩაიხსნა, მალალი, მკვრივი მკერდი ამაყად შეათვალეირა. ჯერ მარჯვენა მხარეს შებრუნდა, მერე მარცხნივ მიტრიალდა და მთელი ტანი საგულდაგულოდ და მუშტრის თვლით შეაფასა. თითქოს დიდი ხანი იყო, არ ენახა. შინაგანი კმაყოფილებით აღსავსემ საკუთარ თავს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, მერე ტელევიზორი ჩართო, სავარძელში მოკალათდა, სიგარეტს მოუკიდა და თვალი ეკრანს გაუშტერა. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მიხვდა, არაფერი არ დაუნახავს, რაც ეკრანზე ხდებოდა. მღელვარებაშეპარულ ახალგაზრდა ქალს თვალწინ ისევ რამაზ კორინთელი ედგა — თავხედი, თავის თავში დარწმუნებული და გამომწვევი ჰაბუკი.

მარინე დვალის აღშფოთება თანდათან მატულობდა, ერთი შეხედვით კეთილთვალეზიანი, მაგრამ თითქოს მაინც ბოროტად მომზირალი ყმაწვილი უკვე საშინლად ეზიზღებოდა.

პირველსავე დღეს მარინემაც შეამჩნია ის მალაღმეხებიანი, ქერა გოგო, წითელი „უიგულით“ რომ დასეირნებდა რამაზ კორინთელს. მას მერე ბევრმა ქალიშვილმა მოაკითხა ინსტიტუტში ახალ, მაგრამ ყველაზე პოპულარულ თანამშრომელს.

„იქნებ იმ ქალბატონების მსგავსი

ვკონივარ? ალბათ, ვაიგო, ქმარს რომ ვარ გაცილებული და ამიტომ მელაპარაკება ასე თავხედურად!”

სიბრაზე თანდათან ერეოდა, აიბრაზე და ზიზღი.

საათს დახედა. ათი სრულდებოდა. ერთი სული ჰქონდა, დრო სწრაფად გასულიყო, რომ ხვალ დილის თერთმეტ საათზე რამაზ კორინთელი უკანააქნელი სიტყვებით მიეღწა.

ტელევიზორი გამორთო და წიგნის წაკითხვა სცადა. გული ვერ დაუღო. სამზარეულოში გავიდა. საქმე იქაც არაფერი ჰქონდა. მაგიდა გადაწმინდა. ხელები დაიბანა, ოთახში შემობრუნდა და ისევ ტელევიზორი ჩართო.

ერთოთხიანი ბინა გემოვნებით ჰქონდა მოწყობილი. რომელიღაც გერმანული საყოფაცხოვრებო კურნალია გავლენით იყო კუთხეში მიდგმულიდიდი კერამიკული ვაზა და მასში მოთავსებული ლერწამი.

„როგორ ვამიბედა! ქმარს რომ ვარ გაცილებული, ალბათ, იმიტომ ვკონივარ თავისი მეგობარი ქალბისთანა!“ — მერამდენედ იმეორებდა გუნებაში.

ლოგინში დიდხანს იტრიალა. არ იქნა და არ დაეძინა.

თვლა დაიწყო.

მეცხრე ასეულზე რომ გადავიდა, მერე მიხვდა, მექანიკურად თვლიდა, ფვალწინ ისევ რამაზ კორინთელი ედგა. ყურში კი კვლავ მისი თავხედური ხმა ჩაესმოდა, ხვალ, თუ სურვილი გექნება, მცხეთისკენ გავისივრნოთო.

„ვითომ მართლა მოვწონვარ?“ — ვაფიქრა უცებ მარინე დვალმა.

„იქნებ მართლა მოვწონვარ?“

„ისევ ხომ ხდება, ადამიანი ერთბაშად მიხვდება, ერთბაშად აღმოაჩენს, რომ მოსწონხარ!“

ლოგინიდან წამოდგა, ტორშერი აანთო, გრძელი პერანგი გაიხადა და სარკესთან დედისობილა მივიდა. ტორშერის მკრთალ შუქზე უფრო ლამაზად უბზინავდა ისედაც პრილა კანი. ოცდა-

ხუთი წლის ქალს ჯიშინი და მკვრივი მკერდი ვნებიანად აუღ-ჩაუღლიდა. მისი ლისფერ ჩამოშლილ თმას ხელი მოაგლო და ცალ მხარეს მკერდზე გადმოიყარა. ოდნავ მსხვილი ფეხები, გათხოვილი ქალისთვის საკმაოდ წვრილი წელი და მაღალი თეძოები შინაგანი კმაყოფილებით ავსებდა და თვითონვე სტაცებდა თვალს.

ბოლოს სარკეს მოსცილდა, ტორშერი ჩააქრო და საკუთარი თავით კმაყოფილი ლოგინში შიშველი ჩაწვა.

ვერ გავგო, რატომ სიამოვნებდა შიშველი წოლა. იქნებ იმიტომ, რომ ბიჭზე ფიქრობდა?

„იქნებ მართლა მოვწონვარ?“

„სანამ არ დარწმუნდა, რომ ნამდვილად მოვწონვარ, მანამდე, ალბათ, იმიტომ არ მითხრა არაფერი“

„ვითომ და რატომ არ უნდა მოვეწონო?“

ქალის სხეული სასიამოვნო თრთოლვამ შეიპყრო.

მიხვდა, იმდენად აღარ აღიზიანებდა საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებული ჭაბუკი.

აღარც მისი წინადადება ეჩვენებოდა თავხედური და შეურაცხყოფელი.

ბურანში გახვეულს ძილი მოერია. გრძნობდა, სხეული როგორ უთრთოდა. თხელ საბანთან შეხებაც კი სიამოვნებდა. უნებურად მარჯვენა ხელი ისევ გადაისვა მკვრივ მკერდზე. ამ წუთამდე მტკიცედ სჯეროდა, ჩემმა სხეულმა უკვე დაივიწყა მამაკაციო.

ერთბაშად იგრძნო, სხეულში ვნებამ როგორ გაიღვიძა და ნეტარებით გაიზმორა.

„ვინ იცის, იქნებ მართლა მოვწონვარ!“

ვერ გაბედა გაეფიქრებინა, იქნებ მართლა ვუყვარვარო.

მარინე დვალმა იგრძნო, ნეტარების ბურუსში გახვეულს სხეული როგორ გაუმსუბუქდა. მერე მოეჩვენა, რძისფერ ნისლში მივცურავო და მკვდარივით ჩაეძინა.

დილით ფანჯრიდან შემოპარულმა მზის სხივმა გააღვიძა. საათს დახედა. ათი დაწყებულიყო. გულგახეთქილი ფეხზე წამოიჭრა, თერთმეტ საათამდე ბანაობასა და ჩაცმას ვერ მოვასწრებო, გაიფიქრა და უმაღლვე შერცხვა — მიხვდა, რამაზ კორინთელის წინადადება უკვე მიღებული ჰქონდა.

იქვე, აკამზე გადაკიდებულ დილის ხალათს მისწვდა, მაგრამ ჩაცმა გადაიფიქრა და ტიტველი კვლავ სარკესთან მივიდა. წუხელ, ტორშერის შუქზე უფრო მოეწონა თავი, უფრო მკვრივი და ნორჩი ეჩვენა თავისი სხეული და ოდნავ სევდამორეულმა სასწრაფოდ აბაზანას მიაშურა.

თერთმეტი ახლოვდებოდა. ახალგაზრდა ქალს მღელვარება უფრო და უფრო უძლიერდებოდა. არ უნდოდა თავის თავს გამოსტეხოდა, რომ ზარს მოუთმენლად ელოდა. უნდოდა იქვე ტელეფონთან დამჯდარიყო, მაგრამ იმ მეორე მარინე დვალისა რცხვენოდა, გუშინ რომ რამაზ კორინთელი საშინლად ეზიზღებოდა, ტელეფონის ახლოს არ დამჯდარა, მაგრამ მაინც იქვე ტრიალებდა.

ზუსტად თერთმეტზე ტელეფონი აწკრიალდა, უმაღლვე ყურმილს დასწვდა. იმავე წამს ინანა, რომ იჩქარა და თავი გასცა, რამაზ კორინთელისათვის ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა, ქალი როგორ ელოდებოდა ტელეფონის ზარს.

— ვისმენთ! — თქვა მცირეოდენი პაუზის შემდეგ. უნდოდა წელანდელი შეცდომა გამოესწორებინა.

- გამარჯობა, მარინე!
- გამარჯობათ.
- ვერ მიცანი?
- გამარჯობათ, რამაზ! — მარინე მიხვდა, ტყუილს აზრი არ ჰქონდა.
- ზუსტად ხუთ წუთში შენს სადარბაზოსთან ვიქნები.

ქალს არ მოეწონა თავიდანვე მონობით მიმართვა.

— კი მაგრამ, არ მეკითხებით, მოვლივარ თუ არა?

— ექვიც არ მეპარება, რომ მოდიხარ.

— რატომ არ გეპარებათ?! — განაწყენდა ქალი.

— რატომ? არ ღირს ტელეფონში ლაპარაკი. მანქანაში აგისხნი ყველაფერს. ერთი სიტყვით, ხუთ წუთში დაბლა გელი.

— ჯერ აბაზანაშიც არ შევსულვარ, მერე ჩაცმა ხომ მინდა. — იცრუა მარინე დვალმა.

პასუხად კორინთელმა ჩაიცინა.

— რატომ იცინით? — დანაშაულზე შესწრებულებით შერცხვა ქალს.

„ალბათ, მიხვდა, რომ ჩაცმული ვარ და ტელეფონის ზარს სუნთქვაშეკრული ველოდებოდი“.

— ისე, სხვათა შორის გამეცინა. თვითონ არ ვიცი, რა მაცინებს. კარგი, იყოს ნება შენი, ოღონდ ზუსტად თორმეტის ნახევარზე დაბლა ჩამოდი.

— ჩემს სახლთან ნუ გაჩერდებით. მარცხენა მხარეს, ორმოცდაათიოდ მეტრის მოშორებით აფთიაქია. იმ აფთიაქიდან კიდევ ოცი მეტრის იქით დადექით. მოვლივარ, ოღონდ გახსოვდეთ, ჩემი თანხმობა არ გაძლევთ უფლებას გააკეთოთ შორს მიმავალი დასკვნები.

— ბატონი ბრძანდები! — რამაზ კორინთელს ისევე გაეცინა.

„შორს მიმავალი დასკვნები“ დავით გიორგაძის საყვარელი ფრაზა იყო. ეტყობა, ინსტიტუტის დირექტორმა წლების მანძილზე არა ერთი და ორი ფრაზა და გამოთქმა ჩაუჭედა თავში თანამშრომლებს.

მარინემ ყურმილი დადო და თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა სარკის წინ. რატომღაც აღარ მოეწონა ის კაბა, ერთი საათის წინ რომ საგანგებოდ შეარჩია.

„დიდი, დარბაისელი ქალის იერს მაძლევს, მე ისედაც უფროსი თუ არა, ტოლი მაინც ვიქნები რამაზ კორინთელისა. ამ კაბაში სოლიდურობა და ასაკი მემატება“.

კაბა სასწრაფოდ გაიხადა, ლოგინზე მიაგდო და გარდერობს ეცა.

„იქნებ შარვალი ჩავიცვა?“

უმალვე გადაიფიქრა. გათხოვების შემდეგ რომ შესუქდა, იცოდა, შარვალი უკვე აღარ უხდებოდა.

საბოლოოდ მაინც სპორტული ტიპის კაბა შეარჩია და ზემოდან გულამოჭრილი ცისფერი ჯემპრი გადაიცვა. ფეხზეც ნახევრად სპორტული ცისფერი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა, მკლავზე მსხვილი ცისფერი და თეთრი რგოლები წამოიგო. ხელჩანთაც შესაფერი შეარჩია და თვალი ახლად შეძენილ თხელ ტყავის კურტკას დაადგა, ჯერ რომ არსად სცმოდა. ფანჯარაში გაიხედა. ოქტომბრის უკანასკნელი დღე იდგა, მაგრამ ამ დროისათვის უჩვეულოდ თბილოდა. ქალაქი მზით იყო გაჩანჩახებული.

„სალამომდე ხომ არ დავრჩებით. კურტკა ნაღდად არ დამჭირდება“, — გაიფიქრა სინანულით.

„მაინც წავიღებ. ჩანთაზე გადავიკიდებ. შეიძლება ერთბაშად აცივდეს კიდევ“.

„კურტკის წაღება თავისთავად საღამომდე დარჩენას გულისხმობს, მე კი ორ საათზე მეტს ვერ დავრჩები“, — ფიქრობდა მარინე, მაგრამ თვითონვე არ სჯეროდა თავისი გადაწყვეტილებისა.

საათს შეხედა. ამდენ საქმიანობაში მხოლოდ ათი წუთი გასულიყო. აღარ იცოდა, რა ექნა, დრო რით მოეკლა. ისევ სარკესთან მივიდა. სპორტულ ტანსაცმელში უფრო მოეწონა საკუთარი თავი. უცებ თვალი ქორწინების ბეჭედს შეავლო. სახზე ზიზღი მოეძალა, ბეჭედი სასწრაფოდ მოიხსნა და გარდერობის უჯრაში შეინახა. მაგიდასთან მივიდა, ბროლის თასში ჩაგდებული დაღესტნური ვერცხლის

მსხვილი, მწვანეთვლიანი ბეჭედი მონახა და თითზე წამოიცვა. დრო მაინც საკმაოდ დარჩა. სავარძელში ჩაჯდა და მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს გადასწვდა. ცდილობდა, ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა და არ ენერვიულა.

გულს ვერაფერი მოუხერხა, თანდათან უფრო ძლიერად უცემდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მკერდში ხის დიდი საათი ჰქონდა და მისი გრძელი და მძიმე ქანქარის მოძრაობის ხმა ესმოდა.

●
ავკალამდე დუმილი არც ერთს არ დაურღვევია. ქალი მხოლოდ ხანდახან გააპარებდა ხოლმე ჭაბუკისკენ თვალს აშკარად მოსწონდა მისი მტკიცე სახე და ძლიერი მკერდი, მსხვილი, დაკუნთული მკლავები და ღონიერი ტორები.

— რატომ არ გეპარებოდით ეგვი, რომ აუცილებლად წამოვიდოდით? — ვაახსენა მარინემ ტელეფონით ლაპარაკის დროს უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვა.

— ოო, ეგ არ არის იოლად ასახსნელი. — თქვა ღიმილით რამაზ კორინთელმა.

— რატომ?

— აი, ჩავალთ მცხეთაში და იქ მოვახსენებ.

— მცხეთაში რა პროგრამა გვაქვს?

— რასაც მოისურვებ, პროგრამაც ის იქნება. გნებავს, მილიონ მეერთედ დავათვალიეროთ მილიონჯერ დათვალიერებული ტაძრები, გნებავს, პირდაპირ ვისადილოთ.

— სადილობამდე ჯერ ბევრი დარჩა. ორი საათი მაინც. მილიონჯერ დათვალიერებულ ტაძრებს მილიონმეერთეჯერაც სიამოვნებით დავათვალიერებ. მაგრამ არ მინდა, ვინმე ნაცნობმა დამინახოს.

— მაშინ ფასანაურში წავიდეთ. არა მგონია, ოქტომბრის ბოლოს ვინმე ნაცნობს გადავეყაროთ.

— ფასანაურში? — დაფიქრდა მარინე.

— ჰო, ფასანაურში. ერთი საათიც არ გვინდა, იქ ვიქნებით.

— რამდენი წლისა ხართ? — ჰკითხა მოულოდნელად მარინემ ღიმილით და ამ შეკითხვით ფასანაურში წასვლაზე თანხმობაც განაცხადა.

— შენ რამდენისა გგონივარ?

„შენ“ ისევ ცუდად მოხვდა მარინე დვალის ყურს. თვითონ რამაზ კორინთელს სრულიადაც არ უკვირდა თავისი შენობით და მარინეს თქვენობით ლაპარაკი. თითქმის შვიდი წლის მანძილზე, მარინე რომ დავით გიორგაძის მდივანი იყო, სულ ასე ლაპარაკობდნენ აკადემიკოსი და მისი მდივანი. თვითონ შენობით, მარინე — თქვენობით.

— მე რამდენის მგონიხართ?

— ჰო, ძალზე მაინტერესებს, რამდენი წლისა გგონივარ.

— რამდენის? — მარინემ ცალი თვალი მოჭუტა და ჭაბუკი მუშტრის თვალით აათვალ-ჩაათვალიერა, — ალბათ, ოცდასამის.

რამაზ კორინთელმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა გაცილებთ? უფრო მეტისა ბრძანდებით?

— გაცილებით მეტის.

— მაინც? — ჭაბუკის პასუხი გაეხარდა კიდევ მარინე დვალს, გულმხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, ჩემზე უმცროსი ხომ არ არისო.

— სამოცდამეთექვსმეტეში გადავდექი.

— დიდი ვერაფერი ხუმრობაა! — ეწყინა ქალს.

— მე არ ვხუმრობ. დადგება დრო და მიხვდები, რომ წმინდა წყლის სიმართლეს გეუბნები.

მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა. რამაზ კორინთელი ფიქრმა გაიტაცა. მარინეც გაჩუმდა. არ იცოდა, რაზე ელაპარაკა. მალე უკან დარჩა ნატახტარი. კორინთელის „ფიგული“ უკვე საქართველოს სამხედრო გზაზე მიჰქროდა.

რამაზ კორინთელმა თვალი საცრისკენ გააპარა. უკან რომ ნაცრისფერი „ვოლგა“ მოჰყვებოდა, სვლას უკლებდა. გულმა რეჩხი უყო, სვლა თვითონაც შეანელა და „ვოლგას“ თვალს არ აშორებდა.

„სად მინახავს ან საიდან მახსოვს ეს „ვოლგა?“

ახალა მიხვდა, „ვოლგა“ სახლიდანვე აედევნა. მთავარ ქუჩაზე რომ გავიდა და გზაჯვარედინზე წითელი შუქის გამო რომ შეჩერდა, ნაცრისფერი „ვოლგა“ კინალამ უკნიდან შემოაჩადა. ახალა აღადგინა გონებაში, „ვოლგა“ რამდენჯერმე წამოეწია გზაში, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. არც იმით დაინტერესებულა, ვინ უჯდა საჭეს ან, თუ არ ეჩვენებოდა და მართლა მოსდევდა, ვინ მოსდევდა.

„ვოლგა“ უცებ შებრუნდა და უკან წავიდა.

„სად მინახავს? სად მინახავს?“

„მგონი, ერთხელ უკვე ამედევნა უკან!“

გონება ერთბაშად გაუნათდა. კინოკადრებით წარმოუდგა თვალწინ, ქალბატონ ანასთან ვიზიტის შემდეგ აკადემიკოსის სახლიდან რომ გამოვიდა, როგორ აედევნა ნაცრისფერი „ვოლგა“

„ნუთუ ის „ვოლგაა?“

„ვინ იცის, რამდენჯერ ამედევნებია, მაგრამ მე არ შემინიშნავს ან, თუ მომდევდა, რატომ ბოლომდე არ გამომეყვა?“

„აქ მანქანები სწრაფად მოძრაობენ. ალბათ, იფიქრა, რომ იოლად მივხვდებოდი, მე რომ მომდევდა.“

„იქნებ სულაც მეჩვენება? ნაცრისფერი „ვოლგის“ მეტი რაა ამ ქვეყანაზე!“

„ნაღდად მეჩვენება!“ — დასკვნა რამაზ კორინთელმა და ხელი ისე გაიქნია, თითქოს უსიამო ფიქრი მანქანის ფანჯრიდან მოისროლო.

— მაინც რატომ იყავით დარწმუნებული, რომ თქვენს წინადადებას აუცილებლად მივიღებდი? — უკვე მესამედ იკითხა მარინე დვალმა.

— რატომ? — ეშმაკურად გაიღიმა კორინთელმა.

— დიახ, რატომ?

— უკანასკნელი ხილვის დროს განგებამ შთამავონა შენი სიყვარული.

— თქვენ ისევ ხუმრობთ?

— არა, მე არ ვხუმრობ, მარინე, მე ნათელმხილველი ვარ.

ახლაგაზრდა ქალმა ოდნავ განაწყენებულმა შეხედა რამაზ კორინთელს. უნდოდა ეთქვა, არც მეორე ხუმრობა გამოგივიდა მაინცდამაინცო, მაგრამ ჰაბუკის დაძაბული სახე და საფეთქელთან ასფალტზე ამოვარდნილი ხის ფესვებივით ამობურცული, სისხლით დაბერილი ძარღვები რომ დანინახა, შეკრთა. დაბნეული ქალი ხან წინ იყურებოდა, ხან მზერას ისევ კორინთელისაკენ აპარებდა. უცებ მიხვდა, რამაზ კორინთელმა სიჩქარეს მოუმატა. რატომღაც შიშმა აიტანა და სპიდომეტრის მალულად შეხედა. არ უნდოდა კორინთელი მიმხედარიყო, რომ ეშინოდა. კაცმა რომ თქვას, ასი კილომეტრი სავანგაშო სიჩქარე არ იყო, მაგრამ მარინეს სიჩქარესთან ერთად ჰაბუკის დაძაბული სახე აფრთხოვდა.

რას ფიქრობდა რამაზ კორინთელი? ჯერ ერთი, მიხვდა, რომ უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, მარინე დვალს აუღელვებლად ვეღარ უყურებდა. უსაზღვრო სიხარულმა აიტაცა.

„იქნებ შემიყვარდეს!“ — გაიფიქრა უცებ კორინთელმა და მარინეს ხარბად შეავლო თვალი.

„იქნებ მართლა შემიყვარდეს, იქნებ გადავრჩე...“

თვალწინ ინგა წარმოუდგა. რატომღაც სლაიდივით დანინახა სიონის კედლის ფონზე გამოკვეთილი ქალიშვილი, ღიმილით ხელს რომ უქნევდა.

„იქნებ შემიყვარდეს მარინე. იქნებ... იქნებ მან გადამავეიწყოს ინგა...“

რამაზ კორინთელი ვერ მიხვდა, ტრასის მეორე მხარეს როგორ გადავიდა. წინიდან უზარმაზარი „კრაზი“ მოსრიალებდა. მარინეს ჯერ ეგონა, კორინთელი კარგად ხედავს წინიდან მომავალ

უზარმაზარ მანქანასო, მაგრამ როცა მათ შორის მანძილი შემცირდა, ჰაბუკის სახეზე შეხედა. მიხვდა, რამაზ კორინთელი გათიშული იყო და სასოწარკვეთილმა შეჰყვირა:

— რამაზ!

კორინთელი ერთბაშად გამოერკვა და საკე მარჯვნივ მოქაჩა. მარინემ წამიერად დანინახა „კრაზის“ შოფრის შეშინებული, არეული სახე. თითქოს ისიც კი გაიგონა, გაგიყვებული როგორ იგინებოდა. მიხვდა, რომ გადარჩნენ. თვალი დახუჭა და გასავათებული სავარძლის სახურგეს მიაწვა.

რამაზ კორინთელმა სიჩქარე შეანეღა, მანქანა გზიდან გადააყენა და გააჩერა.

მარინემ თვალი გაახილა. ირგვლივ მიმოიხედა. დღშეთის ვადასახვევამდეც არ იყვნენ მისულნი.

„აქ რატომ უნდა გაეჩერებინა?“ — გაუკვირდა ქალს.

კორინთელმა კარი გააღო.

— რა მოხდა? — ჰკითხა შეშფოთებულმა ქალმა.

— არაფერი. გადავალ, სიგარეტს მოვწვე!

— მეც მომაწვეინეთ.

რამაზ კორინთელმა სიგარეტი მიაწოდა.

მარინემ ხარბად დაარტყა ნაფაზი.

— რომ არ ეწეოდე, ჯობია! — უთხრა კორინთელმა, მანქანიდან გადავიდა და რატომღაც უკან წავიდა. ალბათ, არ უნდოდა, ქალის მხედველობის არეში ყოფილიყო.

მარინე არ გადმოსულა, მხოლოდ სარკე მოირგო და იქიდან უცქეროდა ნელი ნაბიჯით მიმავალ რამაზს.

კორინთელი საშინელმა სურვილმა შეიპყრო, ვინმესთვის გული გადაეშალა.

რამდენჯერ დაუფლებია მაგავი სურვილი, სასოწარკვეთილებამდე მისულს რამდენჯერ უსაუბრია ხმამაღლა საკუთარ თავთან.

სულ უკვირდა, რამდენჯერ შეუჩივლია ხოლმე ისეთი კაცისათვის, ვი-

საც თანავარძლობის ნაცვლად სიამოვნებდა კიდევ მეცნიერის ტკივილი. იცოდა, რომ მტერს ელაპარაკებოდა, მაინც შესჩიოდა. შესჩიოდა იმიტომ, რომ იმ წუთში სხვა არავინ ჰყავდა გვერდით. დამუხტული გული განმუხტვას მოითხოვდა, დაწყვეტამდე დაჭიმული ნერვები როგორმე უნდა მოედუნებინა.

ახლა?

ახლა ხომ სულ მარტო დარჩა! გვერდით კაცი არ ეგულებოდა, უბრალო საიდუმლოებასაც რომ გაუმხელდა. მით უმეტეს, განა შეიძლებოდა ვინმესთვის გაენდო საიდუმლო, რომელიც მარტო მას არ ეკუთვნოდა?

თანაც როგორი საიდუმლო!

განა წინასწარ შეეძლო განესაზღვრა, საზოგადოებასა თუ ხელისუფლების თვალში ამ საიდუმლოს გამხელას რა მოჰყვებოდა?

ამქვეყნად სულ მთლად მარტო დარჩენილმა იცოდა, რომ თავისი უცნაური საიდუმლო გულში სამუდამოდ უნდა ჩაემაჩნა, იცოდა, მაგრამ დროდადრო შიში მაინც იპყრობდა, ერთხელაც იქნება და ვიღაცასთან ყველაფერს დაწვრილებით ჩამოგფქვავო.

აი, წელან კვლავ მოუთარა სურვილმა, ყველაფერი მარინესათვის მოეყოლა. ცთუნება დიდი იყო, მაგრამ დროზე მოერია თავს, დროზე გადავიდა მანქანიდან. შეეცადა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა და ნერვების უდიდესი დაძაბვის ფასად გადაიტანა კიდევ.

გუნება გამოუკეთდა, ისევ ჩაედვარა გულში სითბო, ვახსენდა, რომ მანქანაში მარინე უჯდა.

„იქნებ შემიყვარდეს, იქნებ მარინემ გადამარჩინოს და მიხსნას სულიერი განადგურებისაგან...“

ბევრ ქალიშვილთან გააბა რომანი, მაგრამ სიყვარულით მაინც არავინ შეუყვარდა, როგორც კი დახუჭავდა თვალს, უმაღლვე ინგას ხედავდა, ჰკოცნიდა ქალის გულმკერდს გაგოყებით და უმაღლვე უსამი ეღვრებოდა გულში. გამწარებული თვალს ახელდა და სას-

მელს ეტანებოდა. მხოლოდ გაღმოსული იკმაყოფილებდა ცხოველურ ღელვას ქალისადმი. მხოლოდ მაშინ აგონდებოდა თავისი ცისფერთვალეობა, კეთილი და სათნო ინგა.

სიგარეტის ნამწვი მინდორში მოსროლა და მანქანისკენ შებრუნდა.

მარინე დვალს სარკისათვის თვალი არ მოუშორებია, კორინთელის არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია. ქალს გულზე მოეშვა, მხნე, ენერგიულ ნაბიჯებზე და სახის გამომეტყველებაზე მისვდა, რამაზ კორინთელმა რაღაც საშინელი ვენებათაღელვა მოიგერია.

— ბოდიშს გიხდი! — მხიარული ხმით უთხრა ქალს და საჭეს მიუჯდა.

რესტორნის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ორ მაგიდას უჯდა რამდენიმე კაცი. ისინიც ხმის ამოუღებლად სადილობდნენ.

კორინთელმა ახალგაზრდა ქალს შეათვაზა, ვერანდაზე დაესხდეთო. მარინე შეეყოყმანდა.

— ნუ გეშინია, გულითაც რომ გინდოდეს, ნაცნობს ვერ იპოვი.

— კარგი, გავიდეთ ავიანზე!

სანამ რამაზ კორინთელი ოფიციანტს შეკვეთას აძლევდა, მარინემ მთას ახედა. ერთადერთი უზარმაზარი ღრუბელი პირდაპირ მწვერვალზე იყო ჩამომხობილი.

— რა დავლიოთ? — მოესმა ვაყის ხმა.

— რა ბრძანეთ? — უცებ ვერ გამოერკვა ფიქრებში წასული ახალგაზრდა ქალი.

— რა დავლიოთ-მეთქი.

— ჩემთვის სულერთია. ერთ ჭიქაზე მეტს მაინც ვერ დავლევ.

— ერთი ბოთლი შამპანური და ყინული, — მიუბრუნდა ოფიციანტს რამაზ კორინთელი.

— სიცხეში მაინც შამპანური ჯობია, არა? — თქვა კორინთელმა, როცა ოფიციანტი წავიდა.

— ჰო, რასაკვირველია, თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რას მოიტანენ. როგორც ვთქვი, ერთ ჰიქაზე მეტს არ დავლევ. შენ რამდენიც გინდა დალიე.

მარინე დვალის შენობით მომართვამ კორინთელი შეაცბუნა.

— უკვე შენობით მელაპარაკები?

— განა თავად პირველი წუთიდანვე არ მელაპარაკებოდი შენობით?

რამაზ კორინთელს გაეცინა.

— რა გაცინებს?

— თითქმის შვიდი წელი თქვენობით მელაპარაკებოდი, იმიტომ მეხამუშება შენობით მომართვა.

— შვიდი წელი?! — განაწყენდა ისევ მარინე დვალი, — დღეს იუმორზე მწყურალადა ხარ. ან მე არ მესმის შენი ხუმრობის სტილი.

— შევეშვათ ყველაფერს. დღეს მაინც უნდა დალიო.

— ვერ დავლევ, საერთოდ არ მიყვარს სასმელი.

— მე ვიცი, რა სასმელიც გიყვარს.

— რა?

— ანანასის ლიქიორი.

— საიდან იცი? — გაოცდა მარინე.

— ბოლომდე მათქმევიყენე. თან გთხოვ, ხელს ნუ შემიშლი. დიახ, შენ გიყვარს ანანასის ლიქიორი. აი, მე ვხედავ კუთხეში მიდგმულ ტორშერს. მას ქვემოთ ბარი აქვს. იქ ანანასის ლიქიორის ბოთლი დევს. იღებ ბოთლს, შემდეგ მიდინხარ იუგოსლავიურ ყავისფერი ხის სერვანტთან, იქიდან იღებ სამ ჰიქას. მალალი, წვრილფეხიანი ჰიქები. მიდინხარ მაცივართან, მოგაქვს ლიმონი, ჰრი რუსული ორნამენტებით მოხატულ ხის დაფაზე...

რამაზ კორინთელი დაფიქრდა, თვალი მაგიდას გაუშტერა. ძარღვები ისევ დაებერა, შუბლზე და საფეთქლებზე ალაგ-ალაგ ოფლის წვეთებიც დაასხდა.

მარინე შეშინებული და გაოცებული მისჩერებოდა ჰაბუკის დაძაბულ სახეს. ქალი ერთდროულად ცნობისმოყვარეობამაც შეიპყრო და შიშმაც.

— აი, მიდინხარ მაცივართან, გამო-

გაქვს ყინულის პატარა კუბიკები, თითო-თითოს ათავსებ ჰიქაში, შემდეგ ავსებ ლიქიორით და ეუბნები... შიშ... ცა... ვის ეუბნები... ჰო, მაგიდას სამნი უსხედხართ, შენ, შენი მეუღლე და... მაპატიე, ვინ არის მესამე, ჯერ ვერ ვარჩევ. ერთი კი ნაღია, მამაკაცია, თანაც ხანშიშესული. კუთხეში დიდ კერამიკულ ვაზას ვხედავ, ვაზაში ლერწმის თუ ბამბუკის ლეროები.

— რამაზ! — შეჰკვივლა ქალმა.

— მაცალე, ხელს ნუ მიშლი, — ჰაბუკის შუბლიდან მოსხლეტილი ოფლის რამდენიმე წვეთი მაგიდაზე დაეცა. გონების უმძაფრესი დაძაბვის ფასად ცდილობდა აღედგინა რომელიღაც შორეული დღის უწყვილმანესი დეტალებიც კი. — უკვე ვხედავ. შენი სტუმარია აკადემიკოსი დავით გიორგაძე. შენი მეუღლე გივი სპორტულ პიჟამაშია გამოწყობილი. პიჟამა წითელი ფერისაა. შენ ბევრი ეხვეწე მეუღლეს, დღეს ჩემთან დირექტორი მოვა და კოსტიუმი ჩაიცვით. არ დაგიჯერა. უფრო სწორად, ეჭვისაგან დაბოღმილმა განგებ ჩაიცვა გამომწვევად. აკადემიკოსს მტრულად შეხვდა. არ გაუღიმა, ხელიც მძიმედ ჩამოართვა. აშკარად ვხედავ, ეჭვიანობს ხანშიშესულ აკადემიკოსზე. ყოველ შემთხვევაში, არ ესიამოვნა მეუღლის უფროსის სტუმრობა.

— რამაზ! — ხმამალა, მაგრამ ვედრებით აღმოხდა მარინე დვალს, თან ირგვლივ მიმოიხედა, ჩემი ამოძახილი ხომ არავინ გაიგონაო.

— რა უნდოდა მოხუც აკადემიკოსს შენთან? — განაგრძო რამაზ კორინთელმა, თან ქალს ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო, — მგონი... მგონი... დიახ, არ უნდა ვცდებოდე, თავისი ახალი ნაშრომი მოიტანა გადასაბეჭდად, რომლის გადაბეჭდვასაც შენს გარდა არავის ანდობს, თუმცა არც შენ გენდობა. იგი გვერდით გიჯდება და ტექსტს თვითონ გკარნახობს...

— რამაზ, მეშინია!

მარინეს ხმა უკანკალებდა, თვალ-

ზე ცრემლი მოსდგომოდა. თვალის გუგებიდან კი არა, საღდაც შორიდან იცქირებოდა.

— იგი ახლოს ზის შენთან! — ისე გააგრძელა რამაზ კორინთელმა, თითქოს ქალის ვედრებით სავსე შეკვივლება არც გაეგონოს. — დროდადრო მუხლებით ეხებით ერთმანეთს. შენ საქმეში ხარ გართული და ვერ გრძნობ მოხუცის მუხლს. აკადემიკოსისათვის უკვე სულერთია, ქალის მუხლს შეეხება თუ მაგიდის ფეხს. ვხედავ შენს მეუღლეს, წარმოსადეგ, ღონიერ, ერთი შეხედვით სიმპათიურ, მაგრამ უინტელექტო და გონებაშეზღუდულ ტიპს. ექვიანობით გაბოროტებული სამზარეულოში დააბიჯებს. სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. აკადემიკოსია მახვილ თვალს არ გამოჰპარვია შენი მეუღლის გაცოფება, მაგრამ გულთან დიდად არ მიუტანია. ტექსტს დინჯად და მკაფიოდ გვარანახობს. მესმის ტელეფონის ზარი. ყურმილს მეუღლე იღებს. შენ ბუკვდვია აგრძელებ. მაგრამ ყური იქით გიჭირავა, ცდილობ მეუღლის პასუხებით გამოიცნო, ვინ რეკავს და რატომ რეკავს. უცებ შენი მეუღლე ტელეფონის მემბრანას ხელს აფარებს და ხმამაღლა გეუბნება: — მარინე, ათ წუთში უნდა წავიდეთ.

აკადემიკოსს არ გაუგონია შენი მეუღლის აიტყვები. გაბრაზებული გივი ხმამაღლა იმეორებს, „მარინე, ათ წუთში უნდა წავიდეთ, ბოლოში მოუხადე ბატონ დავითს!“ უხერხული გრძნობა გიპყრობს, ლოყებზე ალი აგდია. წინადადების უკანასკნელ სიტყვას ბეჭდავ. წერტილი. აღარ იცი, რა ქნა. დავით გიორგაძე! წარბი არ შეუხრია. ვერც შენ გარკვეულხარ, აკადემიკოსმა გაიგონა თუ არა გივის მიერ ხმამაღლა და ხაზგამსული წარმოთქმული ფრაზა. შენი ქმარი გარდრობთან მჩვიდა, ტანსაცმელი გამოიღო და სამზარეულოში გავიდა ჩასაცმელად. აკადემიკოსი დუმს, ფურცლებს ჩიუტად ჩააჩერებია. შენ დაბ-

სეულობისაგან არ იცი რა ქნა. აკადემიკოსი სათვალეს იხსნის, ცლებს აგროვებს და მძიმე პორტფელში ათავსებს. დინჯად დგება, მაგიდასთან მიდის, ჭიქას იღებს და ლიჭიორს წრუპავს. სვამს მხოლოდ ერთ ყლუპს და დინჯად ამბობა, დღეს კმარაო. უცებ ისევ აწყრილდება ტელეფონის ზარი. სამზარეულოდან ტრუსების ამარა გამოდის შენი მეუღლე და ყურმილს იღებს. სირცხვილისაგან დაბნეულს ხმა ვერ ამოგიღია, ისე მიაცილებ აკადემიკოსსა კარებამდე. შენი მეუღლე ტელეფონზე ლაპარაკობს, განგებ ზურგიით დგება და ყურადღებას არ აქცევს მიმავალ სტუმარს.

— კმარა! — ფეხზე წამოვარდა მარინე დვალი.

რამაზ კორინთელმა თავი ასწია, ისეთი ამღვრეული თვალები ჰქონდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა, ვერც თავზე გადმომხობილ უზარმაზარ მთას, ვერც შენობებს, ვერც მარინეს. შეშინებულმა ქალმა ხელი მოჰკიდა, იქნებ ჩემმა შეხებამ გამოარკვიოს და ამქვეყნად დააბრუნოსო.

მართლაც, რამაზ კორინთელს, თითქოს მარინეს შეხებამ განმუხტა და გამოაფხიზლაო, სახე ერთბაშად დაუწყნარდა, ტუჩებზე ღმილი გამოესახა, საფეთქლის დაბერილი ძარღვები სისხლისაგან ერთბაშად დაიცალა. აღვზნებული სახე დაუმშვიდდა და ამღვრეული თვალებიც დაეწმინდა.

მარინე რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ოფიციალტი მოვიდა და სუფრის გაწყობა დაიწყო. დაველოდები, სანამ წავაო, გაიფიქრა და ოფიციალტის საქმიანობას თვალი უინტერესოდ მიადევნა.

— ხომ არ შეგაშინე? — ჰკითხა ღმილით რამაზ კორინთელმა, ოფიციალტი რომ წავიდა.

მარინე გაოცდა, იმდენად მშვიდი სა-

გვარამ ვანუშიაძემ
საიწრალი

ქაჯ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპობ.

ხე ჰქონდა ჰაბუკს, გამოხედვა ბავშვურად გულუბრყვილო და კეთილი.

— გულწრფელად გეტყვი, ძალიან შემაშინე!

— დავიღალე! — რამაზ კორინთელმა სიგარეტის კოლოფს ხელი დაავლო და მარინეს გაუწოდა.

— რატომ?

— ყოველი ხილვა უზარმაზარ ენერგიას მართმევს. ალბათ, მთელი ორი კვირა დასჭირდება ახალი დოზის მოგროვებას. — რამაზ კორინთელს აღარც კი უყვირდა, ამდენ ტყუილს რომ ამბობდა. ბოლოს კიდევ ერთი რამ შენიშნა საკუთარ თავს, უკვე თვითონვე სჩეროდა თავისივე ლამაზად შეთხზული ტყუილები.

— ყოველთვის არ გაქვს ხილვის უნარი?

— უნარი ყოველთვის მაქვს, ენერგია კი არა. ავტომობილს ყოველთვის აქვს სიარულის უნარი, ოღონდ უბენზინოდ მეტრსაც ვერ გაივლის. დიდი ენერგიის ფასად მიჯდება ყოველი ხილვა. მე რომ თუნდაც დღეში ერთი სეანსის ენერგია მქონდეს, მთელი ჰქვეყნის საიდუმლოება ჩემს ხელთ იქნებოდა. ამიტომაც ვცდილობ, კვირების მანძილზე დაგროვილი ენერგია მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების ხილვაზე დავხარჯო.

— აი, ორი ან სამი დღის შემდეგ არ შეგეძლება ახალი სეანსი ჩაატარო?

— ჰო, მაგრამ შედარებით იოლი და ხანმოკლე ეპიზოდების გაცოცხლებას თუ შეგეძლებ.

— მომავლის წინასწარმეტყველება შეგიძლია?

— წინასწარმეტყველი არ გახლავარ. მე შემიძლია ვიხილო რომელიმე დღე თხუთმეტი ან ოცი წლის შემდეგ, თვალნათლივ დავინახო, იმ დღეს ბედნიერება მელის თუ რაიმე უბედურება. ბუნებრივია, შემიძლია დავინახო ჩემი უკანასკნელი დღე, სიკვდილის დღე.

— მერე? — გაოცებულმა და შემფოთებულმა იკითხა მარინე დვალმა.

— რა მერე?

— რას იტყვი შენს მომავალში?

— არასდროს არ ვცდილობ გავასწორო დროს. ეს ჩემი მტკიცე პრინციპია. სხვანაირად ხომ ცხოვრება დაკარგავდა აზრს!

— მართალი ხარ. ცხოვრება ძალზე უნტერესო ვახდება, თუკი ყველაფერი წინასწარ გეცოდინება. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენს მომავალში კორექტივი შევიტანოთ, მაგალითად, სიტყვისთვის ვამბობ, თავიდან ავიცილოთ ავტოკატასტროფა?

— რასაკვირველია. მაგრამ ვერავინ ვერ შესძლებს იხილოს ყოველი დღე, ყოველი წუთი. ადამიანის ენერგიის ფარგლებში შეგიძლია აირჩიო რომელიმე დღე, ვთქვათ, დღევანდელი, ოცდათერთმეტი ოქტომბრის დღე ოცი წლის შემდეგ. ადვილი შესაძლებელია აღმოაჩინო, რომ იმ დღეს უკვე ცოცხალი აღარა ხარ. შეგიძლია იხილო საკუთარი საფლავი. თან, მოდი, ვისადილოთ, უკვე ორის ნახევარია, — რამაზ კორინთელმა ჭიქები შამპანურით შეავსო, — თანაც, მიინდა გაუწყო, რომ ღვთისმოსავი კაცი გახლავართ და მჯერა, ცხოვრებაში ყველაფერი ისე უნდა წარიმართოს, როგორც განგებამ დაგწერსა. მჯერა, მისი შეცვლა არ შეიძლება, ბედისწერას ვერ გაეცვლი.

რამაზ კორინთელს თვითონვე გაუყვირდა, ამ სიტყვების წარმოთქმა მაინც რატომ არ შერცხვა, ოდნავ მაინც რატომ არ ეუხერხულა. განა სწორედ მისი ცხოვრება არ იყო განგების მიერ დადგენილი გზის მკრეხელური უარყოფა?

— გავვიმარჯოს! — ერთადერთი სიტყვა თქვა კორინთელმა და შამპანური მოსვა.

მარინე დვალს საჭმლისათვის პირი არ დაუკარებია, არც შამპანურის დალევა მოსვლია აზრად. ქალი ისევ რამაზ კორინთელს მისჩერებოდა. ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყო, რაც მოხდა, სიზმარი იყო თუ ცხადი.

— წელან რომ ჩემი კიჭები ან ჩემი კერამიკული ვაზა აღწერე, ხედავდი კიდევ?

— რასაკვირველია, ვხედავდი! — რამაზ კორინთელი იატე ფექრმა შეიბყრო. წელანდელი გულუბრყვილო და ბავშვური გამომეტყველება სევდაგარეულმა განსჯამ სქელი საღებავით გადაღება ჭაბუკის სახეზე. მარჯვენა ხელი ცერი და შუათითი კიქას შეავლო და ნელ-ნელა დაიწყო მისი მაგიდაზე ტრიალი.

— არამარტო ვაზა, მაგიდაა და შენ ვხედავდი, ან მარტო შენა ქმარა, ან მოხუც აკადემიკოსს, არამარტო შენი ოთახი და მასში განლაგებული ავეჯი მუდგა თვალწინ, ამზარეულოში ვხედავდი მოყვითალო, ხოლო აბაზანაში მოვარდისფრო კაფელა, საწოლის წინ პატარა, მწვანე ხელოვნურ ხალიჩას, წიგნების განყოფილებაში შენი ძმის პატარა ვაჟიშვილის სურათს, სერვანტია ვიტრინაში თეთრ იაპონურ ყვავი აერეზა, ტელეფონია სველებურ მოთქროვილ აპარატა.

— კმარა, რამაზ, გემუდარები, კმარა! რამაზ კორინთელმა თვალეზში ჩახე და ახალგაზრდა ქალს. მარინეს თვალეზი პირთამდე იყო საესე შიშით და ძრწოლით.

— თუ არ გაიამოვნება, კრინტსაც აღარ დაედრავ.

— წავიდეთ აქედან.

— არ ვისაძლიოთ?

— არა, მეშინია, აქ ჯდომა აღარ შემიძლია თუმცა კი არ მეშინია, არა, ამას შიში არ ჰქვია, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. თითქოს სრულიად უცხო სამყაროში მოვხვდი, სადაც არც ნათესავი მყავს, არც ნაცნობი და მეგობარი, ირგვლივ ყველაფერი უცნაურია და უცხო, უფრო სწორად, უჩვეულო! თვით ხეებიც კი სხვანაირად გატოტვილან და სხვანაირად შრიალებენ...

— დამშვიდდნ, მარინე, თუ გასურს ახლავე ავდგეთ და წავიდეთ.

რამაზ კორინთელი წამოდგა და ოფიციატრა მოსანახად წავიდა.

მარინემ კურტკაგადაკიდებული ჩანთა მხარზე მოიგდო, აივანი ნელი ნებეჭებით გადაჭრა, დაბლა ჩავიდა და მანქანათან მივიდა. ხელჩანთიდან სუნამო ამოიღო, თითების ლამაზი მოძრაობით გახსნა და თავსახური ჯერ ყურბზე, მერე კი ყელზე და მკერდზე მოისვა.

რამაზ კორინთელი მალე გამოჩნდა. მანქანის კარი გააღო, საჭესთან დაჯდა, ორთავე მხარეს ფანჯრები ჩამოსწია. უნდოდა ჩახუთული ჰაერი განიავებულყო.

მარინე დინჯად უცქერდა ჭაბუკის საქმიანობას და მანქანაში მანამ არ ჩამჯდარა, სანამ კორინთელმა კარი არ გაუღო.

ყვავილებით ხელში სარკია წინ გაჩერდა. ჯერ მარცხენა ხელში გადაიტანა ყვავილები და მარჯვენათი მანქანაში აწეწილი თმა შეისწორა. მერე ყვავილები ისევ მარჯვენა ხელით დაიჭირა და საკუთარ თავს მუშტრის თვლით შეხედა.

სარკიდან მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იყურებოდა.

მარინე დვალმა კმაყოფილებით გაიღიმა, ყვავილები ბროლია ვაზაში მოათავსა, სასწრაფოდ ტანთ გაიხადა და აბაზანა მიაშურა.

ყველაფერი ძველებურად იყო მარინე დვალის ერთოთახიან, მაგრამ ხალვათ ბინაში, თითქმის ზუსტად ისე, რამაზ კორინთელმა რომ აღწერა. ოღონდ საწოლის წინ აღარსად ჩანდა მწვანე ხელოვნური პატარა ხალიჩა. ხოლო ძმისშვილის აურათა უკნიდან ახალი, უფრო დიდი ზომის სურათი ჰქონდა ამოდებული.

აბაზანიდან რომ გამოვიდა, ტანზე დიდი და ფერადი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. ისევ სარკის წინ დადგა. პირსახოცი ნელ-ნელა გახსნა და გულმკერდი გამოაჩინა, მოეწონა საკუთა-

რი თავი. კმაყოფილმა პირსახოცი სკამზე მიადლო და ლოგინში ჩაწვა. ზემოდან მხოლოდ ზეწარი დაიხურა.

ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, თვალი მოხუჭა, იქნებ ჩამეძინოსო. მაგრამ ტინის უჯრედები ისე ჰქონდა აგზნებული, მიხვდა, არ დაეძინებოდა, სანამ საბოლოოდ არ განიმუხტებოდა. თვალს როგორც დახუჭავდა, უმალვე რამაზ კორინთელი დაუდგებოდა თვალწინ. საოცარი სიცხადით ხედავდა ჰაბუკის ხან კეთილ, ხან მოღუშულ სახეს. ხან ბავშვურად გულუბრყვილო, ხან კი ფიქრმორეულ, ცოტა ბოროტ გამოემეტყველებას. არა, ბოროტი არა, რამაზ კორინთელის ბოროტი სახე იმდროინდელი განცდის ნარჩენი იყო, თავის თავში უსახლვროდ დარწმუნებულ ჰაბუკს რომ ვერ იტანდა.

ახლა?

თუ დროდადრო დაბერილ საფეთქლებს, აღვრეულ თვალებს და განცდილთ დამძიმებულ გამოხედვას არ ჩავთვლიდით, რამაზ კორინთელი ბავშვებით გულუბრყვილო და სათნო ეჩვენებოდა.

რა მოხდა ქალის არსებაში? ქალის, რომელსაც მამაკაცი დიდი ხანია მხოლოდ ზიზღსა და ძრწოლას ჰგვირდა? ხუთი წლის მანძილზე მარინე დვალს ხომ ქმრისაგან გათელილი და შეურაცხყოფილი ქალის შურისძიებალა ანიჭებდა სიამოვნებას?

ვითომ შეიცვალა ყველაფერი? ვითომ შეუყვარდა რამაზ კორინთელი? იქნებ სიყვარული კი არა, უბრალოდ მამაკაცი მოსწყურდა მის ჯანმრთელ და სავსე სხეულს. სხეულს, რომლის სიმხურვალე უხეში და უემოციო კაცის ხელში ერთხელაც ვერ დაცხრა ნეტარების მორევში?

მარინე დვალი თვითონაც ვერ მიხვდა, მარჯვენა ხელი როგორ წაიღო მკერდისაკენ, როგორი ვნებით გადაუსვა ხელი მკერვს ძუძუებს.

ფასანაურიდან თბილისში ისე ჩამოვიდნენ, არც ერთს ხმა არ ამოუღია.

რამაზ კორინთელი ისევ ფიქრმა გაიტაცა. მანქანა დიდი სიჩქარით მოძრაობდა მარინე შეშინებული შეჰყურებდა ხან სპიდომეტრს, ხან კორინთელს. ჰაბუკის ისეთი კუშტი და სევდიანი გამოხედვა ჰქონდა, ხმის გაცემას ვეღარ უბედავდა.

ფიქრში წასულ რამაზ კორინთელს თითქოს სულ დაავიწყდა, მარინე დვალი რომ გვერდით უჯდა. ხანდახან სიგარეტის კოლოფს თუ დასწვდებოდა. დანარჩენ დროს კი გზას ჯიუტად მისჩერებოდა. ძნელი არ იყო მიხვედრა, ფიქრში წასული მანქანას მექანიკურად მართავდა.

ნელ-ნელა თვითონაც ფიქრმა გაიტაცა. ვინ არის რამაზ კორინთელი? ხომ ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი ზებუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული? იყო კიდევ ერთი პრობლემა, რომლის ირგვლივაც გამუდმებით ტრიალებდა მარინეს გონება. უნდოდა გარკვეულიყო, მოსწონდა რამაზ კორინთელი თუ უყვარდა, მის მიმართ მოკრძალების გრძნობას ჰყავდა შეპყრობილი თუ ეშინოდა ამ უცნაური, დაუჯერებელი ნიჭის მქონე ყმაწვილი კაცისა?

რამაზ კორინთელმა მანქანა იქვე გააჩერა, აფთიაქიდან ოციოდე მეტრის დაშორებით, სადაც დილით მარინე ჩაუჯდა. გააჩერა და მარინეს შეხედა. ქალი დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა. გზაში ფიქრობდა, კორინთელმა რომ შინ აყოლა მთხოვოს, რა ვუპასუხოო. უცებ დამშვიდდა, რამაზ კორინთელი ისე იჯდა, ქალი მიხვდა, მასთან ასვლას არ აპირებდა.

მარინემ შვებით ამოისუნთქა, კორინთელს ნაზად გაუღიმაქცელჩანთა შეისწორა და კარის გაღება დააპირა.

— მე შენ მიყვარხარ, მარინე! — თქვა უცებ ვაჟმა.

ქალმა კარის სახელწურს ხელი ისე უშვა, თითქოს დენმა დაარტყაო.

— რა თქვით? — რატომაც ძველებურად თქვენობით იკითხა აღელვებულმა ქალმა, თუმცა კარგად გაიგონა, რამაზ კორინთელმა რაც უთხრა.



— მე შენ მიყვარხარ.

მარინემ რაღაცის თქმა დააპირა.

— დღეს ნურაფერს მეტყვი! — ტუჩებზე ხელი მიადო კორინთელმა, — კარგად მოიფიქრე და პასუხი ხვალ მითხარი, თუნდაც ზეგ.

მარინე გაშეშებული იჯდა, დაბნეულმა არ იცოდა, რა უნდა მოემოქმედებინა. გამოსავალი ერთბაშად იპოვა. კარი ენერგიულად გააღო და მანქანიდან გადავიდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა და კარი მიჯახუნა.

პასუხად რამაზ კორინთელმა თავი ღიმილით დაუქნია. მარინე უკან წავიდა, სახლისაკენ. კორინთელი სარკეში უყურებდა უხერხული ნაბიჯებით მიმავალ ქალს. მარინემ იცოდა, რომ ვაჟი სარკეში ადევნებდა თვალყურს და მანქანას მანამ არ დასძრავდა, სანამ თვითონ სადარბაზო შესასვლელში არ გაუჩინარდებოდა.

სხეულში ყრუოლამ დაუარა, ში თავდაღმა ჩაემხო და თვალები დახუჭა.

„კარგად მოიფიქრე და პასუხი ხვალ მითხარი, თუნდაც ზეგ!“ — არ დაუთვლია, რამდენჯერ დატრიალდა რამაზ კორინთელის წინადადება გონებაში.

„ზეგ!“ — თქვა უცებ ხმაშლით. ისევ გადმობრუნდა, თვალები ჰერს მიაპყრო და იქით, სივრცეს გაუღიმა.

„რატომ ზეგ? ან რატომ ხვალ? იქნებ დღესვე, ახლავე, ამ წუთში ვარ თანახმა?“

სიყვარულით და ნეტარებით თავბრუდახვეულ ქალს გულწრფელად ეშინოდა, უცებ არ გაღვიძებოდა და, რაც დღეს გადახდა, სიზმარი არ აღმოჩენილიყო.

თავი მეოთხესმეტე

მარინე დვალის ერთოთახიან ბინას ტორშერის მკრთალი შუქი ანათებდა.

აღამოს ათი საათი იყო.

ქუჩაში უკვე ბნელოდა, მაგრამ ფანჯრებს მაინც ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

ოთახს მხოლოდ ტორშერის მკრთალი შუქი ანათებდა.

როცა პირველი ვნება დაცხრა, რამაზ კორინთელი გულადმა გადაბრუნდა და სივარეტი გააბოლა. მარინეს თავი ვაჟისმკერდზე დაედო და თვალები დაეხუჭა. ახალგაზრდა ქალს უსაზღვროდ სიამოვნებდა, სუნთქვის დროს რამაზ კორინთელის მძლავრად ამავალ-ჩამავალი მკერდი და თავქვეშ ამოდებული ვაჟის დაკუნთული მარცხენა ხელი.

რამაზ კორინთელმა საფერფლე. იატაკზე ისე დადო, რომ მარჯვენა ხელით მისწვდენოდა. სივარეტის დაფერფელის წაროს იქით გახედვა აღარც

კი სჭირდებოდა, ისე ზუსტად ჰქონდა საფერფლის მდებარეობა განსაზღვრული.

თვალდახუჭული მარინე უბედნიერეს ქალად გრძნობდა თავს. ყველაზე საყვარელი ადამიანი მის გვერდით იწვა. ახალგაზრდა ქალი დროდადრო ყელსა და კისერს უკოცნიდა რამაზ კორინთელს და გრძელ, ლამაზ თითებს ნაზად უსვამდა მკერდზე.

მაინც რა სწრაფად მოხდა ყველაფერი. ახალგაზრდა ქალს თვალწინ დაუდგა რამაზ კორინთელთან ურთიერთობის პირველი დღეები. ყურადღება უფრო დაძაბა და თვალები კიდევ უფრო მაგრად დახუჭა. თითქოს უნდოდა გონებაში დატრიალებულ ვიდეოფორზე არც ერთი უწვრილმანესი დეტალი არ გამორჩენოდა.

ფასანაურში გასეირნებიდან ხუთი დღის შემდეგ მარინემ რამაზ კორინ-

თელს ნება დართო, მასთან გაეთია ღამე.

გატრუნული ქალი გონს ვერ მოსულიყო, რცხვენოდა, რომ კორინთელთან შენობით ლაპარაკი ჯერ კიდევ ეუხერხულებოდა და მასთან ერთად უკვე ლოგინში იწვა. მტკიცე ნებისყოფიანი ქალი, ქმრის გაშორებიდან წლების მანძილზე მამაკაცთან სარეცლის გაყოფა რომ აზრადაც არ მოსვლია, ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხსნა და დაიმორჩილა ამ უცნაურმა და გამომწვევმა ჭაბუკმა.

კორინთელმა ჯერ კიდევ მანამდე გაახვია ნეტარების ბურანში, სანამ ტანსაცმელს გაიხდიდა. გონების დაკარგვამდე კი მაშინ დაეხვია თავბრუ, როცა ვაჟი კაბის გახდაში შეეშველა. გრძელმა, მამაკაცურმა ღონიერმა ხელის თითებმა, ზურგზე რომ შეეხო, საბოლოოდ გათიშა ახალგაზრდა ქალი. აღარ ახსოვს, ვაჟმა მძლავრი მკლავებით როგორ აიტაცა და ლოგინში როგორ ჩააწვინა. როცა ყველაფერი დაწყნარდა და დაცხრა, მაშინღა მიხვდა, რომ პირველად შეიგრძნო მამაკაცი. შეიგრძნო და სიგიჟემდე შეუყვარდა კაცი, რომელმაც იგი სრულფასოვან ქალად აქცია. პირველი დღიდანვე დაასკენა, რამაზ კორინთელს ცოცხალი თავით ვერ დასთმობდა. მასთან განშორებას სიკვდილს ამჯობინებდა. მიხვდა, ოცდახუთი წლის ასაკამდე ისე მივიდა, ნამდვილი სიყვარულით არავინ ჰყვარებია. არც იცოდა, რა იყო ნამდვილი სიყვარული. სასაცილო ეჩვენებოდა სკოლისა და ქალიშვილობის გატაცებანი. თავიდან ისიც კი ეგონა, რომ ქმარი უყვარდა. იქნებ უყვარდა კიდევ, მაგრამ ვანა შედარება შეიძლებოდა რამაზ კორინთელის სიყვარულთან? მიხვდა, დღევანდელ დღემდე ყველაფერი ილუზია და იმიტაცია იყო. პირველად ახლა შეიგრძნო ნამდვილი სიყვარული და პირველად ახლა ჩაესახა უსაშველოდ დიდი შიში, ვაითუ რამაზ კორინთელს სერიოზუ-

ლად არ უყვარდა, ვაითუ ქალის პირველი და უკანასკნელი ნამდვილი ვარული დასაღუბად იყო განწირული. უყვარდა კი რამაზ კორინთელს ნამდვილად? თითქოს არ უნდა ჰქონოდა ეჭვის მიზეზი. აამაახურია შემდეგ თითქმის სულ ერთად იყვნენ. ღამითაც კორინთელი თითქმის ყოველდღე რჩებოდა მარინესთან. ყურადღებასა და აღერს არ აკლებდა. კარის ჩაკეტვას ვერ ასწრებდა, რომ ვაჟი უკვე გაშმაგებული ჰკოცნიდა. იქნებ ყველასთან ასეთი აღერსიანი და ვნებიანი იყო რამაზ კორინთელი? ვანა შეიძლებოდა ქალი არ გყვარებოდა და მოჩვენებით შეგძლებოდა ამდენი სიყვარულის გადმოფრქვევა?

იქნებ ვაჟისთვის მხოლოდ გატაცება იყო ნაქმარევი და ცოტა უფროსი ქალის სიყვარული? რა იქნება მერე, გატაცება რომ ჩაქრება?

„არა, არა, ეს არ მოხდება!“ — ყვიროდა გამწარებული ქალი გულში და უმაღლეს თავს იმშვიდებდა, ჭაბუკს მკერდზე უფრო მაგრად ეხუტებოდა და დაძარღვულ კისერს უფრო ვნებიანად უკოცნიდა.

გადიოდა დღეები. სანამ ერთად იწვნენ, სანამ ერთად იყვნენ, ეჭვები თითქმის აღარ აწუხებდა, მაგრამ წავიდოდა ვაჟი და მარტოდ დარჩენილ ქალს შიში და ძრწოლა ერთბაშად ეუფლებოდა. რამაზ კორინთელის იქ ყოფნის დროს ოთახიდან გარეთ გაგდებული შიში ისევ უკან მოძვრებოდა, მოიზლახნებოდა და თავისი უზარმაზარი, შავი და ღორწოიანი სხეულით მთელ ბინას ავსებდა.

„ასე ძალიან რატომ ეშინია, ჩემთან მოსვლის დროს ვინმემ უნ შენიშნოს?!“

აი, რა აძლევდა ყველაზე დიდი ნერვიულობის საბაბს, აი, რაუ ჰზადებდა ყველაზე დიდ ეჭვს.

რამაზ კორინთელი მანქანას ყოველთვის შორს აჩერებდა. პირველი, ბუნებრივია, ბინაში მარინე აღიოდა

ვაჟი მხოლოდ თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ თუ შეაღებდა ღრიჭოდ დატოვებულ კარს. ქალაქგარეთ გამგზავრების დროსაც შინ არ აკითხავდა. მთელი ორი გაჩერებით შორს ელოდებოდა. ისეთ ადგილებში დაჰყავდა, სადაც ნაცნობების შეხვედრის თითქმის არავითარი შანსი არ იყო. ამ ბოლო დროს კი ქალაქგარეთ გასვლას თითქოს სავანგებოდ ერიდებოდა. ინსტიტუტში ხომ დირექტორის კაბინეტს მხოლოდ აუცილებელი საქმის დროს თუ მიადგებოდა. ხანდახან, როცა ერთმანეთს ბუფეტში შეხვედებოდნენ, ძალზე ცივად და თავდაპირილად ესაუბრებოდა.

„ვითომ მხოლოდ ჩემს ღირსებას უფრთხილდება?“

„ალბათ, ფიქრობს, რომ გატაცება მალე გაუვლის და არ უნდა სახელი გამიტეხოს.“

ო, რა დღეში ჰქონდა ამ დროს გული. — ხან გაშლილი რჩებოდა და აღარ იკუმშებოდა. ხან შეიკუმშებოდა და აღარ იშლებოდა. თითქოს ფილტვებშიც ჰაერი აღარ ჩასდიოდა და უქანგბადობით იხრჩობოდა.

„შეუძლებელია, შეუძლებელი!“ — იყვირებდა უცებ გონებაში ისტერიული, საშინელი ხმით და გული უმალვე იწყებდა მუშაობას. ჩახუთული ფილტვებიც იმავე წაშში ხარბად წარიტაცებდა მაცოცხლებელ ჰაერს.

„აპირებს კი ჩემს ცოლად შერთვას? რომ აპირებდეს, ერთხელ ხომ მაინც წამოწყდებოდა თუნდაც ერთი სიტყვა? ვუყვარვარ კი ნამდვილად? განა შეიძლება არ ვუყვარდე და მართლ ენებით გაშმაგებული კაცის თვისება იყოს ამოდენა ყურადღება და სინაზე?“

„არა, ვუყვარვარ, ნამდვილად ვუყვარვარ! თუმცა სიყვარული სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემს შერთვას აპირებს. ალბათ, მანამ იქნება ჩემთან, სანამ არ დაცხრება, სანამ გატაცება არ გაქრება.“

„მაშინ რა მეშველება? მაშინ ხომ

თავის მოკვლა დამრჩენია და მეტი არაფერი? უნდა ვკითხო, აუცილებელია ლად დღესვე უნდა ვკითხო, რას აპირებს!“

ვერც ერთხელ ვერ ჰკითხა მარინემ რამაზ კორინთელს, რას ფიქრობდა, მომავალში რას აპირებდა; ვაჟი რომ მოვიდოდა, ახალგაზრდა ქალი კვლავ მოინუსხებოდა, კორინთელის ძლიერ მკლავებს მინებდებოდა და ვერაფრის კითხვას ველარ უბედავდა.

— გიყვარვარ? — აი, ერთადერთი კითხვა, რომელსაც იგი აძლევდა ხოლმე ვაჟს ლოგინში.

— შენ როგორ ფიქრობ? — პასუხობდა კორინთელი და თან გაშმაგებული ჰკოცნიდა.

— ძალიან გიყვარვარ?

— ძალიან, სიცოცხლეც!

ნეტარების ბურანში ვადასულ ქალს მეტი შეკითხვის თავი აღარ ჰქონდა.

ეჭვი და სევდა სადღაც ქრებოდა. მარინეს კვლავ რწმენა და სიხარული უბრუნდებოდა.

ამ ოთხი დღის წინ ისევ შეერყა რწმენა, ისევ დაეუფლა უიმედობა და სასოწარკვეთა.

— მარინე, ერთ სერიოზულ საკითხზე უნდა მოგელაპარაკო! — დაიწყო უცებ რამაზ კორინთელმა.

ვაჟის მკერდზე განაბულმა ქალმა ერთბაშად ასწია თავი და კორინთელს შემფოთებულმა შეხედა. არ მოეწონა მისი ხმა.

რამაზ კორინთელი ჰერს მისჩერებოდა და სიგარეტს ეწეოდა. თითქოს ცდილობდა, ქალისთვის თვალეში არ შეხედდა. წამოწეული ქალის დაჭიმული კისერი და რაღაც უსიამოვნო ამბის მოლოდინით აღსავსე სახე კითხვის ნიშანივით იდგა ვაჟის თავზე.

— შენი დახმარება მჭირდება.

— ჩემი დახმარება? — რაღაც განწირული ხმით წარმოთქვა ქალმა; უმალვე ერთმა ფიქრმა გაუღვლა თავში. იქნებ მხოლოდ ამ დახმარებისათვის დასჭირდა ჩემთან სიყვარულის თამაში. ან კი რაში უნდა დახმარებოდა

რამაზ კორინთელს უმწუო მდივანი ქა-
ლი?

— ჰო, დახმარება.

— თუკი რამე შემოძლია, ხომ იცი, რომ უკან არ დავიხვე!

— ვიცი. ამიტომაც გერიდებოდი. ვცდილობდი, უშენოდ გამერთმია ამ საქმისთვის თავი. ყველანაირად ვცადე, გამოსავალი მომენახა, არ გამომივიდა.

— მაინც რა საქმეა ასეთი? — შე-
შინებულმა იკითხა ქალმა.

— დიდი არაფერი. საჭიროა მხო-
ლოდ შენი თანხმობა და მხარში ამო-
დგომა.

— რომელ მხარში ამოდგომაზე მე-
ლაპარაკები, რამაზ, განა არ იცი, რომ
შენი გულისთვის მტკვარში გადავარ-
დები?!

— ვიცი, ძვირფასო! — რამაზ კო-
რინთელი შემობრუნდა და მარინეს
თვალები დაუკოცნა.

ქალს უმაღლვე აუჩუყდა გული, უმა-
ღლვე გაუქრა შიშის გრძნობა. საქმარი-
სი იყო, კორინთელი მოპფერებოდა
და ყოველგვარი ეჭვი სადღაც შორს,
ცხრა მთას იქით იკარგებოდა.

— გისმენ, რამაზ!



— რასაც ახლა გეტყვი, შენს გულ-
ში და გონებაში უნდა მოკედეს!

— არა გრცხვენია? განა მე გაფრთ-
ხილება მჭირდება? — ეწყინა ქალს.

— ვიცი, რომ არ გჭირდება, მაგრამ
ამ გაფრთხილებით მინდა გაგრძნობი-
ნო საქმის მთელი სერიოზულობა! —
რამაზ კორინთელმა სიგარეტი იატაკ-
ზე დადგმულ საფერფლეზე დააგდო,
ქალისკენ მკვეთრად შემობრუნდა და
მარინე გულში ჩაიკრა. ასე უფრო
იოლი იყო ლაპარაკი, ქალს თვალებში
აღარ უყურებდა. თან იცოდა, მის
მკლავებში მომწყვდეული ქალი უფრო
იოლად ჰკარგავდა განსჯისა და მოვ-
ლენის შეფასების უნარს.

— მაინც რა საქმეა ასეთი, ამოდენა
შესავალი და გაფრთხილება რომ
სჭირდება?

— სწულიად უბრალო, რასაკვირვე-
ლია, ითუკი თანახმა იქნები.

— ვერ გრძნობ, რომ ასეთი 
რაკით შეურაცხყოფას მაყენებ? 
გული აუჩუყდა მარინეს.

— მამატიე, მაგრამ უფლება არა
მაქვს, ამ უბრალოდ გასაკეთებელი
საქმის სერიოზული მხარეც არ დაგა-
ნახო.

— გიყვარვარ? — ჰკითხა მოუ-
ლოდნელად ქალმა, ვაჟის მკლავები-
დან თავი ენერგიული მოძრაობით გა-
ინთავისუფლა და კორინთელს თვა-
ლებში შეხედა.

— განა ეჭვი გეპარება ჩემს სიყვა-
რულში?

— ის თუ გჯერა, მე რომ მიყვარ-
ხარ?

— როგორ არა მჯერა! არ მესმის,
რატომ მეკითხები ასეთ სისულელე-
ებს, — ვითომ განაწყენდა კორინთე-
ლი.

— თუ ნამდვილად გიყვარვარ და
ისიც გჯერა, რომ მეც სიგიჟემდე მი-
ყვარხარ, რა საჭიროა ასეთი მოლაპა-
რაკება? განა არ იცი, რომ საქმეში ჩა-
უხედავად და გაუანალიზებლად გავა-
კეთებ, რასაც შენ მეტყვი? პირდაპირ
მითხარი, რაში და როგორ უნდა და-
გეხმარო!

— ვიცი, რომ გიყვარვარ. მე მგონი,
არც შენ გეპარება ეჭვი ჩემს სიყვარულ-
ში. მით უმეტეს, ჩემს თავს ვალდებულად
ვთვლი, იცოდე, რას გაკეთებინებ. მე
ასე მესმის სიყვარული. დიდი სიყვა-
რული დიდი გულახდილობაცაა და
დიდი მოფრთხილებაც! ამიტომ ნუ გა-
გიკვირდება ჩემი საქციელი.

მარინე თითქოს დამშვიდდა, თავი
ისევ მკერდზე დაადო კორინთელს,
თვალები დახუჭა და მცირეოდენი პა-
უზის შემდეგ ნელა წარმოსთქვა:

— გისმენ.

— ორი დღის შემდეგ ოთარ კაბი-
შვილი მოსკოვში მიდის, მე ყველასგან
შეუმჩნევლად უნდა შევიდე მის კაბი-
ნეტში. შენ კარი უნდა ჩაკეტო, რომ
ვინმემ მოულოდნელად არ შემოაღოს.

— რა ვინდა დირექტორის კაბინეტ-
ში?! — გულწრფელად გაუკვირდა მა-

რინეს, თვალები ისევ გაახილა, თუმცა თავი არ აუწევია, ლოყით კვლავ ვაყის მკერდს იყო მიხუტებული.

— გეტყვი, ყველაფერს გეტყვი. ხომ ხედავ, რომ დაინტერესდი! ესე იგი, მართალი ვიყავი, როცა გადავწყვიტე, საქმის შინაარსი შენთვის დაწვრილებით გამეცნო. — რამაზ კორინთელი მარჯვენა ხელით გადასწვდა იატაკზე დადებულ სიგარეტის კოლოფსა და იპონურ კვესს. — ოთარ კახიშვილი მოსკოვში ვითომ ინსტიტუტის საქმეებზე მიდის. სინამდვილეში კი იგი ცდილობს, ჩუმად მოძებნოს სეიფის გამხსნელი ოსტატი. შენ კარგად იცი, რა დაიბარა ანდერძში განსვენებულმა აკადემიკოსმა, სეიფი ჩემი სიკვდილის დღიდან ორი წლისთავზე გახსენითო. ოთარ კახიშვილს რაღაც ეგულება სეიფში. ეს „რაღაც“, ალბათ, მეცნიერული გამოკვლევაა, რომლის გამოქვეყნება დავით გიორგაძემ ვერ მოასწრო. ახალ დირექტორს აურს მზამზარეული შრომა ხელში ჩაიგდოს და მიითვისოს. გასაგებია?

— გასაგებია!

— მე მინდა დირექტორის კაბინეტში დავაყენო პატარა იპონური გადამცემი, მიმღები მაგნიტოფონი კი შენ გეჭნება, ხელჩანთაში. როგორც კი დირექტორის კაბინეტში საეჭვო ვინმე შევა, ხელჩანთაში მიმღები მაგნიტოფონია კლავიშს თითს დააჭერ და მათ საუბარს ფირზე ჩაიწერ. გარდა სტუმრებისა და საეჭვო ხალხის საუბრებისა, ძალზე მაინტერესებს, რატომ იკეტებიან ხოლმე საათობით ოთარ კახიშვილი და მისი მოადგილე არჩილ თევდორაძე. ერთი სიტყვით, მინდა ყველაფერი ვიცოდე, რა ხდება ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში. კასეტებს შინ წამოიღებ ხოლმე. ჩანაწერებს აქ მოვისმენ. რაც საინტერესოა, შევიჩნახე ან დავიმასხოვრებ!

— შენ ხომ ისედაც შეგიძლია, ყველაფერი გაიგო და გამოიცილო?! რატომ მიდიხარ ააეთ რიპკზე? ხომ შეიძლება დაძალაგებულმა ან დირექტორმა შე-

ნიშნონ გადამცემი? რა მოხდება მაშინ?

— ნუ გეშინია...

— მე არ მეშინია, — შეაწყვეტინა მარინემ, — მე შენზე ვფიქრობ!

— დარდი ნურაფრისა გაქვს ვიცი, სადაც უნდა დავაყენო გადამცემი. ასე წელი რომ იდგეს იქ, მაინც ვერავინ იპოვის. თანაც ერთი თვის შემდეგ კვლავ ჩუმად შევალ კაბინეტში და გადამცემს სამუდამოდ მოგხსნი. ვიცი, რაც მოსახდენია, ერთ თვეში უნდა მოხდეს.

— გასაგებია, ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ბოლომდე მაინც არ მიპასუხე შეკითხვაზე. განა არ შეგიძლია შენი ზებუნებრივი ნიჭის წყალობით ისედაც გაიგო ყველაფერი?

— არ შემიძლია. ერთ ხილვას იმდენი ენერგია სჭირდება, ორ კვირაში რომ ვერ აღვადგენ ხოლმე. სად შეგიძლია ყოველდღიურად დავძაბო გონება და „მოვისმინო“, რაზე საუბრობენ ისინი საათების განმავლობაში? ჩემს ნიჭსა და ენერგიას გაფრთხილება სჭირდება. მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში უნდა დავძაბო ტვინი. გამოუვალ სიტუაციები კი ცხოვრებაში იმდენია, რომ მათაც ვერ ავუთავებები. გასაგებია?

— მომაწვივინე! — მიუგო პასუხად.

კორინთელმა სიგარეტი ტუჩებთან მიუტანა. მარინემ ხარბად მოქაჩა.

ოთახში სიჩუმემ დაიმსახურა. სიგარეტი მონაცვლეობით ჩაათავეს. ვაჟმა მოლაპარაკება დამთავრებულად ჩათვალა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დაავდო და ქალს ტუჩებზე დაეწაფა.

ათი, საათი სრულდებოდა, რამაზ კორინთელი დირექტორის კაბინეტში რომ ჩაიკეტა. თავდაპირველად სეიფთან მივიდა. სეიფის გახსნას რომ აპირებდა, მარინესთვის არ გაუშხელია. ან რა საჭირო იყო? ქალს მხოლოდ ის უნდა სცოდნოდა, რაშიც უშუალოდ მიიღებდა მონაწილეობას.

თავისი სიმშვიდით თვითონვე უკვირდა. ეგონა, მეტს ინერვიულებდა. კაბინეტში რომ შედიოდა, ოდნავ ღელავდა. კარი რომ შიგნიდან ჩაკეტა, მღელვარებამ იმავე წუთში გაუარა. იცოდა, შეეძლო მთელი დღე მჯდარიყო აქ, ხელს არავინ შეუშლიდა, ექვსაც კი ვერაფერს აიღებდა.

საორტული ხელჩანთა სეიფთან მიიტანა, ჩანთიდან რეზინის საოპერაციო ხელთათმანები ამოიღო და ხელებზე წამოიცვა, შემდეგ ხელთათმანიანი ხელი კვლავ ჩანთაში ჩაყო და დიდი მაკრატელი მონახა. მავთული, რომლითაც სეიფის სახელურზე ლუქი იყო დამაგრებული, ფრთხილად გადაჭრა. სახელურს ოსტატურად შეხსნა და ჩანთაში მოათავსა. შემდეგ შიფრი აკრიფა. სანამ სახელურს გამოქაჩავდა, ცოტა შეეკვნდა. მღელვარება ოდნავ, მაგრამ მიანც მოერია. კარის სახელურს ორთავე ხელი მოჰკიდა და ნელა გამოსწია. მძიმე კარმა ოდნავ დაიღრჭილა. სეიფი საქალაღდებით, სხვადასხვა დოკუმენტებით, ნაჩუქარი წიგნებით, უცხოელების მიერ მოძღვნილი სუვენირებით და მიმოწერის ასლებით იყო სავსე. რამაზ კორინთელს ხელი არაფრისთვის უხვია. სეიფიდან მხოლოდ ის საქალაღდებები ამოიღო, სადაც ნაშრომები და ექსპერიმენტის შედეგები იყო მოთავსებული, მომწვანო საქალაღდებები ჩანთაში ფრთხილად ჩადო, კარი ნელ-ნელა დახურა და მონიკელებული რგოლებით იგივე კოდი აკრიფა. შემდეგ კვლავ ჩანთისკენ დაიხარა, ელექტროგამახურებელი, რკინის პატარა დაფა, ლუქი და ლითონის ბეჭედი ამოიღო, ზუსტად იმ ბეჭდის ასლი, სეიფის სახელურის ლუქზე რომ იყო აღბეჭდილი. ბეჭდის ასლის ჩამოსხმა არ გასკირვებია რამაზ კორინთელს. ათიოდე დღის წინ, ინსტიტუტის დირექტორი რომ აკადემიაში გამოიძახეს საბჭოს სხდომაზე, რამაზ კორინთელმა მარინეს სთხოვა, კაბინეტიდან პირდაპირი ტელეფონით მიხდა ერთ საქ-

მეზე დავრეკო. მარინე უარს როგორ ეტყოდა. რამაზ კორინთელმა კაბინეტში შესვლისთანავე კარი შიგნიდან ჩაკეტა, სეიფთან მივიდა და ლუქზე გამოსახულ ბეჭდის ნაჭდევეს ფრთხილად დაადო პლასტილინი, პირველივე ცდაზე მოეწონა ამოღებული გამოსახულების ხარისხი, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, პლასტილინის ორ თხელ ფურცელზე კიდევ გადაიღო ბეჭდის პირი.

იმავე საღამოს ოსტატი მონახა და დიდი გასამრჯელოს ფასად ბეჭდის დამზადება მოსთხოვა.

— მომართვის გარეშე ვერ გავაკეთებ! — ცივად დაუბრუნა ფული ოსტატმა.

— რამდენს ითხოვ? — ჰკითხა კორინთელმა.

— ჩემი პასუხი უკვე გითხარი...

ოსტატმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ კორინთელმა რევოლვერი დაადო შუბლზე.

— რამდენს ითხოვ! — გაუმეორა მუქარით სავსე ხმით.

ოსტატს რევოლვერის არ შეშინებია, დაყვირება გადაწყვიტა, მაგრამ რამაზ კორინთელის ბოროტად წამონთებული თვალები რომ დაინახა, შემდრკალმა და ჭაბუკის გამოხედვით მონუსხულმა თანხმობის ნიშნად თავი ჩალუნა, შემდეგ პლასტილინის ფურცელი აიღო და დაკვირვებით შეათვალიერა.

რამაზ კორინთელმა ელექტროგამახურებლით ლუქი სწრაფად გააღწო ფოლადის დაფაზე და სეიფი ოსტატურად დალუქა. თავისი ნახელავი თვითონვე მოეწონა.

პირველ და მთავარ საქმეს უკვე მორჩა. ცოტა შეისვენა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მაგრამ მოწვევა გადაიფიქრა, ფერფლი არსად დაეყარო, და ისევ ჯიბეში ჩაიღო. ხელჩანთას დასწვდა და იაპონური პატარა, მაგრამ ძალიან მოძინა დასწვამი ამოიღო. ვადამცემის კუთხეებში რამაზ კორინთელმა წინასწარ დააყე-

ნა ოთხი პატარა მაგნიტიც. მათი მიზიდულობის ძალა საკმარისი იყო გადამცემის მსუბუქი წონის საიმედოდ დასაქერად. ხელაწყოს მისამაგრებელი ადგილზე წინასწარ ჰქონდა შერჩეული — დირექტორის ძველებური დიდი მაგიდიც შუა ნაწილი. კაცს რომ მაგიდის ქვეშ რაიმე ნივთი შევარდნოდა, მისი ადგილზე დროსაც კი შეუძლებელი იქნებოდა იწელში მოხრილს მალა აეხედა დაემაგინებდა ქვემოდან მიწებებული ასანთის კოლოფისოდენა გადამცემი დაენახა.

რამაზ კორინთელი მაგიდის ქვეშ შეძვრა და ოთხ ადგილზე წინასწარ გახვრეტილი ფოლადის ფურცელი უხარმარა ძველებურ საწერ მაგიდას შურუბებით ქვემოდან მიამაგრა. მაგიდის ქვეშეიდან გამოძვრა და მშვიდად ამოისუნთქა. საქმე თითქმის მოთავებული ჰქონდა. ჯობიდან მექანიკურად ისევ ამოიღო სიგარეტი. უცებ გადაწყვიტა, ჯობია კაბინეტიდან გავიდე და გარეთ მოვწიო, სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩააბრუნა, გრძელ მაგიდაზე დადებული გადამცემი აპარატი აიღო და ისევ მაგიდის ქვეშ შეძვრა.

ფოლადის ფურცლის სიახლოვე რომ იგრძნო, გადამცემი აპარატი ოთხი პატარა მაგნიტის მიზიდულობის ძალით ლამის ხელიდან აუფრინდა. რამაზ კორინთელმა საიმედოდ მიწებებული გადამცემი ფოლადის ფურცლის შუაგულში ჩააცურა.

რამაზ კორინთელს უხაროდა, საქმე რომ ძალზე მახვილგონიერულად გადაქრა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მარინე გადამცემ აპარატს შინ წაიღებდა, დილით კი, სანამ დირექტორი მოვიდოდა, კვლავ ფოლადის დაფაზე მიამაგრებდა. კაბინეტშიც რომ დაეტოვებინა, დამლაგებელი ქალი მაინც ვერ ნახავდა. და მაინც, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამჯობინა გადამცემი მარინეს ყოველ საღამოს შინ წაეღო.

რამაზ კორინთელმა კაბინეტი ფურცლებით მიათვალ-მოათვალა არაფერი მრჩებაო, სეიფა კიდეც ერთხელ შეავლო თვალი და ჩანთას დააწვდა. თუ მოსაცდელში ან დერეფანში ვინმე გამოჩნდებოდა, მარინე სელექტორთან ჩართული აპარატის ყურმილს შეანძრევდა. სელექტორი დუმდა. რამაზ კორინთელმა შიდა კარის გასაღები გადაატრიალა და მოსაცდელში გავიდა.

მარინე კართან იდგა და დერეფანს ზეერავდა. კორინთელს ღიმილით ანიშნა, არავინ არ არის, შეგიძლია წახვიდეო.

მოსაცდელიდან გასვლისას კორინთელმა ხმადაბლა უთხრა, ნახევარ საათში დაგირეკავო და დერეფანში გავიდა.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე მანქანაში იჯდა და შინისაკენ მიჰქროდა. დროდადრო სპორტულ ჩანთას გადახედავდა ხოლმე, სადაც მოთავსებული ჰქონდა ის ადრინდელი გამოკვლევა, სადიპლომო შრომად რომ ამუშავებდა და, რაც მთავარია, „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპის“ საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გადაბეჭდილი ვარიანტი თავისი ექსპერიმენტული მასალით.

თეორიული ნაწილის ხელახლა აღდგენა და დაწერა არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ ექსპერიმენტების შედეგებს, რომლებიც ცალკე საქალაქოში იყო მოთავსებული, ხელახლა ვერ აღადგენდა სრულიად იოლად გასაგები მიზეზის გამო, მათი ზეპირად აღდგენა არ შეიძლებოდა. ექსპერიმენტის შედეგების ხელახალ მოპოვებას კი დიდი დრო სჭირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ერთი წლის ლაბორატორიული მუშაობის შემდეგ ექსპერიმენტით მიღებული შედეგების აღდგენაც შეიძლებოდა, მაგრამ ლაბორატორიაში მხოლოდ ოთარ კახიშვილთან ერთად თუ იმუშავებდა. მაშინ, ძალაუნებურად, ინსტიტუტის დირექტორი მაინც უნდა გამხდარიყო მისი გამოკვლევისა

თანავტორი. თანაც, რაც ყვე-
ლაზე კომიკური იქნებოდა, პირველი,
ანუ მთავარი თანავტორი.

ყველაზე უფრო კორინთელს მაინც
ის უხაროდა, რომ დღეიდან, თუნდაც
გაეხსნათ კიდეც სეიფი, აკადემიკოსის
გამოკვლევას ველარაგინ იპოვიდა. სა-
მაგიეროდ, ყველანი დარწმუნდებოდ-
ნენ, რომ აკადემიკოსს არ დარჩენია
არავითარი გამოკვლევა, რომ იგი ხუ-
თი წლის მანძილზე ამაოდ დაშვრა
დაემტკიცებინა რადიოაქტიურობის
მეხუთე ტიპის არსებობა. კიდეც ერთ-
ხელ გახდებოდა შათთვის ნათელი, რა-
ტომ ისურვა განსვენებულმა დირექტ-
ტორმა სეიფის ორი წლის შემდეგ გახ-
სნა.

ერთი ამბავიც იყო გასათვალისწინე-
ბელი. ბუნებრივია, ყველას გაუკვირ-
დებოდა და დაიწყებოდა მითქმა-მოთ-
ქმა, რამაზ კორინთელმა ასე მოკლე
დროში როგორ შეძლო რადიოაქტი-
ურობის მეხუთე ტიპის არსებობის აღ-
მოჩენა.

კორინთელს არ აღელვებდა მოსა-
ლოდნელი მითქმა-მოთქმა და ვნება-
თაღელვანი. მან ჯერ კიდეც ადრე,
აკადემიკოსის სიკვდილამდე განჭვრი-
ტა მომავალი და შექმნა ერთი საბუ-
თი, რომელიც, მისი აზრით, გაფანტავ-
და ყოველგვარ გაუგებრობას. დღეს-
დღეობით კი, გადამცემი აპარატის
წყალობით ყოველდღიურად ეცოდი-
ნებოდა, ოთარ კახიშვილი რას აპირებ-
და. სჯეროდა, ინსტიტუტის ახალი დი-
რექტორი ყველაფერს გააკეთებდა,
რომ სეიფი ჩუმად გაეხსნა. ამიტომაც
მარინეს არ უნდა გამოჰპარვოდა, კა-
ბინეტში თუ უცხო ვინმე შევიდოდა.
გადამცემის ჩართვისა და მიმღებ მაგ-
ნიტოფონზე საუბრის ჩაწერის ხელოვ-
ნებას დირექტორის მდივანი უკვე
მშვენიერად ფლობდა. სეიფის გახსნა
მანამდე ვერ უნდა მოეხერხებინა
ოთარ კახიშვილს, სანამ გზაფხულზე
რამაზ კორინთელი მოსკოვში არ წა-
რადგინდა თავის ახალ გამოკვლევას.

ხომ შეიძლებოდა ელდანაცემ კახი-
შვილს აზროვნების უნარი დაჰკარგო-
და და ნაადრევად აეტეხა აურხაული.
შემდეგ ოთარ კახიშვილს თუნდაც
ოფიციალურად დაეწამებინა ახალ-
გაზრდა მეცნიერისთვის, ნაშრომის
მითვისება, მაინც აღარაფერი გამოუ-
ვიდოდა, თანაც წინასწარ შექმნილი
დოკუმენტიც თავის სიტყვას იტყოდა.
რამაზ კორინთელს სჯეროდა, რომ
ინსტიტუტის დირექტორისუცხოველი-
საგან შეიძლება გული ოგახეთქოდა,
მაგრამ ჩივილს მაინც ვერ გაბედავდა.
იმას კი მიხვდებოდა, რომ კოვითონ ამ
საქმიდან სუფთად ვერ გამოძვრებოდა
და მოტყუებული შეთქმულის როლში
აღმოჩნდებოდა.



აიუ

— მეშინია, რამაზ!

— რისი გეშინია? — სივრცეს გაუ-
ღიმა კორინთელმა.

— ვაითუ, არ გიყვარვარ?

კორინთელი ქალისკენ შებრუნდა
და გულში ჩაიკრა.

— ნუთუ გაძლევ ეჭვის საფუ-
ძველს?

— არა, მაგრამ მაინც მეშინია.

— დაანებე თავი სულელურ ფიქრს!

— მე უშენოდ სიცოცხლე აღარ შე-
მიძლია. რომ მიმატოვო, იცოდე,
თავს მოვიკლავ. არ იფიქრო, გაშინებ-
დე. ასე ნუ გამიგებ. უბრალოდ, მინდა
იცოდე, რომ უშენოდ ერთი დღეც
ვერ გავძლებ!

— რა დაგემართა? იქნებ შემატყვე
რამე? — კორინთელმა ქალს მხრებზე
ხელი მოჰკიდა, გვერდზე მისწია და
თვალებში ჩახედა.

— როცა შენთან ვარ, არ მეშინია.
წახვალ და... წახვალ და იმავე წუთში
ეჭვები მიღრღნის გულს.

ვაემა პასუხად გაიცინა.

— სისულელეს თავი დაანებე. კი-
დეც როგორ დაგიმტკიცო, რომ მიყ-
ვარხარ?

„კუთხრა ყველაფერი? — ვერ გა-



დაეწყვიტა მარინეს, — რატომ არ გამანო თუნდაც ერთი თავისი მეგობარი? რატომ ცდილობს ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩეს ჩვენი სიყვარული? ან რატომ არ უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს საერთოდ? მუდამ ასე უნდა ვიყოთ? მუდამ ასე შიშით უნდა იბარებოდეს ჩემს ბინაში? იქნებ მხოლოდ მანამდე გვირდები, სანამ დირექტორის კაბინეტში შემდგარი საუბრებია მაგნიტოფირზე ჩასაწერი? იქნებ მხოლოდ ამიტომ დამიახლოვდა?“

მარინემ ვაჟს ისევ მკერდზე დაადო თავი.

„მაგრამ რატომ მეჩვენება, რომ არ ვუყვარვარ? განა შეუძლია კაცს, არ უყვარდეს და ასე გეფეროს? იქნებ მე ვარ სიყვარულით დაბრმავებული და ვერ ვამჩნევ, რომ მისი სიყვარული ყალბია, ხოლო მისი სიტყვები მტყნარი ტყუილი?“

მარინემ არ იცოდა და ვერც მიხვდებოდა, რამაზ კორინთელი მართლაც როგორ ცდილობდა მის შეყვარებას. უფრო მეტიც, თავის თავს არწმუნებდა, რომ მარინე უყვარდა. სჯეროდა, რომ მარინეს სიყვარული გააქარწყლებდა იმ გრძნობას, ინგას მიმართ რომ ჰქონდა. ყოველ დღე მარინეზე ფიქრობდა. უფრო ზუსტად, ცდილობდა მარინეზე ეფიქრა, ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ უმისოდ ვერ სძლებდა. ცდას არ აკლებდა, რომ ილუზია სინამდვილედ ექცია. ხშირად

მიზანსაც აღწევდა. იყო წუთები და საათებიც კი, როცა გულწრფელად სჯეროდა, რომ მარინე უყვარდა, ატაცებული ზეიმობდა, რომ ინგა დაივიწყა, მაგრამ გულზე უცებ ყინულის თხელი ფენა შემოეკვრებოდა, თვალსა და ხელს შუა რომ სქელდებოდა და დამზრალ გულს საძრახობას არ აძლევდა. თვალწინ კვლავ ინგას ნაზი, უმანკო სახე დაუდგებოდა და საბოლოოდ ჰყარგავდა იმედს, რომ დის მიმართ ძარღვებში გამჭვდარ გრძნობას მოერეოდა. სულ ეშინოდა, სიტყვა „სიყვარული“ არ გაეფიქრებინა. ცდილობდა, თავისი ვნებათაღელვისათვის მხოლოდ „გრძნობები“ დაერქმია.

აბა, მარინე რას მიხვდებოდა, ჭაბუკი რა ცეცხლშიც იწვოდა. რა ბედნიერი იქნებოდა რამაზ კორინთელი, მარინე რომ მართლა შეჰყვარებოდა.

აი ახლაც, თვალებს უკოცნიდა ახალგაზრდა ქალს, მაგრამ ფიქრით კვლავ ინგასთან იყო. მარინეს გულში იკრავდა, ეშინოდა, თვალებში არ შემხედოს და არ მიხვდეს, ჩემს არსებაში რა ცეცხლი ტრიალებსო. მერე შემფოთებული თვალებს ხუჭავდა და მარინეს გაშმაგებული ჰკოცნიდა. უნდოდა, ინგაზე ფიქრი თავიდან ამოეგდო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ სამწუხაროდ, მარინე არ იყო ის ქალი, ინგას რომ დაავიწყებდა.

თავი მეჩვიდმეტე

მაკა ლანდიამ აუდიტორიაში შესვლისთანავე მიიქცია ხალხის ყურადღება. დანიშნულ დროზე მთელი თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა, მაგრამ ამფითეატრის ტიპის აუდიტორია უკვე ხალხით იყო სავსე. წინა რიგში ძირითადად მელიოტი, ჭადარა და სათვალისანი მეცნიერები ისხდნენ. ახალგაზრდებს უკანა რიგები დაეკავებინათ.

აუდიტორიაში უჩვეულო დუმილი იდგა, რაღაც სენსაციურის, გაუგონარის მოლოდინის დუმილი.

მაკა ლანდიამ აუდიტორიაში შესვლისთანავე იგრძნო, ორასი წყვილი თვალი როგორ დაეჯახა. ცნობისმოყვარე თვალებიდან წამოსულმა სხივებმა ისე დაუჩხელიტა ტანი, თითქოს

პლავზე ყოფილიყოს მცხუნვარე მზის ქვეშ წამოწოლილი.

არაფერი შეიმჩნია, ნელი ნაბიჯით განაგრძო სვლა და თან აუდიტორია მოათვლიერა, ცარიელი ადგილი ხომ არსად არისო.

მაკა მალალი, სიფრიფანა და ჰაეროვანი ქალიშვილი იყო. ვამბდარი არ ეთქმოდა, იმდენად რელიეფური მკერდი და თეძოები ჰქონდა. მოძრაობის პლასტიკა, ოდნავ უპროპორციო, მოგრძო სახე, ფერფლისფერი ჩამოშლილი თმა და საოცრად მეტყველი თვალები უცხოურ იერს აძლევდა.

წინა რიგში რომელიღაც მეცნიერმა იცნო ძალზე გავლენიანი თანამდებობის პირის, გიორგი ლანდიას ქალიშვილი. უმაღლეს წამოდგა, შეეგება და თავისი სკამი შესთავაზა.

— დიდი მადლობა, ნუ წუხდებით, მე სადმე ზემოთ დავკვები! — თავზიანად თქვა უარი მაკამ.

— როგორ გეკადრებათ, აგერ დაბრძანდით!

— გულწრფელად გეუბნებით, არ მსურს წინ დაჯდომა. ტელევიზიიდან გამომავაზუნეს. გაცილებით მიჩვენია, მალა დავკვდი. იქიდან უფრო გამიადვილდება აღვიქვა მთელი აუდიტორია და ნათლად წარმოვიდგინო გადაცემის სცენარი.

— კი ბატონო. იყოს ნება თქვენი, ოღონდ ავაცილებთ.

ხანშესული მეცნიერი მალა აუძღვა ლანდიას. ბოლოს წინა რიგში რომელიღაც თავის სტუდენტს ანიშნა, სტუმარს ადგილი დაუთმო.

— დიდი მადლობა, მაპატიეთ, რომ შევაწუხეთ! — თქვა მაკა ლანდიამ და ხანშესულ მეცნიერს ხელი ჩამოართვა. მერე მადლობის ნიშნად იმ სტუდენტ ბიჭს გახედა, ადგილი რომ დაუთმო.

ოცდაერთი წლის ქალიშვილი მაინც ოცდაერთი წლის ქალიშვილია და, ბუნებრივია, ესია მოვნა, ამოდენა აუდიტორიის ცხოველი ინტერესი რომ გამოიწვია. თუმცა გულში მწარედ ნანობდა, ვიღაც ვუნდერკინდის დი-

ლომის დაცვაზე რომ მოვიდა ლანდიას არც ის ხიბუფავდა, არა მეცნიერს რომ სამი კურსი თვეში დაუხურავს, ხოლო სადიპლომო ნაშრომში პირდაპირ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს რომ ანიჭებდნენ.

ტელევიზიების სტუდიის სასცენარო განყოფილების მკვათარი რედაქტორის მოადგილეს და თვითონ ახალგაზრდა სცენარისტს იმეუსიკა, მხატვრობა და ლიტერატურა უფრო იტაცებდა, ვიდრე ფიზიკა და მათემატიკა.

რა უნდა ექნა, კომიტეტის თავმჯდომარემ ისეთი დიდის აშბით მისცა დავალება, უარი ვეღარ თქვა.

კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ლომიძე, სამოცს გადაცილებული სიმპათიური სათვლიანი კაცი შუა კაბინეტში შეეგება ოცდაერთი წლის თანამშრომელს, გრძელ მაგიდასთან სკამი თვითონვე გამოუწვია და ხელით ანიშნა, აქ დაბრძანდითო.

— ერთი დიდი და, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანი დავალება უნდა მოცეთ. მნიშვნელოვანი და საინტერესო! სცენარი უნდა დაწეროთ ერთნაწლიანი დოკუმენტური ტელეფილმისათვის. წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ ტელეფილმის ობიექტი ძალიან დაგაინტერესებთ.

მაკა ლანდია მორჩილი დიმილით მისჩერებოდა კომიტეტის თავმჯდომარეს.

— დღეს თბილისის მეცნიერული სამყარო მხოლოდ ერთ ახალგაზრდა კაცზე ლაპარაკობს, ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლის რამაზ კორინთელზე. წარსულში იგი მხოლოდ ხულიგნური საქციელით და სიზარმაცით გამოიჩინოდა, სწავლობდა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელ ფაკულტეტზე, მუშაობდა თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში, სადაც მიიღო მძიმე ტრავმა. თავში მოხვდა ხილური ამწის კავი. ქაბუკმა მთლიანად დაკარგა მეხსიერება. ექიმებს აღარც კი ჰქონდათ იმედი მისი



გადარჩენისა. და თუ მაინც გადარჩე-
ბოდა, არავის ეგონა, თუ გონება და-
უბრუნდებოდა. მოხდა საოცრება.
ტრავმა შემდეგ სულ რამდენიმე თვე-
ში ხურავს სამ კურსს, ამთავრებს უნი-
ვერსიტეტს და იცავს სადიპლომო
შრომას, რომელშიც პირდაპირ ანიჭე-
ბენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება-
თა კანდიდატის ხარისხს. როგორ მოგ-
წონთ? — კომიტეტის თავმჯდომარეს
აღტაცებისაგან თვალები ისე სასაცი-
ლოდ უბრწყინავდა, მაკა ლანდიამ ღი-
მილი ვეღარ შეიკავა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ღი-
მილი თანხმობის გამოხატულებად მი-
იღო.

— აბა თქვენ იცით, მე მწამს თქვე-
ნი ნიჭისა და ენერჯისა!

იმდენად აღტაცებული იყო ირაკ-
ლი ლომიძე, მაკამ უარის თქმა ვეღარ
გაუბედა. ნახ, პოეტური ბუნების ქა-
ლიშვილს არ იტაცებდა მეცნიერება
და ტექნიკა. არ აინტერესებდა ფიზი-
კოსთა თუ მათემატიკოსთა პიროვნე-
ბანი. ყოველთვის თვლიდა, რომ ისინი
ეროვნულ ხასიათს მოკლებული ხალხია,
აქედან გამომდინარე, ემოციების-
გან დაცლილნი და უინტერესონი.

ვერც ვიღაც ვუნდერკინდის თავ-
ბრუდამხვევმა წარმატებებმა გააკვირ-
ვა. ორმოცდაათ წელს გადაცილებულ
რამდენიმე ისეთ კაცს იცნობდა, რომ-
ლებიც თურმე ბავშვობაში მეცნიე-
რული ამომავალ ვარსკვლავებად ითვ-
ლებოდა. მერე გადიოდა წლები და
ისინი იმავე დონეზე დარჩენილან, ერ-
თი ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ.

რამაზ კორინთელი პირველი დანახ-
ვისთანავე მოეწონა მაკას. ქალიშვილს
ინტუიციამ უკარნახა, ეს მაღალი, ათ-
ლეტური, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი,
ოდნავ კეხიანი ცხვირი და მოგრძო ნი-
კაბი მის სახეს ენერგიულ გამომეტ-
ყველებას რომ აძლევდა, ცალმხრივად
განვითარებული კოლეგებისაგან გან-
სხვავებული პიროვნება უნდა ყოფი-
ლიყო. აახის შესამჩნევად სტატიურ,
ოდნავ უინტელექტო გამომეტყველე-

ბას ლაპარაკის მანერა, ფრაზის მკა-
ნილობა და ადვილად შესაგრძნობი ში-
ნაგანი ტემპერამენტი იმდენად შეუშ-
ჩნევებს ხდიდა, რომ მთლიანობაში
რამაზ კორინთელი ინტელექტუალურ,
სიცოცხლით და ემოციებით სავსე ჭა-
ბუკად აღიქმებოდა.

მაკა ლანდიას არ ესმოდა, რას ლა-
პარაკობდა ახალგაზრდა ფიზიკოსი.
ვერც სხვა მეცნიერების გამოსვლები-
დან გაიგო რამე. ერთს კი მიხვდა,
ჭაბუკი რალაც მნიშვნელოვან მეცნიე-
რულ აღმოჩენაზე ლაპარაკობდა. და-
ნარჩენები გულწრფელად იზიარებდ-
ნენ ამ აღმოჩენის მნიშვნელობას
და ერთსულოვნად მოითხოვდნენ,
რამაზ კორინთელისათვის პირდაპირ
მიენიჭებინათ ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.
გონებაში ჩარჩა მხოლოდ რამდენიმე
ფრაზა, რომლებსაც თითქმის ყველა
გამომსვლელი იმეორებდა: „იმპულ-
სური რენტგენული გამოსხივება“,
„მთავარი ვარსკვლავის მასის ლტოლვა
ნეიტრონული ვარსკვლავისაკენ“,
„თერმული რენტგენული გამოსხივე-
ბა“, „ნეიტრონული ვარსკვლავის სავა-
რაუდო მაგნიტური ველი“ და კიდევ
რამდენიმე წინადადება, რომელთა ში-
ნაარსს, ალბათ, მთელი სიცოცხლის
მანძილზე ვერ გაიგებდა, ვერც ჩასწვ-
დებოდა და, გულახდილად რომ
ვთქვათ, არც არავითარი სურვილი
ჰქონდა ჩასწვდომოდა.

დიპლომის დაცვა დასასრულს უახ-
ლოვდებოდა. მაკა ლანდიამ ახლად
შენიშნა, რომ საგამოცდო კომისიისა და
სამეცნიერო საბჭოს წევრებთან ერთად
ოდნავ შემადლებულ, ნახევრად წრიულ
სცენაზე უნივერსიტეტის რექტორიც
იჯდა.

— კიდევ ხომ არავის ექნება შეკი-
თხვა? — ფეხზე წამოდგა საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე და აუდიტო-
რიას თვალი მოავლო. იგი მხოლოდ
წინა სამ რიგში მსხდომთ მიმართავ-
და. დანარჩენთაგან შეკითხვას არც
ელოდა.

— შეიძლება? — წამოდგა ფეხზე დაბალი, ულვაშებიანი მსუქანი კაცი.

რამაზ კორინთელმა იცნო უნივერსიტეტის დოცენტი მაკარ ბოჭორიშვილი, ასტროფიზიკის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერთანამშრომელი, ათი წლის წინ რომ გააგდეს ინსტიტუტიდან ინტრიგანობისათვის.

მიხვდა, სასიკეთოს იგი არაფერს იტყოდა.

— მე მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ რამაზ მიხეილის ძე კორინთელის სადიპლომო შრომა ნამდვილად იმსახურებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, — თქვა მაკარ ბოჭორიშვილმა და სანახევროდ ულვაშებში შემალული ღიმილით საგამოცდო კომისიის წევრებს მოავლო თვალი, — თუ ჩემი მოსაზრების აღნუსხვა უკვე მოასწარით ოქმში, მაშინ შევეცდები ჩამოვყალიბო ჩემი შეკითხვა. ძვირფასო მეგობრებო, მე რამაზ კორინთელს მეორე კურსზე ვუკითხავდი ელექტრობას. მართალია, იგი დაუსწრებელი სწავლებისათვის გამოყოფილ მცირეოდენ საათებზეც არ დადიოდა, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა, თავისი საქციელით და ცოდნით ვერ ბრწყინავდა მაინცდამაინც. გამოცდებზე ხომ, შეიძლება თამამად ითქვას, სამადლოდ ვუწერდით სამიანებს...

ზოგმა ხმამაღლა გაიციხა, ვიღაცებმა დაუსტენეს კიდეც.

— სიწყნარე! — წამოდგა ფეხზე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

მაკარ ბოჭორიშვილი უკან არც შებრუნებულა, სქელ ულვაშებში შემალული ღიმილი ნელ-ნელა ჩამოცოცდა, დაპატარავდა და ბოლოს სულ გაქრა. სახეზე როგორც პატარა, მრგვალ სადემონსტრაციო პლაკატზე, ისე ეწერა მსხვილი ასოებით, ხედავთ, რა ხალხის ხელში ვართო!

აუდიტორია თანდათან დაწყნარდა.

კომისიის თავმჯდომარემ ბოჭორიშვილს ანიშნა, განაგრძეთო.

— დიახ, ამხანაგი რამაზ კორინთელი ერთი ჩვეულებრივი (ვეფხვივებულა, გონებაშეზღუდული) სტუდენტი იყო. რა მოხდა მერე? რას მივაწეროთ საოცარი, გაუგონარი მეტამორფოზა? პატივცემულო რამაზ, იქნებ თქვენ აგვიხსნათ, როდის მოასწარით ენების სწავლა, როდის დაეუფლეთ ფიზიკისა და ასტრონომიის ურთულეს პრობლემებს ასე ღრმად, საფუძვლიანად და შემოქმედებითად? როდის მოასწარით ამ უჩვეულო და თავსატეხი პრობლემის გამოკვლევა, გადაჭრა და მშვენიერი მეცნიერული ლოგიკით ჩამოყალიბება?

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა. თითქოს ყველა ადგილზე გაქვავდა, წამწამებსაც არავინ ახამხამებდა. აშკარა იყო, რამაზ კორინთელის უცნაური და ელვისებური სამეცნიერო კარიერა ყველას ძალზე აინტერესებდა.

რამაზ კორინთელმა თავის ცხოვრებაში მეორედ გაიგონა სიჩუმის ხმა.

— პატივცემულო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, პატივცემულო საბჭოს წევრებო, — დაიწყო ღიმილით ახალგაზრდა მეცნიერმა, — როგორც ხედავთ, მეცნიერული კამათი თანდათანობით ინტერვიუში გადაიზარდა.

ყველას გაეცინა.

ზოგიერთებმა ტაშიც შემოკრეს.

კომისიის თავმჯდომარე უმაღლეს ფეხზე წამოიჭრა და აუდიტორიას ხელით ანიშნა, დაწყნარდითო.

„რა კეთილი ღიმილი აქვს!“ — გაიფიქრა მაკამ.

„კეთილი და დიდსულოვანი!“ — დააზუსტა იქვე. ქალიშვილმა იგრძნო, სხვებთან ერთად თვითონაც მოუთმენლად ელოდა რამაზ კორინთელის პასუხს.

— თუ პატივცემული თავმჯდომარე მიზანშეწონილად ჩათვლის ქანრის მონაცვლეობას, დიდი სიამოვნებით ვუპასუხებ ბატონ მაკარ ბოჭორიშვილს.

— ბრძანეთ! — დაუქნია თავი კომისიის თავმჯდომარემ.

რამაზ კორინთელმა თვალი შეავლო ყურადღებად ქცეულ უნივერსიტეტის რექტორს, კომისიის წევრთა დამაბულ სახეებს, აუდიტორიის მოლოდინით სავსე გამოხედვას. ბოლოს მეორე რიგში მჯდომი ზურაბ თორაძე მონახა, თვალი ჩაუკრა და მაკარ ბოჭორიშვილს მიუბრუნდა.

— ბატონო მაკარ, თქვენი შეკითხვა ამ აუდიტორიაში, ალბათ, ბევრს უნდოდა მოეცა ჩემთვის. განსაკუთრებით მათ, ვინც ადრე მიცნობდნენ. მოდი, ჩემი ცხოვრება გავყოთ ორ ნაწილად, ტრავმამდე და ტრავმის შემდეგ. ტრავმამდე, როგორც თქვენ ბრძანეთ, მე ერთი უხეირო და ზარმაცი სტუდენტი ვიყავი, თანაც ხულიგანი. ბუნებრივია, გაცელებული იქნებით, რამე გამაბეჯითა და გამანიჭიერა ტრავმის შემდეგ. აი აქ, მეორე რიგში ზის ჩემი მკურნალი და გადამჩენი ექიმი, სახელოვანი პროფესორი ზურაბ თორაძე.

აუდიტორია აჩოქოლდა, უკანა რიგებში ახალგაზრდები ფეხზე წამოდგნენ, რომ რესპუბლიკაში უდიდესი საავადმყოფოს მთავარი ექიმისათვის თვალი მოეკრათ.

სიამოვნებით და მადლიერებით აღსავსე ზურაბ თორაძე წამიერად ფეხზე წამოიშრათა, აუდიტორიას თავი მორიდებით დაუკრა და ისევ დაჯდა.

— დიახ, ბატონო მაკარ! ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი გვეკითხა დიდად პატივცემული მთავარი ექიმისათვის ჩემი სასიკეთო მეტამორფოზის მიზეზები? იქნებ მართლაც ჯადონურად მოქმედებს ადამიანზე ხილური ამწის ასკილოიანი კავის თავში ძგერება? იქნებ უძლიერესი დარტყმისგან ტვინის უჯრედები ჯერ კარგავენ აზროვნებას უნარს, შემდეგ კი უცებ იძენენ გენიოსია თვისებებს?

დარბაზს ისევ ვადაუარა სიცილის ტალღამ, ალაგ-ალაგ ისევ გაისმა ტაში.

— დიახ, პატივცემულო საზოგადო-

ებავ, ბევრს აოცებს ზარმაცი და ხულიგანი სტუდენტის რამაზ კორინთელის საოცარი ფერისცვალება. მინდა მოვახსენოთ, რომ რამაზ კორინთელი არასოდეს არ ყოფილა ზარმაცი, სუსტი და ხულიგანი სტუდენტი. იგი დღეში თორმეტ საათს მუშაობდა, ენებს ეუფლებოდა, საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ ყველა საჭირო დისციპლინას ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებოდა. თითო-ოროლა ნამდვილი ლექტორის წინაშე ბოდიში მინდა მოვიხადო, მაგრამ სუსტნი ისინი იყვნენ, ვინც რამაზ კორინთელს ჯერ ასწავლიდნენ, შემდეგ კი გამოცდებს იბარებდნენ. არ მინდოდა ჩემი თავისთვის მეკადრებინა, რომ მათ წინაშე მორჩილად დავმდგარიყავი და გამოცდები მთელი სერიოზულობით ჩამებარებინა. ისინი არც ვანათლებით, არც ნიჭით, არც ადამიანური ღირსებებით არ იდგნენ ჩემზე მაღლა. მე კი მათთვის ჩემი ცოდნა მთელი სერიოზულობით უნდა დამემტკიცებინა. თქვენ შეგიძლიათ დამძრახოთ, უღირსად ჩათვალოთ ჩემი საქციელი, მაგრამ მინდა გულახდილი ვიყო. თუნდაც იმიტომ, რომ ვიცი, ალბათ, კიდევ ბევრჯერ დაიბადება ანალოგიური შეკითხვის სურვილი. მე მათ დავცინოდი, ვამასხარავებდი. არ დაგიმალავთ, საღისტური სიამოვნებით ველოდებოდი, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, შოკირებულები შეიტყობდნენ, სინამდვილეში ვინ ვიყავი. იქნებ ჩემი გამოწვევი, ცოტა ბოროტი საქციელი ობლობაში გაზრდილი ბიჭის პროტესტი იყო, ერთი პატარა დის გარდა ამ ქვეყანაზე რომ არავინ ჰყავდა. ტრავმის შემდეგ მართლაც მოხდა ჩემს არსებაში დიდი ცვლილება. მე თვალებში ჩახვდენ სიკვდილს. მასთან კი დიღმა ერთბაშად მომიმატა წლები,

გურამ ფანჯიანიძე
საირალი

ერთბაშად შეცვალა ჩემი შეხედულებანი. იმდენად უმწეოა ადამიანი სიკვდილის წინაშე, არა აქვს უფლება, იყოს ცოცხალი და არ იყოს კეთილშობილი, ღირსეული, დიდსულოვანი პიროვნება. როცა დავრწმუნდი, რომ გადავრჩი, საფუძვლიანად გავაანალიზე ჩემი ხანმოკლე ცხოვრება. შემრცხვა ჩემი ახალგაზრდული პროტესტანტობისა, ცინიზმისა. სიკვდილთან თამაშით ნადრევად დაბრძენებულმა იოლად ვძლიე ახალგაზრდულ ავადმყოფობას. ერთი სიტყვით, მინდა გული გავუტეხო სენსაციების მოყვარულთ — რამაზ კორინთელის არსებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მან, უბრალოდ, შეიცვალა ცხოვრებისეული პოზიცია.

კორინთელი თავმჯდომარეს მიუბრუნდა და ანიშნა, მოვრჩი, მეტი სათქმელი არაფერი მაქვსო. საგამოცლო კომისიის თავმჯდომარემ დიდხანს ვერ დააწყინარა აუდიტორია. ახალგაზრდა ფიზიკოსის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგან კამათიც გაჩაღდა. ვისთვის ნათელი გახდა რამაზ კორინთელის პიროვნება, ვისთვის კიდევ უფრო გაეხვია ბურუსში მისი დიდი განათლებისა და მეცნიერული ალღოს უეცარი გამომჟღავნების საიდუმლო.

უნივერსიტეტის რექტორი იძულებული გახდა, ფეხზე წამომდგარიყო. ხმაურმა ნელ-ნელა იკლო და ბოლოს სულ მიწყდა.

— ძვირფასო მეგობრებო! — დაიწყო თავმჯდომარემ. — წელან კომისიის ყველა წევრმა, მათ შორის მეც, უკვე გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებანი რამაზ კორინთელის სადიპლომო ნაშრომის თაობაზე...

მაკა ლანდია ფიქრმა გაიტაცა. ახალგაზრდა დიპლომანტის გამოსვლამ ქალიშვილზე მართლაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. საოცარი და შემადრწუნებელი. გაბნეული კუბიკეზით ხედავდა რამაზ კორინთელის ხან კეთილ, ხან კი ტუჩებზე უღვაშე-

ბივით აწყვილ ირონიულ ღიმილს, ხან ალაღ, გულლია, ხან კი გესლიან ცილს, ხან მამაკაცური სათნოებით ასავსე, ხან კი ბოროტად წამონთებულ თვალებს, ხან ხელის დახვეწილ, მშვიდ მოძრაობას, ხან კი თითქოს მუქარით შეკრულ მუშტებს, ხან ინტელექტით, აზროვნებით სავსე სახეს, ხან კი პრიმიტიულ, ხულიგნურ იერს.

ცდილობდა, ამ კუბიკეზისაგან ერთი მთლიანი, მოაზროვნე, კეთილი რამაზ კორინთელი აეწყო. არ გამოსდიოდა. ხან კეთილ ღიმილს ვერ პოულობდა, ხან მამაკაცური სათნოებით სავსე თვალებს.

ბოლოს ბავშვივით მოთმინებიდან გამოსულმა კუბიკეზს ხელი გაჰკრა და იატაკზე გააბნია. ვერ გაიგო, თავმჯდომარემ სიტყვა როდის დაამთავრა და ხალხი როდის წამოიშალა.

ერთბაშად იგრძნო, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ერთი სული ჰქონდა, ქუჩაში როდის გავიდოდა. ამფითეატრიდან დაბლა რომ ჩავიდა, ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი რამაზ კორინთელს. ხალხის შუაგულში მოქცეული ახალგაზრდა დიპლომანტი მილოცვებს იღებდა.

ქალიშვილს არ მოეწონა ახალგაზრდა ფიზიკოსის სიხარულით გაბრწყინებული სახე. მაკა ლანდიას აზრით, ისეთი ნიჭისა და რანგის ახალგაზრდისათვის, როგორიც რამაზ კორინთელი იყო, დიპლომის უზარმაზარი წარმატებით, თუნდაც ხარისხის დონეზე დაცვას არ უნდა მიენიჭებინა ამოდენა სიხარული.

მაკა ლანდია შეტბა. ლოყები აუფაკლდა, საკუთარი თავისა შერცხვა. თავიდან სკეპტიკურად განწყობილმა ქალიშვილმა აშკარად აღიარა ჭაბუკის დიდი ტალანტი.

უნივერსიტეტის რექტორმა პირველმა მიულოცა რამაზ კორინთელს. თან აღუთქვა, ჩვენს შუამდგომლობას თქვენთვის კანდიდატის ხარისხის მოსანიჭებლად თავს ერთ კვირაში მოვაბამო.

ახლგაზრდა დიპლომანტმა ყველას გადაუხანდა მოკრძალებული მადლობა. სულ ბოლოს მაკარ ბოჭორიშვილმა ჩამოართვა ხელი.

— ხომ არ გეწყინათ, ყმაწვილო.

— რატომ უნდა მწყენოდა?! თქვენ მოიქეცით ისე, როგორც უნდა მოქცეულიყავით.

— თქვენ არ იცით, ყმაწვილო...

— მე ბევრი რამ ვიცი, ბატონო მაკარ. ისიც ვიცი, აკადემიკოსმა დავით გიორგაძემ თავის კაბინეტში რომ დაგებართ ამ ათი წლის წინ და თქვენს მიერ დაწერილი ანონიმური წერილები რომ დავახევიანათ. ხომ არ გგონიათ, თქვენი კაიკაცობის გამომხატველი ყველა დოკუმენტი მოსპეთ? ორი წერილი, ბოღმით და შხამით გამორჩეულად რომ იყო საესე, ყოველი შემთხვევისათვის, დავით გიორგაძემ სეიფში შეინახა, იმ სეიფში, რომელსაც მომავალი წლის ოქტომბერში გახსნიან.

თითქოს ვიღაცამ თავზე საღებავი გადაასხაო, მაკარ ბოჭორიშვილს მწვანე ფერი შუბლიდან და საფეთქლებიდან ნელ-ნელა ლოყებზე ჩამოედვარა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო დოცენტო!

— არ მეგონა, დღეს თუ დავლევდი! — რამაზ კორინთელმა არყით სავსე ჭიქა ერთბაშად გამოსცალა.

— ზამთარში მაინც კარგია ეს დალოცვილი! — თქვა ზურაბ თორაძემ და თვითონაც გაამშრალა ჭიქა. მერე ოფიციალურად გასძახა, შამპანური მოიტანეო.

— შამპანური რად გინდათ? — ჰკითხა კორინთელმა.

— თქვენი წარმატების სადღეგრძელო უნდა დავლიო, არყით ხომ არ ვადაღეგრძელებთ!

კორინთელმა მწარედ ჩაიცინა.

— რა გაცინებთ? დადგება დრო და

ჩვენზე მთელი პლანეტა ალაპარაკდება.

— თქვენზე კი, ალბათ, ჩემზეც, რამ არა მაქვს გარანტია, რომ საერთაშორისო კლასის აფერისტად არ გამომაცხადებენ.

— რატომ? — გულწრფელად გაუკვირდა ზურაბ თორაძეს.

— რაც დღეს მოხდა, განა აფიორა არ იყო? რაც დღეს ჩავიდინე, ჰგავდა პატროსანი კაცის, თანაც მეცნიერის, აკადემიკოსის საქციელს?

— ვერ დაგეთანხმებით. თუ მოვლენებს ასე მივუდგებით, ყველაფერი გაბითურდება, ყველა ქეშმარიტი ღირებულება გაუფასურდება, არარაობად იქცევა! — ჩვეული მაღალი ტონალობით წარმოთქვა ზურაბ თორაძემ.

— მოდით, შევეშვათ ფილოსოფიურ ლაპარაკს. თქვენ კარგი ექიმი ხართ, ფილოსოფია და განსჯა არაა თქვენი საქმე, ოღონდ ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ გულწრფელად.

— განა როდისმე შემნიშნეთ არა-გულწრფელობა? — იწყინა ზურაბ თორაძემ.

რამაზ კორინთელმა ყურადღება არ მიაქცია მთავარი ექიმის საყვედურს.

— როცა მე მელაპარაკებით, ვის ელაპარაკებით?

— როგორ თუ ვის? — ვერ გაიგო შეკითხვა ზურაბ თორაძემ.

— დავით გიორგაძეს ელაპარაკებით თუ რამაზ კორინთელს?

— რასაკვირველია, დავით გიორგაძეს!

— ოოო! — არ ესამოვნა კორინთელს.

— რატომ იწყინეთ, განა სწორად არ ვიქცევი? განა თქვენ დავით გიორგაძე არა ხართ?

— მე რამაზ კორინთელი ვარ და მინდა მელაპარაკოთ როგორც რამაზ კორინთელს. მე სიცოცხლით სავსე ჭაბუკი ვარ, ახლა რომ ვიწყებ ცხოვრებას, დიდ ცხოვრებას. მე ახლა მინდა სიყვარული და მეცნიერული გამარჯვებებით ტკობა. ტანში მზა-

რავა იმის გახსენება, რომ ქალაქში ცხოვრობს სამოცდახუთს გადაცილებული ჭადარა, დაუძღურებული ქალი, რომელთანაც ოდესღაც სარეცელს ვიყოფდი!

— თქვენ არ ხუმრობთ? გულწრფელად გინდათ როგორც რამაზ კორინთელს, ისე გელაპარაკოთ?

კორინთელი გაფითრდა. დარბაზში თითქოს ერთბაშად ჩამოწვა სიბნელე და ეკრანზე უმაღლვე მოღიმარე ინგა დაინახა. ქერა, ცისფერთვალება, ანგელოზივით წმინდა და სათნო. ტანზე თეთრი კაბა ეცვა და მზის შარავანდედში გახვეული ჰაეროვანი სხეული შენელებული კადრივით ნელა მოაბიჯებდა ცის ფიანდაზზე.

ღმერთო, რას არ მისცემდა რამაზ კორინთელი, რომ ინგას ძმა არ ყოფილიყო. მთელ სიცოცხლეს ათმობდა დაუფიქრებლად, ოღონდ ერთი დღე ჰქონოდა ინგა კორინთელის სიყვარულის უფლებას!

— მაშ, თქვენ არ ხუმრობთ? — გაიმეორა შეკითხვა მთავარმა ექიმმა, — გულწრფელად გინდათ, როგორც რამაზ კორინთელს, ისე გელაპარაკოთ?! თქვენი დღევანდელი სურვილი ჩემთვის ახალი აღმოჩენაა. მე მარტო ქირურგი როდი ვახლავართ, მოვლენებისა და პროცესების განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები არანაკლებ საინტერესოა ჩემთვის.

უცებ კნოფირი გაწყდა. ეკრანზე აღარ მოჩანდა მზის შარავანდედში გახვეული ინგა, უწმინდესი და უსათნოესი ღმილით რომ მოაბიჯებდა ციურ ფიანდაზზე. დარბაზში სინათლე აინთო. რამაზ კორინთელმა თავის წინ ისევ დაინახა მთავარი ექიმის საძულველი სახე, სიბნელიდან ისევ გამოიკვეთა რესტორნის დარბაზი და მაგიდებთან მსხდომი შემთვრალი ხალხი, ღრიალცელით რომ იღებდა იქაურობას.

თვალები რისხვით წამოენთო, სახეზე მოწოლილი ბოდმა და სიძულვილი, სადაც იყო, გაარღვევდა კაშხალს.

— მიფრთხილდი, ზურაბ თორა-

ძვე, — კბილებშუა ვაცრა რამაზ კორინთელმა, — მიფრთხილდი, გუნებაზე არსად გადამეყარო, თორემ ღორივით გამოგჭრი ყელს!

რამაზ კორინთელი მოულოდნელად წამოდგა. შიშისაგან გაფითრებულ მთავარ ექიმს მუქარით ჩახედა თვალებში და რესტორანი სასწრაფოდ დატოვა.

რამაზ კორინთელმა ტელეფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილება მონახა, შემდეგ ასმეჩვიდმეტე ოთახი იოლად იპოვა და კარი ენერგიულად შეაღო.

ქოთნის ყვავილებით მორთულ ოთახში ერთადერთი მაგიდა იდგა. მაგიდას სრულიად ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი უჯდა.

— მობრძანდით, ბატონო რამაზ! — ფეხზე წამოდგა ქალიშვილი და სტუმარს სკამზე მიუთითა, აქ დაბრძანდითო.

„ღმერთო, სად მინახავს ეს ქალიშვილი? — დაფიქრდა რამაზ კორინთელი. — თვითონ მიცნო. ალბათ, სადაღაც მყავს გაცნობილი...“

— გმადლობთ, მე მაკა ლანდია მინდა. — თქვა ისე, სხვათა შორის, — უფრო სწორად, მე კი არ მინდა, მაკ ვუნდივარ.

— მე ვახლავართ მაკა ლანდია! — გაიღიმა ქალიშვილმა.

— თქვენ? — გაოცდა რამაზ კორინთელი.

„სიიდან ვიცნობ ან სად მინახავს? არადა, ნამდვილად ვიცნობ“

— დიახ, მე, რატომ ვაგიკვირდათ.

— ასე ახალგაზრდა და უკვე სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილე?

— გაოცებული ვარ, რომ თქვენ ეს ვიკვირთ. თქვენ, რომელმაც ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლის ასაკში მთელი საქართველო ალაპარაკეთ.

— მე სადიპლომო ნაშრომით სა-მეცნიერო ხარისხი მოვიპოვე და არა

თანამდებობა. თქვენს ნიჭიერებაში სრულებითაც არ მეპარება ეჭვი, თუმცა არ ვიცი თქვენს შემოქმედებას შეიძლება მოეწიოს?

— მოსწიეთ.

რამაზ კორინთელმა ჯიბიდან „ვინ-სტონი“ ამოიღო და ქალიშვილს გაუწოდა.

— ინებეთ!

— გმადლობთ, არ ვეწევი.

— უკაცრავად, მაშინ არც მე მოეწევი.

— მოსწიეთ, მიუხედავად ჩემი პატარა სტაჟისა, უკვე გადავეჩვიე მამაცთა თავაზიანობას.

— თქვენ გიორგი ლანდიას შვილი ხომ არ ბრძანდებით? — კორინთელმა სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიღო.

— დიახ.

— ჰოო, ყველაფერი გასაგებია!

— რა არის გასაგები?

— უბრალოდ, მივხვდი, როგორ დაგნიშნეს სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

— რატომ გგონიათ, რომ უკანონოდ დაგნიშნეს?

— კიდევ ვიმეორებ, თქვენს ნიჭიერებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თანამდებობას გამოცდილებაც ხომ უნდა. რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაორი შემისრულდა.

— გამოდის, მუშაობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყიათ. თანაც იმავე წუთში ტელეფონების სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორის მოადგილედ დაგნიშნეს. გულზე ხელი დაიდეთ, თქვენამდე რამდენ ნიჭიერ და დამსახურებულ კაცს ერგებოდა მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობა, რამდენ კაცს გადავახტუნეს თავზე? განა თქვენ თვითონვე არ იცით შესანიშნავად, მამათქვენი რომ თანამდებობა პირი არ ყოფილიყო, რაიონში გაგანაწილებდნენ სამუშაოდ?

ქალიშვილს თვალები ცრემლებით ავესო. ფერფლისფრად შეღებულ თმა-

ზე ხელი გადაისვა და გალიმებას შეუცადა.

— მამატიეთ, გული გატკინეთ.

და გამიგოთ. მე უპატრონოდ გაზრდილი ობოლი ვარ, ერთი დის მეტი არავინ მყავს ამ ქვეყანაზე. ნუ გაგიკვირდებით, თუ გელაპარაკებით იმ ნიჭიერი ხალხის სახელით, უპატრონობის გამო სიკვდილამდე ჩრდილში ყოფნა რომ უწერიათ.

მაკა ლანდია ხმას აღარ იღებდა. მაგიდას დასჩერებოდა და გრძელი, ლამაზი თითებით კალმისტარს აწვალებდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, დადგა დრო, ფეხზე წამომდგარიყო და სასტიკად განაწყენებულ ქალიშვილს დამშვიდობებოდა. ერთბაშად ინანა თავისი საქციელი. იგრძნო, წასვლა აღარ უნდოდა, თუმცა ვერ მიმხვდარიყო ერთი შეხედვით არცთუ ძალიან ლამაზი, მაგრამ ეფექტური ქალიშვილისა რა იზიდავდა. იქნებ ხალიან ღრმა, ჭკვიანი და ლამაზი თვალები? იქნებ გრძელი, ნატიფი თითები და ნაზი მკლავები? იქნებ გამოხედვა, ლაპარაკის ზომიერი მანერა ან მომხიბვლელი ღიმილი? იქნებ ყველაფერი ერთად?

„მარინე ხომ უფრო ლამაზია, მაგრამ განა მის თვალება ექნება როდისმე ასეთი სიღრმე?“

„ნეტავ, როგორი ფეხები აქვს, არ გამოვა მაგიდის აქეთ?“

„ინგა? — გაჰკრა უცებ გულში, — იმას შეედრება? არა, ინგა ერთადერთია ამ ქვეყანაზე. განა შეიძლება იგი ვინმეს შეეადაროს?“

„ღმერთო, რატომ დამსაჯე ასე. ინგა უნდა დავივიწყო. აუცილებლად უნდა დავივიწყო.“ — რამაზ კორინთელს ერთბაშად მოეწამლა გუნება.

„და თუ მაინც არ დამავიწყდა? მაშინ? რა მეშველება მაშინ?“

„არის ერთადერთი გამოსავალი, ტყვია შუბლში!“

უცებ გონება გაუწათდა.

„აი, ვის შეუძლია დამიხსნას ინგასაგან! აი, ვის შეუძლია დამავიწყოს სა-

კუთარი დის გაუგონარი სიყვარული!
ჩამოწოლილი დუმილი მაკამ დაარ-
ღვია.

— არ მეგონა, თუ ჩვენი შეხვედრა
ასეთი იქნებოდა.

— ბოდიში მინდა მოგიხადოთ. და-
მიჯერეთ, მერწმუნეთ. უნებურად
გატყინეთ გული. უმორჩილესად
გთხოვთ, დაივიწყოთ ცხოვრებით
განწყენებული კაცის სიტყვები.

— უბედურება ისაა, რომ თქვენ
მართალი ბრძანდებით.

ქალიშვილის სახეზე გამოსახულმა
მწარე ღიმილმა და სევდიანმა თვა-
ლებმა რამაზ კორინთელს საბოლო-
ოდ ჩაუნერგა ხსნის იმედი. მიხვდა,
მიუხედავად ახალგაზრდობისა, თით-
ქმის ბავშვობისა, ამ გამოხედვის პატ-
რონი ჩვეულებრივი, უბრალო ქალი-
შვილი არ იქნებოდა. როგორი ღრმა
იყო მაკას თვალები, როგორი შთამ-
ბეჭდავი და ტევადი იყო მისი გამო-
ხედვა.

უნებურად შეადარა იმ გოგონებს,
ვისთანაც აქამდე მეგობრობდა, პრი-
მიტიული სახის უკან ტვინი დამშრალი
და დასილული ტბების ფსკერებს
რომ მიუგავდათ.

— კიდეც ერთხელ გთხოვთ, მაჰა-
ტიოთ.

— საპატიებელი არაფერი გაქვთ.
სრული სიძარტლე ბრძანეთ და მიხა-
რია, რომ დამაფიქრეთ. მამაჩემის
წყალობით ყველა მეფერება. ჯერ კი-
დეც უნივერსიტეტის დამთავრებამდე
საუკეთესო პირობები შემიქმნეს, რომ
რამდენიმე გადაცემა მომეზადებინა.
თავისთავად გადაცემები არ იყო ური-
გო, მაგრამ ჩემი ავტორიტეტის შექ-
მნისათვის, ნიჭიერი სცენარისტის სა-
ხელის შერქმევისათვის თავიდანვე
იზრუნეს. უნივერსიტეტის დამთავრე-
ბისთანავე რედაქტორად დამნიშნეს.
შტატი მე თვითონ მოვიტანე. სულ მა-
ლე მთავარი რედაქტორის მოადგილე
პენსიაზე გაუშვეს, მის ადგილზე კი
მე დამნიშნეს. თავდაპირველად მეუხე-

რხულებოდა კიდეც, ასე სწორად
რომ დამაწინაურეს. მერე თანდათან
ნობით დავიჯერე, რომ ყველაფერს სა-
მართლიანად და კანონიერად მივალწიე.
ორი-სამი თვის შემდეგ აღარ მახსოვ-
და, რომ ერთი ჩემი თანაკურსელი ვა-
ჟი. ჩემზე გაცილებით ნიჭიერი, სად-
ღაც რაიონული გაზეთის კორესპონ-
დენტად გაუშვეს. აღარ მეუხეხებულე-
ბოდა, რომ შტატი, რომელიც მე მო-
ვიტანე, მამაჩემის წყალობა იყო. და რა-
კი შტატი მამაჩემმა გამოაყოფინა, მჯე-
როდა, ის თანამდებობა აუცილებლად
მე უნდა დამეკავებინა. თუ ტელეფილ-
მების სასცენარო განყოფილებას შტა-
ტი ეკუთვნოდა, მამაჩემის გარეშეც
უნდა გამოეყოთ. ხოლო რედაქტორის
თანამდებობაზე ის უნდა დაენიშნათ,
ვისაც მეტი დამსახურება, ნიჭი და გა-
მოცილებება ჰქონდა. ვხედავ, როგორ
უჭირს ახალგაზრდა ხალხს სცენარე-
ბის დამტკიცება მაშინ, როცა ჩემი
სცენარის ქებაში ერთმანეთს ეჯობე-
ბიან. ჩემთვის ჯერ არავის უგონობი-
ნებია, დაუმსახურებლად დაგაწინაუ-
რესო, მაგრამ განა მაპატიებდნენ, რომ
მამის წყალობით ამოდენა ნახტომები
გავაკეთე? სამწუხაროდ, მე თვითონ
დავიჯერე ჩემი მოქმედების სამართ-
ლიანობა და ადამიანების თვალეში
აზრების წაკითხვასაც გადავიჩვიე.

რამაზ კორინთელი თანდათან იხიბ-
ლებოდა. მიხვდა, მაკა ლანდია სულიე-
რად წმინდა ადამიანი იყო, გულწრფელი
და ჰკვიანი, აამართლიანი და კეთილი.

— ამაღამ ჩემებს მოველაპარაკები
და ხვალვე დავწერ განცხადებას, რი-
გით რედაქტორად გადამიყვანონ.

— არავითარ შემთხვევაში! — აღ-
შფოთდა უცებ კორინთელი.

— რატომ? — გაოცდა მაკა.

— მე არ მინდა ვიყო მიზეზი თქვე-
ნი სულელური ნაბიჯისა.

— არ ვიცი, რამდენად დელიკატუ-
რად გამოგივიდათ „სულელური ნაბი-
ჯი“, მაგრამ მე ველარ გავიგე თქვენი
პოზიცია?!

— გულწრფელად რომ ვითხრათ, და რატომღაც საშინელი სურვილი გამიჩნდა, თქვენთან გულწრფელი ვიყო, ჩემი აზრები ძალიან განსხვავდება ჩემი საქციელისაგან.

ქალიშვილმა დაბნეული მზერა მიაპყრო რამაზ კორინთელს.

— ჯერჯერობით ქართველი ხალხი და, ალბათ, საერთოდ, არც ერთი ხალხი არ არის მზად შეათასოს ადამიანთა კეთილშობილება.

მთავარი რედაქტორის მოადგილის კაბინეტში ვიღაც სათვალისანი ქალიშვილი შემოიჭრა. უცნობი ჭაბუკი რომ დაინახა, ბოდიში მოიხადა და სწრაფად უკანვე გაბრუნდა.

— დიახ, — გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი რამაზ კორინთელმა, — კეთილშობილებისაკენ მოგვიწოდებენ ყველგან და ყველაფერში. კეთილშობილებაზე ლაღადებენ რადიოში, ტელევიზიაში, პრესაში. კეთილშობილებას უმღერიან პოეტები და მწერლები. სინამდვილეში კი...

რამაზ კორინთელს თვალები წამოენთო.

მაკა ლანდია თითქოს თანდათან გამოდიოდა ნისლიდან. დიპლომის დაცვის დღეს ხან მოსწონდა, ხან აღიზიანებდა რამაზ კორინთელი. მთელი საღამო და კიდეც ორი დღე ცდილობდა, გარკვეულიყო თავის გრძნობებში. არაფერი გამოუვიდა. ახლა კი აშკარად მოეწონა ვაჟის გულწრფელი აღფრთოება, ანთებული თვალეები და მოზღვავებული ტემპერამენტი.

— სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, იმ ადამიანებს ვცემთ მეტ პატივს, ვინც უნამუსოდ, უტიფრად მიიწევს წინ დასახული მიზნისაკენ. რასაკვირველია, ძალზე გვაღიზიანებს მათი თავხედური საქციელი, გული სავესე გვაქვს ბოლმით და ზიზღით. პატივს კი მაინც ვცემთ. თანაც მით უფრო მეტ პატივს ვცემთ, მეტი მოკრძალებით ვექცევით, რაც უფრო თავხედია და უტიფარი. ერთი სიტყვით,

ჩემო მაკა, ჩვენ ჯერ არ ვართ მომწიფებული ადამიანის კეთილშობილების დასაფასებლად. ნუ დაწერთ განცხადებას. სამწუხაროდ, თქვენი მორალური გამირობისათვის ტაშის დამკვრელი არავინ გეყოლებათ! — რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა. — არ ვიცი, რატომ დამიძახეთ, მაგრამ დაახლოებით ვიცი, ტელევიზიაში ხალხს რისთვის ეძახიან. მე ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, დაფი და ნალარა რომ დაგკრათ და ერი შევაწუხოთ. გარდა ამისა, მე ჩემი ბუნებით არა ვარ სენსაციების მოყვარული კაცი.

— ბოდიშს გიხდით, რომ ტყუილად მოგიყვანეთ! — გაიღიმა მაკამ, თვითონაც ფეხზე წამოდგა და ვაჟისკენ წამოვიდა.

რამაზ კორინთელმა წამიერად მაინც მოახერხა, ქალიშვილის ფეხები შეეთვალიერებინა.

მაკა ლანდია თხელი და მაღალი ქალიშვილი იყო. უფრო მაღალიც კი აღმოჩნდა, ვიდრე კორინთელს თავიდან ეგონა. სიმაღლეში თითქმის ტოლს არ უდებდა. სქელი სვიტრის ქვეშ იგრძნობოდა თხელი, გამხდარი ტანი, თუმცა მკერდი საკმაოდ რელიეფურად ამოებურცვოდა.

— პირიქით, ბოდიშს მე გიხდით, რომ მოლოდინი გაგიმტყუნეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

— იცით, მე ვიყავი თქვენი დიპლომის თუ დისერტაციის დაცვაზე, — თქვა პასუხად მაკამ.

რამაზ კორინთელს გონება ერთბაშად გაუნათდა.

— ვიცი, უკანასკნელის წინა რიგში იქვეით, განაპირას. ჩალისფერი კაბა გეცვათ და ჩალისფერივე სქელი ჯემპრი.

— მართლა შემამჩნიეთ?! — გაოცდა მაკა.

— განა ეჭვი გეპარებათ?

— ყველას სახე დაიმახსოვრეთ, ვინც იქ იყო?

— ყველასი, ვინც გამაღიზიანა ან საინტერესოდ მომეჩვენა.

— ჩემმა სახემ რა ემოციები აღძრა თქვენში?

— ჯერ თქვენ მითხარით, მე როგორი შთაბეჭდილება დავტოვე?

— გულწრფელად ვითხრათ?

— რასაკვირველია!

— ფიზიკისა არაფერი გამეგება. როგორც ადამიანი კი, ნუ გეწყინებათ და, არ მომეწონეთ.

— ახლა?

— კიდევ უფრო განმიმტკიცდა ჩემი აზრი.

— გულწრფელობისათვის მადლობა მომიხსენებია!

— თქვენი რიგია პასუხისა. მე, მაკა ლანდია, დიდი მომავლისა და ფენომენალური ნიჭის პატრონ ახალგაზრდა მეცნიერს რა ნიშნით დავამახსოვრდი, საინტერესო პიროვნებად მოვეჩვენე თუ გავაღიზიანე?

— ნამდვილად საინტერესო პიროვნებად მომეჩვენეთ.

— აი ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ და უკვე შესანიშნავად იცით ჩემი აზრი თქვენს პიროვნებაზე, აზრი შეგეცვალათ თუ განგიმტკიცდათ?

— განმიმტკიცდა.

— გმადლობთ, ძალიან გამახარეთ, თუნდაც მამაკაცური თავაზიანობის და რაინდობის გამო იყოს ნათქვამი ეგ სიტყვა.

— სრულიად გულწრფელად მოგახსენეთ. მე არ მიყვარს ყალბი რაინდობა.

— დასაფასებელი თვისებაა. შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგკეთო?

— ბრძანეთ.

— წელან თვითონვე თქვით, რომ დაახლოებით იცოდით, აქ რისთვის მოდიოდით. ყოველ შემთხვევაში, თქვენს პარტიუროს მდივანს ნათლად განვუმარტეთ, თქვენზე რომ დოკუმენტური ფილმის გადაღება გვაშურდა.

— დიახ. მან დაახლოებით მომახვედრა, რისთვისაც დამიბარეთ.

— გთხოვთ, გულახდილად მიპასუხოთ. ნამდვილად წინასწარ გქონდათ გადაწყვეტილი უარი გეთქვათ ტელეფილმის გადაღებაზე თუ ჩემმა ახალგაზრდობამ და გამოუცდლობამ გადაგადგმევინათ ასეთი ნაბიჯი?

— ერთმაც და მეორემაც. უფრო სწორად კი, — არც ერთმა და არც მეორემ!

რამაზ კორინთელს სახეზე ორაზროვანი ღიმილი წელა, მაგრამ საფუძვლიანად ჩამოუყალიბდა.

— სამწუხაროდ, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია! — სინანულით თქვა მაკამ და სტუმარს კარისაკენ გაუძღვა.

— არაფერიც არ არის თქვენთვის გასაგები!

მაკა შემობრუნდა და შენიშნა, რომ რამაზ კორინთელი ადგილიდან არ დაძრულა.

— კიდევ გეუბნებით, მე არა ვარ ხმაურისა და სენსაციების კაცი, მაგრამ თქვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დავტოვებდი, ერთი რამის რომ არ მეშინოდეს.

— რისი გეშინიათ? — გამოცოცხლდა მაკა.

— გულახდილად ვითხრათ?

— დიახ!

— მეშინია, რომ შემეყვარდებით.

ქალიშვილმა რამაზ კორინთელს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა ჭაბუკის სახეზე ამოეკითხა, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა.

რამაზ კორინთელი გააკვირვა ქალიშვილის მკაცრმა გამოხედვამ.

— განა ასე საშიშია ჩემი შეყვარება?

— სწორად ვერ გამოგეთ. იქნებ თქვენთვის, ტელესცენარისტისათვის არ აღმოჩნდეს საინტერესო მეცნიერებაში, კერძოდ ფიზიკაში ჩაფლული ახალგაზრდა კაცი. მაშინ ჩემზე ტრაგიკული პიროვნება ქვეყანაზე არავინ იქნება. კარგად ბრძანდებოდეთ!

რამაზ კორინთელმა ოთახი სწრაფად

გადაჭრა და კარი, ჩვეულებისამებრ,
ენერგიულად გაიხურა.

— მაგიდის ერთ თავში მაკა იჯდა, მეო-
რეში მამამიაი, გიორგი ლანდია.

მაკა ჩუმად იყო. უჩვეულოდ ჩუმად.
დედამ შემოსვლისთანავე შენიშნა
შვილს უგუნებობა.

— არაფერია, დავიღალე! — მოკ-
ლედ მოუჭრა შვილმა.

მამას არაფერი შეუშინებია. თავდახ-
რილი ჩუმად ჭამდა და, ალბათ, სულ
სხვა ამბებზე ფიქრობდა.

მაკას კოვზისთვის ხელი არ დაუკა-
რებია, მაგიდას იდაყვებით დაყრდნო-
ბოდა და თავი მომუშტულ ხელებზე
ნიკაპით ჰქონდა ჩამოდებული. იჯდა
და მამას ჭიუტად მისჩერებოდა. მოთ-
მინებით ელოდა, ფიქრში წააული მამა
როდის შენიშნავდა, მისი ერთადერთი
და საყვარელი ქალიშვილი რომ არ ჭამ-
და და სახეზეც უწინდელივით აღარ გა-
დაჰკრავდა უღარდელი იერი.

ბატონი გიორგი ვერაფერს ამჩნევ-
და. დიდმა თანამდებობამ, ირგვლივ
მყოფთა მოკრძალებამ და პატივისცე-
მამ შეცვალა მისი ბუნება. უფროსო-
ბას შეჩვეული შინაც ვერ ახერხებდა
კაბინეტში მიღებული ინერციის დაძ-
ლევას.

— შვილო, გაცივდა წვნიანი! —
შეწუხდა დედა.

მამას არც მეუღლის შეძახილზე მი-
უქცევია შვილისთვის ყურადღება. ხელ-
ში უკვე პატარა ფინჯანი ეჭირა და
თურქულად მოხარშულ უშაქრო ყავას
მიირთმევდა.

— მამა! — თქვა ბოლოს მაკამ.

ბატონმა გიორგიმ თავი ასწია და
შვილს თვალებით ანიშნა, გისმენო.

ფიქრებში წასულმა ვერ შეამჩნია,
შვილა ნერვიულობისაგან ხმა როგორ
უკანკალებდა.

— მამა! — მტკიცე და კატეგორიული
ხმით გაიმეორა მაკამ.

მამამ ახლა კი გაცივებით შეხედა
ქალიშვილს, უნდოდა ეთქვა, ჩქარა
მითხარი, რა გინდა, უნდა წავიდეთ
შენთვის არა მცალიაო, მაგრამ შვილის
აღზნებულ თვალებს რომ შეხედა,
სათქმელი პირზე შეახმა.

— რა მოხდა, გისმენ!

მამის ცივად ნათქვამმა ფრაზამ და-
ეუქვა ქალიშვილი, ღირს კი ველაპარა-
კო, თავისი თანამდებობით მთვრალი
გამიგება კი, რივი თქმაც მინდაო?

— გისმენ, შვილო!

მაკას ამჯერად უფრო თბილი ეჩვენა
მამის ხმა.

— განცხადება დავწერე!

— რა განცხადება?

— არ მინდა მთავარი რედაქტორის
მოადგილეობა. მოვიტხოვე, რიგით
რედაქტორად გადამიყვანეთ-მეთქი.

— უკვე ჩააბარე?

— ამ ერთი საათის წინ დავწერე.
ხვალ დილით ჩავაბარებ კომიტეტის
თავმჯდომარეს.

— შენი გადაწყვეტილება საბო-
ლოთა?

— დიახ, საბოლოო.

— აბა, მე რაღას მითანხმებ?

— საჭიროდ ჩავთვალე, რომ შენც
საქმის კურსში იყო.

— გაგიჭირდა? თავი ვერ გაართვი
სამუშაოს?

სასადილო ოთახში დედაც შემო-
ვიდა, მაგიდას მიუჯდა და შვილს
შემოფთობებული თვალებით შეხედა.

— არა, მუშაობა არ გამჭირვებია.

— აბა, რა მოხდა?

— სასცენარო განყოფილებაში ბევ-
რი რედაქტორია, რომელთაც სტაჟი-
თაც, შემოქმედებითაც და გამოცდი-
ლებითაც უფრო ეკუთვნოდათ მთავა-
რი რედაქტორის მოადგილის თანამ-
დებობა. მე არ მინდა, შენი გავლენით
ვისარგებლო. არც ჩრდილი მინდა მო-
გაყენო და ვინმეს ვათქმევინო, თა-
ნამდებობას ბოროტად იყენებსო. მინ-

და ყველაფერს ჩემით მივალწო. არ მსურს ვინმეს საკბილო გავუჩინო.

— ადამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ ილაპარაკოს.

— მთავარი მაინც ისაა, რომ მიხდა ყველაფერს ჩემით და გავლენიანი მშობლების დაუხმარებლად მრავალწო ვიცო, შენი სახელი და გვარი მაინც წამეშველება, საქმეს გამაიადვილებს, ყველგან მოკრძალებით და პატივისცემით მომექცევიან. მაგრამ, რა ვქნა, რასაც ვერ გავქეცევი, ვერ გავქეცევი. უნდა დამეთანხმო, ცუდად მოვიქეცი, რომ თავიდანვე იმოდენა თანამდებობაზე დავინიშნე.

მამამ არაფერი უპასუხა. ფინჯანი პირთან მიიტანა და ყავა მოსვა.

— განცხადების დაწერა როდის გადაწყვიტე?

— დღეს.

— ადრეც გაწუხებდა შენი ნაადრევი დაწინაურება თუ ერთბაშად მოხდა რამე?

მაკა დაიბნა, ტყუილის თქმა არ შეეძლო. მიხვდა, მამამისის გამოცდილ თვალს არაფერი გამოჰპარვია.

— რა მნიშვნელობა აქვს, როდის და რატომ გადაწყვიტე? მთავარია, რომ გადაწყვიტე.

— გულწრფელად მივესალმები შენს გადაწყვეტილებას. მე ყოველთვის მჯეროდა შენი ნიჭისა და კეთილშობილებისა. მიხარია, რომ არ ჰგავხარ მშობლებით გათავებდებულ ზოგიერთ ახალგაზრდას. თანახმა ვარ, ყველაფერი თავიდან დაიწყო. ოღონდ ერთი რამ მაფიქრებს სერიოზულად. ჯერ კიდევ გუშინ თავში მსგავსი აზრები არ გიტრიალებდა. რა მოხდა ოცდაოთხი საათის მანძილზე? მეჩვენება და საფუძველიც მაქვს მჯეროდეს, რომ არა ხარ ბოლომდე გულწრფელი, განცხადების მიტანას კი ნუ იჩქარებ. ორი დღე კიდევ გედოს შინ. თუ ორი დღის შემდეგ გადაწყვეტილებას არ შეიცვლი, მაშინ უნდა გადადგა კიდევ გამამწყვეტი ნაბიჯი.

მამა წამოდგა, შვილთან მივიდა,

შუბლზე აკოცა და მეუღლეს მიუბრუნდა, ამდენი ხანი რომ სახეზე არაფერი მხედავს, ბული ისმენდა მამა-შვილის დიალოგს.

— ნუ ნერვიულობ. მე მჯერა მაკასი. ჩემი ჭკვიანი გოგონა იოლად არ შეცდება! აბა, მე წავალ ისევ სამსახურში.

კომიტეტის თავმჯდომარემ დიდხანს ატრიალა ხელში მაკა ლანდიას განცხადება. ვერ გაეგო, რა მოხდა, რატომ მოისურვა უცებ მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობიდან რიგით რედაქტორად გადასვლა.

— იქნებ აწყენინა ვინმემ? — ჰკითხა ტელეფილემების სასცენარო განყოფილების მთავარ რედაქტორს.

— პირიქით, ყველა უფერებდა, უბატონოდ ხმას არავინ სცემდა.

— იქნებ ვერ გაუძლო სამუშაოს, ვერ მოერგო თანამდებობას?

— მაკა ძალზე ნიჭიერი გოგონაა და კარგი ორგანიზატორი.

— აბა, რა მოხდა, განცხადებაში რიგით რედაქტორად გადაყვანის მიზეზი არ წერია. სიტყვიერად მაინც არ უთქვამს, რატომ მოისურვა რიგითი რედაქტორობა?

— არაფერი არ უთქვამს, გარდა იმისა, რაც განცხადებაში წერია, სურვილი მაქვს რიგითი რედაქტორი ვიყო.

კომიტეტის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და მხრები აიჩჩია.

— სად არის ახლა?

— აგერ დგას, მოსაცდელში.

ირაკლი ლომიძემ სელექტორის კლავიშს თითი დააჭირა და მდივანს უთხრა, მაკა ლანდია შემოუშვიო.

კაბინეტის კარი გაიღო, მაკა შემოვიდა და იქვე, კარებთან გაჩერდა.

— მობრძანდით, მაკა! — ღიმილით წარმოთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ, ფეხზე წამოდგა და ქალიშვილის შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— დაბრძანდით, — კომიტეტის თავმჯდომარემ სკამი თვითონ გამოუწია.

— გმადლობთ! — მკაცრად.

— როგორ გავიგო თქვენი განცხადება? იქნებ გაწყენინათ ვინმემ? იქნებ რაღაც ცუდი და უკადრისი გაგაგონეს?

— არა. ბატონო ირაკლი, არავის არაფერი უწყენინებია სამწუხაროდ, თავიდანვე ვერ გავითვალისწინე, რომ ჩემზე წინ მთავარი რედაქტორის მოადგილის თანამდებობა უფრო გამოცდილ და დამსახურებულ ხალხს ეკუთვნოდა.

— კი, მაგრამ... — დაიბნა კომიტეტი თავმჯდომარე. ველარ გააგრძელა. ან კი რა ჰქონდა სათქმელი. — მამამ იცის?

— იცის, გუშინ ველაპარაკე.

— მერე?

— თანახმაა.

კომიტეტის თავმჯდომარემ მაგიდაზე დადებული სათვალე აიღო და დინჯად დაუწყო წმენდა. სათვალე ახალი გაწმენდილი ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, რა გადაწყვეტილება მიეღო და ცდილობდა მისი გულმოდგინედ წმენდის დროს მოეფიქრებინა, რა გზას დასდგომოდა.

— მე მაინც უნდა დავურეკო, — კომიტეტის თავმჯდომარემ ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელებულა. გიორგი ლანდიას კოლეგიის სხდომა ჰქონდა.

კომიტეტის თავმჯდომარემ ყურმილი ბერკეტზე დადო, თავი გააქნია, რაც ნიშნავდა, ვერაფერი გამიგიაო, და მცირეაღენი დუმისის შემდეგ მაკას მიუბრუნდა.

— ბატონი გიორგი თანახმაა. კი, ბატონო, თუ ასე გასურთ, რა მაქვს საწინააღმდეგო. მაგრამ, უბრალოდ, მთავარს თქვენი გადაწყვეტილება. მთავარს, რადგან ვერ ჩაეწვდი თქვენს ჩანაფიქრს, თქვენს მიზანს. რატომღაც მკონია, რომ სულ სხვა მიზეზის გა-

მო მოისურვეთ, ასეთი ნაბიჯი გადაგედგათ. თქვენი ნებაა. ოღონდ რამეზე შევთანხმდეთ, განცხადებას ვერ რეზოლუციას არ დავადებ. ორშაბათამდე მაინც იფიქრეთ. თუ მანამდე აზრს არ შეიცვლით, რეზოლუციასაც დავადებ და ბრძანებასაც იმავე დღეს დავწერთ.

— ჩათვალეთ, რომ უკვე ორშაბათია და აზრი მაინც არ შემიცვლია. წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

მაკა თავაზიანად წამოდგა, ორთვეს თავი დაუტრა და კარისაკენ გაემართა.

„რა მოცეკვავე იქნებოდა!“ — გაიფიქრა კომიტეტი თავმჯდომარემ და ნარნარით მიმავალი, მალალი, თხელი ქალიშვილისათვის თვალი არ მოუცილებია, სანამ კარს იქით არ გაუჩინარდა. მერე თითქოა ერთბაშად გამოერკვაო. განცხადება ხელახლა გადაიკითხა, მხრები აიჩეხა და ტელეფილმების სასცენარო განყოფილება მთავარ რედაქტორს უთხრა, ვერაფერი გამიგიაო.



ტელეფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილებაში ყველა გააკვირვა მაკა ლანდიას გადაწყვეტილებამ. ვერ გავიგოთ, რა მოხდა. ათასგვარი ვერსიად დაიბადა, ათასი მიზეზი გამოჩნრიკეს, მაგრამ თვითონვე ხედებოდნენ თავიანთი ეჭვებისა და გამონაგონის უსუსურობას. ვერც ერთი მიზეზი ვერ უმკლავდებოდა ქალიშვილის ბედნიერ სახეს. მაკა ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილი გამომეტყველებითა და თბილი ბუნებით, მაგრამ ახლა მისი თვალეები სხვანაირი სინარულით იყო სავსე, სულ სხვანაირი, დიდი ბედნიერება ჰქონდა სახეზე აღბეჭდილი.

— მაკა, რა მოხდა, რამ გადაგადგმევინა პირადად ჩემთვის და ალბათ სხვებისთვისაც გაუგებარი ნაბიჯი? — ჰკითხა ლიამ, სტუდიაში ყველაზე ახლო მეგობარმა.

— არ მეგონა, თუ ჩემი გადაწყვეტილება ამოდენა მოთქმა-მოთქმას გამოიწვევდა. ჯერ ერთი, აქ ბევრია ჩემზე დამსახურებული ადამიანი, რომლებსაც პირველ რიგში ეკუთვნოდათ მთავარი რედაქტორობა. ვიცი, არ დამიჯერებთ, რომ ამისათვის დავწერე განცხადება, თუ არ დამიჯერებთ, თქვენი ნებაა. ძალას ვერ დავატანთ. მეორე მიზეზსაც გეტყვით. ოცდაორი წელი დიდი ხანი არ არის, რაც შემისრულდა. მინდა უფრო თავისუფლად ვიყო, სერიოზული იერი და შრომა მერეც მეყოფა.

სტუდიის თანამშრომლებს სჯეროდათ და თან არ სჯეროდათ მაკას სიტყვები. ვერ უარყოფდნენ, რომ ქალიშვილის განმარტება ძალზე რეალურად და საფუძვლიანად ეღერდა, მაგრამ მაკას ბედნიერებით და აღმაფრენით სავსე გამოხედვა მინც იძლეოდა ათასგვარი ეჭვის საბაბს.

მაკა ლანდიას სულაც არ ანადგობდა კომიტეტის თავმჯდომარის გაცემული სახე ან ტელეფონლების სტუდიის სასცენარო განყოფილების თანამშრომელთა მოთქმა-მოთქმა. ქალიშვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ პირველად გადადგა დიდი და დამოუკიდებელი ნაბიჯი. პირველად მოინდომა დამდგარიყო ცხოვრების პირისპირ, პირველად მიხვდა, რა ბედნიერებას მოუტანდა საკუთარი ძალღონითა და ნიჭით მოპოვებული წარმატება.

„რას იტყვის რამაზ კორინთელი, როცა გაიგებს ჩემი ნებასურვილით დაქვეითების ამბავს?“

მაკა ლანდია შეერთა.

„რატომ გამახსენდა რამაზ კორინთელი?“

„მე ხომ არავისი აზრი არ მაინტერესებს ჩემს გადაწყვეტილებაზე?“

„იქნებ კორინთელი იმიტომ გამახსენდა, რომ მასთან საუბრის შემდეგ

გამოვფხიზლდი და სხვანაირად შევხედე ცხოვრებას?“

„რასაკვირველია, მხოლოდ გამახსენდა!“

„მაგრამ შინაგანად ხომ ვგრძნობ და ხომ უნდა გამოვუტყდე საკუთარ თავს, რომ ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის, როცა ჩემს გადაწყვეტილებას გაიგებს?“

„მეშინია, რომ შემეყვარდებით!“ — გაახსენდა უცებ რამაზ კორინთელის სიტყვები.

უნებურად ირგვლივ მიმოიხედა. იმდენად გარკვევით გაიგონა ჭაბუკის აიტყვები, შეეშინდა, სხვა ხომ არავინ გვიამენსო. ისიც კი გადაავიწყდა, კაბინეტში მარტო რომ იყო.

„იქნებ გულში ჩამივარდა ეს მალალი, დაკუნთული ბიჭი, წყალბურთელს რომ უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერს?“

თვითონვე შეეკრთო საკუთარმა ეჭვმა. თუმცა ისიც იგრძნო, სასიამოვნო გრძნობა სახეზე ნიაკით რომ მიელამუნა.

ოთახში ჩაიკეტა. სანამ ახალ მთავარი რედაქტორის მოადგილეს დანიშნავდნენ და მაკას საერთო ოთახში მაგიდას მიუჩენდნენ, რამდენიმე დღე კიდევ მოუწევდა მთავარი რედაქტორისა მოადგილის კაბინეტში ყოფნა. ჩანთიდან სარკე ამოიღო და საკუთარი სახე შეათვალიერა. ყველაზე კარგად თვითონ იცოდა თავისი თავის ფასი. სიმაღლე, ჰაეროვნება და სინაზე იყო მაკას მთავარი კოზირები. ლამაზიყო, ვერ იტყოდით, მაგრამ უჭკვიანესი თვალები და შთამბეჭდავი გამოხედვა მთლიანობაში უცხოურ და გამორჩეულ იერს აძლევდა. ჰქონდა რაღაც ისეთი, სიტყვით რომ ვერ გამოთქვამ კაცი. ას ქალში რომ ჩაგეყენებინათ, პირველი აუცილებლად მაკა ლანდია მოგხვდებოდათ თვალში.

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“ — ჩაესმა ისევ რამაზ კორინთელის ხმა.

„რას იტყვის, ჩემს გადაწყვეტილებას რომ გაიგებს?“ — მაკა ლანდია მიხვდა, აზრი არ ჰქონდა საკუთარი თავის მოტყუებას. აღიარა, ძალზე აინტერესებდა ახალგაზრდა მეცნიერის აზრი.

„რას იტყვის? გაცდება? გაუკვირდება? გაეხარდება?“

ქალიშვილმა ისევ იგრძნო სახეზე ნიავის სასიამოვნო ლამუნნი.

„გაეხარდება?“

„რატომ უნდა გაეხარდეს?“

„ვთქვათ, გაეხარდება, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კაცის სიხარულს?“

„მაგრამ თუ მაინც აქვს მნიშვნელობა? თუ მაინც მაინტერესებს მისი აზრი? რა უნდა დავარქვა ამ განცდას?“

„სიყვარული?“

„ვთქვათ, სიყვარული! მერე? სულ ეს არის სიყვარული?“

„იქნებ სულაც ჩემი განცდები შურისძიებაა შეურაცხყოფილი ქალიშვილისა? მან გუშინ შეურაცხყოფა მომაყენა. კაცმა რომ თქვას, თუ უტაქტოდ პირში მოხლას შეურაცხყოფად არ ჩავთვლით, სიმართლე მითხრა.

იქნებ ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ რეაქციაა, მხოლოდ პასუხია რამაზ კორინთელის მიერ დაურიღებლად, უცერემონიოდ ნათქვამ სიმართლესზე? იქნებ ამიტომაც ვყავარ შეპყრობილი სურვილს, გაიგოს ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი? თუ მე ჩემი განვლილი ცხოვრების შეცდომას მიეხვდი და შევეცადე დღეიდან სხვანაირად ვიცხოვრო. რატომ უნდა მაინტერესებდეს, ჩემი გადაწყვეტილება რამაზ კორინთელმაც იცოდეს, კაცმა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ვიცნობ?“

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“ —

კვლავ ხმამაღლა ჩაესმა რამაზ კორინთელის ხმა.

უცებ კარადაში ჩადგმული ციმი ტელევიზორი დაინახა.

ეკრანიდან ვილაც სოლიდური, ჭალარა კაცი პირდაპირ მაკა ლანდიას მისჩერებოდა. ქალიშვილი შეკრთა. ისეთმა განცდამ შეიპყრო, თითქოს ის ჭალარა კაცი კაბინეტში ჩუმად შემოიპარა. თითქოს ყველაფერი უნამუსოდ მოისმინა და დაინახა.

ტელევიზორს ხმა ბოლომდე ჰქონდა დაწეული, მაგრამ ჭალარა კაცი ეკრანიდან ისეთი დაჟინებით შემოსცქეროდა, ქალიშვილი დანაშაულზე წასწრებულებით შეცბა.

განერვიულებულმა ღილაკს თითი მაგრად დააჭირა და ტელევიზორი გამოთიშა. ერთხანს გაშტერებული მისჩერებოდა ჩაბნელებულ ეკრანს, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა, კაბინეტში კიდევ ხომ არავინ შემოპარულაო.

„იქნებ სულ ესაა სიყვარული?“ — უნებურად გააგრძელა ფიქრი მაკამ.

„წარმოუდგენელია! — დასკვნა უმაღლესი, — არ შეიძლება სიყვარული მხოლოდ თბილი და სასიამოვნო ურთიერთობა იყოს!“

„იქნებ დასაწყისია? იქნებ ასე იწყება სიყვარული?“

ქალიშვილმა სარკე ისევ ჩანთაში ჩადო, სკამის საზურგეს მიაწვა და თვალები დახუჭა.

„ღიახ, იქნებ დასაწყისია? იქნებ ასე იწყება სიყვარული?“

მაკა ლანდია წამოდგა და სივრცეს გაუღიმა. არ იცოდა, ვერ გაეანალიზებინა, რა მოხდა. მის არსებაში რა გრძნობამ დაისადგურა.

მთავარი მაინც ერთი იყო, თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა.



— მოსკოვში მიდინარ? — ჰკითხა სოსო შადურმა კორინთელს.

— ორი დღის შემდეგ.

— რა ხდება?

— ძალიან განტერესებს?

— მე მგონი, მშვენივრად იცი, არ მიყვარს, როცა ასე მელაპარაკებიან.

— მე მგონი, შენც მშვენივრად იცი, არ მიყვარს, როცა ჩემს საქმეებში ერევიან.

— მე შენს საქმეებში არ ვერევი. მაინტერესებს მოსკოვში დრო თუ გექნება, ერთ ძალიან დიდ საქმეს იძლევიან.

— შენ ხომ გეუკუებოდა, რომ მე ნამდვილად რამაზ კორინთელი ვიყავი.

— არასდროს არ მეუკუებოდა. მადლობა ღმერთს, ჭერჯერობით სკლეროზს არ ვუჩივი, მოხარშულს გიყნობდი. მე ვვარაუდობდი, რომ გინდოდა ჩვენთან საქმე გაგეწყვიტა, მეხსიერების დაკარგვა მოგეგონებინა და წარსულზე პასუხი აღარ გეგო. თან დავრწმუნდი, რომ არაგულწრფელიც ყოფილხარ. უამრავ რამეს გვიძალავდი, ბოლომდე არ იხსნებოდი. სხვა კაცი ყოფილხარ და სხვას თამაშობდი. შენი სადიპლომო ნაშრომის თუ დისერტაციის დაცვის დროს ბევრ უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვას გავეცი პასუხი.

— სადიპლომო ნაშრომის დაცვის დროს დაგინახე. რატომ არ დამელოდე?

— მატარებელზე მაგვიანდებოდა. ერთი თვით სხვაგან მივიდიოდი.

— კარგი, ვთქვათ, ფიქრობდი, რომ ჩემი ავადმყოფობით ვისარგებლებდი, თამაშიდან გავიდოდი და წარსულზე პასუხს აღარ ვაგებდი. ხომ მივიღე ავადმყოფობის შემდეგ ერთ არცთუ უბრალო ოპერაციაში მონაწილეობა?

— მე აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ, შენ დიდი მომავალი გაქვს. იმ ოპერაციის შემდეგ შეგიძლია სრული-

ად ჩამოგვშორდე. თუ გინდა, მსალსაც ნუ გვეტყვი. ვიცი, შენნაირი კაცი ჩვენს შორის არ უნდა ტრიალებდეს. დღეიდან თავისუფალი ხარ. მე, უბრალოდ, ერთ-ერთ კარგი წინადადების შემოთავაზება ამდნოდა. დიდი საქმეა. უშენოდ გაგვიჭირდება. შენ თუ თანახმა იქნები, ოპერაცია ძალზე გაადვილებდა.

— რატომ?

— ენების მცოდნე კაცია საჭირო.

— რას მოიტანს ოპერაცია?

— ასი ათას დოლარს!

— დოლარს?

— ჰო, დოლარს, რომელსაც ერთ კვირაში ვაქცევთ სამასი ათას მანეთად.

— უცხოელებთან საქმეში არ გავალ.

— არც ვთხოვთ.

— აბა, დოლარები საიდან?

რამაზ კორინთელი ზიზღით აკვირდებოდა სოსო შადურის სქელ წარბებს, ხშირ თმას და თან ძველებურად ცდილობდა გამოეცნო, რომელი კალიბრის ტყვია გახვრეტდა მის ჯავშნოსან შუბლს.

— ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები. მოსკოვში ერთი ჩვენი მეგობარი გაგვაცნობს უცხოელს, თუ არ ვცდები, ინგლისელ დიპლომატს, რომელიც ეძებს უნიკალურ მარკებს. მან ჩემს მეგობარს ჩამოუთვალა ოცი დასახელების მარკა მაინც, რომლებიც, მისი ვარაუდით, მოსკოვში უნდა ჰქონდეთ ფილატელისტებს. ჩემმა მეგობარმა...

— რა ჰქვია შენს მეგობარს?

— რომან გუგავა.

— რომან გუგავა! — გაიმეორა რამაზ კორინთელმა, თითქოს უნდოდა გონებაში სამუდამოდ ჩაებუქდა ეს სახელი.

— რომან გუგავამ ორი წელი შესწირა ამ მარკების ძებნას. გაეცნო და ესაუბრა მგონი ხუთას ფილატელისტს.

ბოლოს და ბოლოს, მიიკვლია ერთი მოსკოველი ქართველი, რომელსაც აღმოაჩნდა ამ ოცი მარკიდან ერთ-ერთი, ტრაფალგარის ბრძოლისადმი მიძღვნილი მარკა „ტრაფალგარი“.

— შენ იცი, რა ბრძოლა მოხდა ტრაფალგარში? — გულწრფელად გაუკვირდა რამაზ კორინთელს.

— მე ვიცი, რა ჰქვია იმ მარკას, რომელიც ასი ათასი დოლარი ღირს. მარკა დღეს ნებისმიერ ნახატზე, ხატზე ან ოქროულზე მეტად ფასობს, თანაც მარკის გატანა საზღვარზე ძალზე უხიფათოა და იოლი.

— ასი ათასი დოლარი! — გაიმეორა რამაზ კორინთელმა, — ფული დემოკრატიის უმადლესი ფორმაა. მე, როგორც მეცნიერი, ვაღმერთებ დემოკრატიას. რამდენი კაცი გავდივართ საქმეში?

— მე, შენ და რომან გუგავა.

— წილი თანაბარია?

— გუგავა წაიღებს ათი ათასი დოლარით მეტს.

— მე რა მევალება?

— უპირველეს ყოვლისა, უცხოელთან მოლაპარაკება.

— გუგავა არ მოლაპარაკებია?

— არა. გუგავამ ენა არ იცის.

— მაშ, საიდან იცით, რა უნდა იმ ინგლისელს?

— ერთმა კაცმა დააკავშირა იგი ინგლისელთან. სამწუხაროდ, ახლა ის კაცი ციხეში ზის.

— აბა, ინგლისელს როგორ მოვნახავთ?

— რომან გუგავას აქვს მისი ყველა კოორდინატი. დაურეკავ შენ და მოელაპარაკები.

— წილი თანაბრად უნდა გაიყოს! — კორინთელმა უცებ შეაბრუნა საუბრის თემა.

— რატომ?

— ჩემი ინგლისური არ ღირს ფული? მერე რა, რომან გუგავა რომ საქმეს იძლევა. ოპერაციის ჩატარების შნო რომ ჰქონოდა, ჩვენ არ დავგიძნებდლა.

გუგავას გარეშე ვერაფერს ვგეტყვი, მოსკოვში მოვილაპარაკოთ.

— ვინ არის მარკის პატრონი?

— მოხუცი ფიზიკოსი, ამჟამად პენსიონერი.

— სახელი და გვარი აქვს?

— ვარლამ გიგოშვილი. ცხოვრობს სიბირიაკოვის ქუჩაზე, მეორე სადარბაზოს მეოთხე სართულზე, ოროთახიან ბინაში.

— ნამდვილად იცის, რომ ამხანაგ გიგოშვილის ოჯახშია „ტრაფალგარი“?

— მოსკოვის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ფილატელისტმა უთხრა.

— თვითონ რატომ ვერაფერი გაახერხა?

— ვინ?

— გუგავამ, რომან გუგავამ! — დამცინავად თქვა რამაზ კორინთელმა და მაგიდაზე „ვინსტონის“ კოლოფს დასწვდა. უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა, სოსო შადურთან ურთიერთობა საბოლოოდ გაეწყვიტა, მაგრამ გრძნობდა, შემოთავაზებული საქმე თანდათან იზიდავდა.

— ვერაფრით ვერ დაამყარა მოხუცთან კონტაქტი. ვარლამ გიგოშვილი ძალზე ჩაკეტილი და უნდო კაცი ყოფილა. მხოლოდ ძალიან ახლობლებს თუ იღებს შინ.

რამაზ კორინთელი ჩაფიქრდა.

შადური მიხვდა, კორინთელი უკვე ჩაითრია საქმეში და გულზე ტვირთი მოეხსნა. თვითონაც „ვინსტონის“ კოლოფს დასწვდა და სიგარეტი გააბოლა. იცოდა, კორინთელი ოპერაციანზე ფიქრობდა და გაჩუმდა, ლაპარაკით ხელი აღარ შეუშალა.

— კიდევ რა გარემოებაა ცნობილი საქმის ირგვლივ? — იკითხა უცებ კორინთელმა.

— ამჟამად მოსკოვშია ვარლამ გიგოშვილის დის შვილიშვილი, მშვენიერი, მომხიბვლელი ქალბატონი ლია რამიშვილი. დაახლოებით ოცდაათი წლისა, გათხოვილია. ქმარი რომელიღაც სამმართველოს უფროსია, ლევან

რამიშვილი, მამა ძალიან დიდი კაცი
ჰყავს...

— გასაგებია, მივხვდი.

— ვფიქრობ, ღია რამიშვილი უნდა
ვაქციოთ მოხუცი ფიზიკოსის სახლის
გასაღებად. გუგავამ დადგინა, რომ
ღია რამიშვილი ცხოვრობს სასტუმრო
„ბუღაბეშტში“ და კიდევ ათ დღეს იქ-
ნება მოსკოვში.

— რატომ ბატონ ვარლამთან არ
არის გაჩერებული?

— არ ვიცი. ალბათ, სასტუმროში:
თავისუფლად ყოფნა ურჩევნია. ვარ-
ლამთან ერთად კი ხშირად დასეირ-
ნობს და ვახშობს სასტუმროს რეს-
ტორანში.

— ოპერაციის შემდეგ ეჭვი რომ
ჩვენზე აიღოს და დაგვასახელოს?

— ქალი შენი სფეროა. ოპერაციის
ამ ნაწილზე არ გვიფიქროს.

რამაზ კორინთელი ისევ ჩაფიქრდა.

სოსო შადურს არ უნდოდა ხელი
შეეშალა, წამოდგა. სამზარეულოში
გავიდა, მაცივრის კარი გამოაღო და
ბორჯომი მონახა.

რამაზ კორინთელს თანდათან ჰგვრი-
და სიამოვნებას მომავალი ოპერაციის
დეტალები.

სოსო შადური ორი ჭიქით ხელში
ოთახში შემობრუნდა, ერთი ჭიქა კო-
რინთელს დაუდგა და ბორჯომი მოსვა.

— მოვიფიქრე რამე?

— მოვიფიქრე, თუკი ღია რამიშვი-
ლი სახეზე არ მიცნობს.

— საიდან უნდა გიცნობდეს?

— ჩემი ერთადერთი სურათით,
ახალგაზრდულ გაზეთში რომ გამოქ-
ვეყნდა, ვინ იცის, იქნებ დამიმახსოვრა
ვინმემ!

— მართალი ხარ. კიდევ კარგი, ტე-
ლევიზიით არ გამოხვდით.

— ხომ ხედავ, როგორ გამომადგა
ჩემი მოკრძალება. არადა, რამდენი
ქურნალისტი დამდეგდა. ისიც სახი-
ფათოა, რესტორანში ან ქუჩაში ნაც-
ნობი ქართველი არავინ გადაგვეყაროს.

— სხვისი გვართი აპირებ გავეცნო?

— არა, მე უცხოელად უნდა გავეც-

ნო. ქალებს რატომღაც ჰგონიათ, რომ
უცხოელებმა უკეთ იციან ლოგინში
სიყვარული, თან მეტი გარანტია აქვთ
კვალის სამუდამოდ წაშლისა. მშვენიერ-
მა ღიამ იცის რამე ენა?

— ამტკრევს ინგლისურს, ბიძამისი
თუ ბაბუამისი გაცილებით უკეთ ლა-
პარაკობს ინგლისურად.

— სხვა ენა ხომ არ იცის რამე?

— ღიამ?

— არა, ბიძამისმა თუ ბაბუამისმა.

— არა მგონია.

— ამდამდე დარეკე მოსკოვში დი-
დად პატივცემულ გუგავასთან. თუ ის
ხალხი ინგლისურად ლაპარაკობს, მა-
შინ მე ფრანგი ვიქნები, თორემ შემა-
ტყობენ, რომ ინგლისელი არა ვარ.
მე ვიქნები ფრანგი, რომელმაც კარ-
გად იცის ინგლისური. გასაგებია?

— გასაგებია. შემდეგ?

— შემდეგ როგორმე უნდა გავიცნო
ღია. თუ ღმერთმა სიკეთე ქნა და მეშ-
ჩანიც არის, ხომ წარმოგიდგენია, რას
ნიშნავს მეშჩანი ქალისათვის ფრანგი
მამაკაცი... ჟერარ გოვენი ან თუნდაც
მიშელ ლერუა... თუმცა არა, არავითარ-
ი მიშელ ლერუა! გაცილებით ჯო-
ბია მიშელ დე ლერუა! შენ იცი, რას
ნიშნავს ქალისათვის „დე“? სულ სხე.
ქლერადობას აძლევს გვარს. დიახ, ასე
სჯობია, მიშელ დე ლერუა: გაცილე-
ბით უკეთ ქლერს და შენც იოლად და-
იმახსოვრებ!

— რამაზ, მე არ მიყვარს ეგეთი ლა-
პარაკი!

— რას იზამ, საყვარელო, ეგეთი
სტილი მაქვს.

სოსო შადურს ბოღმა მოაწ-
ვა, ყელში გაჩხერილმა გინებამ, უკან-
ვე რომ გადაყლაპა, იოგები დაუაწწრა.

— ვთქვით, გაიცანი. მერე?

— უნდა დავიმსახურო ნდობა, რომ
ოჯახში ვეწვიო ჩემს საბჭოთა კოლე-
გას, შემდეგ კი რესტორანში მივიპა-
ტიყო. თუმცა რესტორანს თეატრი ან
სიმფონიური მუსიკის კონცერტი სჯო-
ბია, რომ ნაცნობს არავის გადავეყა-
რო. კარგად მოგვხსენებათ, ბატონო

სოსო, ჩვენ რომ გვიცნობენ, იმ კატეგორიის ხალხი მაინცდამაინც არ იქნება თავს თეატრებში და სიმფონიურ მუსიკის კონცერტებზე სიარულით. მომიწევს მოსკოვში წასვლამდე დარჩენილი ორი დღე მოვანდომო რამდენიმე უახლესი ფრანგული სიმღერის შესწავლას, ხოლო ფორტეპიანოზე მოვაშაადო ახალი ფრანგული სიმღერების პოპური.

— შემდეგ?

— შემდეგ? — გაბრაზდა უცებ რამაზ კორინთელი, — ცოტა გაანძრე ტვინი, ამ ტყვიავაუვალ შუბლს უკან რომ ჩავიკეტავს.

ასი ათასი დოლარისათვის ისევ გადაყლაბა სოსო შადურმა ყელში გაჩხერილი ბოღმა და გინება, ისევ დაეკაწრა ყელის იოგები. იცოდა, ოპერაცია რამაზ კორინთელის გარეშე არ გამოვიდოდა, თორემ ყელში სწვდებოდა ან რაღაც უბედურებას ჩაიდენდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ მეტი მოუვიდა.

— შემდეგ მე და მოხუცი თბილისში გამოვაცილებთ უმშვენიერეს ლიას.

— შემდეგ?


— კიდევ ვერ მიხვდი, რა უნდა ვქნათ შემდეგ?

— მიხვდი. მეც ვატყობდი, სხვანაირად ვერ გადავრჩებოდით. ლია? რა ვუყოთ ლიას?

— ლია ჩვენი ოპერაციის აუცილებელი რგოლია, თანაც ყველაზე სუსტი რგოლი. გამოსავალი ერთადერთია. მშვენიერმა ლიამ უნდა იგრძნოს ჩემი ტემპერამენტი. განა შემდეგ მამამისის შვილი და უვავაკაცისი კაცის მეუღლე გაამჟღავნებს თავის სასიყვარულო თავგადასავლებს?

— რა გარანტია გაქვს, რომ ქალს დაიმორჩილებ?

— უნდა ვცადოთ. ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც უნდა დავუახლოვდეთ, რომ მოხუცი ფიზიკოსი გავაცნოს. თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ ქალბატონი ლია უხეშად არ კრავს ხელს

ახალგაზრდა კაცის სიყვარულს.  ვასა გებია?

— გასაგებია.

— მაშ მოდი, დღევანდელი ლაპარაკი ჩავთვალოთ ოპერაციის საფუძვლად. დეტალებს, ალბათ, მოსკოვში დავაუხსტებთ. ახლავე ვაგვიზადებ საავიზიტო ბარათების ტექსტს, შენ რომ კაცი გყავს სტამბაში, მიუტანე და სასწრაფოდ დააბეჭდვინე. არავითარი ფრანგი და არავითარი ინგლისელი! შეიდი დღის მანძილზე გამიჭირდება უცხოელის თამაში. შეიძლება ერთხელ წამომცდეს რაღაც და ყველაფერი წყალში გადავყაროთ. ამიტომაც მოსკოვში მე ვიქნები... თუნდაც ნოდარ ბარამიძე. მე მგონი, კარგად უღერს, არა? ნოდარ ბარამიძე! ხვალ საღამოს მოსკოვში გადაფრინდი და ნომერი „ინტერკონტინენტალში“ დამიკავშნე. ბატონო სოსო, თქვენ იცით, რას ნიშნავს ახალგაზრდა ქალისათვის „ინტერკონტინენტალი“? — რამაზ კორინთელმა ბორჯომის საესე კიქას ხელი დაავლო და ხარბად დასცალა.

— მინდა მოვილოცოთ, ახალგაზრდავ! — მხარზე ხელი დაჰკრა რამაზ კორინთელს აკადემიკოსმა ვლადიმირ მატვეევამ, — სამეცნიერო საბჭომ თქვენს სადიპლომომ გამოკვლევას ერთხმად მიანიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

— გამდლობთ, ვლადიმირ გერასიმოვიჩ!

— მაგრამ ეს როდია მთავარი! მე აღმაფრთოვანა თქვენმა მეორე შესანიშნავმა გამოკვლევამ. რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპი, რომელიც თქვენ აღმოაჩინეთ, ორ კვირაში მოივლის მსოფლიოს.

— ბედნიერი ვარ, რომ თქვენგან

გურამ ფანჯიკიძე
საირალი

ვისმენ ამ სიტყვებს, ბატონო აკადემიკოსო!

ვლადიმირ მატვეევმა კორინთელს კიდევ ერთხელ დაჰკრა მხარზე ხელი, შემდეგ დინჯი, უფრო სწორად, უძღუნებაშეპარული კაცის ნაბიჯებით სავარძელთან მივიდა და ხენეშით ჩაეშვა.

„როგორ მოტეხილა ამ სამ წელიწადში!“ — სინანულით გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

დავით გიორგაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოს ვლადიმირ მატვეევთან. ქართველ მეცნიერს განსაკუთრებით მაშინ დაეხმარა მოსკოველი კოლეგა, როცა თბილისში დავით გიორგაძის ინიციატივით ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ჯერ აპარატურით და ტექნიკურ-მეცნიერული კონსულტაციებით გაუმართა ხელი, შემდეგ კი შვიდი ახალგაზრდა ფიზიკოსი წამოიყვანა თბილისიდან სათანადო პრაქტიკის მისაღებად. შემდგომში მრავალი ერთობლივი თემა დაამუშავეს, რამდენიმე სიმპოზიუმი და შეხვედრა გამართეს. სამივლინებო გაცვლა-გამოცვლა და აზრთა გაზიარება ხომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ვლადიმირ გერასიმეს ძე მატვეევი შესახებ ვადად ყოფილ კალათბურთელს უფრო ჰგავდა, ვიდრე საქვეყნოდ სახელგანთქმულ ასტროფიზიკოსს. სიმალლით ორ მეტრს ათი სანტიმეტრი უკლდა. ბლანჟე და სათვალე ძალიან უხდებოდა. ერთხელ, საკადემიოფოში ნიკაპზე მოშვებული წვერი რომ მოიპარსა, შინაურებმა და თანამშრომლებმა ველარ იცნეს. ოქროსფერი ბლანჟე ამდენად ორგანული იყო აკადემიკოსის სახისათვის, ხალხს დედის მუცლიდან გამოყოლილი ეგონა. ამიტომაც უკვირდათ, აკადემიკოსის ბავშვობის სურათებს რომ დახედავდნენ, ბლანჟე რატომ არა აქვსო.

— ზეგ, თორმეტ საათზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე გავიტან თქვენს საკითხს. მანამდე ორ პროფესორს

წაუყვითხავ და მოვამზადებ გამოსასვლელად. წინასწარ შემიძლება გიფიქროს ხრათ და მოგილოცოთ, რომ ზეგ, თორმეტი საათიდან თქვენ ოფიციალურად დგებით გამორჩეული და ცნობილი საბჭოთა მეცნიერების გვერდით, თქვენ, რამაზ მიხეილის ძე კორინთელი, ოცდაათხი წლის ახალგაზრდა!

ვლადიმირ მატვეევს მღელვარება მოეძალა, ფეხზე წამოდგა და კაბინეტში მოჰყვა ბოლთის ცემას.

— მე ბევრჯერ შეგხვედრივარ ნიჭიერ კაცს. ბედნიერებაა ტალანტთან შეხვედრა. სამწუხაროდ, ხშირად როდი გერგება ადამიანს ასეთი ბედნიერება. ცოტაა, ძალიან ცოტა ნამდვილი ნიჭი. ახლა ბევრია განათლებული, ინტელიგენტი მეცნიერი, გაცილებით მეტი, ვიდრე ამ ოცი, თუნდაც ათი წლის წინ იყო. იციან ენები, უკრავენ ინსტრუმენტზე, აქვთ შესანიშნავი მანერები, ერკვევიან ლიტერატურასა და კულტურაში, ერთი სიტყვით, არიან ძალიან კარგი ინტელიგენტები, ძალიან კარგი ინტელექტუალები, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ცუდი თეორეტიკოსები და ექსპერიმენტატორები! არის მეცნიერთა მეორე კატეგორიაც. სოფლიდან ჩამოსული პროვინციელები, შუბლით რომ უნდათ ყველა წინააღმდეგობა გაარღვიონ და რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, მეცნიერთა შორის ადგილი. დაიმკვიდრონ მათი არმია საკმაოდ დიდია და, სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერების საერთო დონე, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, დღეს უფრო პროვინციულია, ვიდრე ამ ორმოცი ან ოცდაათი წლის წინ იყო. დღეს, როცა ასე ვიწროვდება სპეციალობები და მეცნიერების ამდენი ახალი დარგი იქმნება, საერთო დონის დაქვეითება, ეტყობა, ჯერ კიდევ წინაა.

აკადემიკოსს სახეზე ნაღველი გადაეკრა. ერთხანს ჩუმად დააბიჯებდა, დაფიქრებული, მერე ხელი ჩაიჭნია, სავარძელთან მივიდა და ნელა ჩაეშვა.



„როგორ მოტეხილა!“ — იავე გაივლო გულში რამაზ კორინთელმა.

— დიახ, ხშირად როდი გერგება ბედნიერება, შეხვედე ნამდვილ ტალანტს. დიდ ტალანტზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. შეიძლება ისე დაამთავრო სიცოცხლე, ერთხელაც ვერ იგროძნო დიდ, ნათელ ტალანტთან შეხვედრის სიხარული. მე გამიმართლა, ახალგაზრდავ, ნამდვილად გამიმართლა. თქვენ დიდი, ნათელი ტალანტი ხართ. ჯერ ერთი, რომ ოცდაოთხი წლის ხართ. უნდერკინდობა გამოირიცხულია. თანაც თქვენი სადიპლომო გამოკვლევა და, მით უმეტეს, რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის აღმოჩენა უკვე კმარა იყოთ სახელოვანი მეცნიერი. მაგრამ ვგრძნობ, თქვენ ჯერ ყველაფერი წინა გაქვთ. იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, თქენთვის დიახ ჩვენი ინსტიტუტის კარი. ყველა პირობას შეგაქმნით ნამდვილი მეცნიერული მუშაობისათვის. კარგია, რომ ენებს შესანიშნავად ფლობთ. ენების სწავლაზე დრო აღარ დაგეკარგებათ. ცოლშვილიანი ხართ?

— ჯერ არა!
 — არ ვარგა! — გაიქნია თავი სინანულით ვლადიმირ მატვეევმა, — რაც მალე დაქორწინდებით, ისა სჯობია. ენერგიით, ტემპერამენტით სავსე კაცი ჩანხართ. პირველად რომ დაგინახეთ, კარატეს ჩემპიონი მეგონეთ. ალბათ თქვენი ახალგაზრდული ტემპერამენტის გამო ბევრ დროს კარგავთ ფუჟად. რას იზამთ, ახალგაზრდა ხართ. ამიტომაც საჭირო ოჯახის შექმნა. ოჯახი დღეში რამდენიმე საათით გაზრდის თქვენი მეცნიერული სამუშაო დროის ბიუჯეტს. აკადემიკოს დავით გიორგაძეს თუ იცნობდით? — შეცვალა უცებ სასაუბრო თემა ვლადიმირ მატვეევმა.

— ქალიან ჭარვად.
 — ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომ დავით გიორგაძესთან მუშაობდით ინსტიტუტში. ო
 — არა, მე მასთან არასდროს მიმუ-

შავია. თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტში მხოლოდ აკადემიკოსის სიკვდილის შემდეგ მიმიღეს ლაბორანტად. დავით გიორგაძე საავადმყოფოში გავიციანი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. გავიციანი სრულიად შემთხვევით. მე კარგად ვიცნობდი აკადემიკოსის ნაშრომებს. იგი გააოცა ჩემმა ცოდნამ. მაშინ ხომ დაუსწრებელი ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი.

— რამდენადაც ვიცი, დავით გიორგაძე მუშაობდა ანალოგიურ პრობლემაზე. მან ერთხელ მითხრა, რადიოაქტიურობის ახალ ტიპს ვვარაუდობო. ეს ადრე იყო, თუ არ ვცდები ოთხიხუთი წლის წინ.

— მართალი ბრძანდებით. დავით გიორგაძის დიდმა მეცნიერულმა ინტუციამ იგრძნო რადიოაქტიურობის ახალი ტიპის შესაძლებლობა, მაგრამ მუშაობა მცდარი გზით წარმართა. მან ვერ ივარაუდა, რომ შეიძლება მომხდარიყო ბირთვების ისეთი დაშლა, როცა ისინი გამოსტყორცნიან არა მარტო პროტონებს, როგორც ადრე ფიქრობდნენ მეცნიერები, არამედ ნაწილაკების წყვილს — პროტონებს ან ნეიტრონებს. ატომური ბირთვების ანალიზმა გვიჩვენა და დაგვარწმუნა, რომ ნამდვილად არსებობენ ელემენტების ათეულობით იზოტოპები, რომლებსაც აქვთ ორპროტონიანი რადიოაქტივობა. როდესაც ამ დასკვნამდე მივედი, მივხვდი, პრობლემის გასაღები უკვე ხელთ მქონდა: დავით გიორგაძეს რომ ორპროტონიანი რადიოაქტივობა წარმოედგინა, ვფიქრობ, ჩემზე ადრე დაადგენდა რადიოაქტიურობის ახალ ტიპს. ორპროტონიანი რადიოაქტიურობის თვისების მქონე ელემენტების ატომების ბირთვები საკმაოდ ხანგრძლივად ცოცხლობენ. მე ვივარაუდე, და არც მოგტყუებულვარ, რომ უფრო იოლია ამ ატომებიდან ამოვავლოთ რამდენიმე პროტონი, ვიდრე ისინი ერთმანეთს დავაცილოთ.

— შეიძლება ორპროტონიანი რადიოაქტიურობის არსებობის იდეა თქვენ დამოუკიდებლად დაგებადათ, მაგრამ მეოთხედი საუკუნის წინაც ვარაუდობდნენ მსგავს რადიოაქტიურობას.

— ალბათ, არ გეკამათებით! მაგრამ სწორი იდეა მიივიწყეს სრულიად ობიექტური მიზეზების გამო, ვერც ჩვენში, ვერც საზღვარგარეთ ვერ მიახერხეს ორპროტონიანი დაშლა.

— გასაგებია. კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ დიდ გამარჯვებას.

— უზარმაზარ მადლობას მოგახსენებთ. არ ველოდი ასეთ დიდ ყურადღებას. სიკვდილამდე თქვენს ვალში ვიქნები!

— „სიკვდილამდე“, — გაიმეორა გონებაში ვლადიმირ მატვეევმა, — რა დროს თქვენი სიკვდილია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა დავით გიორგაძის გარდაცვალება. ვერ ჩამოვედი. უცხოეთში ვიყავი მივლინებით. კარგია, რომ ჩემი მოადგილე მაინც იყო.

— ვლადიმირ გერასიმოვიჩ, — დაიწყო კორინთელმა ყოყმანით, მცირედენი ღუმლის შემდეგ.

— ვატყობთ რაღაცის თქმა გეუხერხულებათ. თქვით, ნუ მოგერიდებათ. პირდაპირ მითხარით, თუ რამე გაუწხებთ.

— დავით გიორგაძემ სიკვდილის წინ წერილი მოგწერათ.

— მერედა, სად არის წერილი?

პასუხად რამაზ კორინთელმა ჯიბიდან კონვერტი ამოიღო.

— აბა, სასწრაფოდ მომეცით! — გამოცოცხლდა აკადემიკოსი. ერთი სათვალე მოიხსნა, შეორე გაიკეთა, კონვერტი გახსნა და წერილი ჩაიკითხა.

რამაზ კორინთელი ყურადღებით აკვირდებოდა ვლადიმირ მატვეევს. უკვირდა, მის სახეზე როგორი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს სევდა და

მხიარული განწყობილება. ბოლოს ვი ასწია და განაწყენებულმა კორინთელს შეხედა.

— რატომ აქამდე არ მომეცით?

— დაახლოებით ვიცი, წერილში რაც წერია. ალბათ, მე მიწევს თქვენთან რეკომენდაციას. გადაწყვეტილი მქონდა, საერთოდ არ მეჩვენებინა თქვენთვის წერილი. ვერ გავბედე. იქნებ სხვა რამეც ეწერა წერილში, რომელიც მხოლოდ თქვენ გეხებოდათ! ამიტომ გადავწყვიტე, წერილი მაშინ მომეცა თქვენთვის, როცა ჩემი საკითხი საბოლოოდ გაირკვეოდა და გადაწყდებოდა. არ მიყვარს პროტექციით და რეკომენდაციებით გზის გაკვლევა.

— წაიკითხეთ! — აკადემიკოსმა წერილი გაუწოდა.

რამაზ კორინთელმა ფურცელი გამოართვა და ისე წაიკითხა, ვითომ პირველად კითხულობდა.

„ძვირფასო ვლადიმირ გერასიმოვიჩ!

ალბათ რამდენიმე დღეში მოვკვდები. წერილს საავადმყოფოდან გწერთ, სარეცელს მიჯაჭვული. ბოლოს და ბოლოს, მე, ურწმუნო და გამოუსწორებელი ათეისტი, ახლა მაინც გავარკვევ სამყაროს მატერიალურობას. მაგრამ, ერთიც ვნახოთ და, ჩემი სული მართლა გაფრინდა სადღაც? მაშინ ხომ ჯოჯოხეთი არ ამცდება.

ერთი სიტყვით, ვამთავრებ ცხოვრებას. ცოტა ყოფილა სამოცდაათობმეტი წელი. რას იზამ. ბედს მაინც არ ვემდურე.

ახლა ერთი სათხოვარი მინდა მოგახსენოთ. საავადმყოფოში გავიცანი უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცი რამაზ მიხეილის ძე კორინთელი. ყველაფრის დამახსოვრებისათვის სკდ გეცალათ, მაგრამ შეიძლება მაინც მოგაგონდეთ, მე ვვარაუდობდი რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობას. ჩემი ვარაუდი, როგორც ირკვევა, სწორი იყო, პრობლემის გადაჭრის გზა კი მცდარი. და აი, ამ ახალგაზრდამ, რომელთანაც

საავადმყოფოში გაცნობა ბედმა ინება (ხომ ხედავთ, სიკვდილის წინ, მგონი, ყველანი იდეალისტები ვხდებით), ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭრის სწორი გზა იპოვა. თუ გადავრჩი და აქედან გავალწიე, მე თვითონ მივხედავ ნიჭიერ ქაბუქს. თუ არა და თქვენთან ჩამოვა. იმედი მაქვს თქვენი დიდი და კეთილი გულის, თქვენი წმინდა მეცნიერული სინდისისა.

მარად თქვენი დავით გიორგაძე“.

რამაზ კორინთელმა წერილი ჩაათავა, მაგრამ თავი არ აუწევია, ვითომ სევდა მოეძალა და ფიქრმა გაიტაცა.

— ხედავთ, რა კაცი იყო დავით გიორგაძე? ახლა აღარ იბადებიან მისი მსგავსი ადამიანები!

— წერილის შინაარსი რომ მცოდნოდა, ნამდვილად არ მოგიტანდით.

— თქვენ უკვე დიდი მეცნიერი ხართ და ბიჭური უშნო თავმოყვარობა აღარ შეგფერით! — მთელი სერიოზულობით წარმოთქვა მეცნიერმა.

— შეიძლება, ვლადიმირ გერასიმოვიჩ, წერილის ასლი რომ გამიკეთოთ? მინდა შევიხანხო, როგორც დავით გიორგაძის სახსოვარი.

— აუცილებლად გაგიკეთებთ და ზეგ, დიდ საბჭოზე მოგართმევთ. მართლა, დიდი საბჭოს მოლოდინში ხომ არ ღელავთ?

— ბუნებრივია, ველავ.

— ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. უფრო მეტიც, თქვენი გამოკვლევების განხილვა ტრიუმფით დამთავრდება. მე სხვა რამ უფრო მაფიქრებს.

— ბრძანებთ.

— თქვენნი უეცარი აღზევება დაიწყო იანვარში. აი, ზეგ, სულ რაღაც სამთვენახევრის მანძილზე ახალი და უზარმაზარი წარმატება გელით, გაუძლებთ ფსიქოლოგიურად? ბოდინს გიხდით, მაგრამ ხომ არ გაყოყლოჩინდებით, თავბრუს ხომ არ დაგახვევთ

საქვეყნო აღიარება? გადიდგულდება და მედიდურობამ ბევრი ჭეშმარიტად მეცნიერი ააცილინა გზას.

— არა მგონია, გადიდგულების მსხვერპლი გავხდე.

— და კიდევ ერთი რჩევაც. ნუ აყვებით ჟურნალისტებს, პრესას და ტელევიზიას. გახსოვდეთ, რომ არც პოეტი ხართ და არც კულტურის რომელიმე დარგის მუშაკი. მეცნიერებაში კი მთავარია პოპულარული იყო კოლეგებს შორის.

— რჩევისთვის დიდი მადლობა, ვლადიმირ გერასიმოვიჩ!

— ახლა წაბრძანდით, კარგად დაისვენეთ და ზეგისათვის მოემზადეთ.

— კიდევ ერთხელ გწირავთ უდიდეს მადლობას მამაშვილური მიღებისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ.

რამაზ კორინთელი გასასვლელისაკენ გაემართა. კარებთან შეჩერდა, შემობრუნდა და აკადემიკოსს ჰკითხა:

— როგორ არის თქვენი შვილიშვილი ვალოდია? საავადმყოფოში ძალიან სწუხდა ბატონი დავითი, პატარა ბავშვს თირკმელები აწუხებდნო.

— ყურადღებიანი და გულკეთილი კაცი იყო დავით გიორგაძე! — გული აუჩუყდა ვლადიმირ მატვეევს, — გმადლობთ, თითქოს უკეთ არის. ექიმები დიდ იმედს იძლევიან.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ვლადიმირ გერასიმოვიჩ! — რამაზ კორინთელმა კაბინეტის კარი გაიხურა.

„ინტერკონტინენტალის“ მყუდრო, ძვირფასად მოწყობილი ლუქსის საძინებელ ოთახს მკრთალი წითელი შუქი ანათებდა.

ვენებადამცხრალი ქაბუკი და ახალგაზრდა ქალი გულადმა იწვნენ. ორთავეს თვალები ჰქონდათ დახუჭული, თუმცა არც ერთს არ ეძინა.

მეორე ოთახში ძალზე ხმადაბლა მაგნიტოფონი იყო ჩართული. იმდენად ხმადაბლა, კაცა ეგონებოდა, მუსიკის ხმა ნიავს საიდანადაც, ძალიან შორიდან მოაქვსო.

ქალს წამოდგომა სურდა, მაგრამ ეგონა, რომ ჭაბუკს ეძინა და არ უნდოდა გაეღვიძებინა.

თითქოს ახლა გაათვითცნობიერა, რომ ექვსი წლის გათხოვილმა ქალმა პირველად უღალატა ქმარს. ერთმა რამემ გააოცა მხოლოდ — თავის საქციელს არ ნანობდა. არ ნანობდა ახლაც, ამ წუთშიც, როცა ვნებადამცხრალს შეეძლო საღად ემსჯელა და თავისი ნამოქმედარი შეეფასებინა.

ნეტარების ბურუსში გახვეულ ქალს თვალი მაშინაც არ გაუხელია, კორინთელი სასტუმრო ოთახში რომ გავიდა. ფართო, ხალვათ ლუქსს ნაზი მელოდია მოეფინა. რამაზ კორინთელი, მგონი, ფრანგულ მელოდიას უკრავდა. წყნარი, დამამშვიდებელი მელოდიები თითქოს საგანგებოდ ჰქონდა შერჩეული.

კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დაასკვნა ქალმა, ქმრის ღალატი არ ნანობდა. კაცმა რომ თქვას, ახლა უღალატა პირველად? განა სიგარეტს რომ ქმრის უჩუმრად ეწეოდა, მცირე ღალატი არ იყო? ხომ იცოდა, როგორ ეზიზღებოდა ქმარს სიგარეტის მწეველი ქალები, როგორ დასცინოდა მათ ქმრებს?

განა ღალატი მაშინ არ დაიწყო, როცა ერთხელ მთვრალი ქმარი ძლივს ჩააწვინა ლოგინში და უმალვე გაიფიქრა, არ სჯობდა ვაჟა მუჯირს გავყოლოდი, სამი წელი რომ დამდეგდაო? განა იცოდა მაშინ, რომ გავიდოდა დრო და ვაჟა საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი გახდებოდა?

განა მთელი ცხოვრება არ ოცნებობდა, ჰყვარებოდა ნამდვილ მამაკაცს, ტემპერამენტთანს, ძლიერს, ამავე დროს საოცრად პოეტურსა და დახვეწილს? აი, ზუსტად ისეთს, ნოდარ ბარამიძე რომ იყო?

ლია რამიშვილს ყველაფერი უხაროდა და ყველაფერი სიამოვნებით უხაროდა, რომ „ინტერკონტინენტალის“ თეთრი, ინგლისური ავეჯით მოწყობილ ლუქსში ნებივრობდა, უხაროდა, რომ მის გვერდით ნამდვილი, დახვეწილი მამაკაცი იწვა.

„მაგრამ რა მოხდება ხვალ?“ — გაუფელვა უცებ გონებაში ლია რამიშვილს. უმალვე თავი გააქნია, დღეს, ერთ აუწერელი ნეტარების ბურუსში გახვეულს, მთელი საუკუნით ნაადრევად მოეჩვენა ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

ლია რამიშვილმა თავის ნომერში შესვლისთანავე შენიშნა მაგიდაზე, ვაზაში ჩადებული წითელი და თეთრი მიხაკები. გაუკვირდა.

„ვის უნდა მოეტანა?“

უმალვე მაგიდას მიაშურა. ვაზაზე მიყუდებულ მოვარაყებულ კონვერტზე უცხოური წარწერა დაინახა. ხელი დასტაცა და გულისფანქვალით გახსნა. კონვერტში პატარა წერილი და სავიზიტო ბარათი იდო.

ლია რამიშვილი იმას კი მიხვდა, წერილი ფრანგულად რომ იყო დაწერილი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, წერილში რა ეწერა? სავიზიტო ბარათზე კი ინგლისურადაც და რუსულადაც ამოიკითხა: ნოდარ ბარამიძე, თბილისი, ასტროფიზიკოსი.

— ნოდარ ბარამიძე! — თქვა ხმა-მალლა.

„ვინ არის ან ფრანგულად რატომ მწერს წერილს?“

„ხომ არ იხუმრა ვინმემ? ან იქნებ ვინმეში ავერიე?“

ყურმილი აიღო და მორჩაგეს დაურეკა, ჩემთან ვინ იყო, ყვავილები ვინ მომიტანაო.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი იყო, დაიბარა, ხუთ საათზე მოვლო, უპასუხა მორიგეში.



„ვინ უნდა იყოს?“ — გაცემულმა ყურმილი დადო და სავარძელში ჩაჯდა.

„ალბათ, ვიღაცაში ავერიე, — დაასკვნა უცებ და გულზე მოეშვა, — რასაკვირველია, მისამართი შეეშალა!“

წერილი ფრთხილად ჩადო კონვერტში და ისევ ვაზას მიაყუდა.

წამოდგა, ტანსაცმელი გაიხადა, აბაზანაში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა და თმა დაივარცხნა.

სარკეში საკუთარ თავს გაუღიმა. ოცდარვა წლის ქალი პატარა გოგონასავით გამოიყურებოდა. ხორბლისფერ სახეზე ღია შავი თმა ჩამოიშალა.

„ნეტავ ლამაზია ბატონი ნოდარ ბარამიძე?“ — გაიფიქრა უნებურად.

აბაზანიდან გამოვიდა, ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და სავარძელში ჩაჯდა.

„ხუთ საათზე მოვარ. ნეტავ ახლა რომელი საათია?“ — სასწრაფოდ წამოდგა, საწოლ ოთახში გავიდა და საწოლთან ტუმბოზე დადებულ საათს დახედა. სამი სრულდებოდა.

„ერთიც ვნახოთ და ლამაზი და მომხიბვლელი ასტროფიზიკოსი გამომეცხადა?“ — გაიფიქრა და გაეღიმა.

სასტუმროში რომ ბრუნდებოდა, გზაში სახელდახელოდ ისაუბმა. უხეირო სოსისის გემო ვერ იქნა და ვერ მოიშორა. მაცივართან მივიდა, „პეპსი კოლა“ გამოიღო, გახსნა და პირდაპირ ბოთლიდან მოსვა.

„ერთ საათს დავიძინებ!“ — გადაწყვიტა გულში, საწოლ ოთახში გავიდა, ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში შეწვა. ტელეფონის აპარატი გვერდით მოიდგა. თბილისიდან ზარს ელოდა.

დიდი ქალაქის მიუჩვეველი რიტმით და მასშტაბებზე გადაღლილს მალე ჩაეძინა. ტელეფონის ზარმა გააღვიძა, ცალი ხელით ყურმილს დასწვდა, მეორეთი თვალები ამოისრისა.

— გისმენთ? — ჩასძახა ყურმილს, თან, საათს დახედა.

შეერთა, ხუთს ოცდახუთი წუთი ღელდა.

„რამდენი მძინებია“, — გაიფიქრა და ისევ ყურმილს ჩასძახა, გისმენო.

მეუღლე ურეკავდა. პირველი მოკითხვის შემდეგ საქმეზე გადავიდნენ ღია დელავდა, საათს წამდაუწუმ დასჩერებოდა. სტუმარი ოც წუთში მოვიდოდა, ჩაცმა უნდა მოესწრო.

ღია რამიშვილმა ერთი კი გაიფიქრა, ქმარა ვუამბობ, რაც მოხდათ, მაგრამ უმაღლე გადაიფიქრა, რატომ ვიჩქარა, თუ საჭირო იქნება, მერე მოვუყვებიო.

ყურმილის დადებისთანავე ფეხზე წამოიჭრა. სააბაზანოში შევარდა, პირი დაიბანა, სარკეში სახეს კარგად დააკვირდა, დალილი გამოხედვა ხომ აღარა მაქვსო. თავი გაიქნია და ღია შავი თმა ჯერ ჩამოიშალა, ჰერე ორთავე ხელი წაავლო და მღლა აიტანა. ორთავე ერთნაირად უხდებოდა. თმის აწეული ვარცხნილობისას გრძელი და ლამაზი ყელი უფრო თვალსაჩინოდ იკვეთებოდა. ჩამოშლილი თმა მსხვილ, ლამაზ და ბრიალა თვალებს რაღაც ღვთაებრივ იერს აძლევდა. ფიქრის დრო აღარ იყო.

„ვიცოდე მაინც, რა ასაკისაა!“ გაიფიქრა სინანულით და ჩამოშლილი თმა ამკობინა თან სტუმარიც ვერ მიხვდებოდა, რომ ქალი საგანგებოდ იყო მომზადებული. გარდერობიდან შარვალი და შავი მაისური გადმოიღო. იცოდა, ორი შვილის დედა შარვალში შედარებით მსხვილი ჩანდა, მაგრამ ისიც იცოდა, შავ მაისურში გამოკვეთილი მკერდი ნებისმიერი მამაკაცის არსებაში რა გრძნობებსაც აწვევდა. შარვალი და მაისური სასწრაფოდ ჩაიცვა, თეთრზოლებიანმა, წითელმა, სქელმა ფრანგულმა წინდებმა და სპორტულმა ფეხსაცმელებმა ხუთი წლით მაინც გააახალგაზრდავა ისედაც ახალგაზრდა და მოხდენილი ქალი. სარკესთან „შანელის“ ფლაკონი მონახა, პატარა, ლამაზი ფლაკონის საცობი ყურის ბიბილოებზე, ყელზე და მკერ-

დზე რამდენჯერმე მიიღო და კვლავ სარკეში ჩაიხედა.

მოეწონა საკუთარი თავი.

„ვაითუ დააგვიანოს?“ — გაიფიქრა ლიამ და საათს შეხედა. ხუთი სრულდებოდა. არ იცოდა, რა ექნა, ბოლოს სავარძელში ჩაჯდა, საფერფლე სახელურზე დაიდგა, სიგარეტს მოუკიდა და წიგნი გადაშალა.

ზუსტად ხუთზე კარზე დააკაკუნეს.

— ვინ არის? — იკითხა რუსულად ლია რამიშვილმა. იგრძნო, გული როგორ შეუქანდა.

კაკუნე განმეორდა.

ლია წამოდგა, წიგნი მაგიდაზე დადო, სიგარეტი საფერფლეზე მიატოვა და კარისაკენ წელი ნაბიჯით წავიდა. სახელურს ხელი რომ მოჰკიდა, მღლეუარება კიდევ უფრო გაუძლიერდა. უნებურად პირჯვარი გადაიწერა და კარი გამოაღო. კარებში უნაკლოდ ჩაცმული, ახოვანი ჭაბუკი იდგა. ხელში იების პატარა კონა ეჭირა და იღიმებოდა.

ლია რამიშვილს რატომღაც არ ეგონა, სტუმარი მასზე ახალგაზრდა თუ იქნებოდა.

ჭაბუკის სახეზე გამოსახული ღიმილი ნელ-ნელა დაპატარავდა და მერე სულ გაქრა.

— უკაცრავად, მგონი მისამართი შემეშალა, — თქვა რამაზ კორინთელმა ფრანგულად.

ქალი კიდევ უფრო დაიბნა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და სახეზე უხერხული ღიმილი გამოესახა.

— ლაპარაკობთ გერმანულად? — ჰკითხა სტუმარმა.

ლია რამიშვილმა ისევ უხერხულად გააქნია თავი.

— ინგლისურად?

— ცოტას! — თქვა საშინელი აქცენტით.

— იქნებ რუსული იცით?

— რუსული ვიცი და ძალიან კარგადაც. რუსულიც და ქართულიც! — როგორც იქნა გონს მოვიდა ლია.

— ქართველი ბრძანდებით?

— დიას, მობრძანდით!

— ვერაფერი გამიგია! — დაბნეული ჭაბუკი ნომერში შევიდა.

— სხვათა შორის, მეც თქვენს დღეში ვარ!

— სანამ გავარკვევდეთ, რა მოხდა, გავიცნოთ ერთმანეთი. ნოდარ ბარამიძე! — გაუწოდა ხელი ქალს.

— ლია რამიშვილი.

— ოო, ვხედავ, ჩემი მიხაკებისთვის ხელი არ გიხლიათ, — თქვა რამაზ კორინთელმა.

— ხელს როგორ ვახლებდი, ყვავილები ხომ მე არ მეკუთვნოდა. დაბრძანდით. — ლიამ სტუმარს სკამი შესთავაზა.

— ყვავილები მისია, ვის ვაზაშიც აწყვიცია. ინებეთ იების ეს პატარა კონაც! — კორინთელმა ქალს იების კონა გაუწოდა, — წერილს კი, თუ ნებას დამრთავთ, ავიღებ.

— რამდენად სამართლიანია სხვისი ყვავილების მითვისება? — თქვა ნაზად ლიამ და იები ჩამოართვა.

— მშვიდად იყავით, ეტყობა, ვეღარ ვიპოვი, ვისაც ვეძებ!

— ალბათ ახალგაზრდა და მომხიბვლელი ქალია, არა?

— ალბათ. გულწრფელად რომ გითხრათ, არც მინახავს, ჩემი კოლეგაა ალჟირიდან. ასტროფიზიკაში ორთავენი ერთი პრობლემის ირგვლივ ვმუშაობთ და გვინდოდა ერთმანეთისათვის ექსპერიმენტის შედეგები გაგვეზიარებინა. — კორინთელმა ჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო, — თითქოს ყველაფერი რიგზეა, სასტუმრო, სართული, ნომერი... ჰმ, — ჩაიცინა უცებ სინანულით.

— რა მოხდა? — შეწუხდა ლია.

მიხვდა, სტუმარს გუნება გაუფუჭდა. — ამ ასაკში არ მეპატიება ასეთი დაბნეულობა! ჩემი კოლეგა სასტუმრო „ბუდაპეშტში“ კი არა, „ბუქარესტში“ უნდა მომეძებნა.

— სამწუხაროა! — თანაგრძნობით წარმოთქვა ლიამ, — მაგრამ საგანგაშო არაფერია, აქედან შეგიძლიათ დაურეკოთ.



— არ მინდა ბოროტად ვისარგებლო
თქვენი ყურადღებით.

— როგორ გეკადრებათ, გთხოვთ!
რამაზ კორინთელმა ყურმილი აიღო
და რომან გუგავას ნომერი აკრიფა.

რომანი ზარს ელოდა ყურმილი
აიღო და როგორც კი დარწმუნდა,
რომ კორინთელი რეკავდა, მოლაპა-
რაკებისამებრ, მხოლოდ ერთ სიტყვას
ამბობდა ყრუ ხმით — „ღიახ“.

ლია რამწვეილი სტუმარს აკ-
ვირდებოდა. თავის თავს გამო-
უტყდა, რომ ჭაბუკი ძალიან მოს-
წონდა. იქნებ უფრო იმან მოხიბლა,
შესანიშნავი ფრანგულით რომ ლაპა-
რაკობდა? იქნებ მისმა ათლეტურმა
ტანმა და ძვირფასმა, დიდი გემოვნე-
ბით შერჩეულმა საფირმო ტანსაც-
მელმაც მოახდინა შთაბეჭდილება?

ალბათ, ყველაფერმა ერთად.
ახალგაზრდა ქალმა ფრანგული არ
იცოდა, მაგრამ ხვდებოდა, ნოდარ
ბარამიძე რომ შესანიშნავად ლაპარა-
კობდა. დროდადრო მომხიბვლელად
იციზნოდა, ერთი-ორჯერ საათსაც და-
ხედა.

„ალბათ პაემანს უნიშნავს!“ — ახ-
ალგაზრდა ქალს შურისგან გული
შეეკუმშა.

სტუმარმა ყურმილი დადო და ლიას
შეხედა.

— შეიძლება კიდევ ერთხელ დაე-
რეკო?

— რამდენიც გნებავთ.

რამაზ კორინთელმა ჯიბიდან სიგა-
რეტი ამოიღო.

— ინებეთ!

— გმადლობთ! — ლიამ კოლოფი-
დან მოხდენილად ამოაძვრინა სიგარე-
ტი.

კორინთელმა ცეცხლი შეაშველა,
თვითონაც მოუკიდა და ტელეფონის
ნომერი აკრიფა.

რომანს ამჯერად რუსულად ელა-
პარაკა.

ლია რამიშვილმა ცალმხრივი სა-
უბრიდან დაასვენა, რომ მისი სტუმარი

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ელაპარა-
კებოდა.

— ასტროფიზიკოსი ბრძანდე-
ბით? — ჰკითხა ლიამ, როცა სტუმარ-
მა ყურმილი ბერკეტზე დადო.

— დიახ.

— რატომღაც ვერ წარმომედგინა
ახალგაზრდა ასტროფიზიკოსი. თანაც
ისეთი ახალგაზრდა, თქვენ რომ ბრძან-
დებით.

— რატომ?

— დღევანდელ დღემდე გულწრფე-
ლად მჯეროდა, რომ ასტროფიზიკოსე-
ბი ხანშესული და მოსაწყენი ხალხია.

— თუ სწორად გავიგე, თქვენი აზ-
რით ასტროფიზიკოსები პირდაპირ
მოხუცებად იზადებიან, არა?

— დიახ, — გაიციინა ლიამ, — დაახ-
ლოებით ეგრე წარმომედგინა.

— მგონი ბევრი დრო წაგართვით...

— ფეხზე წამოდგა კორინთელი.

— დრო თავზე საყრელად მაქვს. —
გაიღიმა ახალგაზრდა ქალმა და თვი-
თონაც ფეხზე წამოდგა.

„ალბათ ვერასდროს ველარ შევხვ-
დები!“ — სინანულით გაივლო გულ-
ში.

რამაზ კორინთელმა მოხდენილად
აკოცა ქალს ხელზე.

„რა მანერები აქვს?!“ — აღმოხდა
გულში ლია რამიშვილს.

კორინთელი ჰოლში გავიდა და კა-
რის სახელურს ხელი მოჰკიდა.

ლია რამიშვილს უსიამო გრძნობა
დაეუფლა — არ ეგონა, უცნობი ადა-
მიანის წასვლა თუ ასე დასწყვეტდა
გულს.

სტუმარი შეჩერდა. კარის სახე-
ლურს ხელი უშვა და ქალისკენ შე-
მობრუნდა.

— ნება მიბოძეთ, ლია დაგიძახოთ.
თქვენ იმდენად ახალგაზრდა ბრძანდე-
ბით, რომ ვერ გამიბედავს ქალბატო-
ნობით მოგმართოთ.

— გმადლობთ! — სიამოვნებისაგან
ჟრუანტელმა დაუარა ლიას.



ოცდარვა წლის ქალის წინაშე ჯერ არ დამდგარიყო ასაკის პრობლემა, მაგრამ მასზე გაცილებით ახალგაზრდა კაცისგან ქალბატონობით მიმართვა, ბუნებრივია, მაინც არ ესიამოვნებოდა. ამიტომაც გაახარა რამაზ კორინთელის სიტყვებმა.

— მე ლეთისმოსავი კაცი ვახლავართ და მჯერა, ჩვენ რომ ხშირად რაიმე ამბავს შემთხვევას მივაწერთ ხოლმე, კანონზომიერია და წინასწარაა ცაში ვადაწყვეტილი. მე, როგორც იდეალისტ ფიზიკოსს, მწამს ლაპლასური დეტერმინიზმი.

პასუხად ლიამ მხოლოდ გაიღიმა, რადგან არ იცოდა, რას ნიშნავდა, რა იყო ლაპლასური დეტერმინიზმი. სამაგიეროდ, უკვე იცოდა, სტუმარი რომ აუცილებლად სადმე მიიპატიებდა და წინასწარ იცოდა, უარს რომ ვერ ეტყოდა.

— ხომ არ გვევახშმა დღეს ერთად? ლია რამიშვილი შეეყოყმანდა, ერთი სული ჰქონდა, დასთანხმებოდა, მაგრამ ეუხერხულებოდა, პირველსავე მიპატიებდაზე თანხმობა განეცხადებინა.

— ნუ გამაწბილებთ, თორემ მარტო მე კი არა, ღმერთსაც გაანაწყენებთ. ქალმა გაიცინა.

— ღმერთს ნამდვილად ვერ გავანაწყენებ.

— სად ვივახშმით? — პირდაპირ გადავიდა საქმეზე კორინთელი.

— არ ვიცი. თქვენ სად გირჩევნიათ?

— თუ გნებავთ „ინტერკონტინენტალში“, სადაც მე ვცხოვრობ. გნებავთ აქვე ჩავიდეთ რესტორანში.

რამაზ კორინთელის თვალს არ გამოპარვია, „ინტერკონტინენტალმა“ რომ შთაბეჭდილება მოახდინა.

— აქ უკვე მომბეზრდა ერთი და იგივე სახეების ყურება.

— მაშ მე წავალ, მაგიდას შეგუჯვეთავ და ზუსტად რვა საათისათვის სასტუმროს წინ დაგელოდებით.

— ვარლამ ბაბუა, სტუმარი მოვიყვანე! — კარებშივე მიახალა ბებიის ძმას, ვარლამ გიგოშვილს ლიამ, თან ტყავის კურტკა გაიხადა და კორინთელს ანიშნა, შენც გაიხადეო.

— სტუმარი?! — გაუკვირდა ვარლამს. თან სრულიად ახალგაზრდა, მოხდენილი ქაბუკი ეპქის თვალით შეათვალიერა.

— შენი კოლეგაა, ფიზიკოსი, ცხვირი ნუ ჩამოუშვი, უხერხულია.

— მობრძანდით! — ნაძალადევად გაიღიმა ვარლამმა.

— გმადლობთ! — თქვა კორინთელმა და პენსიონერი მეცნიერის ოროთახიანი ბინა ყურადღებით შეათვალიერა.

— მაშ, ფიზიკოსი ბრძანდებით? — ჰკითხა უცებ ვარლამმა, თითქოს უნდოდა ლიას ნათქვამი შეემოწმებინა.

— დიახ, ფიზიკოსი ვახლავართ, უფრო სწორად, ასტროფიზიკოსი.

— დაბრძანდით, დაბრძანდით. რამაზ კორინთელი დაჯდა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— შეიძლება?

— რასაკვირველია, შეიძლება.

— თქვენ არ ინებებთ?

— არა, მე არ ვეწევი! — მოხუცმა საფერფლე შემოიტანა და მაგიდაზე სტუმრის წინ დადგა, — რა დარგში მუშაობთ?

— მე ძირითადად რადიოაქტიურობის პრობლემებს ვირკვევ.

— გასაგებია, გასაგებია.

— ბოდიშს გიხდით, რომ შეგაწუხებთ, მგონი, მოსვენებას აპირებდით.

— სულ მოსვენებული არა ვარ?! ყველა საჭირო მალაზია პირველ სართულზეა ამ ქალაქისოდენა შენობაში. ვარ ჩემთვის ამ ბეტონის კუბიკებში გამოკეტილი და ცვოცხლობ წარსულის მოგონებებით. ჩემი დის შვილი-შვილი საიდანღა გაიცანით?

— მე მას დიდი ხანია ვიცნობ. გათხოვების შემდეგ თითქმის აღარ მინა-

ხავს. სასტუმროში რომ შევხვდით, ძალიან გამიხარდა.

— თქვენ დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობთ? — შეუტრიალა კითხვა კორინთელმა.

— თითქმის ოცდახუთი წელიწადია! — დაფიქრდა მოხუცი. — დიდი მეცნიერი ჩემგან არ გამოვიდა. ცხოვრებაც ვერ მოვიწყვე. ჩემს ბინაში აუცილებელ და აპირრო ნივთებს გარდა ვერაფერს ნჩავთ. ბიბლიოთეკას კი ნამდვილად ვერ დამიწუნებთ.

— მარტო ბიბლიოთეკა, ბაბუ! განა შენი მარკების კოლექცია უნიკალური არ არის? —

რამაზ კორინთელს გულმა რეჩხი უყო.

— ფილატელისტიკ ბრძანდებით? — უფრო სწორად, ვიყავი. რამდენიმე წელია ახალი არაფერი შემოიძენა.

— ვარლამ ბაბუას ათასამდე მარკა მაინცა აქვს უნიკალური.

— მე მაინცდამაინც ვერ ვერკვევი ფილატელიაში. ათასი მარკა ალბათ ძალიან დიდ კოლექციად ითვლება, არა?

— კოლექციის სიმდიდრეს მარკების ხარისხი განსაზღვრავს და არა რაოდენობა. მე კარგი მარკები მაქვს, მაგრამ არა ისეთი, ჩემი კოლექცია რომ უნიკალურად აქციოს. თუმცა მაქვს ერთი მარკა, ისაა ჩემი ნამდვილი სიამაყე! — თვალები გაუბრწყინდა მოხუცს. — კაბინეტში გავიდეთ. მიწა და გიჩვენოთ.

ყველანი კაბინეტში გავიდნენ. რამაზ კორინთელმა ერთი კარადის ვიტრინაში უამრავი მარკა დაინახა გამოფენილი. თავი შეიკავა, შეეცადა, მღელვარება არ დასტყობოდა. ისეთი სახე მიიღო, ვითომც მარკები სულ არ აინტერესებდა, წიგნებით გადატვირთულ თაროებთან მივიდა და მათემატიკის ისტორიის უძველესი გამოცემის პირველი ტომი გადმოიღო.

— მობრძანდით, თორემ ბატონ ვარ-

ლამს ეწყინება! — უთხრა ჩემად
საქმიანო
ნიკოლოზი

— ახლავე, ახლავე! — რამაზ კორინთელი მარკებით გამოვსებულ ვიტრინასთან მივიდა, — მაპატიეთ, მაგრამ ისეთი წიგნები დავინახე, თვალი ვერ მოვწყვიტე. — კორინთელმა ყურადღება დაძაბა, ერთი სული ჰქონდა დაენახა მარკა, რომელიც ასე ათასი დოლარი ღირდა.

— აი, ჩემი სიამაყე, აი, ჩემი „ტრაფალგარი!“ — ვარლამმა მალაქიტის კოლოფი გახსნა და სტუმარს ცელოფანში სათუთად გახვეული მარკა დაანახა. მოხუც ფიზიკოსს თვალები სიხარულით უბრწყინავდა, დამჭკნარი სახე სიამაყით ჰქონდა სავსე.

— მაინც რა ეღირება თქვენი „ტრაფალგარი?“ — სხვათა შორის იკითხა კორინთელმა.

— ბევრი, ძალიან ბევრი. ძალიანაც რომ მონდომოთ, ვერ იყიდით! — გაეცინა ვარლამს. — სხვათა შორის, გული მწყდება, როცა ფილატელიაში ჩაუხვდავი ხალხი მარკას მხოლოდ ღირებულებით აფასებს.

— წელან ვთქვი, ფილატელიაზე წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი. ამიტომაც არ ვიცი, მარკა რით უნდა შევადგასო. სილამაზით? მაშინ აგერ გაცილებით უფრო ლამაზი მარკები გაქვთ გამოფენილი, ვიდრე თქვენი „ტრაფალგარია!“ — თქვა თითქოსდა განაწყენებულმა სტუმარმა.

— მართალი ხართ, სავსებით მართალი ბრძანდებით. ჩემი „ტრაფალგარი“ დაახლოებით ორასი ათასი დოლარი ეღირება.

— ბაბუ, რას ამბობ! — იყვირა ლიამ.

— დიახ, დიახ; ორასი ათასი დოლარი!

— ეს პატარა ქალაქის ნავლენჯი? — ვითომ არ დაიჯერა რამაზ კორინთელმა.

მოხუცმა ფიზიკოსმა პასუხად მალაქიტის ყუთი დახურა და ისევ სეკრეტერში შეინახა.



— მარკები არაა თქვენი საქმე, ჯობია, წიგნები დავათვალიეროთ, — ვარლამ გიგომევილს კილოზე ეტყობოდა განაწყენება.

— მართალი ბრძანდებით. ფილატელია ჩემთვის ნამდვილი ჩინურია. ერთი ანეგდოტი თუ ნამდვილი ამბავი მაგონდება, ამ ორი თვის წინ რომ მიამბეს პარიზში. თუ ბოროტად არ ვიხსარებლებ თქვენი ყურადღებით, გიამბობთ.

— დიდი სიამოვნებით, ჩემო ბატონო. დიდი სიამოვნებით.

— ხომ არ გეწყინებათ? ანეგდოტი ფილატელისტზეა.

— მით უფრო დიდი სიამოვნებით დაგიგდებთ ყურს.

— ლიონში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი. თურმე ბავშვობიდანვე ფილატელიას მისიღევდა. ორმოცი წლისა ისე გახდა, ქალი არ უნახავს. წარმოგიდგენიათ ორმოცი წლის ფრანგი, რომელსაც ქალი არ უნახავს? — რამაზ კორინთელმა ლიას ჩაუკრა თვალი.

— ეგ მართლაც სასწაულია! — გაიცინა ბატონმა ვარლამმა.

ლიამაც გაიცინა. პენსიონერ ფიზიკოსს არ გამოჰპარვია, როგორი თვალებით უყურებდა ქალი სტუმარს და დატუქავის ნიშნად თითი დაუქნია.

— ერთ მშვენიერ დღეს ლიონელი ფილატელისტი პარიზში ჩამოვიდა, — განაგრძო რამაზ კორინთელმა, — იქ ერთ ქალს გადაეყარა და პირველად გაიგო სიყვარულის გემო. უმაღლვე ტელეფონს ეცა, ლიონში დედას დაუკავშირდა და უთხრა, ახლავე ცეცხლს მიეცი ჩემი მარკები. ჰობი გამოვიცვალე, სიყვარულის გემო გავიგეო.

— შესანიშნავია! — იცინოდა ვარლამი, — მართლაც რომ ფრანგული ანეგდოტია. მაგრამ, ყმაწვილო, მე არ ვგავარ იმ ფილატელისტს. დიდი მუსუსი არასდროს ვყოფილვარ, თუმცა მქონია რამდენიმე თავდავიწყებამდე მისული სიყვარული! შენ კი, ჩემო ლია, ჩაი გაგვიძხადე. რა ვქნა, მოუ-

ლოდნელად მობრძანდით, შინ მეთქი არაფერი მაქვს.

— როგორ გეკადრებათ. პირიქით, დიდ ბოდიშს გინდით შეუწუხებისათვის.

— ლია, თავში ერთი აჭრი მომივიდა, — თქვა უცებ რამაზ კორინთელმა, — მოდიოთ, ხვალ სამთავრემ ერთად ვივახშვით!

— დიდი სიამოვნებით წამოვალ თქვენთან ერთად რესტორანში. — გაეხარდა ბატონ ვარლამს.

ლია რამიშვილს აშკარად არ ესიამოვნა კორინთელის წინადადება, მაგრამ რა მეთი გზა ჰქონდა.

— ბატონი ბრძანდებით.

— სად წავიდეთ? — რამაზ კორინთელმა ვითომ ვერ შენიშნა ახალგაზრდა ქალის განაწყენება.

— მაგას მე მოვიფიქრებ! ხვალ რომ მობრძანდებით, გეტყვით ჩემს ვარიანტს, რასაკვირველია, თუკი თანახმა იქნებით.

— არჩევანი თქვენთვის მოგვინდვია! — გაიცინა რამაზ კორინთელმა, — ლია, ხვალ აკადემიაში სხდომა დაახლოებით ხუთის ნახევარზე დამთავრდება და პირდაპირ გამოვივლი, ექვსის ნახევრისთვის კი ვთხოვოთ ბატონ ვარლამს მზად დაგვხვდეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ვარლამ!

ლიას ხმა მანამდე არ ამოუღია, სანამ ტაქსში არ ჩასხდნენ.

— რაში მოგეპრიანა ბაბუაჩემის დაპატიება? — ჰკითხა რამაზ კორინთელს, როგორც კი სავარძელს კარგად მოერგო.

— მომეწონა, მშვენიერი მოხუცია. მიყვარს ძველ ინტელიგენტებთან საუბარი. და, რაც მთავარია, მინდოდა შენთვის მესიამოვნებინა.

— ხომ არ გავიწყდება, ორად ორი დღე დაგვრჩა. რატომ უნდა გავუყო საათები თუნდაც ძალზე ახლობელ იდამიანს?

— რატომ ორად ორი? განა მთელი სიცოცხლე წინ არა გვაქვს? — გულუბრყვილოდ გაოცებულმა წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

— არა, ჩემო აიციოცხლევ, — პატარა ბიჭვით მოეფერა ლია, — სამწუხაროდ, მხოლოდ ორი დღე დაგვრჩა, ორად ორი დღე. ჩვენ მეტს აღარ შევხვდებით ერთმანეთს. ვიცი, ძალიან მძიმე დღეები დამიდგება, შენთან განშორება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ რას ვიზამ, თავს ზემოთ ძალა არაა. ეტყობა, ღმერთი ბედნიერ წუთებს უხვად როდი ხტუნის ადამიანებს. იმ რამდენიმე დღისაც მადლობელი ვარ, ჩემთვის რომ გამოიმეტა. შენ კი, მჯერა, ისე მოიქცევი, ნამდვილ ინტელიგენტს და რაინდს რომ შეჰფერის! გასაგებია?

— გასაგები მხოლოდ ერთი რამ არის. თუ შენი გადაწყვეტილება საბოლოოა, მე ვკარგავ ადამიანს, რომლის მსგავსად არავინ მყვარებია მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუმცა, გულახდილად გეტყვი, მჯერა, რომ ღმერთი არ გამიწირავს!

მოსწია და დაჯდა. ინგლისელისაკენ არც გაუხედავს.

— მხიარული სახეები მიიღეთ-მეთქი, მგონი გითხარით! — ღმილით გაცრა კბილებში რამაზ კორინთელმა, — რაც მთავარია, თქვენ იქით არ გაიხედოთ.

ორთავენი კორინთელის საპირისპიროდ ისხდნენ, ინგლისელის მხარეს.

ათი წუთი ისე გავიდა, რამაზ კორინთელს ინგლისელისკენ არც გაუხედავს.

— დროა, ვამოელაპარაკო, ეგენი კიდევ ნახევარ საათს დარჩებიან რესტორანში.

— ნუ ღელავ, ჩვენ მხოლოდ ხუთი წუთი გვჭირდება მოლაპარაკებისათვის. ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! — კორინთელმა ჭიქა მალა ასწია და თვალები ინგლისელისაკენ გააპარა.

ინგლისელმა შეთანხმებულივით შეაგება თვალები.

კორინთელმა სიგარეტს მოუკიდა და დინჯად თქვა ინგლისურად.

— ოთხი დღის შემდეგ შევსვამთ „ტრაფალგარის“ სადღევრძელოს!

რომან გუგავა თავს უქნევდა, ვითომ კორინთელი მას ელაპარაკებოდა.

— სიამოვნებით მოგიჭახუნებთ ჭიქას!

— მინდა საბოლოოდ მოვილაპარაკოთ.

— განა უკვე არ შევთანხმდით?

— თქვენ ვისაც შეუთანხმდით, იგი ხანგრძლივი დროით ისვენებს. ჩემმა კომპანიონმა ინგლისური არ იცის, თქვენი რუსულით კი თითქმის ვერ გაიგო ვერაფერი. ქართული ანდაზაა, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ პირობები.

— მაინც რა გსურთ?

— „ტრაფალგარი“ ორმაგ სიხარულს იმსახურებს. თანაც, ხომ იცით, უცხოელთან სავალუტო კავშირის დაქვერ ორმაჟადაა სახიფათო.

— ვიცი, მაგრამ თქვენ ერთი სიხარულით უნდა დაკმაყოფილდეთ, — ინგ-

— ყველაფერი რიგზეა? — ტაქსიდან გადმოსვლისთანავე იკითხა რამაზ კორინთელმა.

— როგორც დავთქვით, ოცი წუთის წინ შევიდა ვილაც კაცთან ერთად, — მიუგო რომან გუგავამ.

— ჩვენს გვერდით მაგიდაზე ზის, შენ მოპირდაპირე მხარეს დაჯდები, რომ პირდაპირ უყურო. მაგიდებს შორის მანძილი ნახევარი მეტრია. მუქი ლურჯი კოატიუმი აცვია და ღვინისფერი ჰალსტუხი უკეთია. — ნახევრად ჩურჩულით აუხსნა სოაო შადურმა.

— კარგით, ყველაფერი რიგზე იქნება. ცოტა მხიარული სახე მიიღეთ და ჩურჩულს თავი დაანებეთ.

მეტრდოტელი დარბაზის კარებშივე მიეგება ახლად მოსულ სტუმრებს და წინასწარ შეკვეთილ და გაშლილ მაგიდასკენ გაუძღვა.

რამაზ კორინთელმა შორიდანვე დაინახა მაღალი, ქერა ინგლისელი, მაგიდასთან დინჯად მივდა, სკამი გა-

ლისელმა უდარდელად გააბოლა სიგარეტი. — მეტია საშუალება არ არის.

— თქვენი სიტყვა საბოლოოა?

— საბოლოო. მე კი, სამაგიეროდ, მზად ვარ, ურთიერთობა გავაგრძელოთ.

— ურთიერთობის გაგრძელება მომავლის საქმეა.

რამაზ კორინთელმა ოფიციალს ანიშნა, აქ მოდიო.

— მეორეს რატომ ავციანებთ?

— თქვენს ბრძანებას ველოდებოდი, — მიუგო თავზიანად ოფიციალსმა, — ახლავე მოგართმევთ.

— სად, როგორ და რანაირად! — თქვა კორინთელმა ინგლისელის გასაგონად, თან სოსო შადურს შეხედა თვალებში და ჭიქა მალა ასწია.

— „ნაციონალში“, გარდერობში, პალატების ჩაბარების დროს? — კორინთელის გასაგონად ღიმილით უთხრა ინგლისელმა მეგობარს და შამპანურით სავსე ჭიქა ნელა მოწრუბა.

— არა, კოქტეილბარში. ჯობია, თქვენ რესტორანში, შეხვიდეთ.

— როდის დატოვებთ კოქტეილბარს?

— რაცა თქვენ ან თქვენი მეგობრები ბარში შემოხვალთ და მოითხოვთ „შამპან-კაბლერს“.

— ყოველგვარი გაუგებრობა გამორიცხულია!

— ჩვენ ინგლისელები ვართ.

— ჩვენი არ გეშინიათ?

— მე ვფიქრობ, ღირსეულ ჯენტლმენებთან გვაქვს საქმე.

— გმადლობთ დიდი ნდობისათვის. როგორ მოხდება საქონლის გაცვლა?

— ეგ ყველაზე ადვილი პროცედურაა. ამ ხელჩანთას ხედავთ?

რამაზ კორინთელმა სკამზე გადაკიდებულ ტყავის პატარა ხელჩანთას შეავლო თვალი.

— დიახ!

— სასტუმროს ვესტიბიულში იყიდება. ჯობია, ახლავე შეიძინოთ. კოქტეილბარში, ვფიქრობ, იოლი იქნება მათი გაცვლა.

— გასაგებია!

— თქვენ წელან მშვენიერი ანდაზა

ბრძანეთ, სიფრთხილეს თავი არ სტყავო, ისე, ყოველი შემთხვევისათვის დაგიმალავთ, ჩვენც გვექნება მთავარი მიღებული. წესი წესია, პროფესიონალი ყოველთვის პროფესიონალი უნდა იყო, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, თქვენს კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ მეპარება.

— ყველაფერი გასაგებია!

— ახლა მე მაქვს ერთი შეკითხვა.

— მოითმინეთ, ოფიციალტი მოდის.

— თქვა რამაზ კორინთელმა და მეგობრებს გაბრაზებული მიუბრუნდა — ილაპარაკეთ, საქმელი გადაიღეთ, ჭიქები შეათამაშეთ, რაც გაშეშებულხართ და დამუნჯებულხართ უნიჭო კაცის გაკეთებული ქანდაკებებით!

ოფიციალტმა ჯერ თეფშები გამოცვალა, შემდეგ ყველას წინ რესტორნის საფირმო ბიფშტექსი დაუღო.

— სამი ბოთლი ღვინო კიდევ მოიტანე, — კორინთელმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო და თუმნიანი ოფიციალტს გაუწოდა. — ორკესტრს მიართვით, იქნებ რაიმე ფრანგული დაუკრან.

ოფიციალტი წავიდა.

— გისმენთ! — თქვა კორინთელმა და დანა-ჩანგალს დასწვდა.

— იმედი მაქვს, ოპერაცია სუფთად ჩატარდება?

— რასაკვირველია!

— თქვენებური ანდაზაა, დაიჯერე, მაგრამ მაინც შეამოწმეო.

— თუ არ მოვედით, თქვენთვის ყველაფერი გასაგები იქნება, მაგრამ ეს არ მოხდება. კიდევაც რომ დავიწვათ, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ.

— ჩვენ ვაფაქებთ ჯენტლმენის სიტყვას. გისურვებთ წარმატებას. „ნაციონალში“ შეხვედრამდე! — ინგლისელმა ჭიქა ასწია და შამპანური მოსვა.

— გაგვიმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა თანამესუფრეებს რამაზ კორინთელმა და ბოლომდე გამოსცალა.

ორკესტრმა რაღაც ფრანგული მელოდია წამოიწყო. სცენაზე მალალი, გრძელკაბიანი მომღერალი ქალი გამოვიდა. ბეტონის ბრტყელ მკერდზე ძუძუები აივნიებით ჰქონდა მიდგმული.

რამაზ კორინთელი ვითომ ყურადღებულ იქცა. ინგლისელისკენ ზურგით დარჯდა, თავით მარჯვენა ხელს დაეყრდნო და მელოდიაში ჩაფლულმა თვალელები სანახევროდ შოხუჭა.

ორკესტრმა უკანასკნელი აკორდი აიღო. საქაფონისტი კორინთელისკენ შემობრუნდა და თავი ოდნავ დაუქრა.

რამაზ კორინთელმა დინჯად, უხმაუროდ დაუქრა ტაში. შემდეგ ხელი ჭიქას წაავლო. 11

— თქვით რაღაც, ჩუმად რომ ულაკავთ ღვინოს!

თვალი გმერდზე მაგიდისაკენ გაექცა — ინგლისელები წასულიყვნენ.

— ოჰო! — თქვა მოწონების ნიშნად. — დანახეთ, როდის წავიდნენ?

— ვიგობენი, მაგრამ უკან არ გამიხედავს. — თქვა რომან გუგავამ.

— აბა, ახლა შევუბეროთ. სმის ხასიათზე დავდექი!

— დაელიოთ! — შადურმა დიდი ჭიქები შეავსო.

— გაუმარჯოს ჩვენი ოპერაციის წარმატებით დამთავრებას!

— გაუმარჯოს! რომან, ცოტა ხნის შემდეგ გახვალ და ხელჩანთას იყიდი.

სამთავემ ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს და ბოლომდე გამოსცალეს.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ოპერაციის მეთაურობის ადავეები ხელში აიღო და სიხარული დაეუფლა.

— რატომღაც არაყი მომინდა.

— მოვატანინოთ. — შადური შებრუნდა, თვალთ ოფიციალტი მონახა და ანიშნა, აქ მოდიო.

— რა არაყი გაქვთ?

— „სტალიჩნი“, „სიბირსკაია“.

შადურმა კორინთელს შეხედა, რომელი გინდაო.

— „სიბირსკაია“! — პირდაპირ უთხრა კორინთელმა ოფიციალტს. — ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად.

ოფიციალტი გაბრუნდა.

— ორკესტრს ხომ არაფერი შევუკვეთოთ ქართული? — იკითხა რომან გუგავამ და ხელი ჭიბისკენ წაიღო.

— ბატონი რომან, — დამცინავად

წარმოსთქვა რამაზ კორინთელმა, რესტორნის მომსახურე პერსონალს ინცდამინც ნუ დავამახსოვრებთ არასდროს არ დავაგიწყდეს, რომ მოკრძალება ალამაზებს ადამიანს.

რომან გუგავა მოხიბლული იყო რამაზ კორინთელით. მის ყოველ სიტყვას გაფაციცებით იჭერდა და აღტაცებული თვალელებით მისჩერებოდა.

რამაზ კორინთელს გუგავა არ აინტერესებდა. უნდოდა სოსო შადურისათვის მოეტეხა რქები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნებულიყო ჯავშნოსანი შუბლიანი ყმაწვილი, რომ რამაზ კორინთელთან ვერაფერს გახდებოდა.

— რატომ დუმხარ? — გულმოსულმა უთხრა შადურმა.

— მე ვდუმვარ? — გაიცინა კორინთელმა და სიგარეტი სახეში შეაბოლა.

— სადღეგრძელოებს არ ვგულისხმობ. საქმეზე რა თქვა.

— დროა, ისწავლო ინგლისური, სოსო ვლადიმროვიჩი! აი, რომან გუგავამ შესანიშნავად გაიგო მათი ნალაპარაკევი.

შადურს სიბრაზისაგან საფეთქლის ძარღვები დაებერა.

— დაწყნარდი, ყველაფერი რიგზეა! — დამშვიდა უცებ გაცოფებული შადური. — მოდიო, ახლა ჩვენ ვილაპარაკოთ საქმეებზე. ინგლისელს რა უშავს, გავცვლით ჩანთებს და მორჩა! თუ მეტი არა, ასი ათასი დოლარი წმინდა მოგება განადღებული აქვს. ჩვენ რა უნდა ვუყოთ დოლარებს? არასდროს ვალიუტასთან საქმე არ მქონია.

— ასი ათას დოლარს 10 დღეში ვაქცევ სამასი ათას მანეთად!

— ცოტაა! — რამაზ კორინთელმა ამჯერად რომან გუგავას შეაბოლა სახეში.

— შეიძლება ოთხასი ათას მანეთადაც ვაქციოთ, ოღონდ დიდი დრო იქნება საჭირო. დროსთან ერთად ხიფათიც იზრდება. საჭიროა, ვალიუტა დროზე მოვიშოროთ თავიდან. მე მყავს კაცი, ვინც პირდაპირ დაგვიცლის ხელს.

— კარგიო, თანახმა ვარ. ფული როგორ ნაწილდება?

— ათი ათასი დოლარის განსხვავებას მიიღებს რომან გუგავა, რომელმაც საქმე მოგვცა.

— ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგეთანხმებით, ჯენტლმენებო!

— რატომ? — გაოცდა გუგავა.

— სიტყვა სიტყვა იყოს, მე თანხმობა მივეცი რომანს. — გამომწვევად წარმოთქვა სოსო შადურმა.

— მე? განა მე მივეცი თანხმობა? ან თანხმობა როგორ შემქმლო მიმეცა, სანამ საქმეს საფუძვლიანად არ გავეცნობოდი?!

— რას ითხოვ?

ოფიციალტმა არაყი მოიტანა. სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა.

— რას ითხოვ? — გაიმეორა შეკითხვა შადურმა, როცა ოფიციალტი წავიდა.

— რომან გუგავამ იმიტომ დაგვიძახა, რომ თვითონ უძღური იყო ოპერაცია ჩაეტარებინა, ხომ მართალია, ბატონო რომან?

— მართალია, — დაეთანხმა რომანი, — ერთი კაცი ვერ ჩაატარებს ასეთ რთულ ოპერაციას.

— მართო რაოდენობაზე არ არის საქმე. ხალხს აქაც მოაგროვებდი. ოპერაციას კი ვერ ჩაატარებდი. არ ეტრაბახობ, არც თავს გამადლით. უჩემოდ ეგ საქმე არ გამოგივიდოდათ. მე ვითხოვ ათი ათასი დოლარით მეტს. დანარჩენი გაიყოფა სამზე. თუ სოსო შადურს სინდისი ქენჯნის პირობის დარღვევის გამო, შეუძლია თავისი თანხიდან გადამიხადოს განსხვავება. მე პირობა არც დამიღვია და, აქედან გამომდინარე, არც ვარღვევ. მე ჩემსას მოვიტხოვ. თქვენ შეგიძლიათ დამეთანხმოთ, შეგიძლიათ არ დამეთანხმოთ. მაშინ მე გავდივარ თამაშიდან. იმიტაც კმაყოფილი ვარ, რომ ღია რამიშვილს შევუყვარდი.

— არ ხარ მართალი! — გაცოფებულმა შადურმა ჭიქა ღამის დაახეთქა მაგიდაზე.

— ნერვები დაიოკე, ენა შევილო! — ხმადაბლა, მაგრამ მუქარით უთხრა კორინთელმა.

— მე თანახმა ვარ! — თქვა უცებ

რომან გუგავამ. აშკარად შეშინდა, კამათი უთანხმოებაში არ გადაზრდოვდა. — წინადადება სწორია. თუ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის, რამაზ კორინთელის დამკახტურება იქნება. მე თანახმა ვარ. ათი ათასი განსხვავება თქვენ, დანარჩენი გაიყოფა სამზე. ძალიან გთხოვთ, დაწყნარდეთ. მე კი გავალ და ჩანთას ვიყიდი.

რომანმა შადურს გადახედა. სოსოს დანა კბილს არ უხსნიდა. ათი ათასი დოლარი კი არ აღარღებდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რამაზ კორინთელი პირველობას ჩემულობდა.

— ნუ გეშინია, იოსიფ კვლადიმიროვიჩ, — მიუხედა კორინთელი, — შენ კვლავ მეთაური და ლიდერი იქნები. „ტრაფალგარი“ იქნება ჩემი უკანასკნელი ოპერაცია. შემდეგ სამუდამოდ დაგიკრავთ თავს. მეცნიერებთანაც მეყოფა დავა და ინტრიგა. იქაც ბევრია საბრძოლო და სადავიდარაბო.

სოსო შადურს არ ესიამოვნა, კორინთელმა რომ გამოიცნო, გულს რა ჭიაც უღრღნიდა. ხმა აღარ ამოუღია, გაჩუმება არჩია. მალე რომანიც შემოვიდა.

— ნება მომეცით, ჯენტლმენებო, თქვენი დუმილი მივიჩნიო თანხმობის ნიშნად. დავლით, თორემ დაგვიგვიანდა სადღეგრძელო. აბა, არაყი დამისხით. — თქვა რამაზ კორინთელმა და თან გუგავას სკამის სახელურზე გადაკიდებულ ჩანთა შეათვალიერა.

რომან გუგავამ არაყს ბორჯომი დააყოლა.

— ოცი წელია მოსკოვში ვცხოვრობ, ვერ შევეჩვიე ამ უპატრონოს!

— მოდით, ახლა ოპერაციის ზოგიერთი დეტალი დავამუშავოთ. ზოგი რამ შეიცვალა. მე დავარწმუნე ღია რამიშვილი, რომ არ ღირს აეროპორტამდე გაცილება. ვაითუ, შეყვარებულმა ქალბატონმა თავი ვედარ შეიკავოს, ტირილი წასკდეს. ვნუკოვო კი სავსე იქნება ქართველებით, ნაცნობ-მეგობრებით. აბა, კარგად დაიმახსოვრეთ: დილით ადრე ღია რამიშვილს უნდა ვესტუმრო. თერთმეტ საათზე რომანი ჩემთან მოვა

„ბუღალაშვიტში“. თორმეტის ნახევარზე ვიქნებით მოხუც ფიზიკოსთან, თორმეტისათვის მოვბრუნდებით უკან, სასტუმროში. ღია რამიშვილი მზად დაგვხვდება აეროპორტში გასამგზავრებლად ჩემო რომან, მიუხედავად იმისა, რომ ოცი წელია მოსკოვში ცხოვრობ და მშვენიერი რუსული იცი, ხმას მაინც ნუ ამოიღებ. ერთმა ქართული აქცენტით ნათქვამმა ფრაზამ შეიძლება საბოლოოდ ჩაშალოს ჩვენი ოპერაცია. შენ შენი „ვოლგით“ ჩემზე ხარ მომაგრებული მეცნიერებათა აკადემიის მესვეურთა მიერ. შენ მანქანაში რჩები, მე და მოხუცი მივდივართ ქალბატონ ლიასთან. გამობთხოვების გულისამაჩუყებელი სცენები და ღია რამიშვილის ტაქსში ჩასმა დაიჭერს ერთ საათს. როგორც კი ტაქსი თვალს მიეფარება, მე და ბატონი ვარლამი ვჯდებით შენს მანქანაში, დანარჩენი როგორც ტექსტშია.

— აჯობდა კი, უჩიხლოდ გადავრჩენილიყავით! — თავი გაიქნია რომან გუგავამ.

— უსისხლოდ რომ შესაძლებელი კოდილიყო, მაშინ ჩვენ არც დავგიძახებდით! — ჩაიციან რამაზ კორინთელმა, — თუმცა შეგიძლია მშვიდად იყო, სისხლი ნამდვილად არ დაიღვრება. მოხუცი ისე უნდა მოგვედოთ, ძალადობის კვლიც არ დააჩნდეს. როცა მდინარეში იპოვიან, მრავალ ვერსიათა შორის ერთი უნდა იყოს ყველაზე გამოკვეთილი: მარტონელა და გადაბერებულმა პენსიონერმა თავი დაიხრჩო. ამიტომაც, როცა ბინაში შევალთ, ხელს არაფერს ვახლებთ, წამოვიდებით მხოლოდ მარკას.

— არა ჯობია, რაიმე სიმძიმე შევაბათ და მდინარეში ისე გადავადლოთ?

— გაუბედავად იკითხა რომან გუგავამ.

— ერთხელ ხომ უკვე მოვილაპარაკეთ და შევეთანხმდით. ახლა თავიდან დავიწყეთ?! მოხუცი თუ გაქრება, მილიცია უფრო დაინტერესდება. როცა გვამს იპოვიან და ძალადობის კვალს ვერ აღმოაჩენენ, თან ბინაში ყველაფერი ხელუხლებლად დახვდებათ, ჩემს მიერ ნაყარადღევი ვერსია ოფიციალურ

ფაქტად იქცევა. გვამზე რკინის შებმა არ არის ძნელი, — რამაზ კორინთელმა არაყი სულმოუთქმელად დაცალკა ჩემს გეგმაში რაიმე თუ არ მოგწონთ. კიდევ ვიმსჯელოთ, ოღონდ რასაც დღეს გადავწყვეტთ, კანონად ვაქციოთ.

— იქნებ სულაც სჯობია, სახლში აპყვე და იქ მოგულო? მაშინ ხომ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხულია. — თქვა შადურმა.

— ხომ ხედავთ, რამდენი მეტს იმსჯელებთ, მეტ სისულელეს იტყვით. ვთქვათ, მივიყვანე სახლში და შევეთავაზე შინამდე აცილება. მან კი სასტიკი უარი განმიცხადა. ჩვენ ხომ მეტი შანსი აღარ გვექნება, ფრთხილი და მშობარა ზოხუცი ფიზიკოსი კიდევ ჩავეისვით მანქანაში!

— მართალი ხარ, ბოდის ვიხდი! — თქვა დარცხვენელმა შადურმა. — მაგრამ ერთი საკითხი მაინც რჩება გაურკვეველი, მხოლოდ ერთი საკითხი. შინაურებმა ხომ იციან „ტრაფალგარის“ არსებობის ამბავი. როცა სეკრეტერში მარკას ვეღარ აღმოაჩენენ, ხომ მიხვდებიან, რომ მოხუცი მოკლულია?

— ნათესავებმა იციან, რომ ბატონ ვარლამს ჰქონდა „ტრაფალგარი“, მაგრამ არ იციან, რა უყო ამ ძვირადღირებულ და უიშვიათეს მარკას. იქნებ გაყიდა? იქნებ ვინმეს აჩუქა? ბინაში ყველაფერი ხელუხლებელი იქნება, მათ შორის ის ათასამდე მარკაც, რომელიც მოხუცს თავის სიცოცხლეში მოუგროვებია. შინიდან მარკის გატაცების ვარიანტი გამოირიცხულია. აბა, წარმოიდგინეთ, მკვლელმა მოახრჩო მოხუცი, ხელთ იგდო სასურველი მარკა, შემდეგ ოთხი სართულის სიმაღლიდან ჩამოიტანა მოხუცის გვამი და გადაადლო მდინარე მოსკოვში! დამეთანხმებით, წარმოუდგენელია. ახლა მეორე ვარიანტიც მოხუცმა რაღაც მიზეზით, ვთქვათ, გასაყიდად, შინიდან გაიტანა „ტრაფალგარი“. ვიღაცამ იგი მოკლა, ჯობიდან მარ-

გუგავამ ფანჯიჩიძე
საბრალი

კა ამოართვა, ხოლო გვამი მდინარეში გადააგდო. საეკლესიო ვარიანტია, ჩვენთვის გაცილებით უკეთესი. და მესამე, ყველაზე საუკეთესო ვარიანტი. მივიწყებული პენსიონერის ნათესავეებიდან ვიღას ახსოვს მისი „ტრაფალგარი“, ან თუ ახსოვს, იფიქრებენ, ალბათ, გაყიდა ან რამდენიმე მარკაში გადაცვალაო. ყველა როდია ფილატელიაში გათვითცნობიერებული. ნახავენ, გვამს ძალადობა არ ეტყობა, ბინა ხელუხლებელია, ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი მარკა ვიტრინაში და სეკრეტერშია გამოფენილი და დალაგებული...

— მაგრამ ღია? ხომ არსებობს ღია რამიშვილი, რომელმაც სტუმრად მიგიყვანა მოხუცის ოჯახში და შენთან ერთად ნახა კიდევ მალაქიტის კოლოფში მოთავსებული „ტრაფალგარი“? რა ვუყოთ ღიას? — გაცხარდა სოსო შადურის. დარწმუნებული იყო, ამჯერად საფუძვლიანი არგუმენტი იბოვა და რამაზ კორინთელი კუთხეში მიიშყყვდია.

რამაზ კორინთელს დამცინავად ჩაეღიმა. მერე არყის ბოთლი მალა ასწია, ოფიციალტს დაანახა და ანიშნა, ერთი ცალი კიდევ მოიტანეთ.

— თქვენ, რაღაც, გატყობთ, გეშინიათ. კი, ბატონო, არ გაძალებთ. შევეშვათ „ტრაფალგარს“ და მივხედოთ ჩვენს საქმეს.

— კარგად იცი, შიში არ მჩვევია. სიფრთხილე, შიში როდია! — გაბრაზდა სოსო შადური, — ისიც იცი, ბოლომდე, უწვრილმანეს ნიუანსებამდე მიყვარს ოპერაციის დამუშავება!

— გეთანხმები, უშიშარი კაცი ხარ. იოსიფ ვლადიმიროვიჩი, მაგრამ ძალიან ცუდი ფსიქოლოგი ბრძანდები ამავ დროს!

რამაზ კორინთელმა იცოდა, ყველაზე უფრო „იოსიფ ვლადიმიროვიჩი“ ავიყებდა სოსო შადურს. ხედებოდა, დაცინვასთან ერთად რამდენა ღვარძლს დებდა ამ ორ სიტყვაში კორინთელი.

— დამისაბუთე!

— შევეცდები, ჩემო სოსო, შევეცდები. დღეს რაღაც ანდაზების ხასიათ-

ზე ვარ, ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მოწინავე ვარო. ღია რამიშვილი ნამდვილად ამოიღებს შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ვერ მიხვდებოდა, რომ „ტრაფალგარი“ მე გავიტაცე. თუ მიხვდა, როგორ ფიქრობთ, მშვენიერი მეუღლისა და დიდი თანამდებობის მამის პატრონი გაამქლავნებდა თავის კავშირს მკვლელთან? რამდენად მიზანშეწონილი იქნება შეეცადოს ჩემს მხილებას? მოდიეთ, ღია რამიშვილის თამალობით ქალებს გაუმარჯოს! — რამაზ კორინთელმა კიქაში წვეთი არ ჩასტოვა. სხეული გაუთბა, გაუშმუბუქდა, თვალები წამოენთო, გახალისდა და გამხიარულდა.

— ნულარ სვამ, უკვე მთვრალი ხარ, ჩვენ კი გეგმა ბოლომდე არ შეგვიძინებია.

— გეგმა ბოლომდეა შემუშავებული, ოღონდ თქვენ დაანებეთ თავი ჩხირკედლაობას. შენ ერთი გახსოვდეს, — მიუბრუნდა რომან გუგავას, — როგორც კი ლენინგრადის შოსეზე გავალთ, მე „დინამოს“ სტადიონამდე გავანთავისუფლებ მოხუც ფიზიკოსს ამქვეყნიური ტვირთისაგან. სოსო სტადიონს ოდნავ იქით დაგველოდება. მანქანა ისე უნდა ატარო, შუქნიშნებთან გაჩერებამ რომ არ მოგვიწიოს, თორემ გვერდით გაჩერებული მანქანებიდან შეიძლება შეგვენიშნონ, რა საქმიანობით ვიქნებით გართული.

— ფიქრი ნუ გაქვს! — ჩაიცინა გუგავამ.

რამაზ კორინთელმა ისევ ხარბად დალია არაყი. უკვე მეორე ბოთლი არაყი იცლებოდა. სოსო და რომანი სანახევროდ არ სვამდნენ. კორინთელს თვალეზზე თითქოს ლიბრი გადაეკრა, აღაშინების სახეებს კარგად ვეღარ არჩევდა.

უცებ ჩაიცინა და თავი ჩააკიდა.

— რა გაციანებს? — ჰკითხა სოსო შადურმა.

— რა იოლად ვლაპარაკობ კაცის მოკვლაზე! — რამაზ კორინთელმა ისევ დაისხა არაყი.

— გეყოფა, რამაზ, უკვე ძალიან მთვრალი ხარ!

— მთვრალი შენა ხარ! თუ არა ხარ, დაისხი და დალიე!

ქიქა კვლავ ბოლომდე გამოსცალა.
— იცი, რა გუნებაზე ვარ? მინდა ვი-
მღერო. ვიცეკვო, ოღონდ ერთი რამ არ
უნდა დაგვაფიწყდეს, მაინცდამაინც თავა
ნუ დავამახსოვრებთ რეპტორნის მომ-
ახლურე პერონალს!

— ამიტომაც ნუ დალიე. სჯობია, ანგა-
როში გავასწოროთ და წავიდეთ.

— ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ. ჩემი
ნუ გედარდებათ. ჰო, რას ვამბობდი?
კაცია მოკვლა გადავწყვიტე და ვითომ აქ
არაფერიაო, შეაანიშნავ გუნებაზე ვარ.
მასხოეს, ჯარში ორმოცდაორი წელი
იყო, მოლაღატე დავიჭირეთ?

— ენ დაიჭირეთ? — გაიღიმა რო-
მან გუგავამ.

— სამშობლოს მოლაღატე. მე მაშინ
სერჟანტი ვიყავი. ოფიცერმა მიბრძანა
დამეხებრიტა. ფერი დავკარგე, მუხლი
მოშეკვეთა. აკანკალებულმა ხესთან მი-
ვიყვანე. ავტომატი დავუმოხნე, ვერა და
ვერ ვესროლე. სახეზე ოფლმა დამასხა.
უცებ აროლის ხმამ ყურები გამიყრუა.
შიშიაგან გული შემიქანდა, მოლაღატე
ჩქვე ჩაიკეცა. მოვიხედე. ერთ ჩემს მე-
გობარს შევბარალეზოდი და მიხსნა გაა-
ჭირისგან. მაშინ რას წარმოვიდგენდი...

რამაზ კორინთელს სიტყვა ხარხარმა
გააწყვეტინა. თავი ასწია, რომან გუ-
გავა იცინოდა, სკამზე ველარ მაგრდე-
ბოდა.

— შესანიშნავი არტისტიც ყოფილ-
ხართ, რამაზ ბატონო!

კორინთელი გამოერკვა. მიხვდა, რაც
წამოაყრახტალა და თვითონაც სიცილი
დაიწყო.

არ გასცინებია მხოლოდ სოსო შა-
დურს. გულში მიკუჭული ეჭვი სიბნე-
ლეში დამწყვედეული მოხვერივით გა-
მოიჭრა გარეთ.

რამაზ კორინთელს დააკვირდა. სახის
არც ერთი ნაკვთი არ უმოძრაებდა. სა-
ხე ტლანქად დახატულ მოცინარ ნიღაბს
მიუგავდა, რომლის წარბებისქვეშა

ორი ჭრილიდან ვიდაცია გაბოროტე-
ბული თვალები შემოსცქეროდა.



ლია რამიშვილმა საათს დახედა. აე-
როპორტში გამგზავრებამდე ერთი სა-
ათიდა რჩებოდა. სავარძელში ჩაჯდა და
სიგარეტი ამოიღო. გულზე საშინელი
სევდა შემოაწვა. წუხელაც ფიქრობდა,
რომ არ ნანობდა, რაც მოხდა, დარწმუ-
ნებული იყო, რომ სინდისის ქენჯნა არ
აწუხებდა, მაგრამ აი, გათენდა დღე-
ვანდელი დღე, დაიწყო გასამგზავრებ-
ლად მზადება და ერთბაშად მიხვდა და
ერთბაშად შეიგარნო, რა დანაშაულიც
ჩაიდინა. ეტყობა, პირველსავე დღესაც
აწუხებდა გადადგმული ნაბიჯი. აბა, რა-
ტომ ეკამათებოდა, რატომ არწმუნებდა
საკუთარ თავს, სრულებითაც არ ვნა-
ნობ, მეუღლეს რომ ვუღალატეო?

დღეს, როცა თვლნათლივ წარმოიდ-
გინა სულ რამდენიმე საათში თბილისის
აეროპორტში მეუღლეს და შევილებს
რომ უნდა შეხვედროდა, ხუხულასავით
დაინგრა მთელი მისი თეორიები, რამაზ
კორინთელთან ურთიერთობის შემდეგ
რომ შეიმუშავა.

მანც რა მოხდა?
ზომ ვერ იტყვის, რომ განათლებული
და მომხიბვლელი ჭაბუკი შეუჩნდა,
გასაქანი არ მისცა და შეაცდინა?

განა პირველსავე წინადადებაზე არ
[დასთანხმდა, „ინტერკონტინენტალში“
ერთად ევაზშმათ?

განა წინააღმდეგობის გაწევა მანც
სცადა, როცა ნოდარ ბარამიძემ პირვე-
ლად აკოცა?

განა ერთხელ მანც თქვა უარი, რო-
ცა ჭაბუკმა სასტუმროს ნომერში აიყვა-
ნა?

განა წინასწარ იყო ფსიქოლოგიურად
მომზადებული, რომ მაგავაი საბედისწე-
რო ნაბიჯი გადაედგა?

მაშ, რამ მოხიბლა და რამ მონუსხა?
ნოდარ ბარამიძის შესახედაობამ?
განა ცოტა გასთამაშებია უფრო

მშენებელი ბიჭები, თანაც ასაკითაც უფრო შესაფერისები, ვიდრე ნოდარ ბარამიძე იყო?

იქნებ მისმა განათლებამ და ინტელექტმა მოხიბლა? ახლაც თვალწინ დაუდგა, როგორ ლაპარაკობდა ახალგაზრდა მეცნიერი ინგლისურად, ფრანგულად გერმანულად...

იქნებ მეუღლისაგან საოცრად განსხვავებულმა მამაკაცმა სულ სხვა ემოციები გაუღვიძა, აქამდე რომ მის არსებაში უიმედოდ თვლემდა?

ღია რამიშვილს თვალწინ მეუღლე წარმოუდგა, მაღალი, ბრგე, უინტელექტო სახის, საქმიანი კაცი, რომელიც კოცნის დროსაც კი თავისი სამმართველოს საქმეებზე ფიქრობდა.

იქნებ ერთბაშად იფეთქა დაგროვებულმა გრძნობამ?

ამ ბოლო დროს ხომ მეუღლეს ახალგაზრდა, მზრუნველ და ყურადღებიან მამად უფრო აღიქვამდა, ვიდრე... ვიდრე... თავისი ოცნების მამაკაცად?

იქნებ შეცდომა იყო, თხუთმეტი დღის მანძილზე მარტო რომ ცხოვრობდა სასტუმროში? იქნებ მარტოდ დარჩენილი ქალის გონებას ეშმაკი გაცილებით იოლად ეუფლება?

დაბნეული, სულიერად განადგურებული ქალი ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რამ აამჩატა, რამ მონუსხა და მოაჯადოვა.

რომ შესძლებოდა, როგორ ამოშანთავდა თავისი განვლილი ცხოვრებიდან იმ დღეებს, ჯერ კიდევ გუშინ უბედნიერესად რომ ეჩვენებოდა.

რამაზ კორინთელმა ზუსტად თორმეტზე დააკაჟუნა.

ახალგაზრდა ქალმა საათს დახედა და ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა:

— შემობრძანდით.

კორინთელმა კარი ფრთხილად შეაღო. ხელში ცელოფანში გახვეული სამი თეთრი მიხაკი ეჭირა.

მაგიდასთან პატარა ლამაზი ჩემოდანი და ხელჩანთა იდო. კორინთელმა ყვავილები მაგიდაზე დადო, ლიასთან მივიდა; დანადგლიანებულ, სევდით ავსებულ

ულ ქალს ხელები თმაში შეუცურა, თავი მაღლა აუწია და საკოცნელად დაიხარა. მაგრამ ქალის ფოცხვერივით გამძვინვარებულმა თვალებმა ადგილზე გააშეშა.

— რა დაგემართა, ღია? — რამაზ კორინთელმა უკან დაიხია.

ძნელი მისახვედრი არ იყო, წუხანდელი ღამის განმავლობაში ახალგაზრდა ქალის არსებაში რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა.

— ნოდარ, — დაიწყო მცირეოდენი დუმილის შემდეგ ღია რამიშვილმა, — ვიცი, შენ უბრალო ადამიანი არა ხარ. მე ვფასებ შენს დიდ განათლებასა და კულტურას. ამიტომ, იმედი მაქვს, რასაც ვეტყვი, აქვე, ამ წუთში მოკვდება.

— ღია!

— ძალიან გთხოვ, ხელს ნუ შემიშლი. სათქმელი ბოლომდე მათქმევინე. ახალგაზრდა ქალს ლაწეებზე ცრემლები ჩამოუყვარდა.

— არ ვიცი, რა აზრისა ბრძანდები ჩემზე. არც მე ვიცი, რა დამემართა, რა ძალამ გადაამდგმევინა საბედისწერო ნაბიჯი. საყვედურს არ გეტუბნები, არც არაფერში გადაწაშალებ. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. სამწუხაროდ, რაც მოხდა, მისი დავიწყება აღარ შეიძლება. რამდენიმე დღემ, რომელმაც თითქოს ბედნიერება მომიტანა, ალბათ, სამუდამოდ დააჩნია ჩემს სულს დაღი.

ღიამ ცრემლები მოიწმინდა, მცირეოდენი პაუზით თითქოს სულიც მოითქვა და უფრო მტკიცედ განაგრძო.

— მე შენზე კვლავინდებურად დიდ აზრისა ვარ. მინდა გულწრფელად მჯეროდეს, რომ მე შენთვის არ ვიყავი რიგითი ქალი და აქ ერთად გატარებული დღეები არ იყო რიგითი სასიყვარულო ისტორია, იმედი მაქვს, ჩემს საქციელს მოუნახავ გამართლებას. მოუნახავ და სამუდამოდ დაივიწყებ! ახლა კი დაბლა ჩავიდეთ.

— ღია!

— ძალიან გთხოვ, ნურაფერს მეტყვი. ბაბუაჩემი დაბლავ?



— ჰო, დაბლა გველოდება.
 — ნეტავ არ მოსულიყო! — ამოიოხრა ლიამ, ხელჩანთას დასწვდა და კარისაკენ გაემართა.

— არ მინდოდა წამომეყვანა, რა არ ვუთხარი, მაგრამ აიჩემა, უნდა გავაცილოო, სხვა რა პატივისცემა შემიძლია პენსიონერ მოხუცსო.

ლიამ ერთი კი დახედა მიხაკებს, მაგრამ არ აუღია. სასტუმროს ნომერში მაგიდაზე დარჩენილი ყვავილებით სამუდამოდ დაესვა წერტილი იმ დღეებს, რომლის გახსენება აღარ სურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარც დაივიწყებდა.

ვარლამ გიგოშვილი სასტუმროს ვესტიბიულში რბილ სავარძელში მოკალათებულიყო და გაზეთს კითხულობდა.

— გამარჯობა, ბაბუ! — წაადგა თავზე ლია რამიშვილი.

— უკვე ჩამოხვედი? — ასაკისათვის უჩვეულოდ აწრაფად წამოდგა ვარლამი. გაზეთი დაეცვა, სავარძელზე დადო და ქალის მოშვერილ ლოყას ტუჩებით ნახად შეეხო.

— ტაქსი უკვე გელოდება? — ჰკითხა ვარლამმა.

— ათი წუთია, მელოდება!
 — ნომერი ხომ იცი?
 — ვიცი, ზეპირად მახსოვს.

მაისის წყნარი, ღრუბლიანი დღე იდგა. ერთ ალაგას ძველი ქსოვილივით გაცრეცილ ღრუბელში მზის ოქროსფერი დისკო იკვეთებოდა.

ტაქსის შოფერმა პროფესიული გუმანით იცნო თავისი მგზავრები და კორინთელს ჩემოდანი ჩამოართვა.

სამთავენი ტაქსთან მივიდნენ. კორინთელმა უკანა კარი გამოაღო.

— ნახვამდის, ბაბუ!
 — ნახვამდის, შვილო. აბა შენ იცი, ჰკვიანად იყავი! — ვარლამი ისევ ნახვად ეამბორა ქალის მოშვერილ ლოყას.

— ნახვამდია, ნოდარ!

— ნახვამდის, ლია! — კორინთელი დაიწარა და ქალს ყურში უთხრა, — მიხდა ერთი რამ გჯეროდეს, ლია, არას-

დროს არ ვყოფილვარ იაეთი ბედნიერი როგორც ამ ხუთ დღეს. მშვიდობა ტაქსის შოფერს ეგონა, აეროპორტზე სამთავე მიდიოდნენ. ქალის ბრძანებაზე შეცბა.

— წავიდეთ? — მოუბრუნდა მგზავრა.

— წავიდეთ და რაც შეიძლება სწრაფად!

ტაქსი მალე მიეფარა თვალს. ვარლამი და რამაზ კორინთელი გამომშვიდობების ნიშნად კიდევ დიდხანს იქნევდნენ ხელებს.

— წავიდა! — თქვა უცებ პენსიონერმა ფიზიკოსმა.

— დაიბ, წავიდა, ბატონო ვარლამ!

— ძნელია მარტოობა, ყმაწვილო! ვინ იცის, კიდევ როდის შემომივილიან საქართველოდან ჩამოსული ნათესავები. მეზობლებთან საერთო არაფერი მაქვს, მეგობრების უმრავლესობა დამეხოცა, ბევრი დაუძღურდა. თითქმის მთლიანად გაეწყვიტე მათთან კავშირი. წიგნები და ტელევიზორი — ესაა ჩემი გასართობი სიკვდილამდე.

— ცოლ-შვილი არ გყოლიათ, ბატონო ვარლამ?

— ცოლი მყავდა, ადრე მომიკვდა. შვილი არ შეგვძენია. დავრჩი სულ მარტო.

— წავიდეთ, შინ მიგიყვანთ. ჩვენი მანქანა ცოტა იქითაა გაჩერებული.

— წავიდეთ, შვილო! — ბატონი ვარლამი შეკრთა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გორკის ქუჩაზე იყვნენ.

ვარლამი ფიქრმა გაიტაცა. მანქანაში დუმილი ჩამოვარდა.

რამაზ კორინთელმა რამდენჯერმე გადახედა მოხუცს, თან რომან გუგავას გვერდით დადებული ბალიში შეათვალიერა.

„სულ არ მწყდება გული, ლია რომ წავიდა? — დაფიქრდა უცებ კორინთელი, — ან სინდისი არ მქენჯნის, უსინდისოდ რომ მოვატყუე? თუ როდისმე გაიგო და ალბათ გაიგებს, როგორ გავაცურე, რას იზამს? შეიძლება თავიც მოიკლას“.

კორინთელი დარწმუნდა, სინდისი სრულებითაც არ ქენჯნა. პირიქით, სიამოვნებას ანიჭებდა ოსტატურად გათამაშებული სიყვარული. არ ეგონა, თუ ამდენი შინაგანი არტისტიზმი ჰქონდა.

„ალბათ უხმოდ ტირის ტაქსში“.

თვალი კვლავ გიგოშვილისაკენ გააპარა. არც ახლა უგრძვნია სინდისის ქენჯნა. ხომ იცოდა, საწყალი პენსიონერი რამდენიმე წუთის შემდეგ უსულო სხეული იქნებოდა.

რომან გუგავას შეავლო მზერა. იგი დაძაბული უჯდა საქესს, ყბა საგრძნობლად უცახცახებდა.

„ღმერთო, ნუთუ ასე შევიცვალე, ნუთუ ასე მშვიდად შემიძლია ვიჯდე მანქანაში, როცა რამდენიმე წუთში ეს უბედური მოხუცი უნდა მოვახრჩო?!“

რამაზ კორინთელმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია.

„მაინც რა მოხდა? განა აკადემიკოსი დავით გიორგაძე ასე იოლად გაიმეტებდა კაცს მოსაკლავად?! ან გაიმეტებდა კი საერთოდ? განა შეეძლო გულში თუნდაც ფიქრად გაეგვლო ქურდობა და ბანდიტობა? მაშ რა მოხდა?“

განა შეხედულებები შევიცვალე? განა იგივე აზრია არა ვარ კაცთმოყვარეობაზე, სათნოებაზე, პატიოსნებაზე? განა ვერ ვაფასებ ჩემს საქციელს, განა არ ვიცი, რა საზიზღრობასაც ჩავდივარ, რა წუმპეში ვარ ჩაფლული?

მაშ რა დამემართა? რატომ არ ვგრძნობ ზიზღს საკუთარი თავის მიმართ?

ზიზღს ვინ დაეძებს, როცა მსიამოვნებს კიდეც ჩემი საქციელი, ჩემი ნამოქმედარი?

ვინ ვარ მე? რამაზ კორინთელი, დავით გიორგაძე თუ ვილაც სხვა, მესამე? ვილაც სხვა, მესამე...

ხომ არ დადგა დრო, ვთქვა, გავამხილო, ვინცა ვარ?

რა მოხდება მაშინ? შეუძლებელია!

ეს ხომ ღალატი იქნება ზურაბ თო-

რადის მიმართ, ღალატზე კი, ეტყობა, ერთი აზრისანი არიან რამაზ კორინთელს და დავით გიორგაძის ინტელექტი!

რა ბედნიერი დამთხვევაა! — მწარედ გაეღიმა გულში კორინთელს.

„ვთქვით გავამხილე, ვინცა ვარ. როგორ მიმიღებს საზოგადოება? უიშვიათესი ეგზოტიკური ცხოველივით ხომ არ გავხდები ყველას თითოთ საჩვენებელი?“

„არა, არა, შეუძლებელია!“ — რამაზ კორინთელმა უნებურად გააქნია თავი, ფიქრები მოიშორა და თვალი კვლავ მოხუცს შეავლო.

ხუთ წუთში ლენინგრადია გზატკეცილზე იქნებოდნენ.

რამაზ კორინთელმა შავი ტყავის კურტკის ჯიბიდან თხელი ტყავის ხელთათმანები ამოიღო და ხელეზზე წამოიკცა.

— ღღეს მშვენიერი ამინდია, თბილა, — თქვა უცებ ვარლამმა, — ეტყობა, არ ხართ სიცხეს მიჩვეული!

— განა მცივა. უბრალოდ, მიყვარს ხელთათმანები.

მანქანა უკვე გორკის ქუჩაზე მიჰქროდა.

რომანმა ჩაახველა.

რამაზ კორინთელმა ირგვლივ მიმოიხედა. მანქანას პირდაპირ კუდზე აჯდა მწვანე „ეიგული“.

— გაუშვი!

გუგავამ სვლა შეანელა. მწვანე „ეიგული“ წინ გაიჭრა. უკან მანქანები აღარ მოდიოდნენ. შუქნიშანმა დროებით შეაჩერა რკინის ნიაღვარი.

რომანმა ისევ ჩაახველა.

კორინთელმა წინა სავარძლიდან მომცრო ბალიში აიღო.

ვარლამმა ბალიშს გაკვირვებით შეხედა.

არ იცოდა, რისთვის იყო ბალიში მანქანაში საჭირო. ამასობაში კორინთელმა მარცხენა ხელი მოხუცის ზურგს უკან ფრთხილად გადააპარა, ირგვლივ ერთხელ კიდეც მიმოიხედა და ახლომანლო მანქანა რომ ვერ დაინახა, მოხუცის განხდარი ნიკაპი მუჭში მოიქცია, ხელის



ლონიერი მოძრაობით მუხლებზე აწრავდა ვადაიწვინა და ბალიში სახეზე დაადარა.

— ყველაფერი რიგზეა! — ჩაესმა მოხუცს ქართულად.

სიკვდილა წინ ალბათ ყველაფერს მიხვდა. ვინ იცის, რა გაიფიქრა, სანამ გული გაუჩერდებოდა. შეეძლო კი რაიმეს გაფიქრება? საცოდავი უმწეოდ სხმარტალებდა, ფეხებს იქნევდა, ხელებით ჰაბუკის ძლიერ ხელებს ებღაუჭებოდა.

რამაზ კორინთელმა კიდევ უფრო მაგრად დააჭირა ბალიში.

— ფრთხილად, შექნიშანს ვუახლოვდებით! — გააფრთხილა რომან გუგავამ.

— ნუ გეშინია, შენ საქმეს მიხედ.

მოხუცმა ნელ-ნელა შეწყვიტა წინა აღმდგობა, საცოდავს ჯერ ერთი ხელი ჩამოუვარდა. შემდეგ მეორე. ფეხებიც უკანასკნელად გაიქნია.

წითელმა სინათლემ ბევრი მანქანა მოაგროვა ერთად. გუგავა ნელი სვლით მიუახლოვდა მანქანებს და სულ ბოლოს გაჩერდა. ლელავდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ვერ მორჩი? — იკითხა ნერვიულად და უკან მოიხედა. რამაზ კორინთელის დაძაბულ სახეზე გამოსახული ბოროტი ღიმილი რომ დაინახა, შეშინდა და უმაღვე შეტრიალდა.

— მგონი, მოვრჩი, აღარ ინძრევა. ყოველი შემთხვევისათვის შემდეგ სვეტაფორამდე მაინც არ მოვაცილებ ბალიშს.

ყვითელ სინათლეს ჩაქრობა არ აცალეს. მანქანების კოლონა ღმუილითა და მუხრუჭების ღრქილით გაიჭრა წინ. რომან გუგავა კვლავ უკანასკნელი დიდრა და მანქანებს ბოლოში გაჰყვა.

— ნახე, უკვე მოიგულებოდა! — ვერ ისვენებდა რომანმა.

რამაზ კორინთელმა ბალიში ასწია და მოხუცს დახედა.

სასიზღარი ანახავი იყო ვარლამ გიგოშვილი უსიცოცხლო სახე. თვალები ააღდაც გადაბრუნებოდა. პირის ღრუდან

ამოვარდნილი ხელოვნური ყბა ჩალურჯებულ ტუჩებს შორის ჰქონდა რილი.

რამაზ კორინთელს კინაღამ გული აერიო. ბალიში ისევ სახეზე დააფარა. მარჯვენა ხელით გვამი დაიჭირა, დაბლა რომ არ ჩაცურებულიყო. მარცხენათი ჯიბეები გაუსინჯა. ტყავის გაცვეთილი საფულე, სადაც პასპორტი და შვიდი მანეთი იდო, კვლავ ჯიბეში ჩააბრუნა. პასპორტს წყალი ისედაც გააფუჭებდა რამდენიმე დღეში. სამაგიეროდ, მილიციას ექვს გაუფანტავდა, რომ გიგოშვილი ვილაცებმა მოკლეს და წყალში გადააგდეს. კვლის დასაფარავად ხომ მკვლელები პასპორტს აუცილებლად ამოიღებდნენო, დაასკვნიდნენ ისინი.

მეორე ჯიბეში მოხუცს მხოლოდ რკინის პატარა რგოლზე აცმული ორი გასაღები ედო.

რამაზ კორინთელმა გასაღები ხელში შეათამაშა.

რომან გუგავამ სარკეში გაუღიმა. კორინთელმა გვამი დაბლა ჩააცურა, უკანა ფანჯარასთან მიკეცილი ხამი ტილო გადააფარა და ზემოდან ფეხებზე ფრთხილად დაადო.

მაღე „დინამოს“ სტადიონიც გამოჩნდა. სოსო შადური დათქმულ ადგილზე იდგა. რომან გუგავამ ბორდიურისკენ ნელ-ნელა გადაინაცვლა და მანქანა ზუსტად სოსოს წინ გააჩერა.

შადურმა წინა კარი გამოაღო, რომან გუგავას გვერდით დაჯდა და უმაღვე რამაზ კორინთელს მიუბრუნდა.

— როგორაა საქმე? — იკითხა ინერციით, თუმცა მეგობრების მშვიდ ღიმილზე უკვე მიხვდა, ყველაფერი რომ რიგზე იყო.

რამაზ კორინთელმა პასუხად გასაღებების აცმულა დაანახა და ზარივით ააულარუნა.

— გაგიძლიანდა? — იკითხა გუნებაზე მოსულმა შადურმა.

რამაზ კორინთელმა ხელი ჩაიქნია, რას გამიძლიანდებოდაო, და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

სოსია შადური შემობრუნდა და სავარძლის უკან ჩაიხედა. თითქოს ამოწმებდა, გვამი მართლა მანქანაშია თუ არაო.

— ნუ იცქირები; არ გინდა. დანახვას მაშინაც მოასწრებ, მდინარეში გადასვლა გდებდა რომ გადაათრევ.

— სჯობია, ასი ათას დოლარზე ვიფიქროთ! — თქვა მხიარულად რომან გუგავამ. დამშვიდებულა ყბა უკვე აღარ უცახცახებდა.

— ასი ათას დოლარამდე დაგვრჩია ორი ოპერაცია. პირველია, გვამის თავიდან მოშორება.

— ერთ საათში გვამი მდინარეში იქნება. ადგილი კარგი ხნის შერჩეული მაქვს. — ჩაიცინა გუგავამ.

— მეტროსთან გამიჩერე. ჯობია სასტუმროში მეტროთი დავბრუნდე. ბატონ ვარლამს თქვენ მიხედეთ. სხეულს არაფერი ავნოთ. არ დაგაფიწყდეთ. დაუძლურებულმა პენსიონერმა თავიაი ნება-სურვილით დაიხრჩო თავი!

— გასაგებია! — თქვა გუგავამ.

— მე ცოტას დავისვენებ, ხუთ საათზე ფიზიკის ინსტიტუტში წავალ. ათი საათისათვის ჩემთან გელოდებით.

რომან გუგავამ მანქანა ტროტუართან მიაყენა და გააჩერა.

— გადადი, კართან დადექი, რომ არავინ შეამჩნიოს მოხუცის გვამი! — უთხრა კორინთელმა სოსია შადურს, შადური მკვირცხლად გადავიდა მანქანიდან და კართან დადგა. კორინთელმა კარი გააღო, ორივე ხელით სავარძლის სახე-ლურებს დაეყრდნო, ტანი აიშრატა, რომ გვამს ფეხებით არ დასწოლოდა და მანქანიდან ფრთხილად გადმოვიდა.

— ათზე სასტუმროში მოხვალთ და დაბლა დამელოდებით!

შადური მანქანაში ჩაჯდა.

რამაზ კორინთელმა მეტროს სად-ღურისკენ აიღო გეზი.

— რამაზ! — მოკრძალებით მიმართა რომან გუგავამ.

კორინთელი ხმას არ იღებდა, ქიქას

ჩასჩერებოდა. გონებაში ვიდეოკასეტა/წალმა-უკულმა ატრიალებდა.

ათჯერ მაინც ნახა ერთი და იგივე ეპიზოდი: მალალი, წარმოსადეგი ჰაბუკი დინჯად ჯდება ლიფტში, გამოდია მეხუთე სართულზე. კიბის ბაქანზე უკიდებს სიგარეტს, თან სადარბაზოს ზვერაჯს, ხომ არავინ არისო. როცა დარწმუნდება, რომ არსად კაცი არ ჰაქანებს, დინჯად არტყამს ღრმა ნაფაზს, ჯიბიდან გასაღებს იღებს, ნელა ჩამოდის მეოთხე სართულზე და მიდია კართან, რომლის სიძველისაგან გაშავებულ თითბრის ფირფიტაზე თვალი ძლივს არჩევს წარწერას „ვ. ი. გიგოშვილი“. სიგარეტა კიბის მოაჯირზე აქრობს და ნაძწვა ფრთხილად დება ხელჩანთაში. შემდეგ ჯიბიდან იღებს გასაღებების აკმულას და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, ხელთათმნიანი ხელით აღება ჯერ ერთ საკეტს, შემდეგ მეორეს. კიდევ ერთხელ მიმოიხედავს ორგველივ და ხელს ფრთხილად ჰკიდებს კარის სახელურა, ნელა ჩამოაწვეს დაბლა, კარა უხმაუროდ შეაღებს და ფეხის წვერებზე შედის პატარა ჰოლში. კარს შიგნიდან ფრთხილად კეტავს და სახიდან ოფლს ჩამოიწმენდს. იგი უკვე სამშვიდობოსაა. გული მაინც გამალებით უცემს. ოთახში ბნელა, სინათლეს არ ანთებს. რამდენიმე ნაბიჯს ფეხაკრეფით გადადგამს და სავარძელში ფრთხილად ჯდება. უმაღვე მშვიდდება, კვლავ წამოდგება და კაბინეტში ფეხია წვერებზე შედის, პირდაპირ სეკრეტერს მიაშურებს, ხელჩანთიდან ელექტროფანარის ამოღებაც არ სჭირდება, ოთახს იმდენად კარგად ანათებს გარედან შემოსული შუქი, სეკრეტერის კარს ფრთხილად აღება. გული ისევ გამალებით უცემს. კარგად იცის, რომ მალაქიტის მწვანე კოლოფი აქ, სეკრეტერში დევს, მაგრამ მაინც ეშინია, ვაითუ მოხუცმა სადმე გადაძალა ან სულაც სადღაც წაიღოო.

კოლოფი თავის ადგილზეა, დამშვიდებული კოლოფს ორთავე ხელით ნახად იღებს, სეკრეტერის კარს ხურავ.



და ფრთხილად აბაზანისაკენ მიეშურება: აბაზანაში შედის, კარს კეტავს, სინათლეს ანთებს და ყუთს ხსნის.

საბოლოოდ მშვიდდება. ცელოფანში სათუთად განხვეული „ტრაფალგარი“ ცოცხალი არსებასავით შემოკეპურებს კოლოფიდან.

სინათლეს აქრობს. აბაზანიდან გამოდის, კოლოფს ტყავის პატარა ხელჩანთაში დებს და კართან მიდის. ერთი გამოღებულაა საჭირო და ოპერაციაც დამთავრებულია.

მხოლოდ ერთი გამოღება.

ვარედან ჩამიჩუმე არ ისმის. სადარბაზოში რომ ვინმე შემოსულიყო, როგორ გუგავა მალა ამოვიდოდა და ხველებით გააგებინებდა, ჯერ არ გამოხვიდო.

კარს ფრთხილად აღებს. კიბეზე არავინ ჩანს, სწრაფად გამოდის და კარს უხმაუროდ გამოიხურავს. პირველი გასადღერ კარის გამოკეტვისთანავე აეტომბურად იკეტება. უკვე შეუძლია, დაბლა დაეშვას ან ლიფტი გამოიძახოს. რაკი აივანი ჩანს, მეორე საკეტსაც კეტავს და ლიფტთან მიდის.



— რამაზ, დღეს ნუ დალევ. ხვალ უთენია უნდა წახვიდე თბილისში.

— ფული რამდენი მომიტანეთ? — კითხა უცებ რამაზ კორინთელმა და თვალი სოსო შადურს გაუსწორა.

— რამდენიც მოითხოვე.

კორინთელმა დამკინავად ჩაილიმა.

— ახლავე ნომერში ავიდეთ და განსხვავება წაიღეთ. მე, უბრალოდ, გეხუმრეთ. ფული თანაბრად უნდა გაიყოს.

— შენ მეტიც დაიმახურე! — იუარა რომან გუგავამ.

— ფული თანაბრად უნდა გაიყოს! — მტკიცედ და გულმოსულად თქვა რამაზ კორინთელმა.

რომან გუგავა გულწრფელად ფიქრობდა, რომ კორინთელს მეტი ეკუთვნოდა, მაგრამ მიაი წამოწმებული სახე და აღდრეული თვალები რომ დაინახა, ხმა აღარ ამოუღია.

— ამასთანავე, ჯენტლმენებო, მინდა გაუწყობთ, რომ „ტრაფალგარი“ იყო ჩემი მი უკანასკნელი ოპერაცია. სექტემბერში სადოქტორო ხარისხს მომანიჭებენ, იანვრამდე პროფესორად ამდრჩევენ. უხერხულია, პროფესორი კაცი მანქანაში ხალხს ახრჩობდეს ან რადიოტექნიკის მაღაზიას ძარცვავდეს. სწორი არა ვარ, იოსიფ ვლადიმროვიჩი? — რამაზ კორინთელი ლაპარაკის დროს ჭიქას იაც ჩასჩერებოდა, თითქოს მკითხაობსო.

ამჯერად სოსო შადურს რატომღაც არ სწყენია „იოსიფ ვლადიმროვიჩი“.

— მალე აღბათ ცოლს მოვიყვან. ერთი სიტყვით, ჩვენი გზები საბოლოოდ იყრება.

— სამწუხაროა! — ამოიოხრა რომან გუგავამ. — დღეს სადღა იპოვი შენთანა პარტნიორს!

— რა გითხრა აკადემიკოსმა? — ჰკითხა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელს შეკითხვა არ გაუგია, თავში ვიდეოფირი უკან გადაახვია და ერთი ეპიზოდი მონახა.

„ძვირფასო მეგობრებო, მინდა წარმატება მივულოცო სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს, — საზეიმოდ ლაპარაკობდა აკადემიკოსი ვლადიმირ მატვევი. ობიექტივი ნელ-ნელა უკან იხევდა. კადრში უკვე მთელი სხდომათა დარბაზი მოჩანდა. მაგიდას ოცამდე აკადემიკოსი და პროფესორი მინც უჯდა. განაპირას მალალი, ლამაზი ჭაბუკი იდგა. თავი მორიდებით დაეხარა.“

— დღესვე შეიძლება გამოკვლევამო სადოქტორო ხარისხი მივანიჭოთ, — მკაფიოდ, ხმამალა და საზეიმოდ განავრძობდა აკადემიკოსი, — გამოკვლევა უკვე დამტკიცებულია საბჭოს მიერ. მე პირადად ვთხოვ თბილისის ასტროფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს ამხანაგოთარ კახიშვილს, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ნიჭიერ ახალგაზრდას და რაც შეიძლება სასწრაფოდ მოუგვაროს ფორმალური მხარეები. სანამ სიტყვას დავამთავრებდე, მინდა აკადემიკოს დავით გიორგაძის წერილი წაგიკითხოთ, რომე-

ლიც განავენებულმა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა.

ვლადიმირ მატვეევმა მაგიდიდან წერილი აიღო. ობიექტივმა რიგრიგობით დაუარა მეცნიერთა ყურადღებით და ცნობისმოყვარეობით აღსავსე სახეებს. ორ კაცს გარდა ყველანი დავით გიორგაძის ძველი მეგობრები იყვნენ.

„როგორც ხედავთ, მეგობრებო, — აკადემიკოსმა წერილი კვლავ მაგიდაზე დადო და სათვალე მოიხსნა, — დავით გიორგაძე არამარტო ჩინებული მეცნიერი იყო, არამედ დიდებული ადამიანი და თაობათა შესანიშნავი აღმზრდელიც გახლდათ.“

მჯერა, მის მიერ აღმოჩენილი ხალასი ტალანტი რამაზ კორინთელი ღირსეულად გააგრძელებს აკადემიკოს დავით გიორგაძის დიდ საქმეებს. მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ფეხზე ადგომით და წუთიერი ღუმილით პატივი ვცეთ დავით გიორგაძის ნათელ ხსოვნას“.

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ.

— რა გითხრა აკადემიკოსმა? — გაუმეორა შეკითხვა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელმა თავი გააქნია და ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო. ვიდეოფირი უკან გადაახვია და კვლავ ბოლო ეპიზოდი დაატრიალა.

„როგორც ხედავთ, მეგობრებო, — აკადემიკოსმა წერილი კვლავ მაგიდაზე დადო და სათვალე მოიხსნა, — დავით გიორგაძე არამარტო ჩინებული მეცნიერი იყო, არამედ დიდებული ადამიანი და თაობათა შესანიშნავი აღმზრდელიც გახლდათ. მჯერა, მის მიერ აღმოჩენილი ხალასი ტალანტი რამაზ კორინთელი ღირსეულად გააგრძელებს აკადემიკოს დავით გიორგაძის დიდ საქმეებს. მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ფეხზე ადგომით და წუთიერი ღუმილით პატივი ვცეთ დავით გიორგაძის ნათელ ხსოვნას“.

— რა მკითხე? — მიუბრუნდა უცებ კორინთელი სოსო შადურს.

— არაფერი, რამაზ, გეტყობა ძალი-

ან გადაიღალე. სწორია რომანი, ავიღეთ მალლა, გამოიძინე და დაისვენე.
— ჰო, მართალი ხარ, ავიღო წიგნი რში. მინდოდა უფრო სხვანაირად, უფრო სახეიმოდ დავშორებოდით ერთმანეთს.

— იქნებ ასე ჯობია. შენ სხვა კაცი ხარ. ბუნებრივია, სხვა გზას უნდა დაადგე, — თვალზე ცრემლი მოადგა რომანს გუგავსა, — მაგრამ იცოდე, ჩვენ მაინც შენი ძმები ვართ და თუ დაგჭირდა, ყოველთვის შენს გვერდით ვიქნებით.

— მე კი ვისურვებ, არასდროს დაგჭირვებოდეს ჩვენი თავი. — დაუმატა სოსო შადურმა.

რამაზ კორინთელმა სოსოს თვალბეში შეხედა, მიხვდა, შადური გულწრფელად ლაპარაკობდა.

— ავიდეთ მალლა!

— არაა ჩვენი ამოსვლა საჭირო.

— ფული გვაქვს გადასანაწილებელი, თავიდან რომ მომიტანეთ, სულ გამომრჩა მხედველობიდან, რომ რაღაც სისულელეს ჩაიდენდით.

— კარგი, რამაზ, დაწყნარდი, — გაუღიმა სოსო შადურმა, — ჩვენი სურვილი იქნება, განვლილი ცხოვრებისა და წარსული მეგობრობის სამახსოვროდ რაიმე ძვირფასი და ორიგინალური საჩუქარი შეიძინო. გვინდა ყოველდღე გაგახსენდეს, რომ საქვეყნოდ აღიარებული კაცი ერთ დროს ჩვენი მეგობარი იყავი და ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდი!

რამაზ კორინთელმა გაიღიმა და ორთავეს მეგობრულად შემოჰკრა მხარზე ხელი.

კესტიბიულში კიდევ ერთხელ გადაკოცნეს ერთმანეთი.

— მშვიდობით, რამაზ! — გულაჩუქებულმა თქვა რომანს გუგავამ.

— მშვიდობით, რომან!

— არ დაგვივიწყო! — თქვა შადურმა.

რამაზ კორინთელმა პასუხად თბილად გაუღიმა.

ორთავენი წავიდნენ.

კორინთელი გაქვავებული იდგა, მეგობრების ზურგებს მისჩერებოდა და ძველ ცხოვრებას სამუდამოდ ეთხოვე-ბოდა.

უცებ სოაო შადური შემობრუნდა, გუგავას უთხრა, ახლავე გამოვლო და ისევ რამაზ კორინთელთან მივიდა.

— რამაზ, ერთი შეკითხვა-მაქვს შენ-თან. ოღონდ გულწრფელად უნდა მიპასუხო! — შადურმა მეგობარს ხელი გაუყარა და ვესტიბულის განაპირას, მყუდრო, ადგილზე გაიყვანა.

— გისმენ.

სოაო შადურმა ორთავე მკლავში ხელი ჩააქო. კორინთელს თვალებში ჩახედა და ჰკითხა.

— ნუ მომატყუებ, პირდაპირ მითხა-

რი, შენ მართლა რამაზ კორინთელი ხარ?!

პასუხად კორინთელმა ხმამალა გადაიხარხარა.

— აბა, ვინ უნდა ვიყო. კიდეც ვერ გავფანტე შენი ეპკები?

— არ ვიცი, იქნებ მისი ტყუპისცალი ხარ. ან ორეული! რა ვქნა, ვერასდროს ვერ დავიჯერებ, რომ შენ რამაზი ხარ, რამაზ კორინთელი!

კორინთელმა ისევ გაიცინა.

სოსო შადურიც ისევ შეკრთა. სიცოლის დროს რამაზ კორინთელის სახის არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა. სახე ტლანქად დახატულ მოცინარ ნიღაბს მიუგავდა, რომლის წარბებისქვეშა ორი ფართო ჭრილიდან ვიდაცის გაბოროტებული თვალები შემოსაქცეროდა.

თავი მეცხრამეტე

გოგი ლომიძე თავიდანვე არ მოეწონა რამაზ კორინთელს. უფრო სწორად, დის ალტაცებული სახე რომ დაინახა, მიხვდა, ინგა თავდავიწყებამდე იყო ჰაბუკზე შეყვარებული და სწორედ ეს არ მოეწონა კორინთელს.

განა „არ მოეწონა“ გამოხატავს იმ გრძნობაა, რამაზ კორინთელს უცნობი ჰაბუკისა და შეყვარებული ინგაა დანახვაზე რომ დაეუფლა?!

დამ დილით დაურეკა, შენთან სასწრაფო საქმე მაქვს და აუცილებლად მოდიო. რამაზ კორინთელი დაღლილი იყო და გარეთ გასვლა არ უნდოდა. დის ხმამ ერთბაშად გამოაცოცხლა, გული უცნაურად აუძგერდა.

„ღმერთო ჩემო, როდის ვაჯობებ ჩემს თავს?!“ — გაიფიქრა შემფოთებულმა

— როგორა ხარ? — ჰკითხა ინგას და თვითონვე არ მოეწონა თავისი ათრთოლებული ხმა.

— ძალიან კარგად!

„ძალიან კარგად!“ — ეჭვმა გული გაუკაწრა რამაზ კორინთელს.

— ჰო, ძალიან კარგად! მოხვალ ჩემ-

თან? იცოდე, მე მარტო არ ვიქნები. ლამაზად ჩაიცივი.

— კიდეც ვინ იქნებიან?

— მხოლოდ ერთი ბიჭი. მინდა, რომ ძალიან მოეწონო.

კორინთელს გული გაუჩერდა, ხმა ვეღარ ამოიღო.

— გისმენ.

— რა იყო, რამაზ, რა გემართება? — ინგა შეაკრთო ძმის ცივმა ხმამ.

— ალო, ალო. გისმენ, რამაზ!

კორინთელმა იცოდა, საბედისწერო წუთი ადრე თუ გვიან დადგებოდა. თან შიში იპყრობდა, ინგა რომ გათხოვდეს, რა მეშველებათ, თან ერთი აზრი ამხნეებდა, იქნებ ინგას გათხოვებამ სამუდამოდ ამოძირკვოს ჩემი გულიდან ის უცნაური გრძნობა, დის მიმართ რომ დამეუფლაო. ყოველთვის ცდილობდა იმ გრძნობისათვის თავისი სახელი არ დაერქმია. თუმცა თვითონვე ხვდებოდა, მხოლოდ თავს იტყუებდა, თორემ რა იყო საეჭვო და გასაკვირი, ინგა სიგიჟემდე უყვარდა.

დის გათხოვებაზე ფიქრისა ყოველთვის ეშინოდა. იქნებ ჯობდა კი ბევრი

ეფქრა, გრძნობები გადაეხარშა და მოსალოდნელ უბედურებას თანდათანობით შეპკუებოდა.

— ალო, ალო, რამაზ!

— გისმენ.

— რა იყო, რამაზ, რა გემართება?

— არაფერია, გისმენ! — შეეცადა მორეოდა მოწოლილ გრძნობებს. ეშინოდა, ინგა არაფერს მიმხვდარიყო. — ვინ ბიჭიო, რა თქვი?

— ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა.

— იქნებ ჩემთან მოსულიყავით? თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობ. /

— რომელ საათზე მოვიდეთ?

— ახლა რომელია?

— თერთმეტი!

— თორმეტზე მოდიო.

„ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა!“ — კორინთელი საწოლზე დაემხო და თვალი დახუჭა. ვერ შეამჩნია, ოთახიდან მზე როგორ გაიპარა. ერთბაშად იქუხა და დაუშვა კიდეც. თავი მალლა არ აუწვევია, მაგრამ მიხვდა, რომ ჩამობნედა. ქუხილმა უმატა, ელვამ ცა დაბზარა. სადღაც მეხი გავარდა. ღია ფანჯრიდან წვიმა ოთახში ასხამდა.

„ერთ ახალგაზრდას უნდა შენი ნახვა!“

„ერთ ახალგაზრდას...“

„იქნებ სჯობია, მალე მოხდეს მოსახდენი? იქნებ სამუდამოდ ამოვიძირკვო გულიდან ის საშინელი გრძნობა, მსხალზე ამოსული ფიორივით რომ მომდებია?“

„თავი უნდა დავიმორჩილო, ნერვები უნდა მოვთოკო. სხვანაირად არ შეიძლება!“ — გადაწყვიტა უცებ და ფეხზე მკვირცხლად წამოდგა.

ოთახი კვლავ მზით იყო სავსე. წვიმის ხმა აღარ ისმოდა.

„ნუთუ მომეჩვენა?“

ფანჯარასთან მივიდა, ბეტონის ოთხკუთხედ კედლებში მოქცეული ეზო გუბეებით იყო სავსე. ნორჩი ფოთლები მწვანედ ხასხასებდნენ.

„როდის გადაიღო, რატომ ვერ ვამჩნიე?“

ცას ახედა.

ღრუბლები სადღაც გადაკარგულიყვნენ. წვიმისაგან გაშმენდილი ჰაერი ესიამოვნა, ცას ჩვეულებრივზე უფრო მუქი ლურჯი და კრიალა ფერი დაჰკრავდა.

ერთადერთი დიდი ღრუბელი, დასავლეთიდან რომ მოისწრაფოდა, ქალაქის თავზე ვიდაცის ღონიერი ხელებით მოსროლილ უზარმაზარ ბადეს ჰგავდა. სულ ცოტაც და თბილისი გიგანტურ, ტყვიისფერ ბადეში მოექცეოდა.

მაისის წვიმა ბავშვობიდანვე უყვარდა რამაზ კორინთელს, უყვარდა იმიტომ, რომ საშინელ თავსხმაშიც კი სიცოცხლესა და ხალიაა გრძნობდა. ერთბაშად მოვარდნილი ნიაღვარი, ქუხილი, ელვა, მერე უცებ ღრუბლების დაფლეთვა, ცისარტყელას ჰაეროვანი ფერადი თალი და გადაბანილი ქალაქის მზის სხივებზე აელვარება უსაზღვრო ხალისითა და ენერგიით ავსებდა. ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ოდესღაც ზღვაში ჩაძირული ქალაქი ისევ მალლა ამოტივტივდა, შვებით ამოიუნთქა, ამოიზარდა და, ახეულ წლობით მზეა დახარბებული, ოქროსფერ სხივებში ბანაობდა.

უცებ ისევ იქუხა.

ოთახი კვლავ მზით იყო სავსე, კორინთელი მიხვდა, სადღაც ორთაქალისკენ დაუშვა წვიმამ.

საათს დახედა, თორმეტს ხუთი წუთი უკლდა, მეორე ფანჯარასთან მივიდა, ქუხისკენ რომ იყურებოდა. უნდოდა ზემოდანვე დაენახა ის „ბიჭი“, ინგას რომ უნდა მოეყვანა.

ქუჩაში კანტიკუნტად მოჩანდნენ გამგლელები.

მღელვარება მოერია.

სარკესთან მივიდა. არ მოეწონა საკუთარი თავი. სევდამორეულსა და გუნებაგაფუჭებულს თვალის უბეები ჩაშავებოდა.

„იქნებ საგანგებოდ გამოვეწყო?“



„არ ივარგებს, ჯობია ჩვეულებრივად დაეხვდე“.

„ვაითუ ეწყინოს ინგას?“
„მაინც ასე ჯობია. რატომ უნდა მიეცე მათ მობრძანებას დიდი მნიშვნელობა?! მით უმეტეს, რომ ინგას არ უთქვამს, ვინ არის ის „ერთი ბიჭი“.

თვითონვე მიხვდა, „მობრძანებაში“ სიბრაზეს დაცინვაც საკმაო დოზით რომ შეურია.

ზარმა მოულოდნელად დარეკა.
ტანში ელექტრონმა დაუარა, შემკრთალმა უნებურად გაიფიქრა, ელექტროზარი ჩემს სხეულში ხომ არ არის ჩართულიო.

კარებისკენ მძიმედ დაიძრა და საეტი გადაატრიალა.

ვაჟის დანახვა ვერ მოასწრო, ინგა კისერზე ჩამოეკიდა და კოცნა დაუწყო. მერე, თითქოს გონს ერთბაშად მოვიდაო, ძმა მკლავების მარწუხებიდან გაანთავისუფლა და უცნობი ჭაბუკი წარუდგინა.

— გაიცანი, გოგი ლომიძე.
— სასიამოვნოა! — კორინთელმა ვაჟს ხელი გაუწოდა, — მობრძანდიო.

გოგი ლომიძე შეაკრთო კორინთელის ყინულივით ცივმა ხელმა.

— დაბრძანდიო! — სტუმრებს ოთახში შეუძღვა და სკამები შესთავაზა.

— როგორ მომენატრე, რატომ ჩამოსვლისთანავე არ დამირეკე? მაინც დამაინც გაზეთიდან უნდა შეგიტყო შენი წარმატებების ამბავი? ყველას გაეხარდა, ყველა დიდი სიხარულით მილოცავდა. გოგისაც ძალიან გაეხარდა.

„გოგისაც ძალიან გაეხარდა!“

კორინთელს თავიდანვე არ მოეწონა გოგი ლომიძე, ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან მოეწონა. შურით შეხვდა ჭაბუკის შთამბეჭდავ თვალებს, ერთი შეხედვით სუსტ, მაგრამ პროპორციულ და მოხდენილ სხეულს. მისი გრძელი, ოდნავ ავადმყოფური თითები უმაღლვე იპყრობდა ყურადღებას.

„ალბათ მუსიკოსია“, — გაიფიქრა კორინთელმა და ჭაბუკს თვალი გაუშტერა.

— სულით და გულით გილოცავთ! ლომილით წარმოთქვა გოგი ლომიძემ მოკრძალების ნიშნად სკამიდან ოდნავ წამოიწია და ისევ დაჯდა.

— გმადლობთ.

ჭაბუკს უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით ეცვა. ცისფერ ჭემპრში კუნთის ნასახიც კი არსად ეტყობოდა. ისეთი ნაზი და თბილი სახე ჰქონდა, დაკუნთული სხეული ალბათ არც მოუხდებოდა.

— თქვენ სად მუშაობთ? — ჰკითხა უცებ კორინთელმა.

— მუსიკათმცოდნე ვახლავართ. კონსერვატორიაში ვმუშაობ.

განერვიულებულს თითქოს ამის თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ესიამოვნა, უცნობი ჭაბუკის პროფესია რომ გამოიციწო.

— სტატიებსაც წერს! — წააშველა სიამაყით ინგამ.

ღის სიხარულით აციმციმებულმა თვალებმა ააბოლოოდ გაუფუჭა გუნება.

ინგა ძმას გაფაციცებით შესცქეროდა. მიაი სახის ყოველი ნაკვთი თითქოს ცალცალკე ეკითხებოდა, გოგი ლომიძე ხომ მოგწონსო.

რამაზ კორინთელმა იგრძნო, დამძიმებული გული ნელ-ნელა დაბლა მიიწევდა და სადღაც, ბნელ უსასრულობაში იძირებოდა.

ჭაბუკი ისევ შეათვალიერა შურიანი თვალით.

სუსტი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი სახე, ოდნავ გრძელი თავი, ღრმა, სიკეთით სავსე თვალები და ნაზი გამოხედვა, სუსტი მხრები და თხელი მკერდი, გრძელი, მაგრამ წვრილი ხელები და ფეხები ცალცალკე ალბათ უსიამო, ავადმყოფური დასანახიც კი იქნებოდა. მაგრამ ყველაფერი ერთად დასრულებული და ჩამოყალიბებული, ნაზი ინტელიგენტის სასიამოვნო ტიპს ქმნიდა.

რამაზ კორინთელი კარგად ხედავდა ოპერის ფოიეში ანტრაქტზე მოსეირნე გოგი ლომიძეს, თითქოს მშენივრად ესმოდა მისი დახვეწილი გრიმასებით გაძლიერებული მსჯელობა. მოსწონდა კიდევ სუსტი ხელებისა და გრძელი, შთა-

მტკდავი თითების ნაზი მოძრაობა.

რამაზ კორინთელი ტელევიზორის ეკრანზეც მშვენივრად ხედავდა, გოგი ლომიძე როგორ უძღვებოდა უცხოელ მუსიკოსებთან ინტერვიუს, როგორი არისტოკრატიული იყო მისი ღიმილი და მანერები.

ისიც მშვენივრად დაინახა, „ა ლა ფუ-რშეტზე“ თეთრ პერანგსა და შავ კოსტიუმში გამოწყობილ გოგის რა მოხდენილად ეჭირა ხელში შამპანურით სავსე ბროლის მაღალი ჭიქა და რა გამოარჩეულად იდგა ელევანტური მანდილოსნებისა და მამაკაცების ჯგუფში.

სამაგიეროდ, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ დაინახა სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათებული, ბოლომდე პერანგჩახსნილი და ფეხბურთისაგან თვალებწამონთებული გოგი.

ვერც რესტორანში დაინახა ღვინით ტემპერამენტშემოწოლილი და აღელვებული.

ვერც ქუჩაში ხარხარით, დაუდევარი და ოდნავ თავხედური ნაბიჯებით მომავალ ბიჭებს შორის მოჰკრა თვალი.

ვერც თოფით ხელში, ოდნავ წელში მოხრილი და სეტერს გამოდევნებული დაინახა დმანისის ნამკალ ფერდობებზე. დას შეხედა.

ინგა სახეგაბრწყინებული იჯდა. ქალიშვილის სახის ყოველი ნაკვთი კვლავ შეკითხვით იყო სავსე, გოგი ხომ მოგეწონათ.

გულმა კიდევ უფრო დაიწია დაბლა. ერთი სული ჰქონდა, წამომხტარიყო და ჰაბუკი იქვე მიეხრჩო.

— რამაზ, — დაიწყო უხერხულად ინგამ. ისეთი უმწეო და საყვარელი იყო, კორინთელს საშინელმა სურვილმა მოუარა, დის წინაშე მუხლებზე დამხობილიყო და ისე დაეკოცნა ხელები. — გოგის რაღაც სათქმელი აქვს შენთან.

კორინთელმა პასუხის ნაცვლად სიგარეტს მოუკიდა, არც გახსენებია, კოლოფი სტუმრისთვისაც გაეწოდებინა.

— გისმენთ! — თქვა მცირეოდენი ღუმილის შემდეგ ცივი და ნერვიული ხმით.

ჰაბუკი შეირხა. წინ წამოიწია, იდე ყვებით მუხლებს დაეყრდნო და გრძელი თითები ერთმანეთს გადაჰკლავდა. კორინთელს ჯერ თვალბეჭედა, მერე თითქოს დაიმორცხვავა, საკუთარ თითებს დააჩერდა. იქნებ ვერც გაუძლო კორინთელის წამონთებულ თვალბეჭ. თითქოს ენა დაება. უხერხული ღუმილი ჩამოვარდა.

ინგა ხან ძმას მისჩერებოდა, ხან გოგის. აშკარად ღელავდა, არც ცდილობდა, თავისი მღელვარება დაემალა. ისე უმწეოდ გამოიყურებოდა, ერთდროულად კაცს შეეცოდებოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა და გაეცინებოდა კიდევ.

— მე მიყვარს თქვენი და! — როგორც იქნა, ხმადაბლა წარმოსთქვა გოგამ და ერთბაშად თავისუფლად ამოისუნთქა. მთავარი უკვე ნათქვამი იყო. აწი ალბათ საუბარი თავისთავად აეწყობოდა.

ღუმილი ჩამოვარდა. ინგამ შეშინებულმა შეხედა ძმას. გული შეეკუმშა. რამაზ კორინთელის თვალბეჭედა და სახეზე მოწოლილი რისხვა კარგად იგრძნო ქალიშვილის მგრძნობიარე ბუნებაში.

— გისმენთ! — თქვა ისევ კორინთელმა.

გოგი ლომიძემ თავი ასწია და კორინთელს თვალბეჭედა შეხედა.

— მე მიყვარს თქვენი და და მასაც ვუყვარვარ. თვის ბოლოს ქორწინებას ვაპირებთ. იმედი გვაქვს, წინააღმდეგი არ იქნებით.

— მასაც უყვარხართ?

— რასაკვირველია, ვუყვარვარ.

— ძალიან უყვარხართ?

ინგამ იგრძნო, ცოტაც და დაგუბებულნი წყალი კაშხალს გაარღვევდა.

— არ ვიცი. — უხერხულად გაელიშა გოგის, — ალბათ ძალიან ვუყვარვარ, მე ხომ იგი ძალიან მიყვარს.

— ძალიან გიყვარს? — მიუბრუნდა რამაზ. კორინთელი დას.

— ძალიან! — გულწრფელად აღმოხდა ინგას.

კორინთელი უცებ ფეხზე წამოიჭრა.

გოგის ყელში სწვდა, სკამიანად გადა-
 აბრუნა, თავი იატაკზე დაარტყმევინა...
 ცოტაც და შურისძიების სიტკბოთი
 მთვრალი სუსტ ჭაბუქს მიახრჩობდა კი-
 დეც, ინგას კივილს რომ არ გამოეფხი-
 ზლებინა.

კორინთელი ერთბაშად გამოერკვა,
 ჭაბუქს ხელი უშვა, ჯერ წამოიჩოქა, მე-
 რე ნელა წამოდგა, სავარძელში ჩაეხე-
 თქა და თავი ხელებში ჩარგო. სავსებით
 გამორკვეულს თავის აღება გულწრფე-
 ლად რცხვენოდა.

— მხეცო, მხეცო! — საშინელი ხმით
 ტიროდა ინგა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუ-
 ქა. დარცხვენილმა და განადგურებულ-
 მა გადაწყვიტა, მანამდე არ გაეხილა,
 სანამ ორთავენი იქაურობას არ მოშო-
 რდებოდნენ.

გულამომჯდარი ინგა ჭაბუქს მივარდა
 კიდევ კარგი, კორინთელი ვერ ხედავ-
 და, როგორ ეფერებოდა, როგორ იხუ-
 ტებდა გულში ინგა ტკივილებისაგან
 შეწუხებულ, შეურაცხყოფილ, მაგრამ
 მაინც თავაზიანად მომღიმარე გოგი
 ლომიძეს.

— კარგი, დაწყნარდი! — ჭაბუქი ფე-
 ჩზე ძლივს წამოდგა

ინგა აღარ ტიროდა, მაგრამ გულამო-
 მჯდარი საცოდავად სლუკუნებდა.

გოგამ ქალიშვილს თავზე ხელი გადა-
 უსვა, ლოყაზე ნაზად აკოცა და შარვა-
 ლი ჩაიფერთხა. ერთი სული ჰქონდა,
 თითები ნატკენ ყელზე მოესვა. მაგრამ
 ინგას ზედმეტად განერვიულება არ უნ-
 დოდა და თავი შეიკავა.

— ჩვენ წავალთ! — თქვა უცებ ჭა-
 ბუქმა აუღელვებლად და თვალებდახუ-
 ქულ კორინთელს შეხედა, — მე მინდა
 მესმოდეს თქვენი. შევეცდები, რომ გა-
 გიგოთ. რაც დღეს მოხდა, ოღნავადაც
 ვერ შეარყევს თქვენი დისადმი ჩემს სი-
 ყვარულს. კარგად ბრძანდებოდეთ!

კარის გაჯახუნების ხმაზე კორინთელი
 ნერვიულად შეხტა. შემდეგ თითქოს
 ტვინის დაელექტრობებული უჯრედები
 ვანემუხტა, დაძაბულობა მოეხსნა, სავა-
 რძელში წინ წაიწია, სახელურებზე მო-

წყტილი ხელები გადაჰკიდა და რა
 მოეშვა, თითქოს არც ერთი კუნთი
 არ ჰქონდა.

„მე მინდა მესმოდეს თქვენი. — ჩაე-
 სმა უცებ გოგი ლომიძის ხმა, — შევე-
 ცდები, რომ გაგიგოთ“.

ტუჩებზე დამცინავი ღიმილი გამოე-
 ხატა.

ვის დასცინოდა? იქნებ გოგი ლომი-
 ძეს?

არა, საკუთარ თავს დასცინოდა.

„მე მინდა მესმოდეს თქვენი“.

„ეხ, ჩემო გოგი, განა დედამიწის ზუ-
 რგზე არის კაცი, ვისაც ჩემი ესმის?“

„მე მინდა მესმოდეს თქვენი...“

— მაკა, — წამოიყვირა უცებ კორი-
 ნთელმა და ფეხზე წამოიჭრა, — მაკა,
 მხოლოდ მაკა მისხნის დაღუპვისაგან,
 მაკა და მეტი არავინ! მხოლოდ მაკაა
 შეუძლია დამავიწყოს ინგა!

აღელვებულმა და ენერგიამოწოლილ-
 მა რამაზ კორინთელმა სიგარეტს მოუ-
 კიდა. ადგნებულნი ფანჯარასთან მივი-
 და და ეზოში გადაიხედა. გული ისევ
 აევსო სიხარულით, გონება ისევ გაეჟ-
 ლინთა იმედით. გრძნობდა, საკუთარ
 სხეულში ვეღარ ეტეოდა, ჭაბუქის სუ-
 ლი ზღვასავით ტორტმანებდა და საღ-
 აც იყო, უზარმაზარ ტალღებად გადმო-
 იღვრებოდა.

ნაწვიმარი ეზო გამშრალიყო, ბავშვე-
 ბის ყვილ-ხივილი იქაურობას იკლებ-
 და.

რამაზ კორინთელი ყველაფერს უყუ-
 რებდა, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავ-
 და. მის თვალებში მთელი ეზო, ცისკენ
 აწვდილი ხეები, უმოწყალოდ გაჩეხილ
 გაზონებში შეყენებული ავტომანქანე-
 ბი, მოთამაშე ბავშვები და მაისის მზეს-
 მიფიცხებული პენსიონერები ისე შეუგ-
 რძნობლად იყო აღბეჭდილი, როგორც
 ფოტოაპარატის ობიექტივში.

უცებ მან მაკა დაინახა...

მაკა ლანდია... მალალი, თხელი, ჰაე-
 როვანი...

იქნებ ზომაზე მეტად მალალი...

იქნებ ზომაზე მეტად თხელი...

იქნებ უფრო ჰკვიანი გამოხედვა ჰქო-

ნდა, ვიდრე ლამაზ ქალიშვილს შეჰყვინდის.

ჩენებ მის აზროვნებას აკლდა კიდეც მეოცნების სინაზე და გულუბრყვილობა.

ჩენებ...

მაკა ლანდია მწვანე, ხასხასა ბუჩქებიან მინდორზე შენელებული კინოკამერების მსგავსად მორბოდა, ქალიშვილის მაღალი, მოქნილი ტანი უჩვეულოდ მოირწყოდა.

გრძელი, საქორწინო კაბასავით ნაზი ქსოვილის თეთრი კაბა კიდეც უფრო ჰაეროვანს ხდიდა მის თხელ სხეულს.

გიგანტური ეკრანი ვილაციის უხილავმა ხელმა გამოართო.

ფოტოაპარატის ობიექტივით უგრძობელმა თვლებმა ერთბაშად დაინახა ბეტონის ოთხ კედელს შორის მოქცეული ეზო, მოთამაშე ბავშვები, გაჩეხილ გაზონებში შეყვებული მანქანები, მზეს მიფიცხებული პენსიონერები.

ყურებმა ერთბაშად გაიგონეს ქუჩიდან შემოაული მანქანების მოტორების დაგუღული გუგუნე, ბავშვების ყვილ-ხივილი.

— მაკას, მხოლოდ მაკას შეუძლია ჩემი გადარჩენა! — დაასკვნა კორინთელმა ხმამაღლა.

დაასკვნა და შევებით ამოისუნთქა.

ოთარ კახიშვილის კაბინეტი ვაზით გაჟღენთილ კამერას ჰგავდა. ასანთის ერთი გაკვრა და აფეთქებისაგან იქაურობა ნაცარტუტად იქცეოდა.

ინსტიტუტის დირექტორი სავარძელში გათოკილივით იჯდა, თავი მაღლა აეწია და კარისაკენ იცქირებოდა.

ქუჩაში ძლიერი ქარი ჰჭროდა, ფანჯრის მინები უსიამოდ ზრიალებდნენ. მზე ხან გამოვიდოდა, ხან სქელ ღრუბლებში იმალებოდა. კაბინეტი ჯერ რომ ერთბაშად გაივებოდა მზის სხივებით, მერე უცბად ჩაბნელებოდა და ჩამუქდებოდა. უკვე ხუთი წუთი იყო, რამაზ კორინთელს ელოდა. თანდათან უფრო იბოლმებოდა.

რამაზ კორინთელმა კარი უცებ შეგიახლოდა და პირდაპირ დირექტორისაკენ გაემართა. მიპატივებას არ დალოდებია. სკამი ჯიქურ გამოსწია, მაგიდას მიუჯდა და ოთარ კახიშვილს თვალებში შეხედა.

— გისმენთ!

კორინთელის თავხედურმა ხმამ ინსტიტუტის დირექტორი საშინლად დააბნინა. მარტო რომ იყო, სიბრაზემ გაათამამა, გააეაყაჯა. ოცნებაში კიდეც დახვრიტა და კიდეც ჩამოახრჩო რამაზ კორინთელი. ჰაბუკის მრისხანე თვლები რომ დაინახა, უმაღლვე შედრკა. წინასწარ მომზადებული გეგმა ერთბაშად დაეწვრა. აღარ იცოდა, სათქმელი როგორ დაეწყო.

— გისმენთ, ოთარ ბატონო!

— მოსკოვიდან დამირეკეს.

— ძალიან ალელვებული დე ვახარებული ჩანხართ, ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი შეგატყობინეს, არა?

— თქვენი დიდი წარმატება მომილოცეს და მითხრეს, ყველა ფორმალური მხარე მოუგვარეთ სადოქტორო დისერტაციისათვისო.

— უსაზღვროდ მაღლობელი ვარ ასეთი სასიამოვნო ამბის მოხარებისთვის. იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დასტოვებთ აკადემიკოს ვლადიმირ მატვეევის თხოვნას!

ოთარ კახიშვილს ცოფი ნელ-ნელა ასდიოდა ტვინში. გული ისე უცემდა, ეგონა სადაცაა ხელყუმბარასავით აფეთქდებოდა.

— დამცინით?

— ანუ უდიერ სიტყვას რატომ ჰკადრებთ თქვენა თავს?

— ღმერთო, როგორ მოვტყუვდი. ვანა პირველი დღიდანვე არ ვიცოდი, რომ თქვენს ძარღვებში იუდას სისხლი ჩქეფდა!

— გულახდილად გეტყვით, გაცეხებული ვარ თქვენი ორატორული ხელოვნებით თურმე თქვენ თავიდანვე იცოდით, რომ ჩემს ძარღვებში იუდას სისხლი ჩქეფდა. მშვენიერია! ბრავო, პროფესორო, ბრავო! მაგრამ კიდეც უფრო



ადრე ვიცოდი, რომ თქვენ, პროფესორ ოთარ კახიშვილს ძარღვებში სისხლის ნაცვლად ნარეცხი წყალი გამოძრავებდათ.

— ნაძირალავ! — ოთარ კახიშვილმა ისე მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ ტკივილისაგან სასაცილოდ დაიღრიჯა.

რამაზ კორინთელის ტუჩებზე უღვაშებივით აიწკიპა ირონიული ღიმილი.

— გაფრთხილებთ, ისეთ სიტყვებს ნუ მაკადრებთ, მერე რომ სანანებელი გაგიხდებათ. გაითვალისწინეთ, რომ ჩემი ლიფტი ჯერ მაღლა მიდის, თქვენ კი უკვე ბნელ შახტში ხართ გაჩხირული.

— გატყობთ, ადამიანების აღარ გრცხვენიათ, აინდის-ნამუსი სამუდამოდ დაგიკარგავთ, მაგრამ ღმერთს რაღას ეტყვი, ღმერთა!

— ღმერთს მიღების საათები მხოლოდ საიქიოში აქვს, მე კი ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ!

— მამას შვილისთვის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც მე ვაგიკეთეთ, თქვენს ნიჭსა და უნარს არ უარყოფ, თქვენი ზებუნებრივი ნიჭისაც მჯერა, მაგრამ რამდენი რამ იყო მოსაგვარებელი, თქვენთვის რომ გზა გამეკაფა. სამი კურსის ექვს თვეში დახტურვა, საღიბლოში ნაშრომისათვის პირდაპირ საკანდიდატო ხარისხის მონიჭება! თქვენ ხომ იცით, რამდენი ინსტანცია შეეძარა, რამდენი ბიუროკრატიული ჯებირა გაეარღვიე, ისიც გაიხსენეთ, როგორი რეკლამა ვაგიკეთეთ! აღარაფერს ვამბობ, რომ სამსახურში მივიღეთ და ექსპერიმენტებისათვის უზარმაზარი ლაბორატორია დავითმეთ. დაფასებას ვინ დაეძებს, ერთი მადლობაც კი არ გითქვამთ ჩემთვის.

— მადლობის თქმა ძლიერი ადამიანების თვიაებაა. მიხარია, რომ ძლიერ ადამიანად მიგაჩნევიართ. თქვენი დიდი შრომისა და მზრუნველობისათვის გულწრფელად გწირავთ დიდ მადლობაა. პირობაა გაძლევა, მემუარებში აუცილებლად მოგიხანეიებთ.

— დამცინით კიდევ?!

— მე პირიქით მგონია, ბატონო რექტორო და, საერთოდ, ვერ გაბნეულხარათომ მლანძღავთ, რა ვინდათ ჩემგან?!

— არ იცით, არა?! ახლავე მოგახსენებთ. თქვენ ისარგებლეთ ჩემი პატიოსნებით და გულუბრყვილობით, დამადებინეთ ლუქი სეიფზე. შემდეგ კი შემოიპარეთ ჩემს კაბინეტში, გახსენით ლუქი. მოიპარეთ დავით გიორგაძის ნაშრომი და მოსკოვში თქვენს გამოკვლევად გაასაღეთ!

— რბილად რომ ვთქვათ, თქვენი ბრალდება წმინდა წყლის ცილისწამებაა, ბატონო ოთარ! — აუღელვებლად და გამაღიზიანებელი ღიმილით წარმოთქვა რამაზ კორინთელმა.

— გგონიათ დავთმე ბრძოლა? — ოთარ კახიშვილმა შუა უჯრა გამოსწია და ქალაღი ამოიღო, — ვანცხადება უკვე დაწვერე ზემდგომი ორგანოების სახელზე. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ თქვენ ჩუმად შემოიპარეთ ჩემს კაბინეტში, გახსენით სეიფი და მოიპარეთ დავით გიორგაძის გამოკვლევა „რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი“. შემდეგ დაკეტეთ სეიფი და რაღაც მანქანებით, რაც თქვენთვის და თქვენნაირებისთვის არის ცნობილი, სეიფი კვლავ დალუქეთ. ერთი შეხედვით, თქვენი გეგმა შესანიშნავადაა დამუშავებული. სეიფს მხოლოდ მომავალი წლის ოქტომბერში გახსნიან, მანამდე კი თქვენ მოასწრებთ გახდეთ სახელოვანი მეცნიერი. და მერე, როცა სეიფს გახსნიან, იქ არაფერი არ აღმოჩნდება. ერთი სიტყვით, ლეგენდა დავით გიორგაძის გამოკვლევაზე ბუშტივით გასკდება. მაგრამ მოტყუვდით, ბატონო რამაზ, ერთი სრულიად უბრალო დეტალი ვერ გაითვალისწინეთ. მთელმა ინსტიტუტმა იცოდა, რას იკვლევდა აკადემიკოსი დავით გიორგაძე. რადიოაქტიური გამოსხივების მეხუთე ტიპი — აი, ჩვენი ყოფილი დირექტორი.

გურამ ფანჯიკიძე
სპირალში

რის გამოკვლევა თემა. როგორ მოხდა, რომ თქვენი გამოკვლევა ზუსტად დაემთხვა დავით გიორგაძის თეორიულ ვარაუდებს და ექსპერიმენტის შედეგებს? — ოთარ კახიშვილს თვალები აუწყლიანდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, თითქოს ეუბნებოდა, ახლა რაღას იტყვიო. — მე ოფიციალურად გდებთ ბრალს, რომ თქვენ ჩუმად შემოიპარეთ ჩემს კაბინეტში, გახსენით სეიფი და მოიპარეთ აკადემიკოს დავით გიორგაძის შრომა. თქვენი ვერაგობით შექმნილი საგანგებო და საგანგაშო მდგომარეობის გამო, მოვითხოვ, დაარღვიონ აკადემიკოსის ანდერძი, გახსნან სეიფი და თქვენს მიმართ აღძრან სისხლის სამართლის საქმე!

რამაზ კორინთელმა ჯერ გაიღიმა, მერე ჩუმად ჩაიცინა, ბოლოს კი საშინელი ხარხარი ატეხა, ჯერ გაბრაზებული, მერე დაბნეული და ბოლოს შეშინებული ოთარ კახიშვილი კორინთელს მისჩერებოდა და წამწამებს საცოდავად ახამხამებდა.

რამაზ კორინთელმა ხარხარი ერთბაშად შეწყვიტა, სახეზე მრისხანება გადაეკრა.

— თქვენ მაგას არ გააკეთებთ, ბატონო ოთარ, არ გააკეთებთ იმიტომ, რომ ვერ გააკეთებთ.

— რატომ ვერ გააკეთებთ! — ოთარ კახიშვილი თვითონვე მიხვდა, მის ხმას ფოლადი აკლდა.

— დავიწყოთ თავიდან, — კორინთელმა სიგარეტი ვააბოლა, სკამი უკან დასწია, ფეხი ფეხზე შემოიღო. მრისხანე ჭამოხედვა წელანდელივით წამიერად შეცვალა საქმიანი, დაფიქრებული გამომეტყველებით, — თქვენ უნიჭო კაცი როდი ხართ, ბატონო დირექტორო, საკმაოდ კარგი მეცნიერიც ბრძანდებით, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებში, ესე იგი, ურთულეს დიპლომატიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოგდით შეცდომები. არა, არა, ძალიან გთხოვთ, ხმას ნუ ამოიღებთ, სათქმელი ბოლომდე მათქმევინეთ. შევეთანხმდით, ხომ? ესე იგი, შევეთანხმდით. თქვენ წილან ბრძანეთ,

რომ ჩემს ძარღვებში იუღდას სისხლი ჩქეფს. კეთილი და პატიოსანი! ჩერ მე შევეცდები დაგიმტკიცოთ. რომ ძარღვებში არანაკლები ტემპერამენტი ჩქეფს იუღდას სისხლი. ნუ ლელავთ, კიდევ ერთხელ გთხოვთ უმორჩილესად, სიტყვას ნუ შემაწყვეტინებთ, თორემ პირდაპირ მოქმედებაზე გადავალ. მაშინ იძულებული გავხდები დამატებითი უსიამოვნებანი მოგაყენოთ. საბოლოოდ შევეთანხმდით, არა?

ოთარ კახიშვილმა დუმილით განაცხადა თანხმობა.

— თქვენ უღალატეთ აკადემიკოს დავით გიორგაძეს, რომელსაც უზარმაზარი თუ არა, საკმაოდ დიდი ამაგი ჰქონდა თქვენზე. სამწუხაროდ, ადამიანები იოლად ივიწყებენ სიკეთეს და აი, როცა აკადემიკოსი საიმედოდ მივებარეთ მისს, თქვენ გადაწყვიტეთ, ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის უკანასკნელი გამოკვლევა ხელში ჩაგვადოთ და თქვენს ნაშრომად გავსაღებინათ. თქვენი ჩანაფიქრი უკვე ღალატი იყო, ბატონო დირექტორო, ღალატი! თანაც ღალატი არა მარტო დავით გიორგაძის მიმართ, არამედ სინდისის, მეცნიერული ეთიკის და, საერთოდ, ადამიანობის მიმართ! — რამაზ კორინთელმა სიგარეტი საფერფლეზე დააგდო და ინსტიტუტის დირექტორს თვალბეჭეში შეხედა, აინტერესებდა, საბოლოოდ დათრგუნა თუ არა ოთარ კახიშვილი.

— თქვენ უღალატეთ მეგობარს, უფროსს და კოლეგას. წინააღმდეგობას ნუ გამიწევთ. ძნელია შეგუება ჩემს ბრალდებასთან, მაგრამ ჩვენს საუბარს ამაღამ ძილის წინ რომ გააანალიზებთ, დარწმუნდებით, რომ მე მართალი ვარ. თქვენ კი მე მომხალეთ პირში განრისხებულმა, თავიდანვე მივხვდი, ძარღვებში იუღდას სისხლი გიჩქეფსო. რა იოლია სხვისი ნაკლის დანახვა. ადამიანს რომ საკუთარი ნაკლის დანახვა ისევე შეძლოს, როგორ სხვისას აჩქნევს, უკვე დიდი ხნის წინ დამყარდებოდა საყოველთაო მშვიდობა. — კორინთელი ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გადაი-

ხედა. შემობრუნდა და რაფას ხელებით დაეყრდნო, — თქვენ თავიდანვე მიხვდით, რომ მე გარეწარი და მოღალატე ვიყავი, მაგრამ მაინც ჩემი მოკავშირე ვახდით. იურისპრუდენციის ერთ რომ ვილაპარაკოთ, ჩემთან კავშირი თქვენი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა. ერთი სიტყვით, — რამაზ კორინთელი ისევ მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაჯდა, — თქვენ უღალატეთ აკადემიკოს დავით გიორგაძეს. სამწუხაროდ, ერთ ღალატზე როდი შეჩერდით, მიღალატეთ მეც, თქვენს მოკავშირეს.

— ტყუილია!

— არ არის ტყუილი, ბატონო დირექტორო! გულში ჩაიხედეთ, გაბრაზება მიაწი-მოსწიეთ და სადღაც კუთხეში მიკუნძულ გულწრფელობას სული ამოთქმევინეთ. ამ ორი თვის წინ თქვენ რეკავთ მოსკოვში ვინმე ანდრო კახიშვილთან. გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენი ახლობელი უნდა იყოს. თუ გნებავთ, ტელეფონის ნომერსაც მოგახსენებთ 723-25-45. სწორია, არა? რატომ შეკრით? განა თქვენ არ სთხოვეთ ამხანაგ ანდროს, ჩუმად ჩამოეყვანა თბილისში სეიფის გამხსნელი ოსტატი? განა არ გაუგზავნეთ წინასწარ ათასი მანეთი?

— ამხანაგო რამაზ! — ფეხზე წამოვარდა ინსტიტუტის დირექტორი, — ეგ ცილისწამებაა, საშინელი ცილისწამება თქვენ მაგას ვერ დაამტკიცებთ!

— დაწყნარდით, ამხანაგო დირექტორო, დაწყნარდით. უმორჩილესად გრხოვთ, დაწყნარდით და კვლავ რბილ სავარძელში ჩაბრძანდით, აი, ასე.

— თქვენ მაგას ვერ დაამტკიცებთ! — სავარძელში ჩაჯდომის წინ ისევ გაიმეორა ოთარ კახიშვილმა. გამეორებულ ფრაზას აშკარად აკლდა წელანდელი რიხი და მუქარა.

— არც შეაპირებ დამტკიცებას. თქვენთან ბრძოლას რომ ვაპირებდე, გაცილებით უქეთესი ფაქტები ვიცი. მე, უბრალოდ, მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ჯერ თქვენ მიღალატეთ. ჩამოიყვანეთ მოსკოვიდან ბრძის მოროზოვი, სეიფების

გახსნის ჩინებული ოსტატი, დააბინავეთ სასტუმრო „საქართველოში“, ხუთასმეტე ნომერში. მოიყვანეთ ბინეტში, აჩვენეთ სეიფი, გულწრფელად გაანდეთ თქვენი ვანზრახვა და გასამრჯელოდ შესთავაზეთ ორი ათასი მანეთი. მან სამი მოგთხოვათ. შეთანხმდით (ორნახევარზე. მოროზოვმა გადაიხატა ლუქზე ბეჭდის გამოსახულება, კარგად შეისწავლა სეიფი და გახსნისათვის მოითხოვა დრო, დაახლოებით ერთი კვირა. თქვენ უთხარით, რომ ერთი კვირა ძალზე დიდი დროა, ინსტიტუტში შეგნიშნავენო. მას შემდეგ, რაც ყალბ ბეჭედს დაამზადებდით ლუქისათვის, სეიფი ორ დღეში უნდა გაეხსნა მოსკოველ ოსტატს. თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ბრძის მოროზოვმა ტელეფონით გაცნობათ, რომ შეთავაზებული ბინეტური საქმიდან ხელს იბანდა და მოსკოვში მიემგზავრებოდა. მოდით, გულზე ხელი დაიდეთ, თვალეში ჩამხედეთ და მითხარით, ერთი სიტყვა მაინც თუ ვთქვი გადამეტებული?

დუმილი, სასტიკი დუმილი.

შუბლზე ოფლდასხმული ოთარ კახიშვილი სადღაც შორს, სივრცეში იყურებოდა, ლოყის კუნთები ნერვიულად უთამაშებდა. სახეზე საოცარი ტანჯვა აღბეჭდვოდა.

— ერთი სიტყვით, — თქვა მშვიდად რამაზ კორინთელმა, — ვფიქრობ, უკვე დამეთანხმებით, რომ არ გქონდათ უფლება გეწოდებინათ ჩემთვის მოღალატე, დიახ, არ გქონდათ უფლება, რადგან თქვენ თვითონ ორგზის მოღალატე ბრძანდებით. და თუ მე სეიფი გავხსენი, რატომ არ ფიქრობთ, რომ მის შემდეგ შემოვიპარე თქვენს კაბინეტში როცა თქვენი ვერაგული ღალატის ამბავი გავიგე?!

რამაზ კორინთელის თვალებიდან ვერაგული დაცინვა და ზიზღი იფრქვეოდა. ცოტა ხანს შეისვენა, თითქოს უნდოდა, ოთარ კახიშვილი ბრალდებაში კარგად გარკვეულიყო.

ინსტიტუტის დირექტორს თავი ჩაე-

ქინდრა და მაგიდისთვის თვალი გაეშტერებინა.

„ვითომ დათმო ბრძოლა? ახლავ ვთქვა ყველაფერი თუ ჯერ დაველოდო, ვაცალო, რას მოიმოქმედებს?!“

რამაზ კორინთელმა ღუმელი ამჯობინა.

არ მოტყუებულა — ოთარ კახიშვილს არ დაუთმია ბრძოლა.

— მართალი ბრძანდებით, მეც თქვენნაირი ნაძირალა და მოლაღატე ვარ, მაგრამ ერთი რამ მინდა იცოდეთ, არ დაგინდობთ! საჩივარს მაინც აღვძრავ, კომისიას ამ კვირაში გავახსენებთ აეიფს. ზებუნებრივ ნიჭსაც არ დაგიკარგავთ და გამოგაცხადებთ საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებად, პროვოკატორად, შანტაჟის დიდოსტატად! თქვენ მე ვერ დამიმტკიცებთ, რომ განსვენებული აკადემიკოსის ნაშრომის მითვისება მინდოდა. თქვენ იცოდით სეიფის შიფრი. არ ვიცი, რა ნათელმზილველობით შესძელით მისი გაგება, მაგრამ, ფაქტია, იცოდით. რა გარანტიაა, რომ თქვენს ზებუნებრივ ნიჭს ვაცილებით ზოროტ საქმეებს არ მოახმართ? უნდა გამხილოთ და გამხელთ კიდეც. საჯაროდ ჩამოგხსნით ნიღაბს და გამოვაჩენ თქვენს ჭეშმარიტ სახეს!

სახეწამონთებული ინსტიტუტის დირექტორი ფეხზე წამოიჭრა. დარწმუნებული იყო, რომ რამაზ კორინთელი შეაშინა, მაშასთან გაასწორა, გაანადგურა, გააცამტვერა. და რაოდენ გაოცებული დარჩა, როცა ახლავარდა მეცნიერის სრულიად მშვიდ სახეზე გამოხატული ირონიული ღმილი დაინახა.

— დაამთავრეთ, ბატონო დირექტორო?

— დიახ, დავამთავრე.

— მომეწონა თქვენი პათოსი და ტემპერამენტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ორატორული ხელოვნება ერთია, იურისპრუდენცია კი მეორე. გაგიჭირდებათ დამტკიცოთ თქვენი ბრალდებანი.

— არ გამიჭირდება! — გააქნია თითო ოთარ კახიშვილმა. ერთი სურვილი ჰქონდა, კორინთელს მივარდნოდა და ტუ-

ჩებზე ულვაშებივით აწკეპილი ღმილი ნავი ღმილი ჩამოეგლიჯა.

— გაგიჭირდებათ! — გააქნია თითო რამაზ კორინთელმა, — ჯერ ერთი, ვინ დაიჯერებს ჩემს ნათელმზილველობას? ამის თაობაზე მე ჯერ არავისთან დამიძრავს სიტყვაც კი. თუ ჩვენი ზოგიერთი თანაშრომლისათვის მითქვამს რამე, მერწმუნეთ, ყოველი ამბავი ყურმოკრულია ან ვილაცას უამბნია ჩემთვის, რით დაამტკიცებთ, რომ შიფრი ვიცოდით? ვერ დაამტკიცებთ, სამაგიეროდ, მე შემიძლია ცილიამწამებლად და... ბოდიშს ვიხდი... — კორინთელმა თითო შუბლზე მიიღო. — დიახ, ცოტა იაფთად გამოგაცხადოთ. მეორე, თუ მე სეიფის შიფრს ვიცოდით, რატომ სდუმდით ამდენ ხანს? რას ელოდებოდით? რატომ თავიდანვე არ მამხილეთ? რაიმე საიდუმლო მოლაპარაკება და ვარიგება ხომ არ იყო ჩვენს შორის, რომელიც მე დავარღვიე? კი ბატონო, მე ნაძირალა ვარ და დავარღვიე პირობა, თქვენ ვინლა ბრძანდებით? ვერ ხედებით, რომ ყელამდე ლაფში დგახართ და ნელ-ნელა კიდე უფრო იძირებით? ხომ დამთავრდა თქვენი მეცნიერული და ადმინისტრაციული კარიერა? ღირს კი დავით გიორგაძის თუნდაც ბრწყინვალე ნაშრომი ამოდენა მსხვერპლად?! მით უმეტეს, რომ იგი თქვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. თუ მე პლაგიატსა და სეიფის გაქურდვაში მამხილეა, ნაშრომი თავისი კანონიერი პატრონის, აკადემიკოს დავით გიორგაძის სამართლიან კუთვნილებად იქცევა. არც ჩემს გადაკიდებას გირჩევთ მაინცდამაინც, ნუ დაგაბრმავებთ შურისძიების ტკბილი, დამათრბელი გრძნობა, რადგან წამიერია იგი, როგორც უღირსი, ლაჩარი და პატივმოყვარე ადამიანების ბნელ გონებასა და სხეულში დაბადებული გრძნობა.

— ვერ გამაჩერებთ, ვერავითარ ზეგავლენას ჩემზე ვერ მოახდენთ. დღესვე, ახლავე მივდივარ იქ, სადაცქვერ არს!

— რა გაეწოხა, წაბრძანდით. მე გულწრფელად გირჩიეთ, არ გადაგდგათ საბედისწერო ნაბიჯი, სულ მალე

დარწმუნდებით, რომ თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა. — რამაზ კორინთელმა უდარდელად გააბოლა სიგარეტები — თქვენ მე მოლაღატე მიწოდეთ. ამ მძიმე ბრალდებაზე, რომლისთვისაც შეიძლება კაცმა კაცი მოკლას, პროტესტი არ განმიცხადებია. არ განმიცხადებდა, რადგან დროებით მივიღე იგი, მხოლოდ დროებით, ერთი საათით! ძალიან გთხოვთ. კარგად დაიმახსოვრეთ, მხოლოდ ერთი საათით.., ეს იყო ძალიან ჩვეულებრივი პოლემიკური ხერხი, თქვენთვის დამემტკიცებინა სინამდვილე, რომ თვითონ ბრძანდებით მოლაღატე, თანაც ორგზის მოლაღატე! თქვენ წელან აღიარეთ თქვენი დანაშაული. აღიარეთ არა იმიტომ, რომ სინდისმა შეგაწუხათ, არამედ იმიტომ, რომ ფაქტება ვერსად ვაეჭვებო. დიახ, დიახ, ნუ ლელავთ და ნუ შეეცდებით პროტესტის გამოთქმას. კარგად გახსოვდეთ, მე ერთი ცისტერნა მოთმინება მაქვს და იოლად ვერ გამომიყვანთ წონასწორობიდან.

რამაზ კორინთელი წამოდგა, მაცივართან მივიდა, ბორჯომი გამოიღო, ჯერ ინსტიტუტის დირექტორს დაუახა, მერე თვითონ შეივსო ჭიქა.

— ძალიან ცივია, აცალეთ ოდნავ შეთბობა! — კორინთელმა ჭიქას შესათბობად ხელისგულები შემოხვია.

— დამთავრეთ სათქმელი, ამდენი აღარ მცალა! — ინსტიტუტის დირექტორი გრძნობდა, ყველაზე უფრო კორინთელის სიმშვიდე აცოფებდა.

— მართალი ბრძანდებით. უბრალო საქმე ძალზე გავგიჟიანურდა, — ბორჯომი მოსევა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— ამჯერად მშვევეცილები დაგიმტკიცოთ, რომ მე საერთოდ არ ვარ მოლაღატე. გესმით, ბატონო ოთარ, სულ ორ წუთში დაგიმტკიცებთ, რომ მე საერთოდ არ ვარ მოლაღატე. თქვენ კი უკან წილებით თქვენს სიტყვებს და ბოდიშსაც მომიხდით. ასეთი სისაძაგლე რომ მაკადრეთ! მოთმინება, ამხანავო ოთარ, მოთმინება იქოჩიეთ! მინდა მოვახსენოთ, რომ მე სეიფი არ გამიხსნია. დიახ, არ

გამიხსნია. არც ჰქონდა ახრი მის გახსნას. არავითარი გამოკვლევა სეიფში არ ყოფილა. ვინაიდან აკადემიკოსი დავით გიორგაძემ ვერ გადაჭრა ის პრობლემა, რაც მეცნიერული ინტუიციით სწორად ივარაუდა, მაგრამ მთელი ხუთი წელი მცდარი გზით იბრძოდა რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის გამოსავლინებლად.

— სტყუით! უსინდისოდ სტყუით! რასაკვირველია, სეიფში აღარ იქნება დავით გიორგაძის ნაშრომი. იგი თქვენ მოიპარეთ, ჯერ გადაწერეთ და შემდეგ ბუნებრივია, გაანადგურეთ.

— წინასწარ ვიცოდით, რასაც მეტყვოდით. პასუხიც შესაფერისი მოგიმზადეთ. გთხოვთ წაიკითხოთ დავით გიორგაძის უკანასკნელი წერილი, რომელიც მან აკადემიკოს მატევეს მისწერა. წერილის ორიგინალი მოსკოვშია, აკადემიკოსის სეიფში. ბატონმა ვლადიმირმა თვითონ გამომიგზავნა წერილის ასლები. თუ წერილი ნაყალბევი მოგეჩვენებათ, შეგიძლიათ დაურეკოთ ვლადიმირ მატევეს ან გადასცეთ ექსპერტს. კიდევ გიმეორებთ, ორიგინალი აკადემიკოს ვლადიმირ მატევესა აქვს შენახული: გთხოვთ წაიკითხოთ.

რამაზ კორინთელმა ინსტიტუტის დირექტორს წერილი გაუწოდა, ოთარ კახიშვილმა ხარბად წაუპოტინა ფურცელს ხელი და უშაღვე სათვალე შეიცვალა. ჯერ სიფითრემ გადაჭრა სახეზე, მერე ვილაცის უხილავმა ხელმა სასწრაფოდ მწვანედ გადაღება. სათვალავი აერია, მერამდენედ კითხულობდა ერთი და იგივე ამზაცებს: „საავადმყოფოში გავიციანი უნიჭიერესი ახალგაზრდა კაცი რამაზ მიხეილის ძე კორინთელი. ყველაფრის დამახსოვრებისათვის საღ ვეცალათ, მაგრამ შეიძლება მაინც მოგაგონდეთ, მე ვვარაუდობდი რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის არსებობას. ჩემი ვარაუდი, როგორც ირკვევა, სწორი იყო, პრობლემის გადაჭრის გზა კი მცდარი. და აი, ამ ახალგაზრდამ, რომელთანაც საავადმყოფოში გაცნობა ბედმა ინება (ხომ ხედავთ, სიკვდილის

წინ, მგობი ყველანი იდეალისტები ვხედუ-
ნით), ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭ-
რის სწორი გზა იპოვა“.

„ჩემის აზრით, პრობლემის გადაჭრის
სწორი გზა იპოვა“.

„სწორი გზა...“

— მაშ თქვენ იცნობდით დავით გიორ-
გაძეს?! — იკითხა მოტეხილმა კახი-
შვილმა. თავი არ აუწევია, ისევ წერილს
ჩასჩერებოდა, მაგრამ ასოებს ველარ არ-
ჩევდა.

— მე მგონი, არ გვაქვს ექვსი საბა-
ბიცი. იძულებული ვართ დავუჯეროთ აკ-
ადემიკოს დავით გიორგაძეს.

— სეიფის შიფრიც მან ვითხრათ?

— არ უთქვამს, ან რატომ უნდა ეთქ-
ვა?! შიფრი მე გამოვიცანი, მე ვიხილე
ხუთნიშნა კომბინაცია!

— თუკი ეს წერილი ნამდვილად და-
ვით გიორგაძის დაწერილია, რატომ არ
გინდოდათ სეიფის გახსნა? წერილში
ხომ აშკარად ამბობს აკადემიკოსი, რომ
მან კი არა, თქვენ იპოვეთ პრობლემის
გადაჭრის სწორი გზა?!

— მე არ მქონდა არავითარი გარა-
ნტია, რომ თქვენც აკადემიკოს დავით
გიორგაძისავით მზრუნველობას გამოი-
ჩინდით ჩემს მიმართ. არც მოვტყუებ-
ულვარ თქვენს სახეზე წავიკითხე, ვინც
ბრძანდებით და რაც ბრძანდებით, ყვე-
ლაფერი ვიცოდი, როგორ დადიოდით
აკადემიკოსის ოჯახში და როგორ ეძე-
ბდით ზემდგომ ორგანოში უკან დასაბ-
რუნებელ ეგრეთ წოდებულ საიდუმლო
დოკუმენტებს. სინამდვილეში კი გინ-
დოდათ, დავით გიორგაძის ნაშრომისათ-
ვის მიგეკვლიათ. არ მჯეროდა და, რო-
გორც აღმოჩნდა, სამართლიანადაც, რომ
ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს დახმარების
ხელს გამომიწოდებდით. და მე წავედა
ავანტიურაზე. არ უარვეყოფ. მე თქვენ
მჭირდებოდით გზის ვასაკაფავად, მოს-
კოვთან კავშირის დასამყარებლად,
უნივერსიტეტის სამი კურსის ნახევარ
წელიწადში დასამთავრებლად, საღიპ-
ლომო შრომის საკანდიდატო დისერ-
ტაციად წარსადგენად, უამრავი ფორ-
მალური და ბიუროკრატიული საკითხის

მოსაგვარებლად. მე რომ თქვენთან
ბინძური ხელშეკრულება არ
და დავით გიორგაძის ნაშრომზე პირველ
თანაავტორობას არ დაგპირებოდით,
გაირჩებოდით ჩემთვის? არ გაირჩებო-
დით. არც სამსახურს მომცემდით, კა-
ბინეტიდან კინწისკვრით გამაგლებ-
დით, ჩემს ნიჭს და მოწოდებას ისე
ჩაახშობდით, ნამუსი არ შეგაწუხებდათ!
მოდით, ერთხელ მაინც სძლიეთ
თქვენს არსებაში ჩასახლებულ პატარა
კაცს და აღიარეთ, რომ მართალი ვარ!

— მე მხოლოდ ერთ რამეს ვაღიარებ!
— თქვა მცირეოდენი ღუმილის შემდეგ
ოთარ კახიშვილმა, — ვაღიარებ, რომ
დამამარცხეთ. ღირსიცა ვარ, ცთუნებას
არ უნდა ავეყოლოდი!

— გმადლობთ! — ფეხზე წამოდგა
რამაზ კორინთელი.

— თქვენ კი, თქვენ კი... — დაიბნა
ინსტიტუტის დირექტორი, — თქვენ
კი, არ ვიცი, ვინ ხართ, ადამიანი თუ სა-
ტანა. არც ერთი სიტყვა არ მჯერა, რაც
დღეს ილაპარაკეთ. ვიცი, რომ ამ წუთ-
შიც იტყუებით. წერილი მართლაც რომ
დავით გიორგაძის დაწერილი იყოს, მჯე-
რა, რომ თქვენ მას არ იცნობდით და
არც გინახავთ. თქვენ იგი შორიდან
მოაჯადოვეთ და მონუსხეთ. სინდისი
მაინც არ ვაწუხებთ, ასეთი მრუდე გზით
რომ მიღიხართ დასახული მიზნისაკენ?

— მიზნისაკენ მიმავალ გზათა შორის
უმოკლესი მაინც მრუდე გზა გახლავთ,
ბატონო ოთარ! განსვენებული აკადემი-
კოსის წერილი კი, შემიძლია დავიფი-
ცო, დავით გიორგაძის დაწერილი
გახლავთ. თუმცა ჩემთვის სულერთია,
გნებავთ, დაიჯერეთ, გნებავთ, ნუ დაი-
ჯერებთ. მე წავალ და იმედი მაქვს,
თქვენს მიერ დაწერილ საჩივარს ჩემი
გასვლისთანავე დახვეთ. მშვენივრად
იციოთ, რომ ასე სჯობია პირადად თქვენ-
თვის და თქვენი მეცნიერული კარიე-
რისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ, ბა-
ტონო დირექტორო! — რამაზ კორინ-
თელმა კონტად დაუკრა თავი, შეტრია-
ლდა და კარებისაკენ წავიდა.

— შეიძლება ერთი შეკითხვა მოგ-
კეთ? — დაწია ოთარ კახიშვილმა.

— ბოძანეთ! — რამაზ კორინთელი
შემობრუნდა და მოსამუნად მოემზა-
და.

— თქვენს ცხოვრებაში ყოფილხართ
როდისმე გულახდილი?

— მე მხოლოდ ღმერთთან ვარ გულ-
ახდილი, ისიც იმიტომ, რომ ღმერთი
არ არსებობს!



ორი თვე მოლოდინში გავიდა.

რატომ მოლოდინში? განა ვინმეს ელ-
ოდა მაკა ლანდია?!

რამაზ კორინთელმა ააფორიაქა ქალი-
შვილის ცხოვრება. დღეაც ვერ გაეგო,
სქულდა და მოსწონდა მაღალი, ათლე-
ტური, წაბლიაფერთმიანი ჭაბუკი. იყო
წუთი, როცა მოაწონდა კორინთელი
სულიერი სიღრმე და სიკეთე, ხან კი სა-
შინლად აღიზიანებდა ჭაბუკის თვით-
დაცვრება, კატეგორიული ტონი. ამ წუ-
თებში მაკას აზინებდა კიდევ რამაზ კო-
რინთელი თვალები, ეჩვენებოდა, თი-
თქოა ჭაბუკის თვალებიდან როგორც
მუქმინიანი ფანჯრიდან, ვიღაც სხვა იც-
ქირებოდა.

და მაინც ელოდა.

იქნებ კორინთელის აზრი ანტერესე-
ბდა თავის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე?

თუ ჭაბუკი საერთოდ არ იზიდავდა,
მაშინ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის
აზრს?

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“

იქნებ ამ ერთმა ფრაზამ აუფორიაქა
გონება?

ყო წუთები, როცა სისულელედ და
უაზრობად მიაჩნდა ახალგაზრდა მეცნი-
ერზე ფიქრი. სასაცილოდ ეჩვენებოდა
მისი სიყვარული. არასერიოზულობაც
კი იქნებოდა; ჭაბუკის მიერ საუბარში
კეკლუტობით წამოხროლილი ფრაზა
დაეცერებინს.

„მეშინია, რომ შემიყვარდებით!“

„მორჩა, ღამთაერდა, არასდროს ადარ
მომიწევს რამაზ კორინთელთან შეხვე-
დრა. არც მზავითარი სურვილი გამაჩ-

ნია, ჭაბუკის თვალებიდან, როგორც
მუქმინიანი ფანჯრიდან, ვიღაცამ
ვალთვალოს!“

მაკა ლანდია საერთო ოთახში იჯდა.
არცთუ მოზრდილ და მზებზე მიფრც-
ხებულ ოთახში კიდევ სამი რედაქტო-
რის მაგიდა იდგა.

— ჩემთვის ხომ არავის დაურეკავს?
— იკითხავდა ხოლმე მაკა, როცა რაიმე
დავალებაზე წასული უკან მობრუნდე-
ბოდა.

— არავის!

გულის სიღრმეში ტკივილს გრძნობ-
და.

ვია ზარს ელოდა?

არ უნდოდა თავის თავს გამოსტყლო-
მოდა, რომ მხოლოდ რამაზ კორინთე-
ლის ზარი ანტერესებდა.

ერთხელ, დილით, სამსახურში რომ
მიდიოდა, ტელევიზიის შენობის მახ-
ლობლად, ზოოლოგიური პარკის შესას-
ვლელის წინ ბოშა ქალი გადაუდგა.

— გინდა, გიმკითხავო?

— არა მცალია! — მიუგო მკვახედ
მაკა ლანდიამ. იცოდა, ზრდილობიანი მი-
მართვა უფრო გაათამამებდა ბოშა ქალს.

— უნდა გიმკითხო, კარგი თვალები
და ხელები გაქვს, მომეცი შენი ხელი!
— ძალიან გთხოვ, თავი დამანებო!

— გაბრაზდა მაკა.

უფრო კი იმიტომ გაგულსდა, რომ
საშინლად მოუნდა მკითხავისთვის ხე-
ლი გაეწოდებინა.

რა ჩაიფიქრა პირველი?

თავი გააქნია, არ უნდოდა დიდი მნი-
შვნელობა მიეცა, რომ უშალვე რამაზ
კორინთელი გაახსენდა. მკითხავი თავი-
დან მოიშორა და ნაბიჯს მოუმატა.

— ჩემთვის ხომ არავის დაურეკავს?
— იკითხა, ჩვეულებისამებრ, მისალმე-
ბის შემდეგ.

— ასე უთენია ვინ დარეკავდა?! —
გაეცინა სრულიად ახალგაზრდა, მაგრ-
ამ მთლიანად გამელოტებულ რედაქტო-
რს.

— გაზეთი მათხოვე!

— ინებე.

მეორე გვერდიდან ნაცნობმა სახემ

შემოანათა. იცნო და თითქოს ვერც იცნო. თვალი სათაურისკენ გაექცა: „ახალგაზრდა მეცნიერის დიდი წარმატება“; — გულმა უგრძნო, რამაზ კორინთელი იყო. რატომ მოეჩვენა შეცვლილი? რატომ გაუჭირდა ცნობა? ალბათ იმიტომ, რომ რამაზ კორინთელს უღვაშები ჰქონდი მოშვებული. აშკარად უხდებოდა. უღვაშები თითქოს ასაკს მატებდა და მეტ სიღინჯეს აძლევდა ახალგაზრდას. წერილს სულმოუთქმელად გადაავლო თვალი. მერე კვლავ თავიდან დაიწყო და დინჯად, დაკვირვებით წაიკითხა. ყოველ ფრაზას უკვირდებოდა, გულში ზომავდა და სწონდა. განსაკუთრებით ერთი აბზაცი წაიკითხა ბევრჯერ: „რადიოაქტიურობის მეხუთე ტიპის აღმოჩენა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის უდიდესი წარმატებაა, ხოლო თვით გამოკვლევა თამამად შეიძლება ჩავაყენოთ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ აღმოჩენათა რიგში“.

კვლავ სურათს დახედა. პირდაპირ თვალეში შეჰყურებდა მოხდენილი ჰაბუკი. რა კეთილი თვალეები ჰქონდა, კეთილი და ჰკვიანი. რასაკვირველია, ცდებოდა, როცა კორინთელის გამოხედვა აღიზიანებდა.

„მიყვარს?“

„თუ მომწონს?“

„იქნებ სულაც არ მომწონს და, უბრალოდ, უყურადღებობისათვის მიწდა დავსაჯო?“

„რით ან როგორ დავსაჯო?“

„უნდა შევუყვარდე. დიახ, უნდა შევუყვარდე! ცივი უარი იქნება ყველაზე კარგი შურისძიება!“

„მეშინია, რომ შემეყვარდებით!“ — ჩაესმა უცებ რამაზ კორინთელის ხმა.

„დიახ, უნდა შევუყვარდე. უარი იქნება ყველაზე კარგი შურისძიება!“

„რატომ უნდა ვიძიო შური! რა დამიშავა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ ვარ გაღიზიანებული, სიმართლე რომ მითხრა პირში? ან ვარ კი მე შურისმაძიებელი ქალი? ვანა სიკვდილივით არ მეზიადებინა გულბოროტი, გულღვარძლიანი და შურისმაძიებელი ადამიანები?“

„იქნებ მიყვარს?“

„შეუძლებელია!“

ტელეფონის ზარი.

მაკა შეკრთა.

ზარი განმეორდა.

ქალიშვილს რატომღაც შეეშინდა ყურმილის აღებისა.

— მაკა, არ გესმის? — ჰკითხა მელოტმა.

ქალიშვილი ყურმილს დასწვდა. რატომღაც იაზრა, რამაზ კორინთელი ურეკავდა.

— გისმენთ!

— მაკა ბრძანდებით?

— დიახ! — ქალიშვილს მთელს სხეულში ნერვიულმა ჟრკოლამ დაუარა. იცნო რამაზ კორინთელის ხმა.

— ტელეფონი გამოიცვალეთ?

— დიახ.

— მიცანით?

— გიცანით.

— თქვენი ნახვა მინდა, გვალათ?

— ჯერ უნდა გეკითხათ, თანახმა ვართ თუ არა.

— ბოდიშს გიხდით. თანახმა ხართ?

— ვთქვით, თანახმა ვარ! — მაკამ თავიდანვე მშვენივრად იცოდა, რომ თანახმა იყო. ახლა, როცა მისი ხმა გაიგონა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რამაზ კორინთელი მოსწონდა და შეიძლება უყვარდა კიდევ...

— ნახევარ საათში ტელევიზიის მთავარ შესასვლელთან მოვალ. გთხოვთ თავი ორი საათით მაინც გაინთავისუფლოთ.

მაკან საათს დახედა. ათი იყო.

— რატომ სდუმხართ?

— რა იცოდით, რომ ვაზეთას ასე აღრე წაგიკითხავდი?

— რომელ ვაზეთას?

— თქვენ რა, არ წაგიკითხავთ?

— რა უნდა წამეკითხა?

— თქვენზეა სტატია, „ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის დიდი გამარჯვება“.

— დას ვფიცავარ, არ წამიკითხავს.

მაკას გაეცინა. დაიჯერა, რომ ჰაბუკმა გულწრფელად დაიფიცა. თავიანთავად დის დაფიცებაც მოეწონა.

- მომილოცავს.
- დიდი მადლობა. თანახმა ხართ?
- კარგით, თერთმეტზე მრდით.

მაკამ დიდი დარბაზის კარი შეაღო და სტუმარს შეუძღვა. უზარმაზარი ტელედარბაზის ჭერი იუპიტერებით იყო გადაჭედებული. დარბაზში არავინ იყო, არც არაფერი იდგა. კუთხეში მიდგმული ერთადერთი შავი როიალი ჩუმად შემოპარულ კამეჩს ჰვავდა.

- მოგწონთ? — ჰკითხა ქალიშვილმა კორინთელს.
- აღტაცებული ვარ!
- ულვაშები სულ სხვა იერს ვაძლევთ.
- კარგს თუ ცუდს?
- არ ვიცი. მეუცხოვებით კი.
- თუ არ მოგწონთ, ახლავე მოვიპარსავ.

— ჩემი გულისთვის ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, — გაეცინა მაკას. — თანაც, თვალი რომ მიეჩვევა, იქნებ მოგიხდეთ კიდევ.

— უცებ დამარტყა თავში და მოვეუწვი. მოშვება ძნელი, მთელი თვე სკირდება. მოპარსვა წუთის საქმეა.

— გავალ, სკამებს შემოვიტან.

— არ სჯობდა მანქანით სადმე გავვესიერნა?

— მე თქვენ არ გიცნობთ, არაფერი თქვენთან არ მაკავშირებს. არც ის ვიცი, რა საქმე გაქვთ ჩემთან. მხოლოდ ერთხელ შეიძლება ჩვენს შორის გაბჰულიყო საქმიანი ურთიერთობა. რატომღაც არ მოისურვებთ ერთნაწილიანი დოკუმენტური ფილმის გადაღება. მორალი წამიკითხეთ და წახვედით. თანხმობა რომ განვაცხადო და მანქანით თქვენთან ერთად გავისიერნო, როგორ ფიქრობთ, იქნება მიზანშეწონილი? თუ თქვენ რაიმე საქმე გაქვთ ჩემთან, მე რატომ უნდა წამოგყვეთ სადმე? ამ დარბაზში სივრცეს ვერ დაიწუნებთ. აგერ კუთხეში როიალთან სკამებიც ჩანს, დავესხდეთ და ვისაუბროთ.

— აქ მოწვევა, რასაკვირველია, არ

შეიძლება! — გზადაგზა იკითხა კორინთელმა.

— მართალი ბრძანდებით.

ორთავენი სკამებზე დასხდნენ.

— არ მეგონა, თუ ულვაშები ასე შეგცვლიდათ. ქუჩაში რომ გამოვედი, ვეღარც კი გიცანივ.

— ალბათ მაუშნოვებს და მეორედ იმიტომ მეუბნებით.

— პირიქით, სოლიდურობას და სინდინჯეს გმატებთ. მადლობა ღმერთს, თქვენ ისეთ ასაკში ხართ, ალბათ გსიამოვნებთ კიდევ, უფროსად რომ გამოიყურებით.

— კარგა ხანია სამოცდამეთექვსმეტეში გადავდექი.

— უნდა მომეწონოს თქვენი ხუმრობა?

— სამწუხაროდ, მე არ ვხუმრობ.

— კარგით, შევეშვით ზედმეტ ლაპარაკს. პირდაპირ მიპასუხეთ, რატომ დამირეკეთ?

— მე თქვენ მიყვარხართ, მაკა!

— რა ბრძანეთ? — დაიბნა ქალიშვილი.

— მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!

„მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!“

მაკა ლანდია უსაზღვროდ გაახარა ჰაბუკის სიტყვებმა.

„რატომ ამიტანა სინარულმა?“

„იქნებ იმიტომ, რომ ქალი ვარ და მიხარია, ვილაცას რომ ვუყვარვარ?“

„განა სხვა დროს არ აუხსნიათ ჩემთვის სიყვარული? რატომ მაშინ არ მივლიდა ტანში საოცარი ქრქოლა, ახლა რომ ნერვები და სული ამითრთოლა?“

„ვითომ მიყვარს?“

„ვითომ...“

„მე თქვენ მიყვარხართ, მაკა, მოვედი, რომ ხელი გთხოვოთ!“

— მე ხომ თქვენ არ გიცნობთ, რამაზ? — წარმოთქვა მაკამ და უმაღლვე ტუჩზე იკბინა. პირველსავე წამს გასცა თავისი თავი, ეს სიტყვები ხომ თანხმობას ნიშნავდა.

— უბრალოდ, მაინტერესებს, განა

შეძლება ადამიანი ასე ერთი ნახვით შეგიყვარდეთ? — შეეცადა გამოესწორებინა წედანდელი შეცდომა, — ერთის ნახვით სიყვარული მე წმინდა წყლის ლიტერატურული გამოხავონი მგონია.

— ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთის ნახვით ჩნდება, მაკა, ყველა დანარჩენი სიყვარული შეგუებაა, მორიგებაა, სიტუაციების აწონ-დაწონვაა, ანგარიშია, მომავალი ცხოვრების ანალიზია. ერთის ნახვით სიყვარული კი ნამდვილი სიყვარულია ყოველგვარი ანალიზის, შეჩვევისა და დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონვის გარეშე.

მაკამ ვერაფერი უბასუხა, ვაჟს მხოლოდ დაქვებული თვალებით შეხედა.

— იცით, რომ მე განცხადება დავწერე? — იპოვა უცებ გამოსავალი.

— რა განცხადება? — ვერ გაერკვა რამაზ კორინთელი.

— ტელეფონიც იმიტომ გამომეცვალა. მე ხომ მთავარი რედაქტორის მოადგილე ვიყავი. ყურად ვიღე თქვენი მოსაზრებანი და რიგით რედაქტორად გადავედი.

— ხუმრობთ? — შეცბა კორინთელი.

— რატომ უნდა ვხუმრობდე?! იმიტომ ვერ მიგიღეთ ჩემს ოთახში, სადაც ოთხი რედაქტორი ვართ შეყრილი.

— რატომ ჩაიღინეთ ასეთი სისულელი?

— იმიტომ რომ, ჩემთვის არც თქვენ და არც სხვას პირში თუ ზურგსუკან არ ეკადრებინა ის სიტყვები, რაც იმ დღეს მაკადრეთ. არც ესაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ თქვენ მართალი იყავით. მთავარი ისაა, რომ მე ჩემით მივინდა გავიკვლიო გზა და არა მამაჩემის ავტორიტეტით.

— ვაი შენ, ჩემო თავო!

— გეწყინათ?! მე მეგონა, გაგიხარდებოდათ.

— გამიხარდა კიდევ, ძალიან გამიხარდა, აღტაცებული ვარ თქვენი კეთილშობილებით, მაგრამ...

— რა მაგრამ...

— მაგრამ მეწყინა კიდევ. ვინ დააფა-

სებს თქვენს საქციელს? დაფასებას ვინ დაქვებს, სასაცილოდაც არავის ვეფხვანოვარ თქვენი კეთილშობილება!

— არავის მადლობას და დაფასებას არ ველოდები. არც მიფიქრია ვინმეს ელიარებინა ჩემი მორალური გმირობა, — „მორალური გმირობა“ ირონიული ინტონაციით წარმოთქვა მაკა ლანდიამ, — მე ისიც მყოფნის, რომ მართალი ვარ საკუთარი თავის წინაშე... და კიდევ იმ კაცის წინაშე, ვისაც მე ვუყვარვარ.

— მივინდა ჩავთვალო, რომ ის კაცი მე ვარ!

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. საერთოდ კი, არ გიფიქრიათ, რომ ყოველგვარი ბლიტცკრიგი მარცხით მთავრდება?

— რატომ? როგორ გგონიათ, განათვითონ მე ბლიტცკრიგის მსხვერპლი არა ვარ?

მაკამ გაიცინა.

— მომილოცავს დიდი წარმატება. თუ დამიჯერებთ, გულწრფელად გამიხარდა!

— გამადლობთ. მჯერა, რომ გაგიხარდათ.

— თქვენ უკვე საქვეყნოდ ცნობილი ნეცნიერი ხართ, თანაც სრულიად ახალგაზრდა. კვლავ ხომ არ გვეფიქრა ერთნაწილიან დოკუმენტურ ფილმზე?

— მაკა, ორ თვეზე მეტ ხანს ვფიქრობდი და ვემზადებოდი დღევანდელი დღისათვის. ძალიან გთხოვთ, ნუ გააუბრალოებთ ჩემთვის უძვირფასეს წუთებს.

— ძალიან გიყვართ თქვენი და? — ჰკითხა უცებ მაკამ.

რამაზ კორინთელი გაფითრდა, თვალები უაზროდ გაუშეშდა, უზარმაზარ დარბაზში ერთბაშად ჩამოხნულდა.

— რატომ მეკითხებით?

— წელან ისეთი სიყვარულით დაიფიცეთ, თვალზე ცრემლი მომადგა. გულწრფელად რომ გითხრათ, იმ დაფიცვებამ განპირობა ჩვენი შეხვედრა. ლამაზია თქვენი და?

— ძალიან ლამაზი, მადონასავით ნათელი და წმინდა!



— მე არც და მყავს და არც ძმა! —
 გულწრფელი სინანულით თქვა ქალიშვილმა.

დარბაზი ნელ-ნელა ისევ განათდა.
 „მხოლოდ მაკა მიხსნია, მხოლოდ მაკა ამაცდენს უფსკრულში გადაჩეხვას!“

— მე თქვენ მიყვარხართ, მაკა!
 — გულახდილად გეტყვით, — გაიღმა ქალიშვილმა, — მე მსიამოვნებს თქვენი სიტყვების მოსმენა. გაფრთხილებთ, ჩემმა გულწრფელობამ არ გამოგატანიინოთ მცდარი დასკვნები. უბრალოდ, ქალი ვარ და მიხარია სასიამოვნო სიტყვების მოსმენა.

— შეიძლება დაეუტრა?
 — თქვენ უკრავთ?
 — ვახერხებ!

რამაზ კორინთელი როიალს მიუჯდა. სახურავი ფრთხილად ახადა. ერთ წუთს დაფიქრდა. ალბათ ფიქრობდა, რა დავუტრაო. ბოლოს შუბერტის სერენა და არჩია.

მაკა ლანდიას არასდროს არ მოეწონდა შუბერტის ეს ნაღვლიანი და წყნარი მელოდია. ახლა კი, ახლა რა დაემართა? თითქოს ამ წუთებში აღიქვა პირველად მისი გენიალობა, თითქოს ახლა იგრძნო ჯადოსნური მელოდიის ბრწყინვალეობა. იქნებ იმიტომ, რომ სერენადას რამაზ კორინთელი ასრულებდა? კორინთელის მაგივრად როიალთან რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, თუნდაც სახელმწიფოებრივი მუსიკოსი, ნეტავ მაშინაც დაეუფლებოდა ასეთივე ამბავებზე და ღვთიური გრძნობა?!

ქალიშვილი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რამაზ კორინთელი უყვარდა. უფრო მეტიც, ახლად მიხვდა, ახლაგაზრდა მეცნიერი იმ პირველი წუთებიდანვე უყვარდა, სადიპლომო შრომის დაცვაზე რომ ნახა.

რამაზ კორინთელმა როიალის სახურავი ფრთხილად დაუშვა და ფეხზე წამოდგა.

— მგონი, ბოროტად ვისარგებლობო თქვენი ყურადღებით! — თქვა ნაღვლიანი ღიმილით.

— პირიქით, უსაზღვრო სიამოვნება მომანიჭეთ. არ მეგონა, თუ ფიზიკოსს შეეძლო ასეთი დავკრა.

— ფიზიკოსს სხვაც ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მოლით, საქმეზე ვილაპარაკოთ. ხვალ რა დროს შეგიძლიათ, რომ შევხვდეთ ერთმანეთს?

— ხვალ? — დაფიქრდა მაკა, — ეტყობა, ხვალ ვერ მოვახერხებ. რაღაც საქმე მაქვს გასაკეთებელი.

— მაკა, ძალიან გთხოვთ იხელმძღვანელოთ ჩემი ფორმულით: არასდროს არ ვაკეთოთ ის საქმე ხვალ, რომლის გაკეთებაც შეიძლება ზეგ!

— გენიალურია! — გაიცინა მაკამ.
 — მაშ, რომელ საათზე?
 — სჯობია, თორმეტისათვის დამირეკოთ. მაშინ უფრო ზუსტად გეტყვით, როდის შევძლებ.

უცებ დარბაზში მიკროფონი ჩაირთო.
 — მაკა, ოცი წუთია, მოცეკვავეები დარბაზში ვერ შემოსულან!

— მოვდივართ! — თქვა ხმამალა მაკამ, თუმცა კარგად იცოდა, დარბაზში მიკროფონი არ იყო ჩართული და მან ხმას ვერავინ გაიგონებდა.

ფოიეში უამრავი მოცეკვავე ირეოდა-ზოგი იჭდა, ზოგი ტანსაცმელს ისწორებდა. რამდენიმე თავისთვის ხტუნაობდა და რაღაც იღეთს ხეიწდა.

უხერხულობისაგან ლოყებზეწითლებულმა მაკამ რამდენიმე წყვილი მტრული თვალიც იგრძნო. მათმა გამომწვევმა და შურიანმა გამოხედვამ ქალიშვილი გაანაწყენა. უხერხულობის გრძნობა საღდაც გაუქრა, თავი ამყავდა ასწია და მაღალი, თხელი და მოქნილი სხეული ისე ლამაზად წაიღო, რამაზ კორინთელმა საბოლოოდ დაასკვნა:

„მხოლოდ მაკა მიხსნის დაღუპვისაგან. მხოლოდ მაკა და სხვა არავინ!“

თავი მეოცე

— რამაზ, ჩვენ შვილი გვეყოლება!
 — თქვა მარინემ და ვაჟს თვალბზში შეხედა.

— რა თქვი? — ლამის იყვირა სასოწარკვეთილმა კორინთელმა და ლოგინში წამოჯდა.



მარინე შეერთა, ავად ენიშნა რამაზ კორინთელის გაბოროტებული გამოხედვა.

— ჩვენ შვილი გვეყოლება, რამაზ! — გაიმეორა ნაზად.

რამდენი რამ იყო ერთდროულად ქალის ხმაში: სიხარული, შიში, ვედრება, უმწეობა, იმედის გაცრუება...

რამაზ კორინთელი ქალს გაშეშებული მისჩერებოდა, თითქოს ელოდა, მარინე სადაცაა გაიცინებს და იტყვის, რამ დაგაფეთა, გეხუმრეო. მიხვდა, მარინე არ ხუმრობდა, გაცეცხლებულს გულზე თითქოს ცხელი გუდრონი გადაესხა. საშინელი სურვილი მოაწვა, ქალს ყელში სწვდომოდა და მიეხრჩო,

ნერვები ძლივს დაიმორჩილა, თვალეზი დახუჭა და ლოგინზე გულადმა დაეგლო.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, საშინელი, დამუხტული სიჩუმე.

მარინემ აღარ იცოდა, რა ექნა. იდაყვზე დაყრდნობილი გაქვევებული იწვა ლოგინში. ხმის ამოდებას ვერ ბედავდა. განძრევისაც ეშინოდა. შეშინებული და სასოწარკვეთილი თვალებდახუჭული ვაჟის სახეს დასჩერებოდა. ზღვის წყალქვეშა მღელვარება არ გაეგონა, მაგრამ რატომღაც რამაზ კორინთელის მღელვარება სწორედ ზღვის წყალქვეშა ლელვას მიაშგავსა.

— შენ ბავშვს არ გააჩენ! — თქვა ჩუმად რამაზ კორინთელმა. არ განძრეულა, თვალები არ გაუხელია.

— მე ძალიან მინდა ბავშვი, რამაზ! — ვედრებით გაისმა ქალის ხმა.

— შენ ბავშვს არ გააჩენ! — უფრო ხმადაბლა, მაგრამ მუქარით და რისხვით გაიმეორა კორინთელმა... — დღესვე მონახავ ექიმს!

— უკვე გვიანაა, რამაზ! — თქვა მცირეოდენი ღუმილის შემდეგ მარინემ.

— რატომ? — კორინთელმა თვალი გაახილა და მარინეს კითხვის ნიშნით შეხედა.

— მეხუთე თვეში გადავდექი.

— იტყუები!

— არ ვიტყუები, შენს თავს ვფიცავარ!

— რომ არაფერი გეტყობა? — რომის შემხედვ? ღრი გინახივარ. ახლაც, მოხვედი და...

— მერე ადრე ვერ მიხედე შენს თავს? — მე შვილი მინდა, რამაზ!

— შენ კი გინდა, მაგრამ მე მინდა? კორინთელს ისევ მოუპარა საშინელმა სურვილმა, ქალს ყელში სწვდომოდა და იქვე მიეხრჩო. — განა ჩვენი სიყვარული შვილს ან საერთოდ რაიმე პირობას ითვალისწინებდა? იქნებ მე წამომცდა ცოლად შეგირთავ-მეთქი, იქნებ თანხმობა მოგეცი, შვილი გაგეჩინა? რა უნდა დავარქვა შენს საქციელს, შანტაჟი? ავანტიურა?

— შენ ხომ გიყვარდი, რამაზ?!

— „გიყვარდი“! — გაიმეორა გაცოფებულმა კორინთელმა, — დიახ, მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ. სიყვარული ერთია, გარიგება და ვალდებულება მეორე. შენ ისარგებლე ჩემი სიყვარულით და გააკეთე ის, რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა ამ ქვეყანაზე!

რამაზ კორინთელს თვითონვე უკვირდა, თავს როგორ იკავებდა. მიხვდა, გაცოფებასთან ერთად ქალის მიმართ ზიზღიც დაეუფლა.

„როგორ ვწვებოდი ამ ქალთან?“ — გაიფიქრა უნებურად.

ოთახში კვლავ დამუხტული სიჩუმე ჩამოწვა.

მარინემ ვერ გაუძლო ვაჟის თვალებს და ცრემლებით თვალებდანამულმა თავი ბალიშზე დადო.

რამაზ კორინთელი მიხვდა, წუთიც და მარინეს ისტერიკა დაემართებოდა.

ქალს საბანი გადახანდა და მუცელზე დააშტერდა:

საექვო აღარაფერი იყო, საერთოდ ფერხორციან ქალს აშკარად ეტყობოდა გამობურცული მუცელი.

თავი ძლივს შეიკავა, არ წამომხტარიყო და მუცელში წიხლი არ ჩაერთყა.

მარინემ საბანი ცოტა ხნის შემდეგ დაიხურა.

თითქოს აცალა კორინთელს, დარწმუნებულიყო, რომ არ ტყუოდა. მიტკალივით გაფითრებული კვლავ თვალდახუ-

ქული იწვავდა ჩუმიდ ტიროდა. გრძობდა, ვაჟი გაცოფებული თვალებით დასჩერებოდა ქალური გუჟანით მიხვდა, რამაზ კორინთელს უკვე ეზიზღებოდა. იმაც მიხვდა, ყველაფერი დასრულდა, ყველაფერი დაიღუპა, თავი უფსკრულის პირას წარმოიდგინა. კლდის ქიმზე შედგან და დაბლა გადაიხედა. ნისლიან და ჩაბნელებულ სივრცეში უფსკრულის უზარმაზარი ლოდებით მოფენილმა ფსკერმა საშინლად შეაშინა. უკან შემობრუნდა. რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად გადადგა, უფსკრულის კლდოვან ქიმს მოშორდა და მთის უკან მიმალული მზის ცაში ატყორცნილ სხივებს იმედის თვალით შეხვდა.

— არ მეგონა, თუ ასეთი უსინდისო იყავი! — თქვა უკებ კორინთელმა.

მთის უკანიდან კონებად ამოფრქვეული მზის სხივები ისე ერთბაშად ჩაქრა, თითქოს პროყექტორი გამოთქმესო. ათსგვარფერად ატყულელი მთები ერთბაშად დაიმონა შავმა ფერმა.

— მაგას შენ მეუბნები?! — მცირეოდენი დუმილის შემდეგ აღმოხდა მარინეს, — თუმცა ახია ჩემზე. ალბათ მართალი ხარ, სიყვარულით დაბრმავებული რომ აკყვი და მონაწილე გავხდი შენი ბინძური საქმეებისა. ამდენი ხნის მანძილზე განა არ უნდა მეგრძნო, რომ არ გიყვარდი?! განა ძნელი მისახვედრი იყო, მხოლოდ შენი ბნელი საქმეებისთვის რომ გჭირდებოდი? ვერ მივხვდი, სამწუხაროდ, ვერ მივხვდი! ჯერ თვითონ ვიყავი სიყვარულით დარეტიანებული, მერე ვერ გავითვალისწინე ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა კაცს რომ მშვენივრად შეეძლო გულუბრყვილო, მთელი ცხოვრების მანძილზე დაჩაგრული და უეცრად გაბედნიერული ქალის მოტყუება.

— მე ახლაც ძალიან მიყვარხარ, მარინე! — თქვა ხმადაბლა კორინთელმა. უკებ მიხვდა, საქმის გართულება არ ღირდა. უკან დასახევი გზა არ უნდა მოექრა. ჯერ კარგად დაფიქრება, საქმეში გარკვევა მართებდა. ცხელ გულზე გამოტანილი გადაწყვეტილებანი ვერა-

ფერს უშველიდა. — ეპვი გეპაბრებოდა რომ კვლავ ძველებურად მიყვარხარ. — აღარაფერი აღარ მჯერა შენზე. ამოისლუკუნა საცოდავად ქალმა.

რამაზ კორინთელი ცოტა დამშვიდდა. უმწეო და სასოწარკვეთილ ქალს ხმაზე შეატყო, მზად იყო, ხავს ჩაბლაუჭებოდა.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ. — გაიმეორა კორინთელმა უფრო ღინჯად, — ბავშვის ამბავი ელდასავით მეცა გულზე. დამბნია და გამაცოფა. განა არ იცი, რომ ახლა ბავშვისათვის არ მცალია და. საერთოდ, დაინტერესებულხარ როდისმე, რა აზრისა ვარ შევილის გაჩენაზე?..

— რამაზ!
— მოდი, ამ თემაზე დღეს ნუ ვილაპარაკებთ! — შეაწყვეტინა კორინთელმა მარინეს, — ცოტა მაცალე, იქნებ გადავხარშო და მოვინელო, რაც მოთხარი, ან იქნებ ხსნის რაიმე გზა გამოვხახო.

ქალს გული ერთბაშად მოუბრუნდა. რამაზ კორინთელის სიტყვებისა აღარ სჯეროდა, მაგრამ მაინც სცადა ჩასკიდებოდა იმედის ერთადერთ ძაფს.

კორინთელმა თავი ისევ ბალიშზე დადო და თვალები დახუჭა. თვალდახუჭული უფრო სწრაფად და ზუსტად აზროვნებდა.

მარინე ვაჟს ყურადღებით დასჩერებოდა. ორი თვის განშორების შემდეგ ულვაშებმომხვეებული რომ ნახა, გულმა რეჩხი უყო. ქვეშეცნეულად მიხვდა, რამაზ კორინთელის გამოხედვაში უფრო მეტი რაღაც შეიცვალა, ვიდრე ულვაშების მოშვება გამოიწვევდა.

კორინთელი გრძობდა, მარინე რომ დაჟინებით დასცქეროდა, ნერვები ეშლებოდა, მაგრამ ცდილობდა, სახეზე არაფერი გამოხატვოდა. თვითონაც უკვირდა, გულის სიღრმემდე შეძრული და გაცოფებული, სიმშვიდეს როგორ ინარჩუნებდა.

სახე ქანდაკებასავით ცივი და უძრავი ჰქონდა, მაგრამ მისი შუბლის ქვეშ ელვის სისწრაფით დაბადებული აზრები ისე ირეოდნენ ერთმანეთში, როგორც ყინულით გადალესილ ტბაში ქანგბადის

უკმარიაობით აწრიალებული თევზები. ისინი ყინულის სქელ ფენას აწყდებოდნენ, გამწარებულები ნაპრალს ეძებდნენ, იქნებ როგორმე მალლა ამოვხტეთო.

„დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა“.

„თუ მაკამ ბავშვის ამბავი გაიგო, არაფრის იმედი აღარ უნდა მქონდეს!“

„რასაკვირველია, გაიგებს, თბილისში რამე დაიმალება?!“

ორ თვეზე მეტი იყო, რამაზ კორინთელს მარინე არ ენახა. მანამდეც აპირებდა, მარინეს როგორმე ჩამოშორებოდა. ჯერ იყო და, დიდი ხნით წავიდა მოსკოვში, შემდეგ მილიონი საქმე, როგორც იგი მარინეს ეუბნებოდა, ხელს უშლიდა ახალგაზრდა ქალთან მისულის. დაეჭვებულ მარინეს თბილი სიტყვებით ამშვიდებდა, შორიდან ეალერსებოდა. არ უნდოდა მარინესთან განშორება სკანდალით დამთავრებულიყო. იცოდა, მარინე ყველაფერს გააკეთებდა, რომ რამაზ კორინთელი ხელიდან არ გაეშვა. ამიტომაც ცდილობდა, ქალი ნელა შეეგუებინა მოსალოდნელი უბედურებისათვის. მთავარი იყო, დრო მოეგო, მარინე იმედებით შეეყოლიებინა, რომ მათი სასიყვარულო ისტორია არავის გაეგო.

რამაზ კორინთელმა იცოდა, მკაცრი ლანდისთან მისი ურთიერთობის ამბავი თუ მარინეს ყურში ჩასწვდებოდა, გამწარებული ქალი უკან აღარაფერზე დაიხვედა. ძნელი მისახვედრი არ იყო, მაშინ გადამცემი აპარატის საიდუმლოებაც გამომჟღავნდებოდა და სეიფის გახსნის შესაძლებლობის ჰიპოთეზაც დაიბადებოდა. კიდევ კარგი, რომ მარინემ სეიფის გახსნის თაობაზე არაფერი იცოდა. და თუ მარინე იაპონური გადამცემის საიდუმლოს გააჩვენებდა, რა იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ამ ფაქტს ინსტიტუტის დირექტორი ოსტატურად არ მოსდებდა ქვეყანას?! მოსკოვში გამგზავრების დღიდან გადამცემი აპარატურა აღარ გამოუყენებია. უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა და ოთარ კახიშვილის საუბრები და ზრახვანი აღ-

არ აინტერესებდა. დირექტორის მადლის ქვეშ მიხრახნილი ფოლადის მატარა დაფა მაინც რჩებოდა სამხილად. მისი მოხსნაც იოლი იყო, მაგრამ შურტპების ნახვრეტებიც საკმარისი იქნებოდა ნივთმტკიცებად.

რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ აურზაურს? ჭორები, რომლებიც, თავისთავად, ჭორები არ იქნებოდა, მითქმა-მითქმამ, სახელის გატეხვა და, რაც მთავარია, დოქტორის ხარისხის მინიჭებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში თავისას გაიტანდა. ფიზიკის უცოდინარობას ვერავინ დასწამებდა, ლექციებით, სტატიებით, შემდგომი გამოკვლევებით უნიჭიერესი მეცნიერის რეპუტაციას ისევ განიმტკიცებდა. ენების ცოდნასაც ვერავინ წაართმევდა, მაგრამ რამდენი დრო და შრომა, რამდენი ბრძოლა და ენერჯია დასჭირდებოდა იმ მიღწევასა ხელახლა მოპოვებას, რომელიც უკვე გუშინ, თუნდაც დღეს, ერთი საათის წინ მოპოვებული და განადგობილი ჰქონდა. მართალია, მეცნიერულ კარიერას კიდევ მოუხერხებდა რამეს, მაგრამ მკაცრი ლანდიზე ფიქრს სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა. რამაზ კორინთელმა შესანიშნავად იცოდა, რომ ამ სასკანდალო ამბის გამოშლავნების პირველი წუთიდანვე მკაცრი მისი სახელის გაგონებასაც აღარ ისურვებდა, ამაყი მკაცრი, რომელსაც უნდა ეხსენა რამაზ კორინთელი საკუთარი დის სიყვარულისგან.

შუბლზე წვრილმა ოფლმა დაასხა. მერე მთელი ტანი გაეწუწა. ისეთი განცდა ჰქონდა, წვიმა თითქოს სხეულიდან ამოდდიოდა.

„მარინე უნდა მოკვდეს!“ — ჩასძახა ვიღაცამ ხმამაღლა ყურში.

შეშინებულმა თვალი გაახილა და ქალს შეხედა.

მარინეს ისეთი გატანჯული სახე და საცოდავი გამოხედვა ჰქონდა, რკინის გული უნდა გქონოდა, რომ არ შეგცოდებოდა.

„იქნებ ძველებურად შეეყიოლო, სა-

ნამ მაკაზე დაქორწინდები?“ — თითქო ოღნავ გვალხვა რამაზ კორინთელის ყინულის ღრღად ქცეული გული.

„მერე?“

„ვთქვით, შივეყოლიე და მაკაზე დაქორწინდი. მერე რა იქნება? როგორ შეხვდება მაკა საკავშირო და იქნებ მეტი მასშტაბის სკანდალს? ან მაცლის კი დაქორწინებას? მაკა თბილისში ცნობილი ქალიშვილია და სახელოვანი მამის შვილი. ჩემიძასახელი ხომ ახლა ყველას პირზე აკერია. განა შევეძლებ საქმე ქორწინებამდე ისე მივიყვანო, რომ მარინემ ვერაფერი გაიგოს? რასაკვირველია, ვერ შევეძლებ.“

„რა ვქნა? რა გავაკეთო? როგორ დავინახა თავი მარინესაგან?“

„ხსნის გზა მხოლოდ ერთია... მარინე უნდა მოკვდეს!“

— რამაზ! — იყვირა საშინელი ხმით ქალმა.

მოხდა საოცრება, მარინემ კი არ წაიკითხა, კი არ გამოიცნო რამაზ კორინთელის ფიქრი, თვალნათლივ დაინახა რაღაც გულისამრევად საზიზღარი, უფორმო, წითელი და ლორწოიანი ცხოველივით როგორ დაიბადა ეს აზრი ახალგაზრდა კაცის ტვინში.

რამაზ კორინთელი ქალის ისტერიულმა შეკვილებამ გონს მოიყვანა. თვლებში ბოროტი გამოხედვა ძაბვაშესუსტებული ნათურასავით ნელ-ნელა ჩაქრა. ლოგინზე გულადმა დაწვა და თვალი დახუჭა.

— რა გაყვირებს?

— თვლებში შემომხედე, რამაზ!

კორინთელმა თვლები გაახილა, მარინეს შეხედა და შეკრთა. მიხვდა, ახალგაზრდა ქალმა გამოიცნო მისი გადაწყვეტილება. გაღიმება სცადა. არ გამოუვიდა.

— ეგ რა გაიფიქრე, რამაზ!

— რა გავიფიქრე?!

ვაჟის გაოცებულმა მხერამ მარინე ჯერ დააბნია, მერე ოღნავ დაამშვიდა. ცოტა შეწუხდა კიდევ.

„საიდან დავასკენი, რომ ჩემი მოკვლა გადაწყვიტა?! განა იოლია ადამიანის მოკვლა?“

— ჯობია, წახვიდე! — თქვა ოღნავ დარცხვენილმა მარინემ და პერანგები ჩაიხურა. იცვა. — ცალ-ცალკე ალბათ უფრო ვმშვიდდებით.

ქალი წამოდგა და სააბაზანოში გავიდა.

რამაზ კორინთელმა თვალი ზიზღით გააყოლა.

რა სიამოვნებით ჩაახრჩობდა აბაზანაში, კვალის დაფარვა რომ შესძლებოდა.

„რა ვქნა? რა მოვიმოქმედო?“

„თავს უნდა მოვერიო, ნერვები უნდა მოვთოკო. ნელ-ნელა და თანდათანობით უნდა მოვლბე, ვითომ ბედს შევეგუე, ახლა რომ ქალაქგარეთ წავიყვანო, შეიძლება ეჭვი შეეპაროს, შეშინდეს და არ გამომყვეს. ერთი კვირის მანძილზე, როცა მე ვითომ დავმშვიდდები და ბედს საბოლოოდ შეეუბრებები, როცა მარინეს ნდობას კვლავ მოვიპოვებ, ისევ ფასანაურში წავიყვან...“

„არამაზის ხეობაში სჯობია, იქ სადმე მოკვლავ და მტკვარში გადავაგდებ.“

„ღმერთო ჩემო, ისევე მდინარეში!“

„ღმერთია მოწმე, სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ. განა ჩემი ბრალია რამე?! განა რაიმეს შეეპირდი და პირი ვუტეხე? ყველაფერი თავის თავს დააბრალოს!“ — რამაზ კორინთელის გადაწყვეტილება მტკიცე იყო და საბოლოო.

მარინეს არმაზის ხეობაში გაიყვანდა. წინასწარ შერჩეულ ადგილზე მოკლავდა, წელზე საგანგებოდ გამზადებულ რკინის ნაჭერს შეაბამდა და მტკვარში გადააგდებდა.

რამაზ კორინთელის გონებაში ისევ ჩაირთო ვიდეოკასეტა. ეკრანზე ნელ-ნელა გამოისახა არმაზის ხეობა მცხეთიდან ძეგვამდე. შემდეგ ფირი უკან გადაახვია და იმ ადგილზე გააჩერა, სადაც მისი აზრით, ყველაზე უმტკივნეულოდ შეიძლებოდა გვამის თავიდან მოშორება.

რამაზ კორინთელი სიხარულით ცაში ფრინავდა. მაკა ლანდიამ შინ მიიწვია. ჯერ გადაწყვიტა, საგანგებოდ ჩაეცვა.

უმალვე გადაიფიქრა. არ უნდოდა ატაცება და მღელვარება დასტყობოდა. სპორტულად ჩაიცვა და სარკეში ჩაიხედა. მოეწონა საკუთარი თავი. არჩევანის სისწორეში დარწმუნდა, ტყავის კურტკაში უფრო მოხდენილი, ლაღი და ძლიერი ჩანდა. ერთი გაიფიქრა, უღვაწეები ხომ არ მოვიბარსოთ, მაგრამ უმალვე გადაწყვიტა, არ ღირს, რატომ უნდა იფიქროს მაკამ, რომ მის გადაკრულად გამონათქვამ მოსაზრებას უსიტყვოდ ვემორჩილებიო.

სიხარულით აღსავსეს დროდადრო გულზე ნაღველი გადაეგლებოდა. მარინეს გახსენება გულს უკლავდა, სასოწარკვეთილებებში აგდებდა. გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რომ მის სხეულში ბავშვის გული ფეთქავდა.

სასოწარკვეთილებას უმალვე იმედი ენაცვლებოდა, დიდი იმედი და სიხარული, მომავლის რწმენა და საკუთარი ღირსების შეგრძნება მწუხარებას სადღაც გულის შორეულ კუნძულში ჰკუჭავდა.

სადგურის ახლოს, ბაზარში თეთრი მიხაკები იყიდა და მანქანაში მოათავსა. საათს დახედა, დრო იაე გათვალა, რომ მაკა ლანდიასთან ზუსტად რვა საათზე ყოფილიყო.

ჩელუსკინელების ხიდზე შეგაფუფული ხალხი შენიშნა. ყველანი დაბლა იქივრებოდნენ. მანქანა ხიდზე გააჩერა და გადმოვიდა. ბევრის თვლებში შეშფოთება წაიკითხა, ბევრს ცნობისმოყვარეობა უფრო დაუფლებოდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა რამაზ კორინთელმა ერთ ახალგაზრდა კაცს.

— მტკვარში გვამია ქვაზე გამოდებული. ეტყობა, საიდანღაც ჩამოიტანა.

— გვამი? — რამაზ კორინთელის გული, თითქოს ვიტრინის მინას ქვა მოხედო, წვრილ-წვრილად დაიმსხვრა და მუცელში ჩაიბნა. სასწრაფოდ მოაჯირთან მივიდა და დაბლა გადაიხედა.

ქვემოთ კარგად მოჩანდა ქვას გამოდებული გვამის ხელი. მილიციელები მტკვარის ნაპირზე იდგნენ და ცნობისმოყვარე ხალხს ახლოს არ უშვებდნენ. იქვე,

ნაპირზე მიბმულ ნაეთან სამი ახალი გაზრდა იდგა და ერთმანეთს ვეცხვებდნენ. ბული ელაპარაკებოდნენ, თან ფეხსმსკეპნი ხელს იშვერდნენ. ხილამდე მათი ხმა არ ამოდიოდა, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, გვამთან მისვლის გემას ამუშავებდნენ.

რამაზ კორინთელი დენდარტყმულივით შეხტა. მანქანაში ჩაჯდა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას.

ახალგაზრდა კაცმა ირონიული ღიმილი გააყოლა რამაზ კორინთელს და და კვლავ მოაჯირს გადაეკიდა.

რამაზ კორინთელი დაძაბული მიაქროლებდა მანქანას. მარინე და უმწეო ქალის მიმართ გამოტანილი უღმობელი განაჩენი გაახსენდა. თავი მტკიცედ გაიქნია. გადაწყვეტილებას ველარავითარი ძალა ველარ შემაცვლევივინებო, დაასკვნა და კვლავ შეეცადა ფიქრი დღევანდელ საღამოზე გადაეტანა.

იოლად შესძლო თავის დამორჩილება და იოლად დაივიწყა მტკვარში ქვა გამოდებული გვამიც და მარინეს სამუდამოდ თავიდან მოშორების პრობლემაც.

„როგორ დავიჭირო თავი?“

„გამომწვევად?!“ /

„არ ივარგებს!“

„ჯობია, ჩემთვის ვიყო, სანამ არ დამელაპარაკებინ, საუბარში არ ჩავერევი.“

„ჩემი სახელი და გვარი ისედაც მიიქცევს ყურადღებას.“

„თვითონ მაკას ჩემდამი გამორჩეული ყურადღებაც საკმარისი იქნება, რომ საღამოს მთავარ ფიგურად ვიქცე.“

უსიამოვნო განცდა უკვალოდ აორთქლდა. კვლავ სიხარული დაუფლა.

სწრაფად უახლოვდებოდა მაკას სახლს და მღელვარებაც მატულობდა, მღელვარება და სასიამოვნო მოლოდინი უცხო გარემოსთან, უცხო საზოგადოებასთან და, თუ გნებავთ, უცხო სამყაროსთან შეხვედრისა.

კარი მაკამ გაუღო.

— პირველი მოვედი? — ჰკითხა ღი-

მილით რამაზ კორინთელმა და ყვევ-
ლები მიართვა.

— პირიქით, ყველაზე ბოლოს მობრ-
ძანდით.

— მე არ დამიგვიანებია?! — დახე-
და საათს შემფოთებულმა კორინთელ-
მა და ჰოლში შეაბიჯა.

— ნუ ლელავთ. არ მინდოდა, რომ
უცნობ საზოგადოებაში მოლოდინით
დამეღალეთ. ამიტომ დანარჩენები ნახე-
ვარი საათით ადრე მოვიწვიე.

მაკა ლანდიამ ბოლომდე არ გაუზიარა
ჩანაფიქრი. არ უნდოდა, რამაზ კო-
რინთელი ცალ-ცალკე წარედგინა და გე-
ვიანებით მოსული სტუმრებისათვის.
ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა, როგორ
ეფექტს მოახდენდა ყველაზე ბოლოს
მისი გამოჩენა. კაცმა რომ თქვას, თავის
ჩანაფიქრს ბოლომდე ვერც გაუზიარე-
ბდა რამაზ კორინთელს, მაშინ ხომ უნ-
და გაეცა ვაჟით თავისი აღტაცება, რაც
ბუნებრივია, ჭერჭერობით ნადრევი იქ-
ნებოდა.

— მომწონს თქვენი წინდახედულო-
ბა, — თქვა სახუმარო ინტონაციით კო-
რინთელმა, — როგორ გიხდებათ თეთ-
რი კაბა!

— მართლა? — გახარებულ ქალიშვილს
თვალი სარკისკენ გაქცა.

მაღალ და სიფრიფანა მაკას თეთრი
საღამოს კაბა კიდევ უფრო მატებდა სი-
ნაზესა და მოქნილობას.

სარკეში თვალნათლივ დაინახა, რომ
თითქმის ვაჟის სიმაღლისა იყო. მიუხე-
დავად ამისა, კორინთელის მძლავრი,
დაკუნთული სხეულის ფონზე კიდევ
უფრო ქალური და ჰაეროვანი ჩანდა.

„რა მოცეკვავე იქნებოდა!“ — გაიე-
ლო გულში კორინთელმა, როცა მაკა
დარბაზისკენ გაუძღვო წინ. რამაზ კორინ-
თელი პირველი არ იყო, ვისაც მაკას
დანახვისას ეს აზრი უჩნდებოდა.

კორინთელს გაეხარდა როცა დარბაზ-
ში სულ ათი თუ თერთმეტი კაცი დაი-
ნახა.

ისინი ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილ-
ნი. ორი ნარდს თამაშობდა, სამი კაცი
იქვე იდგა და თამაშს თვალყურს ადევ-

ნებდნენ. ქალები სავარძლებში იხს-
ნენ და საუბრობდნენ.

ერთი წარმოსადეგი, მაღალი კაცი ფე-
ხზე იდგა და მეორე, დაახლოებით თა-
ვისი ასაკის კაცს ხმადაბლა, მაგრამ სა-
ქმიანად ელაპარაკებოდა, ხელში ორთა-
ვეს მინერალური წყლით სავსე, მაღალ-
ფეხიანი ჭიქები ეჭირათ.

რამაზ კორინთელის გამოჩენისთანავე
დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. კორინ-
თელი მიხვდა, ყველანი მას ელოდნენ,
არც მათი ცნობისმოყვარეობით წამონ-
თებული თვალები დარჩენია შეუმჩნე-
ველი.

უცებ ერთი ახალგაზრდა ქალის თვა-
ლებიდან, როგორც ორლულიანი თო-
ფიდან, ისე გამოვარდა ორი ტყვია. კო-
რინთელი შეკრთა: მის პირდაპირ, ტყა-
ვის ყავისფერ სავარძელში ღია რამიშ-
ვლი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ქალს
ტუჩებთან მიტანილი სიგარეტიანი ხე-
ლი თითქოს გაუშეშდა.

რამაზ კორინთელი დაიბნა, მაგრამ
გონს უმაღლვე მოეგო. ვითომც აქ არა-
ფერიო, ყველას ღიმილით დაუქრა თა-
ვი და ბოლოს მაღალ, წარმოსადეგ კაცს
შეხედა. მარტო სოლიდურობით, ასაკ-
ით და სიმაღლით კი არა, სახის იერით
მიხვდა, რომ ის იყო მაკა ლანდიას მამა.

გიორგი ლანდია ორმოცდაათ წელს
იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ მუ-
ცელი ოდნავადაც არ ეტყობოდა. მი-
აღ კაცს ასეთი თხელი და სუსტი ტა-
ნი ერთი შეხედვით თითქოს არც უხდე-
ბოდა, მაგრამ წლების მანძილზე დიდ
თანამდებობებზე ნამუშევარს საკუთა-
რი ძალისა და ღირსების შეგრძნება
თვითდაჯერებული და ძლიერი კაცის
იერს აძლევდა. მაღალფეხიანი ჭიქა ხე-
ლში ისე მოხდენილად ეჭირა, ეტყობო-
და. უადრესად დახვეწილი მანერები
ჰქონდა.

— რამაზ კორინთელი! — გამოაცხა-
და ღიმილით მაკამ.

ქალიშვილმა სტუმარი პირველად მ-
მას წარუდგინა.

ზურაბ ფანჯიკიძე
საპირალი

— რამაზ, გაიცანით მამაჩემი გიორგი ლანდია.

კორინთელმა თავი დაუკრა და ხელის გამოწოდებას დაელოდა.

— მართალია, ქიმიკოსი ვარ, — ღიმილით მიმართა მასპინძელმა, — მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად ჩავწვდი თქვენი აღმოჩენის სიღრმეს.

— ჩემთვის დიდი ჯილდოა თქვენი შეფასება! — მადლობის ნიშნად თავი დაუკრა კორინთელმა.

— ბატონი ირაკლი ბერიშვილი, ალბათ გეცოდინებთ, მთელ საქართველოში სახელგანთქმული კარდიოლოგი და ჩვენი კარის მეზობელი.

— სასიამოვნოა! — კორინთელმა ეჭის ხელი გაუწოდა.

— ესენი კი ჩემი სკოლისა და უნივერსიტეტის განუყრელი მეგობრები არიან. დღეს მხოლოდ ძალზე ახლობელი ხალხი მოვიწვიე.

ქალიშვილები ფეხზე წამოდგნენ, კორინთელს ხელი გაუწოდეს და თან ყურადღებით შეათვალიერეს.

რამაზ კორინთელმა იგრძნო, ქალიშვილებმა მოწონება ვერ დამალეს.

სითამამე და რწმენა კიდევ უფრო შემატა. ღია რამიშვილის სავარძელთან რომ მივიდა, იგრძნო, სრულებით არ დელავდა და კიდევ უფრო გათამამდა.

— რამაზ, გაიცანი ასევე ჩემი კარის მეზობელი და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი ღია რამიშვილი. მისი მეუღლემ მალე მობრძანდება.

— სასიამოვნოა, რამაზ კორინთელი! — პირველად წარმოთქვა თავისი სახელი და გვარი კორინთელმა.

ღია რამიშვილი სავარძლიდან არ წამომდგარა. კორინთელს თავი მძიმედ დაუკრა და სიგარეტი ნაზად მიიტანა ტუჩებთან.

„ნეტავ თუ მიცნო?“

„უღვაშებიანი ხომ არ ვუნახივარ?!“

წამიერად შეხედნენ მათი თვალები ერთმანეთს და კორინთელმა უმაღლეს იგრძნო, ახალგაზრდა ქალის გულში რა ცეცხლივ ბოზოქრობდა, მაგრამ, ვითომაც აქ არაფერიყო, კვლავ მაკას მიჰყვა.

— გვი კობახიძე, ჩვენი სტუდენტის მთავარი რედაქტორი.

— სასიამოვნოა! — კორინთელმა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამსხვილებულ კაცს ხელი გაუწოდა და თან, რატომღაც დამცინავად გაუღიმა.

„რატომ არ მომეწონა მთავარი რედაქტორი? ალბათ იმიტომ, მაკას უფროსი ზომ არის“. — დაასკვნა რამაზ კორინთელმა.

მთამაშეებს ნარდი უკვე აეკცათ და გვერდზე მიეწიათ.

— ესენიც ჩემი მეგობრები არიან სკოლიდან და უნივერსიტეტიდან.

— სასიამოვნოა, — გაიმეორა კორინთელმა და ყველას ხელი ჩამოართვა, თუმცა აზრადაც არ მოსვლია მათი სახელები დამახსოვრებინა.

— აი, აქ დაბრძანდით, — მაკამ სავარძელი შესთავაზა.

რამაზ კორინთელი სავარძელში ჩაჯდა და ჯიბიდან „ვინსტონი“ ამოიღო. „ვინსტონის“ დანახვაზე ღია რამიშვილს თვალები გაუფართოვდა.

„ნუთუ ის არის? ნუთუ ის არის?!“ — დატრიალდა ერთადერთი ფრაზა ახალგაზრდა ქალის გონებაში.

„ვინსტონმა“ კიდევ უფრო დააეკცა. გაახსენდა, რომ ნოდარ ბარამიძე მოსკოვში მხოლოდ „ვინსტონს“ ეწეოდა.

„ხმაც რომ ძალიან მიუგავს?!“
„საეჭვო აღარაფერია, ის არის! ნამდვილად ის არის!“

„იქნებ ვცდები?“
„ვითომ? განა შეიძლება ყველაფერი ასე ერთხვეოდეს ერთმანეთს?“

„უღვაშები?“ — ერთადერთი ჭაბუკის უღვაშები იყო, გულში რომ იმედოდ ოდნავდა უკიაფებდა.

ქალმა კორინთელისკენ თვალი მალულად გააპარა და შეეცადა ახალგაზრდა მეცნიერი უუღვაშოდ წარმოედგინა.

„შეუძლებელია, წარმოუდგენელია!“ — დაასკვნა გულში ენერგიულად. თუმცა უმაღლეს მიხვდა, დასკვნის ენერგიულობა საქმეს არ შეელოდა.

კიდევ ერთხელ გააპარა თვალი. თითქოს კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ



საეჭვო აღარაფერი იყო, მაგრამ იმედი ჩამქრალ ნაღვერდალში ჩარჩენილი ერთადერთი პატარა ნაკვერჩხალივით უღვიოდა.

„ხომ შეიძლება ადამიანები ტყუპი იმპერივით ჰგავდნენ ერთმანეთს?!“

„განა ცოტას ჰყოლია თავისი ორეულები?!“

„ან კი იმოდენა ტალანტის მეცნიერი, სრულიად ახალგაზრდამ რომ მთელი ქვეყანა ალაპარაკა, იკადრებდა ასეთ უსინდისობა?!“

ჩამქრალ ნაღვერდალში ისევ გაკიაფდა პატარა ნაკვერჩხალი.

„არადა ის არის, ნამდვილად ის არის!“ — დაასკვნა საბოლოოდ გულდამდულრულმა ახალგაზრდა ქალმა.

„რატომ მომატყუა, რატომ გამეცნოს სხვისი სახელით და გვარით? განა ჩემთვის სულერთი არ იყო, რამაზ კორინთელი იქნებოდა თუ ნოდარ ბარამიძე?“

„დამცინა და იმიტომ! გამამასხრა და იმიტომ! მე კი მეგონა, რომ ნამდვილად ვუყვარდი, მჯეროდა, რომ გულწრფელი იყო მისი სიტყვა, მისი თვალები, მისი საქციელი...“

„ალბათ, რამდენს იცინოდა და ტრაბახობდა მეგობრებში, ასე იოლად რომ გამაცურა.“

„ნუთუ ამდენი უნამუსობა შეუძლია ჩაიდინოს ინტელიგენტ ადამიანს? ნუთუ ასე შეუძლია ითვალთმაქცოს ისეთ განათლებულ პიროვნებას და უკვე ახალგაზრდობაშივე სახელგანთქმულ მეცნიერს?“

„ღმერთო ჩემო! ვერაფერი გამიგია!“

„შური უნდა ვიძიო, აუცილებლად უნდა ვიძიო შური, მაგრამ როგორ? განა შემიძლია ხმის ამოღება? განა თვითონ არ მოვიჭერი ყველა გზა?“

— თუ არ ცვდები, თქვენს ასაკში ჯერ არავის დაუცავს სადოქტორო დისერტაცია! — წამოიწყო საუბარი ბატონმა გიორგიმ.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ოჯახის უფროსამდე საუბრის დაწყებას ვერავინ გაბედავდა.

— გულწრფელად გითხრათ, არ დავანტერესებულვარ ამ პრობლემით! —

გააბოლა სიგარეტი რამაზ კორინთელმა.

მაკამ საფერფლე მიუტანა, კორინთელმა ჩინური დრაკონებით მოხატული საფერფლე ჩამოართვა და სავარძლის ფართო სახელურზე დაიდგა.

— ნამდვილად არავის დაუცავს! — ავტორიტეტულად განაცხადა კარდიოლოგმა პროფესორმა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე დისერტაცია არ დამიცავს, — თანდათან უფრო გათამამდა კორინთელი. თვითონვე იგრძნო, ხმაში სიმტკიცემ იმძლავრა და მღელვარებამაც გაუარა. — მე, უბრალოდ, წარვადგინე ჩემი ახალი მოკვლევა. მოსკოვში ჩათვალეს, რომ ნაშრომი, როგორც მინიმუმი, იმსახურებდა სადოქტორო ხარისხს. იგივე ნაშრომისათვის ალბათ მომავალ წელს სახელმწიფო პრემიაზეც წარმადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვში.

მაკა ალტაცებული შესჩერებოდა რამაზ კორინთელს. მოსწონდა მისი ჯდომის მანერა, თავისუფალი ლაპარაკი, ხელის მოძრაობაც კი, როცა სიგარეტის ნაწვეს საფერფლეზე ფერფლავდა.

— თქვენ ხომ საკანდიდატოც დაუცველად მოგანიჭეს! — თქვა უცებ მაკამ.

— დიახ, მხოლოდ დიპლომი დავიცავი. სამეცნიერო საბჭომ ჩემი დიპლომი საკანდიდატო ხარისხის ტოლფასად მიიჩნია.

— წელანაც მოგახსენეთ, მე, როგორც ქიმიკოსს, მესმის თქვენი გამოკვლევის სიღრმე და გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, გაცემული ვარ, ოცდასამი ოცდაათი წლის ასაკში რომ ამოდენა წარმატებას მიაღწიეთ. თქვენ უკვე გააკეთეთ ის, რითაც ბევრ სახელოვან მეცნიერს შეეძლო თავისი კარიერა დაესრულებინა.

— კიდევ ერთხელ მინდა გადაგიხადოთ დიდი მადლობა. როგორც წელან მოგახსენეთ. თქვენი შეფასება ძალზე დიდი ჯილდოა ჩემთვის.

— ბევრი მეცნიერი ხომ გაცილებით გვიან ამჟღავნებს თავის შესაძლებლობებს, — დაიწყო უცებ ერთმა ტანმორჩილმა, ნაზი შესახედაობის ჭაბუკმა,

— ვუნდერკინდები კი, როგორც წესი, პირველივე წარმატების შემდეგ იფერფლებიან და შემდგომ ძალზე ორდინარული, ჩვეულებრივი მეცნიერები ხდებიან.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. არავის არ მოეწონა ახალგაზრდა კაცის უტაქტო გამოხატულება.

განწყენებულმა მაკამ უკმაყოფილება ვერ დაფარა და სკოლის ამხანაგს რისხვაშერეული დაცინვით შეხედა.

„ბავშვობაში ალბათ მაკა უყვარდა. ეტყობა, ახლაც არ განელებია მასზე ერთი თავით მაღალი ქალიშვილის სიყვარული და შურიანობამ წონასწორობიდან გამოიყვანა!“ — დამცინავად და ბოღმიანად დაასკვნა რამაზ კორინთელმა. მან ხომ თავიდანვე შეატყო სტუმრებს, რომ მშვენივრად ხედავდნენ კორინთელისადმი მაკა ლანდიას სიმპათიას. სჯეროდა, ქალიშვილს ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს ვაჟისადმი თავისი დამოკიდებულება, მაგრამ მისი ლამაზი, სიყვარულით გაბრწყინებული თვალები გაცილებით უკეთ ამბობდნენ სათქმელს.

— თქვენ მუსიკოსი ბრძანდებით, გია, — დაიწყო თავზიანი ღიმილით ოჯახის უფროსმა, — გეპატიებათ, რომ ფიზიკაში ვერ ერკვეოდეთ, მაგრამ არ გეპატიებათ მეცნიერების უცნობ სფეროში მოღვაწე კაცის მიმართ ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, ბატონმა გიორგიმ არ აკადრა ახალგაზრდა კაცს, პირდაპირ ეთქვა, „უტაქტო და მცდარი“ დასკვნების გამოტანაო.

— წელან მოვასხენეთ და კიდევ ვიმეორებ, ასეთი დიდებული გამოკვლევით ბევრ სახელოვან მეცნიერს შეეძლო თავისი კარიერა დაესრულებინა. პატივცემულმა რამაზმა კი სპორტული ტერმინოლოგიით რომ გამოეხატოთ სათქმელი, ფინიში სტარტად აქცია.

— უკეთესად პასუხს ნამდვილად ვერ ჩამოვაყალიბებდი, ბატონო გიორგი, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ და, საერთოდ, მგონი, შევაწყინეთ კიდევ

თავი საზოგადოებას ჩემს მეცნიერულ ნაცოდვილარზე საუბრით, — თქვენი მხარეა, მაგრამ მტკიცედ თქვა კორინთელმა: ხმაში აშკარად შეეპარა სუსხი და წამოწებულ თვალეში გიას მიაპყრო, — ვუნდერკინდობა ოცდაათნი წლის ასაკში, სხვათა შორის, მე უკვე ოცდამეხუთეში გადავდექი, — ცოტა სასაცილოდ ჟღერს. თანაც მეცნიერების, კერძოდ ფიზიკისა და ასტრონომიის განვითარების დღევანდელ დონეზე რაიმე პრობლემის მხოლოდ ვუნდერკინდული მონაცემებით გადაჭრა სასაცილოა. დღეს თვით უმნიშვნელო პრობლემასაც ვერ გადაჭრი დიდი ცოდნის, პრობლემათა ღრმა ანალიზისა და სწორად წარმართული ექსპერიმენტის გარეშე. თავისთავად, ბატონო... — რამაზ კორინთელმა კითხვის ნიშნით შეხედა მუსიკოსს.

— გია! — შეაშველა რამდენიმემ.

— დიახ, ბატონო გია. მეცნიერებაში მხოლოდ ცოდნა არაფერს ნიშნავს, თუ არ გაქვს ამ ცოდნის აღქმისა და ანალიზის ერთიანი სისტემა. მეგობრებო, — მიუბრუნდა დანარჩენებს ღიმილით, — არ იფიქროთ, თავს ვიცავდე; უბრალოდ, რაკი საკითხი წამოიჭრა, მეც გამოვთქვი ჩემი აზრი.

— სხვათა შორის, ძვირფასო გია, რამაზ კორინთელი შესანიშნავად უკრავს პიანინოზე! — ნიშნის მოგებით მიუბრუნდა სკოლის ამხანაგს მაკა ლანდია,

— ოჰო! ძალიან სასიამოვნოა! — დამცინავად წარმოთქვა გიამ.

რამაზ კორინთელს არ გამოპარვია ახალგაზრდა კაცის თვალებში გაელვებული სიბრძნე.

— ძალიან გთხოვთ, ბატონო გია, მაკას ნათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ. მაკას, უბრალოდ, უნდოდა ეთქვა, რომ მე უკეთ ვერკვევი მუსიკაში, ვიდრე თქვენ ფიზიკაში.

ყველამ გაიცინა ღია რამიშვილის გარდა. მაკა ლანდიას კიდევ უფრო დაეუფლა სიამაყის გრძობა და თვალებგაბრწყინებული აშკარად გამოხატავდა სტუმრისადმი თავის სიმპათიას. უფრო მეტიც, აღტაცებას.

— ერთი შეიკითხვა მაქვს, ბატონო, რამაზ, თქვენთან, — დაიწყო უცებ კარდიოლოგმა მოწიწებით.

— ბრძანეთ! — კორინთელი მიხვდა, მის მიმართ მოკრძალებას მეცნიერები უფრო იჩინდნენ. სხვებს ახალგაზრდა მეცნიერის სენსაციური წარმატების ფაქტი უფრო აღელვებდათ.

— აი, თქვენ თურმე შესანიშნავად უკრავთ პიანინოზე, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ფიზიკოსთა და ლირიკოსთა დავა? გააჩნია ამ საყოველთაო კამათს რეალური საფუძველი?

— ბატონო ირაკლი, ჯერ ერთი ცოტა გადამეტებული მეჩვენება მაკას შეფასება, რომ თურმე შესანიშნავად ვუკრავ. მეორეც, არაფერი ისე არ მალიზიანებს, როგორც ყურნალისტების მიერ მოთარეული და გამონაგონი პრობლემები. „ფიზიკოსებისა და ლირიკოსების“ დავაც მხოლოდ ყურნალისტთა ტვინის ჰყლეტის შედეგია. არავინ არავის არ ედავება, მეგობრებო. რატომ ვქმნით ხელოვნურ აციოტაჟს? რატომ ვებრძვით ქარის წისკილეებს? ნუთუ მკითხველების მისაზიდად სხვა თემები არ გაგვაჩნია? ნუთუ ყველა საინტერესო პრობლემა გავაშუქეთ, რომ თითიდან გამოწოვილი დისკუსიებით ხალხი არ დავაზნით? — რამაზ კორინთელს თვალები წამოენთო, ლაპარაკისას ხელებსაც უფრო ენერგიულად იშველეებდა, სავარძელში ბორგავდა, ერთი სული ჰქონდა, ფეხზე წამოვარდნილიყო. — ვერ გამიგია, რატომ უკვირთ, აინშტაინი რომ ვიოლინოზე უკრავდა, ან რატომ უნდა მივიჩნიოთ სენსაციად, რომ მაქს პლანკი შესანიშნავი პიანისტი იყო? ამ თითქმის სამი ათეული წლის წინ, უფრო ზუსტად, 1959 წელს, ჰაიზენბერგს პირველად შევხვდი კიევში. მე გამაოცა დიდი ფიზიკოსის ფილოსოფიურმა დებულებებმა. იმ დღიდან მოყოლებული მჯერა, რომ ყოველ ფიზიკოსში ფილოსოფოსი თვლემს...

— რომელ წელს? — შეაწყვეტინა გაოცებულმა გიორგი ლანდიამ.

— 1959 წელს, კიევში, მაღალი ენე-

რგის ნაწილაკების ფიზიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. — ვერ მიხვდა შეცდომას რამაზ კორინთელი. დაბნეულმა მოავლო თვალი მსმენელთა გაოცებულ სახეებს. ყველაზე მეტად მაკას აღეწილმა ლოყებმა შეაკართო.

— კი, მაგრამ... — ვერ მოუყარა სათქმელს თავი ბატონმა გიორგიმ, — თქვენ ხომ ოცხათიხი წლისა ბრძანდებით?

— დიახ, ახლახან გადავდექი ოცდამეხუთეში.

— აჯაშენათ ღმერთმა! 1959 წელს ჰაიზენბერგს როგორ შეხვდებოდით კიევში, თქვენ ხომ მაშინ დაბადებულ იც არ იყავით... ალბათ რაღაც გადატანითი, სიმბოლური მნიშვნელობით ვინდოდით ვეთქვათ სათქმელი, არა?

რამაზ კორინთელი გამოერკვა. მიხვდა, შეტოპა, კონტროლი დაკარგა, სათქმელი ვერ მოზომა.

დაბნეულობამ მხოლოდ წამიერად გასტანა. უმაღვე გონს მოეგო და უღარღელად გაიცინა.

— აი, ხომ ხედავთ, მაინც რამოდენა ზეგავლენა აქვთ ჩვენზე ყურნალისტებს. მთელი ტირადა წარმოვთქვი მათ გასაბიაბრუებლად, თვითონ კი ვერც შევამჩნიე, როგორ დავიწყე მათი ტერმინებით და კალკებით აზროვნება. გავიხსენოთ გამოთქმები, რომლებიც სწორად გვესმის ტელეკრანებიდან... „დღეს თქვენ გელით შეხვედრა მერილინ მონროსთან“, ან „ინგმარ ბერგმანთან ყოველი ახალი შეხვედრა დიდი სიხარულია კინოხელოვნების ჰეშმარტი მოყვარულებისათვის“. დიახ, ჩემი პირველი დაუსწრებელი შეხვედრა ჰაიზენბერგთან სულ ხუთიოდე წლის წინ მოხდა, სწორედ მაშინ გავეცანი 1959 წლის კიევის სიმპოზიუმის მასალებს. დიახ, ბატონებო, ყველა ფიზიკოსში ფილოსოფოსი თვლემს, — ვითომც აქ არაფერი აო, გაავრძელა წელან შეწყვეტილი სიტყვა რამაზ კორინთელმა. მიხვდა, ლაბირინთიდან იოლად გამოვიდა; წამიერად დატრუნდა, რომ უკლებლივ ყველას სახეზე უკვალოდ წაიშალა წელან-

დელი დაბნეულობა და გაოცება. დამშვიდებულმა ღრმად ამოისუნთქა და ლაპარაკი წელანდელი ახარტით გააგრძელა, — მაშ, რატომ არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ყველა ფიზიკოსში პოეტი ან მუსიკოსი თვლემს? ანდა პირიქით, იქნებ ყველა პოეტში, მხატვარში ან მუსიკოსში ფიზიკოსი თვლემს? მე თვითონ ბევრს ვიცნობ პოეტებსაც და მუსიკოსებსაც, რომლებიც უსაზღვროდ არიან დაინტერესებული ფიზიკის, ასტრონომიის, გენეტიკის საკითხებითა და პრობლემებით. ადამიანი ყველა დარგს ვერ დაეუფლება. უამრავი პროფესიიდან თუ სპეციალობიდან ერთს ირჩევს. დანარჩენი დარგებისათვის აღარ სცალია. მწერლობა, მხატვრობა და მუსიკა კი უფრო მეტია, ვიდრე სპეციალობა. ამიტომაც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველა ადამიანში ხელოვანი თვლემს...

„საექვო არაფერია, ისაა, ნამდვილად ისაა!“ — დაასკვნა საბოლოოდ ლია რამიშვილმა და გულში მწარედ გაეცინა. განა პირველი წუთიდანვე, პირველი დამიდანვე იყო რაიმე საექვო? საკუთარ თავს საბოლოოდ გამოუტყდა, რომ ხავსს ამოდ ეჭიდებოდა. შეურაცხყოფის, სირცხვილისა და შურისძიების გრძობა ერთმანეთში აირია და აიძვრა. ჯერ მაკას გახედა. ქალიშვილის ბედნიერებით გაბრწყინებულმა გამოხედვამ კიდევ უფრო გააცოფა. მერე ისევ კორინთელს მიაპყრო გაბოროტებული თვალები.

„შევიმჩნო, რომ ვიცანი?“

„იქნებ სულაც სჯობს, გამოთაყვანებული ქალის როლი ვითამაშო? ვითომ ვერაფერს მიგხვდი, ვითომ ვერ ვიცანი... თუმცა ჩემი მსახიობობა რა საჭიროა. თვითონ იქცევა ისე, თითქოს ვერ მიცნო!“

„იქნებ მართლა ვერ მიცნო?“

„რა სულელი ვარ!“

ლია რამიშვილს, ამაყ და თბილისში საყოველთაოდ ცნობილ ახალგაზრდა ქალს ასე დამცირებულად და მიწასთან, გასწორებულად არასდროს უგრძენია

თავი. გულს კიდევ უფრო ის უკლავდა, შურისძიების გზებს რომ ვერ ხედავდა. უფრო მეტიც, გაავარვარებულ ორთქლად ქცეულ სათქმელს, გულს რომ ლამის გახეთქვით ემუქრებოდა, უწვრილესი ნასვრეტისადაც კი ვერ გამოუშვებდა. სიტყვას ვერავის ეტყოდა, მტანჯველ ფიქრს ვერავის გაუხიარებდა. სადაცაა მისი ქმარიც შემოაღებდა კარს და შეურაცხყოფის, სულიერად ვანადგურების შეგრძნებაც ერთი ათად გაიზრდებოდა.

„რა მოვიმიზეზო? როგორ წავიდე უინ?“

„იქნებ ჯიბრზე არაფერი შევიმჩნო და წარსული ფეხებზე დავიკიდო?“

„ვაი, რომ არ შემიძლია!“

„შური უნდა ვიძიო! სასტიკად უნდა ვიძიო შური, მაგრამ როგორ? ყოველმხრივ რომ მაქვს ხელ-ფეხი შეკრული?“

„რა უნდა მოვიმოქმედო, როცა ყველა გზა თვითონ მოვიჭერი?“

„ვაი, რომ ხმის ამოღების უფლებაც არა მაქვს!“

დარბაზში სადაღ ჩაცმული სიმპათიური ქალი გამოჩნდა.

— ნება მიბოძეთ, შეგაწყვეტინოთ საინტერესო საუბარი, — თქვა მან ღიმილით, — უმორჩილესად გთხოვთ, სუფრასთან მობრძანდეთ!

ყველანი წამოიშალნენ.

მაკამ სტუმარი დედას წარუდგინა.

— დედა, აი, ეს ვახლავს რამაზ კორინთელი.

— სასიამოვნოა, — თქვა ქალმა და სტუმარს ხელი გაუწოდა.

კორინთელმა გამოწვდილი ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

უცებ ვიღაცამ შეჰკივლა.

ყველამ იქით მიიხედა.

რამაზ კორინთელმა დიასახლისის ხელს გაანთავისუფლა და თვითონაც უკან მიტრიალდა.

ტყავის საგარძლის სახელურზე გადაკიდებული გულწასული ლია რამიშვილი იატაკს უაზრო თვალებით დასჩერებოდა.



რამაზ კორინთელი რაღაც უცნაურ და უსიუჟეტო სიზმარს ხედავდა, ტელეფონის ხმა რომ ჩაესმა.

ყურადღება არ მიაქცია. ვერც კი გაერკვა, ტელეფონი სიზმარში რეკავდა თუ ცხადში.

ზარი განმეორდა

სიზმარი შეწყდა. რამაზ კორინთელმა ძილს ნელ-ნელა წაართვა თავი.

ყურში უკვე გარკვევით ჩაესმა ტელეფონის ზარის ხმა. ყურადღება არ მიაქცია. თვალეები ჭერს მიაპყრო და შეეცადა აღედგინა, რა სიზმარი ნახა.

უწინ თითქმის კვირა არ გავიდოდა, თავისი ძველი სახლი და დედა არ დასიზმრებოდა.

ახლა?

ერთხელ მაინც რატომ არ დაესიზმრა მშობლების ძველებური, ფართო სადარბაზოიანი, მოჩუქურთმებული სახლი და როიალთან მიმჯდარი დედა?

რატომ ხედავდა ყოველ ღამე ულოგიკო, უსიუჟეტო და კოშმარულ სიზმრებს? იქნებ...

იქნებ იგი სხვის სიზმრებს ხედავდა? რატომ სხვისას? განა ის „სხვა“ თვითონ არ იყო?!

„ვერ იყო ის ახალგაზრდა ქალი, გინაზიელის ტანსაცმელი რომ ამშვენებდა?“

— გაანახნდა უცებ კორინთელს. თვალი დახუჭა და კვლავ ნათლად დაინახა მისკენ ღიმილით მომავალი თეთრწინაფრიანი ჭალიშვილი.

სიზმარი თითქოს გაგრძელდა.

„ღმერთო ჩემო, ეს ხომ დედაჩემია!“

მომღიმარე ჭალიშვილი ნელ-ნელა მიუახლოვდა და მოხდა საოცრება, იგი ერთბაშად დაბერდა, მიხრწნილ დედაკაცად გადაიქცა, ზუსტად ისეთად, დედის სახე სიკვდილის დღეს რომ ჩაებუქდა გონებაში.

შეშინებულმა თვალი გაახილა.

მაინც რა საშინელი დასანახი იყო გინაზიელის ტანსაცმელში გამოწყობილი მიხრწნილი ჭალი!

ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. ვიცდაც ჭიუტად რეკავდა.

იატაკზე დადებული აპარატისკენ ხელი ისე წაიღო, თვალი არც გაუხელია.

— გისმენთ!

უსიამოდ შეაერთოლა, პირველი სიტყვიდანვე იცნო მთავარი ექიმი. არ ესამოვნა. საერთოდ, რამაზ კორინთელს

აღარაფერი აღარ სიამოვნებდა, თანაურად ოპერაციასა და წარსულს გაანსვენებდა.

ცილობდა, ძველი ცხოვრებისათვის ხაზი გადაესვა, ტვინის ყოველი უჯრედთან ამოეძიკვა და საბოლოოდ დაევიწყებინა. იცოდა, მხოლოდ წინ, მომავლისაკენ უნდა ექცირა. სჯეროდა, უკან მოხედვა არ შეიძლებოდა. გრძობდა, წარსული უკან მოსდევდა და გრძელი, მძლავრი საცეცებიანი ხელებით მის დაქერას ლამობდა.

მთავარი ექიმის ხმის გაგონებაც კი ზარავდა. საკმარისი იყო ზურაბ თორაძეს ტელეფონით დაერეკა ან მისთვის თვალი სადმე მოეკრა, რომ უმაღვე გულზე შხამი გადავლებოდა.

— ხომ არსად მიდიხართ? — ჰკითხა ზურაბ თორაძემ.

— რომელი საათია?

— რვა სრულდება.

— ასე უთენია რამ დაგარეკინათ? — გაბრაზდა რამაზ კორინთელი და ლოგინზე წამოჯდა. ძილი საბოლოოდ გაუტყდა.

— აუცილებელი საქმეა. არსად გავიდე. კიდევ უნდა დავაზუსტო რაღაც ფაქტები. ათ საათზე თქვენთან ვიქნები! — მთავარი ექიმი პასუხს აღარ დაელოდა და ყურმილი სასწრაფოდ დაუქრდა.

გულმოსულმა რამაზ კორინთელმა ყურმილი აპარატზე დააგდო და ფეხზე წაიღდა.

არ მოეწონა ზურაბ თორაძის ხმა.

„მაინც რა უნდა მომხდარიყო, უთენია რომ გავეღვიძებინე?“

საბაზანოში პირი სწრაფად გაიბარსა, ცივი შხაპი მიიღო და პირსახოცზე მიხვეული ჰოლში სარკესთან გაჩერდა.

ღრმად შეისუნთქა. მკერდი გამოსწია, კუნთები დაჭიმა. მოეწონა საკუთარი თავი. დაძარღვული კისერი კიდევ ერთხელ შეათვალიერა კმაყოფილებით და უმაღვე ფიქრი მკვა ლანდიაზე გადაიტანა.

გუშინ საბოლოოდ მოილაპარაკეს. გადაწყვიტეს, თვის ბოლოს დაქორწინებუ-

ლიყვნენ. დღეს მაკას მშობლები საღამოს შეიდ საათზე ელოდნენ რამაზ კორინთელს. ქალიშვილს საგანგებოდ სთხოვა, ბევრ ხალხს ნუ შეყრიო. მაკამ აღუთქვა, რომ მხოლოდ მისი ორი განუყრელი მეგობარი დაესწრებოდა ხელის თხოვნის ცერემონიალს. შენი სურვილი რომ ადრე მცოდნოდა, მათაც არ დავისწრებდიო, უთხრა ღიმილით მაკამ.

„ მიყვარს მაკა? “
„ რასაკვირველია, მიყვარს! “

„ რომ არ მიყვარდეს, არც შევირთავდი. მადლობა ღმერთს, მამამისის თანამდებობას არ მოვუხიბლივარ. დიდი თანამდებობა, რასაკვირველია, ბევრს ნიშნავს, მაგრამ არც იმდენს, უსიყვარულოდ რომ დაეჭორწინდე. განა რაიმე კეთილდღეობა შეცვლის მეუღლის სიყვარულს? განა რაიმე ხელის წაშველება და წინსვლა ღირს იმად, ოჯახში მოსვლა და ცოლის დანახვა რომ ტანში გზარავდეს?! ბოლოს და ბოლოს, ბატონ გიორგი ლანდიას მხოლოდ ორიოდე წლით შეუძლია დააჩქაროს ის წარმატებები, რასაც მე ჩემი ნიჭითა და უნარით მაინც მივაღწევ “.

რამაზ კორინთელმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავისი ათლეტური ტანი, საკუთარ თავსაც ვაუღიმა, თვალი ჩაუკრა და ვარდნობთან მივიდა.

„ რა ჩავიცვა დღეს? “

„ აუცილებლად კოსტიუმით უნდა ვეახლო ბატონ ვიორჯის. თავიდანვე ხომ არ გავანაწყენებ? “

ისევ მაკა წარმოუდგა თვალწინ.

„ მაკას ალბათ თეთრი კაბა ეცმევა. მეც რომ თეთრი კოსტიუმი ჩავიცვა, არ ივარგებს “.

„ იქნებ ლურჯი? “

„ ცხელა, სოფლიდან ჩამოსულ ხელმძღვანელ ამხანაგს დავემსგავსები “.

„ ჯობია, ზოლებიანი სპორტული პიჯაკი და ნაცრისფერი შარვალი ჩავიცვა! “

რამაზ კორინთელმა ტანსაცმელი გადმოაწყო, გულდასმით შეათვალიერა და სკამზე გადაფინა.

„ ხომ არ მეჩვენება, ხომ მართლა მიყვარს? “

„ ვაითუ, ჩემი გრძნობა მხოლოდ წამიერი ვატაცება? განა ცოტა მქონია მაკავსი შემთხვევები? “

„ არა, მაკა მიყვარს. ნამდვილად მიყვარს. დღეს ცოტაა მაკასნაირი გოგონები, მარტო სილამაზეს როდი ვგულისხმობ. დღეს განა ბევრს იბოვი მაკასნაირი დახვეწილ ქალიშვილს?! “

„ ინგა? “

გულში ისევ მოხვდა ტყვია.

„ განა ინგა მაკაზე ნაკლებია? მეტრა, რომ ობლად გაიზარდა! ამქვეყნად ინგას გარდა აქვს კიდევ ვინმეს ღვთისმშობლის თვალები? “

„ ინგა სულ სხვაა, ინგა ერთადერთია ამ ქვეყანაზე! “

ვაგუნებული რამაზ კორინთელი სავაჩქელში ჩაჯდა. თვითონაც ვერ მიხვდა, საკუთარ თავთან კამათში რატომ დაიჭირა ინგას მხარე. უფრო სწორად, მიხვდა და იმიტომაც შეშფოთდა.

„ განა მე კიდევ ვფიქრობ ინგაზე? “

„ არავითარი ინგა! ინგა ჩემი დაა. მისი გულისთვის თუნდაც ამ წუთში მოკვდები. მაგრამ იგი მხოლოდ დაა ჩემი და მეტი არაფერი. “

„ მე მაკა მიყვარს, ჩემი მაკა, მალალი, ლამაზი, დახვეწილი! “

რამაზ კორინთელმა უმაღლეს წარმოდგინა ქუჩაში საოცრად ნარნარად მომავალი მაკა. იქნებ ზომაზე მეტად მალალი. იქნებ ზომაზე მეტად სიფრთხანა. მეტე რა! იშვიათად უნახავს ქალიშვილის ასეთი პლასტიკური სხეული. იშვიათად შეუმჩნევია, ქალიშვილის ხელის, ფეხის, საერთოდ, სხეულის მოძრაობა, გრიმასები, ღიმილი, ლაპარაკის დინჯი, მომხიბვლელი მანერა ასე ერთი მუსიკალური აკორდივით ყოფილიყოს შეკრული.

თითქოს შვება იგრძნო. თავისუფლად ამოისუნთქა. ფანჯარასთან მივიდა, ჰერცხრა საათიც არ შესრულებულიყო, მაგრამ შემაწუხებლად ცხელოდა.

გაჩეხილ გაზონებში შეყენებული მანქანები უკვე აემუშავებინათ პატრო-

ნებს. მოტორების გუგუნნი და მუხრუ-
ჭების ღრჭილი უსიამოდ ხედებოდა
ყურს. აი, დაიძრა ერთი მანქანა, მას მე-
ორე მიჰყვა, მეორეს მესამე... კიდევ
რამდენიმე წუთი და ეზოში ორად ორი
მანქანა დარჩა.

რამაზ კორინთელმა ჯერ თავის წით-
ელ „უიგულს“ შეავლო თვალი, მერე შე-
მობრუნდა და კვლავ სავარძელში ჩა-
ჯდა.

ისევ დაუძძიდა გული. წამიერი აღ-
მოჩნდა წელანდელი შვება.

„რა მემართება? იქნებ ზურაბ თორა-
ძის ხმამ გამიფუჭა გუნება?“

„არა, გუშინ მაქას რომ დავცილდი,
პირველი წუთებიდანვე დამიძძიდა გუ-
ლი“.

„ალბათ, დიდი სიხარულის წინ ადა-
მიანს აუცილებლად ეუფლება დებრე-
სია. განა ცოტაჯერ შეუპყრია ადამიანი
სევდის უცხოეთში გამგზავრების წინ?
მთელი თვის სიხარულით მოლოდინის
შემდეგ, ზუსტად წასვლის წინა დღეს,
განა ცოტა შეუპყრია განშორების სი-
ნანულს?“

ამოდ ცდილობდა, თავი დაემშვიდე-
ბინა.

წამოდგა, დივანთან მივიდა, ტელე-
ფონის ყურმილი გადადო და თავდაღ-
მა დაემხო.

რამაზ კორინთელს არ უნდოდა თავის
თავს გამოტყდომოდა, თორემ მშვენიერ-
ად იცოდა, რაც უღრღნიდა გულს.

დღეს საღამოსვე მთელ თბილისს
მოედებოდა მაკა ლანდიას მშობლებთან
მოლაპარაკების ამბავი. ხვალ თუ არა,
ზეგ მაინც აბორგებულნი ტალღა ინსტი-
ტუტამდეც მიადწევდა. მიადწევდა და
რამაზ კორინთელმა მშვენიერად იცო-
და, გამძვინვარებულ მარინე დვალს ვე-
ლარაფერი დააკავებდა.

„აღრე უნდა ჩამოგშორებოდი. ად-
რე უნდა გამეწყვიტა კავშირი!“

კორინთელმა ხელი ჩაიქნია, წარ-
სულზე დარდს აზრი აღარ ჰქონდა.

„ხვალ თუ არა, ზეგ მაინც უნდა მო-
ვულო ბოლო, მეტ გამოსავალს ვერ
ვხედავ!“

„იქნებ ხვალ დილით მივაკითხო? იქ-
ნებ როგორმე დავამშვიდო, დავუყვავი-
ბედს შევარბიო. თან დიდი დახმარებაც
აღვუთქვა“.

„არა, არ ღირს. მაინც არაფერი გამო-
ვა. ან რატომ უნდა შევავლო ბედი სას-
წორზე? განა ხე ვარ დამნაშავე? განა
ქორწინებას შევპირდი და პირი ვუც-
ვალე? განა თვითონ არ მომიწყო შან-
ტაჟი? რატომ მანამდე არ მითხრა არაფე-
რი, სანამ მეხუთე თვეში არ გადადგა?“

„არავითარი რისკი და, საერთოდ, რა-
ტომ ვფიქრობ ამდენს ერთ მდივან,
პრიმიტიულ ქალზე? ხვალვე უნდა და-
მთავრდეს ყველაფერი!“ — რამაზ კო-
რინთელი თვითონვე დარწმუნდა, გადა-
წყვეტილებას ველარაფერი შეაცვლევო-
ნებდა.

თავი ასწია და, ჩვეულებისამებრ, იქ-
ვე, სკამზე დადებულ საათს დახედა
მთავარი ექიმის მოსვლამდე ნახევარი
საათიდა რჩებოდა.

„ზურაბ თორაძეს მაინც რა ჯანდაბა
უნდა. არ დამაცლიან, ერთი დღე მაინც
დილიდან საღამომდე ვიყო ბედნიერი?“

შეეცადა ფიქრი კვლავ მაკაზე გადაე-
ტანა.

თითქოს არ უნდოდა თავის თავს
გამოსტყდომოდა, მაგრამ გრძნობდა,
ძალზე სიამოვნებდა, რომ მაკა ლანდი-
აზე დაქორწინება ბევრ მნიშვნელოვან
საქმესაც მოუგვარებდა. სრულიად ახ-
ალგაზრდა კაცს ხელის ერთი მოსმით
შეექმნებოდა ყოველგვარი პირობები,
რასაც ადამიანი გვიან სიბერემდე თუ
აღწევს ზოლმე ენერგიული და თავდა-
დებული შრომით. ოცდამეხუთე წელ-
ში გადამდგარ მეცნიერს პირველი დღე-
ებიდანვე ექნებოდა განადლებული შე-
მოქმედებითი თავისუფლება, მეცნიე-
რული შრომისათვის იდეალური პირო-
ბები. არ დაჰკარგავდა დროს ათასგვარი
საოჯახო წვრილმანის თუ მსხვილმანის
მოსაგვარებლად, რაც ისედაც არ ესა-
დაგებოდა რამაზ კორინთელის გულსა
და ბუნებას.

კიდევ ხუთი წუთი და მთავარი ექი-
მიც მოვიდოდა.

რამაზ კორინთელი წამოდგა. გადაწყვიტა ჩაეცვა. უმაღლვე გადადიქრა. არ ჩათვალა ღირსად ზურაბ თორაძე, ჩაცმული დახვედროდა. კაცმა რომ თქვას, რას ერჩოდა?

თვითონაც ვერ აგისხნიდათ, რატომ შეიძულა მთავარი ექიმი, რატომ აღარ სიამოვნებდა არამც თუ მისი დანახვა, ხმის გაგონებაც კი.

ზუსტად ათ საათზე გაისმა ელექტროზარის წკრიალი. რამაზ კორინთელი კარის გასაღებად გაემართა. ჰოლში კიდევ ერთხელ შეჩერდა სარკის წინ. ამჯერად არ მოეწონა სარკიდან შემომზირალი ჭაბუკის გამოხედვა. ძლიერი, თავლისფერი თვალები რატომღაც ძველებურად აღარ აფრქვევდნენ ცეცხლს და ჩამქრალი ვულკანის კრატერივით ჩაზნელებულიყვნენ.

ზარმა ისევ გაიწკრიალა. ამჯერად სტუმარმა ზარის ღილაკს უფრო ხანგრძლივად დააჭირა თითი.

რამაზ კორინთელმა კარი გამოაღო. შეკრთა. ზურაბ თორაძეს ისეთი სასოწარკვეთილი გამოხედვა ჰქონდა, მიხედა, მთავარმა ექიმმა რაღაც საშინელი ამბავი მოიტანა.

— რა მოხდა?

რამაზ კორინთელმა კარი სწრაფად დახურა და სტუმარი წინ გაუშვა.

ზურაბ თორაძე ოთახში მძიმე ნაბიჯებით შევიდა, ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ასაკისათვის შეუფერებელი გაჭირვებით ჩაჯდა და მწარედ ამოიოხზრა.

— მგონი უკვე გკითხე, რა მოხდა-მეთქი! — მთელი ამდენი ხნის ნაცნობობის მანძილზე ზურაბ თორაძეს მეორედ მიმართა შენობით.

მთავარმა ექიმმა დანისლული თვალებით შეხედა რამაზ კორინთელს.

— მოხდა ის, რასაც დიდი ხანია შინაგანად შეგუებული ვიყავით თქვენც დამეც! — ზურაბ თორაძემ ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

— მაინც?

— რასაკვირველია, კაცი იმედით ცოცხლობს, მაგრამ...

— ქარაგმულად ლაპარაკი თავი ანებე! — იყვირა მოთმინებიდან სულმა კორინთელმა.

— იმედი მაქვს, მამაკაცურად შეეგებებით გასაჭირს. ამ ოთხი დღის წინ თქვენი შვილი იპოვეს, თქვენი დათო.

— მკვდარი?! — ამოიხრიალა რამაზ კორინთელმა და მუხლმოკვეთილი ჩაეშვა სავარძელში.

— სამწუხაროდ, მკვდარი! — თავი დახარა ზურაბ თორაძემ და ცხვირსახოცს დაუწყო წვალება.

დუმილი ჩამოვარდა, საშინელი, დამუხტული დუმილი. მთავარ ექიმს გულწრფელად ეგონა, სადაცაა მეხი გავარდება, და თავის აწევას ვერ ბედავდა. გრძნობდა, რამაზ კორინთელი დაეინებოდა მისჩერებოდა.

დუმილს ვეღარ გაუძლო, თავი ასწია და კორინთელს შეხედა. ჭაბუკის ჩაშაგებული თვალები მთავარ ექიმს თოფის ლულებივით ჰქონდა დამიზნებული. შეკრთა და მონუსხულივით გაქავდა. მორჩილად ელოდა ორლულა თოფი როდის დაიჭუბებდა. მალე მიხვდა, კორინთელი მას ვერც ხედავდა, ვერც აღიქვამდა. ჭაბუკის ღიდრონი, მაგრამ უაზრო და ჩამუჭებული თვალები ელექტროქსელიდან გამოთიშულ ხელსაწყოს ჰგავდა.

— სად იპოვეს, ან როდის იპოვეს? — იკითხა უცებ ყრუდ რამაზ კორინთელმა.

— ამ ოთხი დღის წინ, მტკვარში. ჩელუსკინელების ხიდთან!

რამაზ კორინთელის გული ქვამოხვედრილი ვიტრინის მინასავით ისევ დაიმსხვრა უწვრილეს ნატეხებად და ისევ ჩაიბნა უძირო სხეულის ბნელ უფსკრულში.

— მაშ, ის ჩემი შვილი იყო? — ამოიხრიალა ვილაცამ ჭაბუკის სხეულიდან.

ზურაბ თორაძე შიშმა აიტანა. კარგად დაინახა, რამაზ კორინთელს ბაგეები არც კი გაუხმრევია, ხოლო ხმა, განსვენებული აკადემიკოსის ხმას რომ ჰგავდა, საღდაც მკერდიდან თუ მუცლიდან მოესმა.

— როგორ, თქვენ შეესწარიით მტკვრიდან გვამის გამოტანას? — ჰკითხა შეშფოთებულმა ზურაბ თორაძემ.

— შეცდომა გამოირიცხულია? — რამაზ კორინთელმა უპასუხოდ დატოვა მთავარი ექიმის შეკითხვა, — ნუთუ ამდენ ხანს გვამი არ გაფუჭდა? იქნებ რაღაც ეშლებათ? იქნებ ვიღაცაში აერიათ? იქნებ...

— სამწუხაროდ, შეცდომა გამოირიცხულია. ექსპერტმა იოლად დაადგინა მიცვალებულის ვინაობა. ქალბატონმა ანამაც უმალვე ამოიცნო თავი იგივე შვილი. ეტყობა, ცხედარი მტკვარმა მიიღო. მთელი წლის განმავლობაში სილამ კარგად შეინახა სხეული. შემდეგ, როგორც ჩანს, მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისის წყალდიდობებმა გვამი მაინც დასძრა ადგილიდან. ვარაუდობენ, რომ უბედური საღდაც იქვე, ახლოს უნდა იყოს წყალში გადაგდებული.

— გადაგდებული?

— ჰო, გადაგდებული. იგი ჯერ მოკლეს, შემდეგ კაპრონის თოკით რელსის გადანაჭერი შეაბეს და მტკვარში გადააგდეს.

„ღმერთო ჩემო, ისევ მდინარე, ისევ მტკვარი“. უნებურად მარინე დვალი გაახსენდა. სისხლი აემღვრა.

— მაინც რას ამბობს ექსპერტი, რითია მოკლული?

— რევოლვერის სამი ტყვიით. მარჯაც კი დაადგინეს — „ტტ“. ერთი ტყვია მკერდში აქვს უბედურს მოხვედრილი, ორი მუცელში!

— „ტტ“-ს სამი ტყვიით? — აღმოხდა რამაზ კორინთელს.

— ჰო, სამი ტყვიით.

„და საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“ — ჩაესმა უცებ ყურში სოსო შადურის ხმა.

— შეუძლებელია, გესმის, შეუძლებელი! — იყვირა უცებ საშინელი ხმით რამაზ კორინთელმა, სავარძლიდან წამოიჭრა, მთავარ ექიმს მივიარდა,

პიჯაკის ბორტებზე ხელი მოავლო და ჰაერში აიტაცა, — შეუძლებელია, გესმის შეუძლებელი!

— რა არის შეუძლებელი? — შეშინებული ზურაბ თორაძე საცოდავად ფართხალებდა.

— შეუძლებელია, გესმის შეუძლებელი! — კორინთელმა მთავარ ექიმს ხელი უშვა, ზურაბ თორაძე უმწეოდ დაეხეთქა სავარძელს.

რამაზ კორინთელი დივანზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მთავარი ექიმი შეშინებული შესცქეროდა ჰაბუკის მოცანცაზე მხრებს და თვალის დასამხამებასაც ვერ ბედავდა.

— სად არის ახლა ცხედარი?

— აკადემიკოსის სახლში. — ზურაბ თორაძემ ვერ გაბედა ეთქვა, თქვენს სახლშიო.

— მაინც რა თქვა მილიციამ, რატომ მოკლესო? — იკითხა ყრუდ კორინთელმა.

მთავარ ექიმს კვლავ შორიდან შემოესმა ჰაბუკის ხმა.

— მილიციის გამომძიებელმა დაახლოებით ასეთი ვერსია წამოაყენა. თქვენი შვილი... ესე იგი, აკადემიკოს დავით გიორგაძის შვილი დათო გიორგაძე, — მთავარი ექიმი მთლად დაიბნა, — აღრეც ყოფილა შემჩნეული ფულზე თამაშში. ვარაუდობენ, რომ მან ვიღაცას მოუგო დიდი თანხა, წაგებულმა კი მოკლა და მტკვარში გადააგდო. გაიტაცა მოკლულის მანქანა და კვალის დასათარავად ვიღაცას განგებ დააჯახა. მანქანა მსხვერპლთან მიატოვა და გაიქცა. თავისას მიადწია კიდევ. გამომძიება გზას აცდინა. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ის უბედური დათო გიორგაძემ გაიტანა და შეშინებული საღდაც გადაიხვეწა.

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“

— აქვთ რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი?

ზურაბ თორაძე დაიბნა. შუბლზე ოფლმა დაასხა. დადგა დრო, ეთქვა.

უფრო საშინელი რამ, ვიდრე შვილის სიკვდილი იყო.

— თავს როგორ გრძნობთ? თუ ცუდად ხართ, მე ყველაფერი მაქვს წამოღებული. ვიცოდი, უჩემოდ მაინც გაიგებდით შვილის დაღუპვის სამწუხარო ამბავს. ამიტომაც ვამჯობინე, პირველს მე მეტყვა. ეს დღეები სულ თქვენთან ვიქნები. რას იზამთ. დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ თავს უნდა სძლიოთ. სასოწარკვეთა არ უნდა დაგეუფლოთ.

— მილიციას აქვს რაიმე ხელჩასაკიდი საბუთი? — გაიმეორა მრისხანედ რამაზ კორინთელმა და ამღვრეული თვალები მთავარ ექიმს მიაპყრო.

ზურაბ თორაძე დაიბნა. კორინთელის არეულმა სახემ შეაშინა. აღარ იცოდა, რა ექნა.

— სახეზე გეტყობა, რაღაცას მიმაღაუ! — ისევ წამოიჭრა ფეხზე გაცოფებული რამაზ კორინთელი და მთავარ ექიმს ისევ ჩააგლო პიჯაკის საყელოში ღონიერი ხელები.

— გეტყვით ყველაფერს, ახლავე მოგახსენებთ! ოღონდ ხელი გამიშვით! — თავის განთავისუფლებას შეეცადა ზურაბ თორაძე.

რამაზ კორინთელმა ხელი უშვა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. შეშინებული მთავარი ექიმი ქვემოდან საცოდავად შესჩერებოდა.

— გთხოვთ, ერთი ნაბიჯით უკან დაიწვიოთ. თავზე ნუ დამდგომხართ სულთამხუთავივით.

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“

— ჩქარა, მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია!

— რაიმეს დამალვას აზრი არა აქვს. თვითონ მოვლენ და გაავაგებინებენ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ. ნებისყოფა მოიკრიბოთ, რასაც მე ვიტყვი, ძნელი მოსასმენი იქნება, მაგრამ რას იზამ, ვიცო, თავს ზევით ძალა არაა...

— პირდაპირ მითხარი, ყოველგვარი შესავლის გარეშე!

— გუშინ ჩემთან საადამიოფორში მოვიდა ახალგაზრდა გამომძიებელი... — თუ გახსოვს, ნაცრისფერი „ეოლგით“ ხომ არა?

— დიახ, როცა წავიდა, ფანჯრიდან ვადმოვხედე, ნაცრისფერი „ეოლგის“ საქვს თვითონ მიუჭდა.

— ავადმყოფურად გამხდარი და საფეთქლებშეჭადარავებული ახალგაზრდა კაცი, არა?

— დიახ, დიახ! თქვენ ეგ საიდან იცით?

— განაგრძე, ჯერ შენი სათქმელი მოათავე!

— გამომძიებელმა მომატანინა რამაზ კორინთელის ავადმყოფობის ისტორია, — მთავარმა ექიმმა კიდევ გაუსვა ხაზი, რომ რამაზ კორინთელს კი არა, აკადემიკოსს დავით გიორგაძეს ელაპარაკებოდა, — იმ წუთში არც კი ვიციკოდი, თუ დათო გიორგაძის გვამი ნაპოვნი იყო. დაწვრილებით გამომოკითხა, ავადმყოფობის პერიოდში დათო გიორგაძის სახელი ხომ არ წამოუბოდავს, ან ავტოავარია ხომ არ უხსენებიაო. თქვენთვის გასაგებია, რასაც ვეტყვოდი. გამომძიებელს თურმე ადრეც ჰქონია თქვენზე ექვი, ეტყობა, ჩუმ-ჩუმად დაგდევდათ კიდევ. დაახლოებით სცოდნია, დათო გიორგაძე ფულზე ვისთან თამაშობდა. ყველანი გამოუძახებია და დაუკითხავს. გუშინ შუადღისას კი ვიღაცას ტელეფონით დაურეკავს და უთქვამს, იმ საბედისწერო საღამოს დათო გიორგაძემ რამაზ კორინთელს მოუგო დიდი თანხა, შემდეგ ორთავენი გიორგაძის მანქანით სადღაც ერთად წავიდნენო.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი.

— თუკი რამაზ კორინთელი ვიღაცამ დაასმინა, რატომ არ მოვიდა გამომძიებელი ჩემთან?

— თქვენისთანა საქვეყნოდ სახელგანთქმული კაცის დაკითხვა იოლი არაა. უნდა არსებობდეს დაკითხვის იურიდიული საფუძველი; ტელეფონის ანონიმური ზარი საბუთად არ გამოდ-

გება. გამოძიებელი, ალბათ, სანამ ყველა დეტალს არ დააზუსტებს, თქვენთან მოავლას ვერც გაბედავს. თანაც, რატომ უნდა მივიჩნიოთ სიმართლედ, რომ დათო გიორგაძე რამაზ კორინთელმა მოკლა? რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამდვილი მკვლელი ცდილობს გზა აუბნოს გამოძიებას? მით უმეტეს, რომ დარწმუნებულნი არიან, სენსაციურად სახელგანთქმულ ახალგაზრდა მეცნიერს იოლად ვერ წამოკრავენ ხელს...

— და თუ დათო გიორგაძე ჩემი მოკლულია! — იყვირა რამაზ კორინთელმა.

— თქვენი მოკლული საიდან იქნება, თქვენ ხომ აკადემიკოსი დავით გიორგაძე ბრძანდებით?!

— ამ ხელეგმა ხომ მოკლეს. ამ სტუდენტში ჩაბუღებულმა ბოროტმა გენმა ხომ მოკლა. გენმა, რომელმაც პირველი დღიდანვე დათრგუნა და დამორჩილა, თავისი ვნებების სამახურში ჩააყენა აკადემიკოს დავით გიორგაძის ინტელექტი?!

— ჩუმაღ, თუ ღმერთი გწამთ!

— ღმერთი რომ მწამებოდა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი.

— ნუ ყვირით, მეზობლები გაიგონებენ.

— გაიგონონ. აწი ყველაფერი სულერთია!

— ჯერ არაფერი არაა დაკარგული! ვილაციის მიერ ტელეფონით ნათქვამი ფრაზა რა მოსატანია. დარწმუნებული ვარ, ნამდვილი მკვლელი განგებ გახოკავთ ხელს! ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, ყველაფერი მოგვარდება. მე მოვაგვარებ ყველაფერს!

„და, საერთოდ, რატომ გისწრებს ხელი, რატომ დაეჩვიე ამ ბოლო დროს სამ-სამჯერ სროლას?“ — კვლავ საოცრად ცხადად ჩაემა კორინთელსაო სადღერის ხმა.

— აქმე არც ისე კატასტროფულად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

— ჩუმაღ! — ამოიღმუვლა რამაზ

კორინთელმა. — ჩუმაღ! აღარ მიხდა შენი ხმა ვაგიგონო! გეიმის მიხედვით რას მეუბნები?! მართლმსაჯულმა წინაშე წარსდგე და თავი დავიცვა, საკუთარი შვილიაათვის რევოლვერი ამჯერ არ დამიხლია-მეთქი მუცელში?!

— ჯერ ხომ ისიც არ არის დასაბუთებული, ნამდვილად რამაზ კორინთელმა მოკლა თუ არა დათო გიორგაძე. კიდევ ვიფიქრებ, არაფერს არ ნიშნავს ტელეფონის ანონიმური ზარი. დარწმუნებული ვარ, მკვლელი ცდილობს გამოძიება გზიდან ააცილნოს, თქვენს ავტორიტეტს ჩამოეფაროს. დარწმუნებულია, რომ თქვენი ხათრით ძველ საქმეს აღარ ჩაუღრმავდებიან და აღარ გამოეყიდებიან. ხოლო საბოლოოდ თუ მაინც დადასტურებენ საშინელ ფაქტს, რომ დათო გიორგაძე რამაზ კორინთელის მოკლულია, ბუნებრივია, საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, მაგრამ ეს ხომ აუღაც არ ნიშნავს, რომ მკვლელი თქვენა ხართ?! — ზურაბ თორაძე შეჩერდა, სული მოითქვა და ოფლით დაცვარული შუბლი ისევ ჩამოიწმინდა თეთრი ცხვირსახოცივით.

რამაზ კორინთელი ენით აუწერელი ზიზლით მისჩერებოდა.

— დიახ, — განაგრძო ზურაბ თორაძემ, — თუ ფაქტი დადასტურდა და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებით, უკან არ დავიხევ, ჩემს ნამოქმედარზე მე ვაგებ პასუხს. დაე, დამსაჯონ. ბოლოს და ბოლოს, ტვინის გადანერგვის ოპერაცია თქვენის ნებართვით გავაკეთე. თუ გახსოვთ, ხელწერილითაც გავაფორმეთ თქვენი თანხმობა. რამაზ კორინთელს თანხმობის ხელწერილს, კარგად მოგეხსენებათ, ვერ დავაწერინებდით. ბუნებრივია, ძნელი იქნება დავამტკიცო, რომ კორინთელის დადამბლავებული ტვინის განკურნება არ შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ ხომ მაინც იცით, რომ მართალი ვარ. დაე დამსაჯონ, სინდისის წინაშე ხომ მართალი ვიქნები, რომ ამო-

დენა ნაბიჯი მხოლოდ მედიცინის, მეცნიერების წინსვლისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის გადავდგი. ასე რომ, ამ მხრივ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. მე საჯაროდ განვაცხადებ ჩემი ოპერაციის ამბავს, მე გავაგებინებ მართლმსაჯულებასაც და ქვეყანასაც. ვინა ხართ სინამდვილეში თქვენ!

— აღარ დაგვირდებათ ამოდენა გმირობის ჩადენა, ბატონო ექიმო! — რამაზ კორინთელი ნელა წამოდგა, კარადსთან მივიდა, უჯრა გამოაღო და ხელი ჩაყო. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, სახის ყველა კუნთი უცახცახებდა, უჯრაში ჩაყოფილი ხელიც უცახცახებდა, მაგრამ ამოდებას არ ჩქარობდა.

ზურაბ თორაძე უჯრას თვალს არ აშორებდა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რამაზ კორინთელი იქიდან სასიკეთოს არაფერს ამოიღებდა.

— პირველ რიგში შენ უნდა დაისაჯო, ბატონო ექიმო, რადგან შენ გაილაშქრე განგების წინააღმდეგ!

რამაზ კორინთელმა უჯრიდან ხელი ნელა ამოსწია. ზურაბ თორაძეს მუხლი მოეკვეთა. გული შეეკუმშა და აღარ გაეშალა. ჩასუნთქული ჰაერი ვერ იქნა და ვეღარ ამოისუნთქა, გონებააბნეული კორინთელის ხელში გრძელი, ფინური დანა ლაპლაპებდა.

რამაზ კორინთელმა უჯრა უხეშად მიკეტა და თვალეგადმოკარკლული, ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით ექიმისკენ დაიძრა.

ზურაბ თორაძემ უმწეოდ მიმოიხედა, მაგიდასთან, კარის მოპირდაპირე მხარეს იდგა. კართანაც რომ მდგარიყო, გაქცევას მაინც ვერ მოასწრებდა, არ იცოდა, რკინის ურდულიანი საკეტი როგორ უნდა გაეღო. გონება სწრაფად უმუშაუვებდა, მაგრამ გამოსავალს მაინც ვერ პოულობდა. ეყვირა? არ ივარგებდა. გონებააძვრეულ რამაზ კორინთელს კიდევ უფრო გააცოფებდა. მიხვდა, ხვეწნა-მუდარა თულა გადაარჩენდა.

— ბატონო დავით! — საცოდავად

დაიღრიჯა ზურაბ თორაძე. სწორად განსაზღვრა, დათო გიორგიმცხეთელს, მკვლელს, რამაზ კორინთელს უკარგა, შვილის სიკვდილით გაუბედურებულ აკადემიკოსს უნდა შევედრებოდა.

უცებ რამაზ კორინთელს ხარხარი აუტყდა, საშინელი, ამაზრზენი ხარხარი. თითქოს მთელი ტანით ხარხარებდა, გულმკერდი შემადრწუნებლად უთახთახებდა, თვალებიდან კი რისხვას აფრქვევდა.

— აღარავის წინაშე აღარ მოგვიწევს პასუხისგება, ბატონო ექიმო, — ხარხარებდა კორინთელი და მსხვერპლს ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

— ბატონო დავით! — სასოწარკვეთილმა შეჰყვირა მთავარმა ექიმმა და მაგიდის ირგვლივ დაიწყო სირბილი, მეოთხედ თუ მეხუთედ შემოუბრინეს მაგიდას. ზურაბ თორაძე მიხვდა, კორინთელი შურისძიების სიამოვნებას იხანგრძლივებდა, თორემ მსხვერპლს ორი გრძელი ნაბიჯით დაეწეოდა. თუ მოინდომებდა, დაწვევაც არ უნდოდა, გრძელი მკლავებით გადასწვდებოდა და შეთხელებულ თმაში ხელს ჩაავლებდა.

რამაზ კორინთელს თითქოს სიამოვნებდა, მთავარი ექიმის ნაწილებად დაშლილ სახეს რომ ხედავდა, თითქოს ტკბებოდა, მისი თვალებიდან ხვეწნა-მუდარა რომ იღვრებოდა.

ზურაბ თორაძემ ივრძნო, მეტი აღარ შეეძლო. სირბილმა და მოლაპლაპედანის შიშმა კი არა, კორინთელის ამაზრზენმა ხარხარმა დათრგუნა და დაადამბლავა.

— გვედრები, გემუდარები, ნუ მომკლავ! — იყვირა უცებ საცოდავი, ტირილშერეული ხმით და მუხლებზე დაემხო.

რამაზ კორინთელი ხარხარით დაადგა თავზე. დანიანი ხელი ნელ-ნელა მალდა ასწია, მაგრამ დარტყმას არ ჩქარობდა, ფხნებგაშლილი იდგა და ხარხარისგან ისე ცახცახებდა, თითქოს მაღალი ძაბვის დენთან იყო შეერთებული.

უცებ დენი ვილაცის უხილავმა ხელ-
მა გამოართო. რამაზ კორინთელმა
ხარხარი შეწყვიტა, მოცახცახე სხეუ-
ლიც ერთბაშად დაუწყნარდა. ირგვლივ
დუმილი ჩამოწვა, თითქოს ყველაფე-
რი გაქვავდა და გაირინდა.

ზურაბ თორაძეს იმედი ჩაესახა,
იქნებ დაწყნარდა და გული მოუღბაო.
აღარ იცოდა, რა ექნა. კიდევ შეხვეწ-
ნოდა თუ გაჩუმებულიყო. ხმის ამო-
ღება მაინც ვერ გაბედა. ვაითუ კიდევ
უფრო გავალიზიანოო. მუხლებზე და-
ცემული, კორინთელს საცოდავად შეს-
ჩერებოდა, შიშისგან წამწამებსაც არ
ახამხამებდა.

რამაზ კორინთელი გაქვავებული
დასჩერებოდა მთავარ ექიმს. უცებ სა-
შინელი ხმით ამოიბღავლა, ზურაბ თო-
რაძეს მარცხენა ხელით თმებში დას-
წვდა და მარჯვენათი ყელი გამოლადრა.
გადაჭრილი არტერიიდან სისხლმა
თითქმის ერთი მეტრის სიგრძეზე გა-
დაასხა.

ზურაბ თორაძემ ერთი კი შეჰყვირა,
მაგრამ ვაცოფებულმა რამაზ კორინ-
თელმა უმაღვე ყრონტი გადაუჭრა და
ხმა ჩააქმედინა. საშინელმა ზროტინმა,
გადაჭრილი ყრონტიდან რომ ამოდიო-
და. ვერ გამოარკვია რამაზ კორინთე-
ლი. ექიმის თმა მანამდე ჰქონდა ჩაბ-
ღუჯული, სანამ სისხლის შადრევანმა
ნელ-ნელა არ დაიკლო და ბოლოს სულ
არ შეწყდა.

— ჩაძლდა! — სიამოვნებით წარ-
მოთქვა და თმა ხელი უშვა.

ზურაბ თორაძის უსიცოცხლო სხე-
ული იატაკზე დაეხეთქა.

უცებ შენიშნა, ზურაბ თორაძის
მარცხენა ფეხი დროდადრო ისევ ტო-
კავდა. რამაზ კორინთელი გვამს მანამ-
დე დასჩერებოდა, სანამ არ დარწმუნ-
და. რომ ფეხი აღარ ინძრეოდა. შედე-
დებული სისხლით გაწებოიანებულ
მარჯვენა ხელზე დაიხედა. დანა მაგი-
დაზე დააგდო, გვამს ფეხებში სწვდა
და აბაზანისკენ წაათრია. გადაჭრილი
ყელიდან ხელახლა ამოასხა შედედე-
ბულმა სისხლმა.

სიკდილით დამძიმებული სხეული
ძლივს შეათრია ვიწროკარებიან სააბაზანო
ზანოში. მერე დაიხარა, წელზე შეკრ-
ბი შემოხვია, ნელ-ნელა ასწია და აბა-
ზანაში ჩააგდო.

უმაღვე გარეთ გამოვარდა, ვასის-
ხლიანებული ხელების გადაბანა არც
გახსენებია, მაგიდასთან მივიდა, დანას
დასწვდა და ჰოლში დაკიდებულ
გრძელ სარკეს მიაშურა.

სარკეში მთლიანად გამოჩნდა ჭაბუ-
კის ათლეტური სხეული. მარჯვენა ხე-
ლი და მკერდი ექიმის სისხლით ჰქონ-
და საზიზღრად მოსვრილი. სისხლიან-
მა დანამ კიდევ უფრო გაცოფა და გა-
ახელა. აჩქარებული სუნთქავდა. მძლა-
ვრი მკერდი კიდევ უფრო სწრაფად
აუღ-ჩაუღიოდა. დაფართოებულ ძარ-
ღვებში თითქოს ხედავდა, სისხლი რო-
გორ მიმოდიოდა.

ო, როგორ ეზიზღებოდა ეს ღონიე-
რი, დაძარღვეული მკლავები, მაღალი,
ჩამოსხმული ფეხები, გრძელი კისერი,
ხშირი, წაბლისფერი თმა, ოდნავ კე-
ხიანი ცხვირი და თაფლისფერი თვა-
ლები. უცებ გულმა რეჩხი უყო. სად
უნახავს ეს ახალგაზრდა კაცი? გოცე-
ბისაგან კინალამ შეჰყვირა. გონება წა-
მიერად გაუნათდა. გაახსენდა, ერთბა-
შად გაახსენდა, თითქოს გუშინ იყო
ის დღე, სამასაფრიდან შინ ფეხით წა-
ვლა რომ გადაწყვიტა. ფართო ეკ-
რანზე ერთბაშად გამოჩნდა გაქვავებუ-
ლი ადამიანებით და გაჩერებული მან-
ქანებით გაჭედილი გრძელი და ფართო
ქუჩა, საიდანაც მონადენი გაცრეცი-
ლი შუქი, ქუჩას რომ ოდნავ ანათებ-
და, სიკვდილის ფერში ხვევდა ყველა-
ფერს. აი ისიც, დავით გოგრაძე, შე-
შინებული და თავზარდაცემული და-
ბორიალებს გაქვავებულ, მანეკენებად
ქცეულ ადამიანებს შორის. უცებ ისევ
შემოვსმა ადამიანის ფეხის ხმა და
ნათლად დაინახა სრულიად ახალგაზრ-
და კაცი, ალბათ ოცდაორი-ოცდასამი
წლისა. მოდიოდა ნელა, მაგრამ
მტკიცე ნაბიჯებით, თან მოხუც აკადე-
მიკოსს თვალს არ აშორებდა. ისეთი

მრესხანე გამოხედვა ჰქონდა, აკადემიკოსი სინარულმა კი არა, შიშმა შეიპყრო, წელან ალბათ მზე ამ ჰაბუქმა გამორთო, მანვე გააქვავა პლანეტაზე მთელი სიციხნელი და მოხუცს გაცეხული, თან განრისხებული მისჩერებოდა, შენ როგორღა ვადამირჩიო.

„ღმერთო ჩემო, ვანა საავადმყოფოში, ოპერაციის შემდეგ არ შემეპარა პირველად ეჭვი, რომ ეს ახალგაზრდა სადღაც მინახავს? მაშინ ვერ გავიხსენე, ვერ აღვიდგინე გონებაში. ახლა კი... რაღა ახლა, რაღა მაინცდამაინც დღევანდელ დღეს? ნუთუ ესეც ბედისწერაა?“

სხეული ისევ აევსო შურისძიების გრძნობით. ო, როგორ უნდოდა ახლავე აეჩეხა, ნაკუწებად ექცია ენით აუწერლად საძულველი ადამიანი, სარკიდან რომ უნამუსოდ შემოცქეროდა.

სისხლიანი დანა მალღა ასწია, მაგრამ არ ჩქარობდა, უნდოდა ზიზღით ბოლომდე აესებულიყო, შურისძიების წყურვილით ბოლომდე ანთებულიყო. შეეცადა თვალნათლივ წარმოედგინა, რამაზ კორინთელმა როგორ დაახალა სამჯერ ტყვია დათო გიორგაძეს, როგორ შეაბა კაპრონის თოკით რკინის ნაჭერი და როგორ გადააგდო მტკვარში.

— გვიან, შეილო, მაგრამ მაინც დადგა შურისძიების წამი! — წარმოთქვა ცოფმორეულმა და გასისხლიანებული დანის ტარს მეორე ხელიც მოავლო. წამიერად შეყოვნდა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი დაკუნთულ სხეულს, უცებ არაადამიანური ხმით იყვირა და დანა მთელი ძალით ჩაიცა მუცელში.

ო, როგორი შეება იგრძნო.

არ იცოდა, თუ შურისძიება ამოდენა სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს.

მუცლიდან დანა უმაღვე გამოიძრო და კვლავ მალღა აღმართა. ჭრილობიდან გამოვარდნილმა სისხლის ნაკადმა სარკე წითლად შეღებდა.

გაცოფებულმა და სისხლის სუნით

დამტკბარმა კიდევ რამდენიმეჯერ ჩაიცა დანა მუცელში.

— ესეც შენ! ესეც შენ! — ყვიროდა გამწარებული და საკუთარ სხეულს საოცარი ნეტარებით კეპავდა.

— გული, გული უნდა გავუბო, ბინძური გული! — საზარელი, სისხლში ამოვლებული ხმით გაჰყვიროდა შურისძიებით გონებადაბნეული, მაგრამ ყრონტიდან მხოლოდ ხრიალი და სისხლი ამოსდიოდა.

კედელზე მიბჯენილი სისხლიანი დანის წვერი გულზე მიიდო და მთელი ძალით მიაწვა. გრძელ, ბასრ დანას ჯერ თითქოს გაუჭირდა, შემდეგ სწრაფად შევიდა სხეულში, ნეკნი გაგლიჯა და გულამდე მიადწია. თითქოს იგრძნო, დანის წვერი რომ გულს ედებოდა. კიდევ უფრო დატკბა სიამოვნებით. მიხვდა, ჰაბუქის ნავარჯიშევი, ღონიერი გული ხაფანგში მომწყვდეული მხეცივით ფართხალებდა, ნეკნებს ეხეთქებოდა, მაგრამ მიბჯენილ დანას ვეღარსად გაუტრობდა. კიდევ ერთი მოძრაობა იყო საჭირო, კიდევ ერთი ენერგიული მიწოლა და საძულველი სხეული უსიცოცხლო გვამად იქცეოდა.

ო, რა სიამოვნება მიანიჭა ამ მოძრაობამ. კედელთან მიმწყვდეულმა გულმა თითქოს ადამიანივით იყვირა, პარკუჭებით დანას შემოესალტა, თითქოს ცდილობდა, ბასრი დანა როგორმე შეეკავებინა, მაგრამ ამაოდ. ორად გაპობილი და დანაზე გადაკიდებული გული რიყეზე ამოგდებული თევზის ლაყუჩებივით ფეთქავდა.

უკან დაიხია, გულში ტარამდე ჩარჭობილი დანა აღარ გამოუღია. სისხლში ამოვლებულ და მუცელგამოფართულ სხეულს სიამოვნებით შეავლო თვალი და ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით ოთახისკენ გაემართა. არ უნდოდა ჰოლში წაქცეულიყო. როგორც იქნა, გადააბიჯა ოთახის ზღურბლს, ცალი ფეხით მუცლიდან გადმოვარდნილი ნაწლავი გაგლიჯა და იატაკზე გაიშლართა.

საოცარი ნეტარება დაეუფლა. მიხვდა, სულ მალე დასტოვებდა ჯერჯერობით კიდევ მფეთქავ საძულველ სხეულს.

სული, დავით გიორგაძის სული, როგორც დამფრთხალი ჩიტი ვალიის კედლებს, ისე ასკდებოდა დანით დაფლეთილ მუცელს და გულმკერდს. ნაპრალს ეძებდა, რომ როგორმე გამომძვრალიყო და თავი დაეხსნა ღღემდე გაუგონარი, ენით აუწერელი საზოგადოებრივ ტყვეობიდან.

„ცოტაც კიდევ, დათო, ცოტაც მოითმინე და შენთან ვიქნები. შური უკვე ნაძიებია! ახლა მთავარია, როგორმე გამოვძვრე ამ მძორიდან. ცოტაც მოითმინე, შევილო!“

დავით გიორგაძე მიხვდა, გულში ვარჯობილი დანა უშლიდა ხელს, რამაზ კორინთელის მომავლადვი სხეულიდან რომ თავი დაეღწია. მარჯვენა ხელი შეანძრია. გაეხარა, რომ დაემორჩილა. თითები ნელ-ნელა მუცელზე ააცოცა, მკერდამდე ძლივს მიიტანა და დანის ტარს ჩაებლაუჭა. მეტი ვეღარ შესძლო. ააშინელი შიში დაეუფლა, ვაითუ თავი ვერ დავაღწიო, ვერ ამოვძვრე ამ საზოგადოებრივ მძორიდანო. ვაითუ, მეც ამ ლეშთან ერთად უნდა მოგვკვდეს და სამუდამოდ ჩავრჩე ბოროტი გენებით სავსე სხეულშიო.

კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა, დანის ტარს თითები მაგრად შემოუჭირა და ნელ-ნელა ამოსწია. როგორც იქნა, ამოაძრო. დანას შედედებული სისხლი ამოჰყვა და ჭრილობაში საცობივით გაიჩხირა.

სააოწარაკვეთილებამ შეიპყრო. სულმა მანც ვერ იპოვა გამოსავალი. ვერ იქნა და გამწარებულმა რამაზ კორინ-

თელის სისხლჩაგებულ სხეულს ვერ დააღწია.

კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა-ღონე. უქანასკნელად სცადა ბედი. მიხვდა, ან ახლა ვაითავისუფლებდა თავს, ან სამუდამოდ შეახმებოდა რამაზ კორინთელის საძულველ სხეულს.

გვამში გამეფებულ საშინელ სიბნელებში უჭაერობა ახრჩობდა. კიდევ ერთხელ დაეძგერა ვაპობილ მკერდს ხაფანგში მომწყვედელი გამძვინვარებული აეზასავით.

უცებ საოცარი სიმსუბუქე და შეება იგრძნო. უანგბადით სავსე მაცოცხლებელი ჰაერი სწრაფად ჩაისუნთქა. მიხვდა, თავი უკვე სამშვიდობოს ჰქონდა გამოყოფილი, უსაზღვრო სიხარული დაეუფლა, საბოლოოდ დარწმუნდა, რამაზ კორინთელის საძულველ სხეულს სამუდამოდ ეთიშებოდა.

კიდევ ერთი მონდომება, კიდევ ერთი გაფართხლება და აყადემიკოს დავით გიორგაძის სული საშინელი სისწრაფით აიჭრა ცაში.

— მოვდივარ, შევილო, მოვდივარ. სულ მალე შენთან ვიქნები! — შეჰყვია ცას.

მილიონობით ექომ უზარმაზარ სივრცეს მოჰფინა დავით გიორგაძის ხმა.

თვითონ კი მიჰქროდა და მიჰქროდა, უქან მოხედვის სურვილიც აღარ ჰქონდა. შავ სივრცეს საშინელი ძალით მიაპობდა. თითქოს ცდილობდა დასწეოდა საკუთარ ხმას, რომელიც შორს, შორს, უსასრულობაში ინთქმებოდა და იყარგებოდა.

შავად მოლაპლაპე ცა თანდათან ემსგავსებოდა უზარმაზარ, უკიდევანო სისაფლაოს, სადაც ყოველი საფლავის თავთან ვარსკვლავი ციმციმებდა.



აქვავის აპრილი

ჰყვავის აპრილი და ველებს აფერადებს,
 ფრფვენა-ზეობაა მინდვრად,
 მიწყვი მამულს ჩემსას ამდაგვარს ვხედავდე,
 ასეთი საქართველო მინდა.
 ათასი ყვავილი ათასი აზრია,
 ათასი ფიქრია თუნდაც...
 უნდათ თავისმიერ სიბრძნეს გვაზიარონ,
 თვითთულს მოსმენა უნდა.
 ოქროს კუნძულია ჩვენი მიწა-წყალი,
 ზღვასა ორსა შუა ძევს,
 ბევრი ძვირფასია ირგვლივ ნატურთალი,
 და ბევრს ზმანებაში ხვევს.
 ცალკ-ცალკე ყოველი ქართველი გმირია,
 ერთად — მტრის მეხი და რისხვა,
 ჩვენა ვშვით რუსთველი, ჩვენია ილია
 და ვაჟა — წყალობა ღმრთისა.
 ჩვენი პოეტია მებრძოლიც, მგოსანიც,
 ბელადიც, პოეტიც, კაციც...
 ხალხის მიერაა ის გვირგვინმოსილი
 და ხალხისავეა ხატი.

კიდევ კარგია!

ჯერ მთელი ღამე წინ არის კიდევ,
 გადასახდელი წინ მაქვს ომები
 და ომებს შორის ნუგეშიც
 მკვიდრობს —
 დილის მზე, გულზე მოსაფონები.
 კედლიდან გულს და გულიდან
 კედლებს
 ეხლება ფიქრი და ომებს იწვევს...
 და ამ შეხლას და შემოხლას, ეგრეც,
 გულის ფიცარზე დამღებად ვიწერ.

მერე... ჩვენ გვიან ვგებულობთ
 შედეგს
 და ნაბრძოლ გულებს ვუწყვებთ
 ნორმებს...
 ღამესთან დიდი ომების შემდეგ,
 კიდევ კარგია, თენდება ხოლმე.
 კიდევ კარგი, რომ თენდება, თორემ,
 რა გაუძლებდა ღამესთან ჭიდილს...
 და კიდევ კარგი, ამ მტანჯველ ომებს
 მოსდევს ნათელი ვეება, დიდი.

ისივე, როგორც...

სწორედ რომ კარგად ვიცოდით
 მართლაც,
 კარგად ვიცოდით ამ საქმის ბოლო,
 მაგრამ თუ ცოდნას სიბრძნე არ
 მართავს,
 ცოდნა ამგვარი ცოდნაა მხოლოდ.
 ისევე, როგორც ეს ტყე და წყალი,

მინდორ-ველი და მაღალი ქედი,
 თუ მოყვარული არ უმზერს თვალი,
 მთა და ბარია და არცაა მეტი.
 ისევე, როგორც თუ არ ფეთქდება
 გულში ნაღმები, იცოდნეს კაცმა,
 გული ამგვარი ჩუარს თუ ეღრება,
 ჩუარია იგი და მეტი არცაა!



პოეტი არის ვეება გული,
 მინცდამაინც ვეება გული,
 პოეტი არის, ცხადია, სულიც,
 გულთან კი სულიც კი არის ნული.
 პოეტი არის მხურვალე გული,
 პოეტი არის, ცხადია, აზრიც,

და ეს... მხურვალე გულისგან თქმული
 აზრებიც მოდის მხურვალედ ნაზი.
 ვეება გულის უბრალოდ თქმული
 დადადისივით ცათამდე ადის...
 დახატეთ დიდი, გიზგიზა გული
 და ეს იქნება პოეტის ხატი.

ვაზის სურნელით...

დაკოყრილ ხელში საგსე კალათი,
 კართან დგას ჩემი ვეება მამა...
 ვაზის სურნელი უდის ხალათზე,
 მოუძღვის თავის ჯავას და ამაგს.
 დავჩერებივარ კოყრიან ხელებს
 და მამა რომ ვერ ვუსწორებ თვალებს,
 მხოლოდ იმიტომ, თვალთაგან ღელე
 არ დამცდეს და არ ვაგემო მწარე.
 გადმოიშალა დიდი კალათა,
 აბზინდა ჩემი სოფლის ბარაქა...

ნათელი მწუხრი — დედის ბარათი
 და სათნოება ალაპარაკდა.
 მამა კი დგას და დაღალულ მზერას
 ავლებს კარადებს, ჭერს და სურათებს...
 ამ ღამეს ლოგინს დაუვებებ ფერადს
 და... სოფლის სუნთქვას მივთვრადებ.
 ახლა კი დავცქერ მის ნაჯაფ ხელებს
 და თუ ვერასგზით ვუსწორებ თვალებს,
 მხოლოდ იმიტომ, თვალთაგან ღელე
 არ წამცდეს და არ ვაგემო მწარე.

ჰეი, საყვარელო მესხიებო!

ობუჯში მესხიების უბანია,
 ამ უბნის უფალი — უფალია.
 ქალამნად მიწა აქვთ, ზეცა კი ქუდად,
 არცა ვია ზღუდავენ, არცა ვინ
 ზღუდავთ.
 არია ფირუზის და ზურმუხტის ცვენა,
 დუმილს რომ არ ავნოს, მდუმარებს ენა.

დგანან მესხიები — ნათელნი, ლაღნი,
 მარტო უსტუმრობით ესობათ დაღი.
 დღისით ამ უბანში ცისფერი არეა,
 ღამით — კაკაჩია, ნათელი მთვარეა.
 ჰეი, საყვარელო, ნაღდო მესხიებო,
 კაცებო ლომებო, ქალებო იებო!

დგანან მესხიები — უხვნი და ალაღნი,
 მსგავსი სიალალე ამქვეყნად არ არი.

საწუთრომ ნურასდროს ვაგემოთ სიავე,
 მიწყვი ილომეთ და მიწყვი იიავეთ!

იფურცლება რვეული...

დავალ განშორებების
 სიტკბოთი და სიმწარით,
 ჩაიფერფლა ვნებები,
 მიილია სიმწვანე.
 შემრჩა თავისთავადი
 ზნეობა და წაღველი,
 ყოველივეს დავარქვი
 შესაფერი სახელი.

ახლა თოვლიც თოვლია,
 მთვარეც — მკვდარი სხეული,
 დღენი ჩემი მგონია
 წუთისოფლის რვეული.
 იფურცლება რვეული
 ნელა-ნელა, ჩქარჩქარა,
 იხურება რვეული, —
 წასვლის ჟამი დამდგარა.

ჩემი სიმღერა... ვიცი, გულში ჩაგწვდება იგი.
ჩემი სიმღერა იმღერება ჯერ შენთვის, მერე —
მოეფინება ტყეს და ქალას, მთებსა და ველებს,
იგია შენთვის და შენს გამო შექმნილი წიგნი.
ყველაზე ბოლოს ჩაგწვდეს, იქნებ, ეს ჰანგი რიგით,
იგრძნობ კი, ვიცი, შენთვის კუთვნილ სიტბოს და ფერებს,
ამენას დაგიტყობა ბგერა ჩემი — რაკრაკა დღელ
და ამ იმედით, იქნებ კიდევ სიცოცხლე მიღირს.
ჩემი სიმღერა იმღერება ჯერ შენთვის, მერე
ვინ იცის ვისთვის.. შენ დაუღე სიმღერას ფუძე,
მერე, ვინ იცის, მოეფინოს იქნება ხმელეთს
ის, რაც გულიდან იმღერება, გრიგალებს უძღვებს,
მას, რაც ერთისთვის იმღერება, შორი გზა უძევეს,
კულიდან იძვრის და გაივლის მირიად გულზე.

და... მაინც

ეს... საქართველოს ყველა სოფელთან,
ყველა ქალაქთან დიდი ბოდიში,
თუ უფრო მეტად მესათუთება
და გამორჩევით მიყვარს. ოდიში.
თითქმის არცაა მოჩანს ისეთი,
რითაც სჯობნიდეს ის სხვა ალაგებს,

თუმცა... რად მინდა მეტი მიზეზი,
მე თუ ამგვარად მაღაპარაკებს.
მიყვარს ცხუმარი, გრემი, სურები,
ჩოხი, კლდეეთი, ბისო, ზოგში,
ყველა — ძვირფასი და სასურველი
და მაინც... მეტად მიყვარს ოდიში.

ეს ჩიტი უფალს ესაუბრება,
და რად გვგონია გალობს,
თუ... ღვთის ნუკვას და გალობასა აქვს
ერთი სათავე — წყარო?!
იმგვარად ლალობს, იტყვი ქალია,
ან უნებლიედ ქალობს
და ქალის ნაზი გულმხურვალებით
წუხს და კიდევაც დარობს.

გალობს იგი და ეგალობება
მისით მიდამო-არეს
და გალობაში ისე ეფლობა,
მიეხუტება თვალებს...
ეტყობა, ასე უფრო ახლოა
ღმერთთან და თავის თავთან,
ღმერთო მაღალო, გადააფარე
შენი წყალობის კალთა!

მე ისევ მიყვარს

ახლა სხვანაირ ლექსებსაც დავწერ
და სხვანაირად ვიმღერებ კიდევ,
ვიღაცას უნდა გულიც კი დავწვა,
ვიღაცას უნდა სიხარულს ვგვრიდე.
მე ისევ მიყვარს და რადგან მიყვარს,
რალა თქმა უნდა, ვარსებობ კიდევ,
და კიდევ ვხედავ იმ მთების მიღმა
კავკასიონის თოვლიან რიდეს.
მაგრამ რომ მიყვარს, ცოტაა ძალზე,
ტრფიალში უნდა ამომხდეს სული

და თუ ამისთვის არ მეყო ძალა,
უმაღვე უნდა შევიქნე კრული.
ღღეს სიყვარული არავის უკვირს,
მაგრამ დაბნედა უცხოა სწორედ...
და სიყვარული — დამფრთხალი ნუკრი
მისჩერებია ფირუზის შორჯთს.
მე კი სხვანაირ ლექსებსაც დავწერ
და სულ სხვაგვარად ვიმღერებ კიდევ...
ვიღაცის უნდა გულიც კი დავწვა,
ვიღაცას უნდა სიხარულს ვგვრიდე!

შხუოდა არაგვი, არაგვის ნაპირას,
როს შეყვარებულთა წყდებოდა
იღბალი,
როდესაც კაი ყმამ მის ჭანვლებს
ვაპყვირა,
ხოტბით ჩაიღეწა როს გულის ფიცარი.

ზეცა ალბათ იყო ცისფერი მანდილი,
გოგო ალბათ იყო — პაუ, რა ლამაზი!
ბიჭი მსგავსი იყო ალბათ ავთანდილის,
ნაპირი არაგვის — დარბაზი მეფეთა.

ცხონდა გაზაფხული! იდგა და
ხარობდა,
ყმაწვილმა იმ გოგოს
როს კოცნა შებედა.

აი, აჟ, მუხასთან ლამაზმა ასულმა,
როცა ის პირველი ამბორი იწყინა,
ვეყვამა სიბრაზით წყალგაღმა გასულმა

მერე კი იცინა,
იმდენი იცინა...

ეს იყო დიდი ხნის,
ათასი წლის წინათ.

გაქრა ის ხალხი და, ის სულისკვეთება
გიჟური,
შემოგვრჩა ჭალებში მე და შენ,
ქაფდება არაგვი, როგორც საწინახელში
დრდტეინავს და გადმოდის ამბოხი
ზედაშე.

მორბოდა,
შხუოდა,
დიოდა არაგვი,
როგორც დღეს მოკბლავის ბალახებს
ცვარიანს,

იქუხე,
იხუველ შენ, ჩემო არაგვო,
აჟ შეყვარებულთა ხეები ჰყვავიან!

სამრეკლო

რეკავენ ზარები...
რეკავენ ზარები...
რეკავენ ზარები...
ქარი აფთარივით შეღმუის სამრეკლოს,
რეკავენ ზარები...
რომ წამოაჩოქონ ამა წუთისოფლით მოღლილი მგზავრები,
უფრო მგზნებარებით
აგზის მგზნებარებით
რეკავენ ზარები.

რეკავენ ზარები,
სიკეთია საწყისად
რეკავენ ზარები,
გულამდე მწვდებიან ურწმუნო თომათა ნასროლი ისრები,
მაინც გააფთრებით,
მაინც გაგიყებით
რეკავენ ზარები:

— დაჰკარით ცულები ჭრელთვალა ბოჩოლებს განიერ კისრებში!

— დათესე, ნუ იმკი!
დათესე, ნუ იმკი! —
რეკავენ ზარები
და ფილოსოფია, ჩემო იარალი,
ამგვარი თუ იცი,
ჩრდილს ნუ ეფარები,
უფალი იმ ქვეყნად სამოთხეს გპირდება,
შენ ნუ გახელდები,
მაისში ატამი
როს ვაიკვირტება!

დაუთმე ყოველს და
დათმე ყოველივე! —
რეკავენ ზარები,
ილოცე,
ილოცე,
ილოცე,
მუხლები მიწას მიაკვირეთ,
შენთვის უცხო იყოს
ლაღად მობერილი ცთუნების ქარები,
წარბი არ შეხარო,
მერმე გაგინათებს საფლავს ბეატრიჩე!

რეკავენ,
რეკავენ,
რეკავენ, ზარები,
ჩვენ კი, იარალი,
დახეთქილ ბაგეებს ღამის ნეტარებით
ღვინოში ვააველებთ.
არღწით და თარებით
ისე მოვიღწინოთ თრთოდეს ეშმა რიდით.

გარნა რომელია, აბა რომელია,
გზაი კეშმარტი?



ჰაუ,
ჰაუ,
რამხელა დრო,
რამხელა დრო გასულა,
მე და შენ არ გვითელია
ჩვენი მწვანე ჭალები,
ისევ,
ისევ,
ისევ.
ივე მიმოშხუია კავთურა,
წყაროს ეჩურჩულებიან მომღიმარი ქალები.

რომ უცოდე,
რომ იცოდე,
გული როგორ ბღღვრიალებს,
თეთრი რაში გველოდება მუშტის ტოლა თვალებით,
ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ წარსულ დღეთა იარებს,
ჩვენი ვერხვნი ქანაობენ ქარში, როგორც მთვრალეები.

ასხლეტილი შურდულივით
თუ ამიცდა ატრიქონი,
იცის ცრემლის ნაგუბარმა,
გულით რაიც მეწადა,
ერთგულება შემოგფიცე,
ვერ ვთქვი სიტყვა ლიტონი.
ყამი მიჭრის...
მოდო, მითხარ,
მეტი სადღა მეცადა,
გაფრენილი შურდულივით დაგადევნე სტრიქონი!

ეს ღრუბლებიც გაფანტულან,
ჰე, მთვარევე სალამი!
ნახე, როგორ ველოდები ცისფერთვალა ქალბატონს,
ლამის ცაში ამოვიჭრა, მოვიქნით კალამი,
რა სჯობია!
რა სჯობია!
ჩვენი ზეცის კაბადონს!..

მინდა,
მინდა,
შენთან ყოფნა,
მხოლოდ შენთან მწადიან,
თორემ თითქმის აგერ უკვე სამი წელიწადია,
ერთად აღარ გვითელია ჩვენი მწვანე ჭალები,
ვერხვები კი ქანაობენ
ქარში, როგორც მთვრალეები.



ცისარტყელა

გულის თვალით მოვდექე ქუნას,
გიმზერ, ვფიქრობ, კიდევ ღვლილავ
თმას გიწიწავს ქარი ურჩად,
არც ღირს შენთან გასამხელად!
იქნებ სადმე ჩატყდა ხიდი,
იქნებ გზაზე გიჭირს მარტო,

ვიდრე მოხვალ, არ ვარ შიშით,
მოხვალ, მიკვირს რატომ ვდარდობ?
დილით ასე მიგაქვს მხრებით
ამ კედლების სითბო, რწმენა,
სალამოს კი კართან გვხვდები
და შემოგდევს ცისარტყელა!

პაწყო სტვირეკად

ისე ჩამოწვიმს ცის სამრეკლოდან,
გალუმბავს ღამეს უბელო ქარი...
ხმებით ავსებულ პატარა ოთახს
სარკმელი არხევს საყურესაგით!

ზედაჯვრის მთაზე მალე ინათლებს,
ნატბორი ფოთლებს შეკრავს ტივებად...
ღამით დატყეხილ სტვირის კელაპტრებს,
დილით ავაწყო ისევ სტვირებად!

ფრონის პატარა წყალო

სადირბოს სანახებიდან
შემომხვდი ფრონის წყალო,
ცხოვრების დოლაბს შებმიხარ,
წლებისგან ნალეს-ნალოკს!
მოანთებ ატმის კელაპტრებს,
ფერებად ქცეულ ტკივილს,
ღამეს მიიკვლევ ანანთებს
მთვარის ქათქათა ტივით!
ხან დაუმცხრალი ზენა ქრის
და ვერ ისრულებ წადილს,

დაუბარავი ვენახის
ლოდივით გაწევს დარდი!
მოგაქვს ჭირთმენის მარხილი,
კაცივით ებმი სამკალს,
ჭალიანს შენი ძახილით
ალამაზებ და სარკავ!
გასაკვალავო აღვილად
ზვარსა და მეზვერეს წამლობ,
ზედ გულზე რად გადმომდინარ
ფრონის პატარა წყალო!

ჩემი თეთრი გიტარა

მომართულა სასიმღეროდ,
ვინდ უსმინო. ვინდ არა,
მაინც მღერის აკაცია
ჩემი თეთრი გიტარა!
ქარი სიმებს ჩამოკრავს და
ამოხეთქავს გულიდან,
მქვია თეთრი აკაცია,
წინაპართა სული ვარ!
რაც ტკივილი განმიცდია,
ტანზე ეკლად მასხია,
სიხარულად მრთავს ყვავილთა
უთეთრესი არშია!

მღერის თეთრი აკაცია,
მიწას აყრის ყვავილებს,
მოვა ქარი ნაცნობ სურნელს
ეზო-ეზო წაილებს.
ფანჯრებს ფრთხილად მიმოალებს
შევა დაუკითხავად,
სასიმღეროდ შეირხვევა,
ჩემი თეთრი გიტარა!
ქარი სიმებს ჩამოკრავს და
ამოხეთქავს გულიდან,
მქვია თეთრი აკაცია
წინაპართა სული ვარ!

გეორგ ჰაიმი

შემოდგომის ბალი

სულეზო წყლისა და სულეზო ქარების,
 საღამოს წიაღში წმინდად მიილულეთ,
 გიზგიზით იძარცვის ტყეები ფერადი,
 მშვიდი და სველია ლელიანი ყურე.
 გემები სადაფის სინათლეს მიჰკვეთენ,
 მზე რომ ეღვენება შორში დასალიერს,
 ყველაფერს გლოვობენ მწუხრის ტირიფები,
 წყალში ჩაკიდულან, ტალღებს ჩასტირიან.
 და ასე მომაკვდავ ბაღების დუმილში
 ოქროსფრად ჩაფერფლილ ხეთა ხმოვანება
 ატოკებს ფოთლებს და უამრავ სიკვდილთან
 ერთად უხილავად ჩამოიბარდნება.
 მკვდარი სიყვარულის სუნთქვა მინავლული
 გედება მჰკნობარე ფოთლით და რტოებით,
 მრავალგვარ დასასრულს გახსენებს სურნელი,
 მწუხრის ბილიკებზე სევდა გიმარტოებს.
 მაგრამ შემოდგომის წვიმამ რომ დაგავა,
 უფრორე წმინდაა ველობი გლუვი,
 ქარი კაემნიან დაისს ალოკავს და
 ბინდში ტანდალეულ არყებს ჩამოუვლის.
 აქა-იქ დიდრონი კიაფობს ვარსკვლავი
 და სუნთქავს მათ ჰვემოთ სანახი მშვიდი.
 ერთხელაც გენახეთ, რომ დავიმახსოვროთ,
 რა ვარდისფერი და მშვიდია ბინდი.

შენი წამწამები გრძელი წამწამები,
 და მათ შორის უბნელესი წყლები,
 მიმოლე, ჩამიძირე,
 მაჩვენე ფსკერი.
 კაცი ეშვება მიწის
 სიღრმეში, მღვრიე ჰრაქი
 მადნის ჭიშკართან ბუტუტავს,
 მღვრიე თაღებზე თრთის.

შეხე, ვეშვები შენში,
 რომ დაივიწყოს ხსოვნამ,
 რაც კი ხშიანებს გარეთ
 შუქი, ტანჯვა და დღე.
 ხორბლის სურნელით მთვრალი
 მინდვრად ჩამდგარა ქარი,
 სნეულ ნარეკლის ბარდებს
 ლურჯი ირეკლავს ცა.



გამომიწოდე ხელი,
 და შევეზარდოთ ერთუროს,
 ერთ ქარად გადავიქცეთ,
 ეულ ფრინველთა ფრენად.
 ზაფხულში მოვუსმინოთ
 ყვითელ ავღარაჲ ქორალს,
 გავბანდეთ გრაჲ ნათელში
 ნაპირზე ლურჯი დღის.
 ზოგჯერ შეღწერდეთ ბნელი
 ჭის თავზე, ჩაეხედოთ,
 და ჩვენი სიყვარული
 ვკითხოთ უჩუმარ ფსკერს.
 ან ოქროვანი ტყიდან
 ჩამავალი მზის ბილიკს
 გამოვყვებთ, მწუხრის თაღნი
 სხივი შეგვიმოკბს შუბლს.

ნადველო ღვთაებრივო,
 ჰა, თასი, გაერინდე
 სიყვარულს მარადიულს
 ნელა დალიე ძილი.
 ბოლოს სექტემბრის ყურეს
 მივაშუროთ და დავდგეთ,
 სადაც მოარწევს წყალს
 ყვითლად დალაქულ ზურგს.
 ანდა ავუყვებთ ბილიკს
 და მწირ ყვავილთა ქოხში
 გავყუჩდეთ, სადაც მღერის
 ეული ქარი კლდის.
 მაგრამ ჰაერის ლურჯში
 რხეულ ალვის ხეს უკვე
 მოსწყდა ფოთოლი თაღნი
 კეფაზე დაგეფინა.

გერმანოლოიან ოარგმა ნაირა გელაშვილმა

ქალაქის ღმერთი

სახურავებზე გადამჯდარა, გადამხოზილა,
 ქარაშოტები კერპის შუბლთან კვლავ ბინადრობენ.
 მრჩაჩანედ უმზერს გარეუბანს, სადაც ობოლი
 ბოლო სახლები თითქოს ცაში წასვლას ნატრობენ.
 მეწამულითფრად ულაპლაპებს დაისი მუცელს,
 სწამთ მუხლმოდრეკილ დიდ ქალაქებს მისი დიდება,
 ეკლესიათა ზარების ხმა გაისმის უცებ,
 შავი კოშკების ზღვიდან მისკენ მიიზვირთება
 ისმის მუსიკა მილიონთა, ხმა დამღუპველი...
 ველური როკვა... ჩანს უთვალავ თვალთა სარკმელი,
 მიღობს ჭეპრტლი, ფაბრიკათა კვამლის ღრუბელი
 მიიწევა მისკენ, ვით მსუბუქი კვამლი საკმეველის.
 ავი ტაროსი კერპის წარბებს რომ შეერევა,
 საღამო მიდის ღამისაკენ ბინდის ფათურით,
 კერპის თმაგაშლილ უღრანიდან, როგორც ძერები
 იმზირებთან ქარიშხლები ფრთაშემართული.
 განრისხებული გადმოსტყორცნის ციდან ცეცხლის ზღვას,
 გავარჯარებულ ცეცხლის ნაკადს ხმელეთს მიანთებს,
 მუშტს მოუღერებს და ქალაქის ქუჩებს შერისხავს
 და ქალაქს შთანთქავს გეჰენია გამთენიამდე.

ოფელია

1

წყლის ვირთხებს სორო ვაუშართავთ მის გაშლილ თმაში,
 მისი მკლავები, როგორც ფრთები მიაჭვს დინებას,
 მიდის, მიჰყვება წყალმცენარის ჩრდილთა თამაში,
 რომელიც ფსკერის უღრანიდან ტანს ეფინება.

მზე ჩამავალი, მზე წყვედიადის კარად მისული,
შეუერთდება მისი ტვინის კვილს შემზარავს,
რად მიიცივალა, მარტოსული თვალდანისლული,
ამ ხავსიანი წყლის დინებას რად დაემგზავრა?
ქარი შამბნარში შემალული ხელს უცაბედად
აიქნევს თიფქოს და ღამურებს ბნელში ამოშლის,
ღამურები კი ბინადარნი მღვრიე ღამეთა
აბოლებენ წყალს მიმავალს ბნელ საღამოში.
გვამს ღრუბელივით ეხვევიან, იკლაკნებიან
ჭიაყელები ფუთფუთებენ, მიაცილებენ,
დაატირებენ ტირიფები, ბნელში კრთებიან
და გარდაცვლილის მუნჯ ტკივილებს ინაწილებენ.

წითელი ოფლი მცხუნვარებამ ჩამოიწურა,
ჩასძინებია მინდვრად ყვითელ ქართა მუდარას,
ის — დაქანცული ფრინველივით ისევ მიცურავს,
გედების ფრთები ეფინება, როგორც სუდარა.
ლურჯ ქულოლოებს უმოძრაო ჩრდილი დარაჯობს,
ფერწასულ ძნათა მელოდის ყვითელ ალერსში —
დაესიზმრება ძოწისფერი კოცნის ყაყაჩო,
რომელსაც ნახავს სამუდამოდ ცივ სამარეში.
იცურე! წადი! — სად ქალაქთა აურზაური
არხში მოამწყვდევს თავისუფალ სწრაფვას მდინარას, —
სადაც ქალაქთა მღვრიე ექოს რა უცნაურად
გამოსცემს ქუჩა მოთუხთუხე. დაუძინარი.
ისევ ქუჩები, კვლავ ზარების რეკვა გაისმის.
პრძალა. ღრუბალი მანქანების, ხმა დაზაფრული,
ჩამქრალ ფანჯრებში დასაველური მძიმე დაისი
და ვებერთელა ამწეს ხელი ბანდში ჩაფლული.
შუბლშეჭმუხნული, უძლეველი მოჩანს ტირანი
და მის ვარშემო მუხლმაცარილი შავი მონები,
მძიმე ხიდები, და ხიდებქვეშ წყალი მტირალი,
ხიდთა ჯაჭვები, არეკვლილი ხიდთა რგოლები.
ის კი მიცურავს უსიცოცხლო და უდრტვინველი,
მაგრამ სადაც კი ბრბო გროვდება, როგორც მორევი —
ვეებერთელა ფრთით განდგენის შავი ფრინველი;
და ფრთების ჩრდილებს მიმოაფრენს ნაპირს ორივეს.
იცურე! წადი! სად სიბნელეს ეზიარება
ღღე დასაველურად უმალღესი, ქრობა ზაფხულის,
სადაც ველების მწვანე სივრცეს მიეზმანება
'აღამოების დაღლილობა სულგანაბული.
მოაქვს მდინარეს; მდინარე კი დინებით ნიღბავს
მწუხარე პორტებს, ზამთრის სუნთქვას ნისლად მოწოლილს,
მოაქვს მდინარეს ამქვეყნიურ სივრცეთა მიღმა,
სადაც გიზგიზებს ჰორიზონტი, როგორც კოცონი.

არნოლდ ჩიქობავა — მონაწილე და გამწვანებელი

არნოლდ ჩიქობავას და მის მიგობრებს — ხიმონ ჯანაშიასა და ვარლამ თოფურისა — წილად ხვოთ ბიენიერება გამხდარიყვნენ ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები. მაგრამ ამ ახლოგაზრდებს როდი ეცალათ წილობიერი ბედნიერებით ტკობისა და ჰაბუკური ზეატაყბისაოვის. მათს ბიენიერებას თუმც არ აქარწყლებდა, მაგრამ უჩვეულოდ ამძიმებდა უდიდისი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა. — მოვალეობისა, როკელსაც ივანე ჭავჭავიძელის მოწაფეობა ერქვა.

ის მეცნიერული თუ ზნეობრივი კრიტერიუმები, რომლებიც ბუნებრივად შემეშავდა უნივერსიტეტის დაარსებისა და დეკლარაციების პროცესში, იქცა მასწავლებლისა და მისი მოწაფეების ურთიერთობის ამხსნელადაც და ერთობლივი საქმიანობის შინაგან იმპულსადაც. ფრანგ პოეტს ნოდის რამ დავესხნოთ, „ითოეული მათგანი მომავალ დიდ აღმსარებელ გრძნობდა თავს“ (ალ. ჯანელიძის რამოწმებით). ამ შემთხვევაში მათ თავი ახლად შექმნილი ქართული უნივერსიტეტის დიდი მისიის მონაწილეებად ესახებოდათ.

ეს იყო მთელი ეპოქა და მას არ შეეძლო, თავის მხრივ, რამდენადმე მნიშვნელოვანი დალი არ დაეჩნია ამ ეპოქის შემოქმედთათვის. შორს რომ არ წავიდეთ, თუ გადავხედავთ იმდროინდელ სტუდენტურ ფოტოსურათებს, შევამჩნივთ, — და ეს არ იქნება თვალის ცთუნება. — რომ ეს ჭერ კიდევ უწევრული ახლოგაზრდები თავიანთი დარბაისილური მწერითა და თავდაპირთ ნამდვილ ბრძენაკებად გამოიყურებიან. და გამოიყურებიან არა მხოლოდ გარეგნულად: გავიხსენოთ, რომ ოცდახუთი წლის არნოლდ ჩიქობავა უკვე რედაქტორია საინათმეცნიერო ჟურნალისა „წელიწადი“ და გამოქვეყნებულთ აქვს ისეთი განმარტოვადეცნული შრომები, როგორცაა „ზოგადი თვალსაზრისისაოვის“ ანდა „უჩე ნაწილაკი ფერადი ნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით,“ რომელთა პოსტულატები არც ჩვენში და არც სხვაგან დღემდე არ შერყეულა; ამავე ასაკში სიმონ ჯანაშია ივანე ჭავჭავიძელისადმი მიძღვნილ კრებულში ათავსებს „საბა ასურის ცსორგის“ კუბლიკაციას გამოკვლევითურთ; გავილის სულ რამდენიმე წელი და ვარლამ თოფურია გამოაქვეყნებს თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიას სვანური წმინის შესახებ, რომელიც დღემდე ერთადერთი და უცვლილი სახელმძღვანელოა ამ დარკში.

თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამოშვების სტუდენტები ქართული მეცნიერებას ბურჯებად წავიდნენ ამ ქვეყნიდან...

იქნებ პარადოქსია, მაგრამ იმ ეპოქის ახლოგაზრდებისათვის თითქმის უცხოა ინფანტილიზმი, მათი ასაკისათვის და მეცნიერების ღაგიოარობის იმ სადღესურზე რომ იყო მოსალოდნელი და ამიტომ შესაწყნარებელიც. სამაჟიროდ, ის ეპოქა დიდაქტივისის ნიშნით იყო აღზეკილილი და ამ მხრივ იქნებ სიმბოლორიც იყოს თაობათა ურთიერთობისა თუ აღზრდის იდეის გამომახატველი ემბლემა ჩვენი Alma mater-ისა (შვლისა და ნურის გამოსახულება). სწორედ ამ დიდაქტივისის პათოსით არის გამსჭვალული არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო-ქედაგოგიური მუშაობის პროგრამაც და ენციკლოპედიური მასშტაბიც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა.

მიუხედავად იმ უზარმაზარი მუშაობისა, რომელიც გასწიეს არნ. ჩიქობავას წინამორბედებმა, განსაკუთრებით კი — ნ. მარმა, ივ. ჭავჭავიძელმა, ი. ყიფშიძემ და ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავას — სრულიად სამართლიანად — თავი კვლავ ქართული ენათმეცნიერების სათავეებთან ეგულებოდა, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, ისაკლისებდა მუარ და თანამიმდევრულ მეოლოლოგიას, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა, ერთი მხრივ, ზოგადად ენის და, მეორე მხრივ, კონკრეტულად ქართული ენისა და მისი მონათესავე ენების კვლევას. ამ მომენტების გათვალისწინებით შეიქმნა არნ. ჩიქობავას სანიმუშო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე: „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ზოგადი ენათმეცნიერება“ (ორ ნაწილად),



„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ და „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“. ეს შრომები ფუნდამენტური სახელმძღვანელოებია ქართველი სტუდენტებისათვის და სამაგიდო წიგნები სპეციალისტებისათვის.

თვით იმ მონოგრაფიებსაც, რომლებიც სახელმძღვანელოს ყალიბზე არ შექმნილა, თავისი შემეცნებითი თუ მეთოდოლოგიური იორიბულებით საპროგრამო და იმავდროულად შემაჯამებელი მნიშვნელობა ენიჭება. — იქნება ის „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ თუ „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, „ხუნძური ენა“ თუ „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, „ქართულ-მეგრულ-ჭანურის შედარებითი ლექსიკონი“ თუ „ერატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და, ბოლოს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ — გვირგვინი ქართული ლექსიკოგრაფიისა...

ამჟამად, ჩვენს დროში ფართოდ ფეხმკვიდრული ვიწრო სპეციალიზაციის ფონზე, არნ. ჩიქობავას მოღვაწეობის განადიდოვლელ მასშტაბებს გონებით არისტოტელეთა ეპოქაში გადავუვართ, — კლასიკოსა ეპოქაში, რომელმაც უკველა ძირითადი ჭეშმარიტება თქვა და მოწოდების გზა ვაუნათა შემდგომ თაობებს... და თუკი მეცნიერის ტიპის განსაზღვრისას ლიტერატურულ უწრთა ანალოგიას მივმართავდით, შეიძლებაოდა გვეთქვას, რომ არნოდ ჩიქობავა ახალგაზრდობიდანვე ნამდვილ ეპიკოსად მოივლინა მეცნიერებას — კარდინალური ხაყთხების დასმითა და მათი მასშტაბური გადაწყვეტით...

მაგრამ დიდი ეპიკოსი მომჭირნედ ხარჯავდა მის ხელთ არსებულ სიტუვიერ სიმღიდრეს (და ეს მომჭირნეობა მარმონიულად ირწყმოდა მისი ცხოვრების პურიტანულ წესსა და თვით ჩაცმულობასაც კი).

საუოველთაოდ ცნობილია აზრის გამოხატვის ჩიქობავანეული სადა და ნათელი, ღაპიდარული სტილი, კომპაქტური, ტივადი ფრაზა. და კვლავ იბნება უხილავი ძაფი არისტოტელეს ეპოქასთან, როცა მეტყუელების სტილის უმაღლეს კრიტიკიუმებად აზრის სინათლე და სიცხადე მიიჩნეოდა.

ეს ნათელი, კლასიკური სისადაე გარეგნულადაც შეიცნობოდა: არნ. ჩიქობავას ნაწერებს გამოარჩევს აბზაცთა სისუბე, რაც ასე კარჯად მისადაგება მეცნიერის აზროვნების დახვეწილ თეზისურ სტილს. თავის მხრეც ეს მოკლე აბზაცები თვალს იტაცებს მარტივი წინადადებითაც, გონებას კი მათი სენტიენციურობა და აფორისტულობა იზიდავს — საგინწაზოო ღათიურის კვალი. თავისებურია თვით პუნქტუაციაც კი: ორწერტილი და ტირე არნ. ჩიქობავას საყვარელი სახვეწი ნიშნებია. მეცნიერი მამ მარჯედ იუენებს ქვეწუობის გასამარტივებლად (კავშირების გასაუქმებლად) და საზგანასმელი ერთეულების გამოხაყოფად. გავისნერთ ლომონოსოვისეული სხარტი შედარება: კავშირინი შეირთება უხვ ნამუშევარს — ღურსმინე მიქედებას არის მიმსგავსებული, უკავშირო შეირთება კი — მირჩილვას (ამ კონტექსტში სიმბოლური გვეჩვენება მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ არნ. ჩიქობავას დაქილდოება სწორედ ლომონოსოვის სახელობის პრემიით).

არნ. ჩიქობავას პიროვნება მის მეტყუელებაში პირის ფორმათა ხმარებითაც ამოიცნობა: ქარბობს მესამე პირის პასიური, ნეიტრალური ფორმა. არც მის ნაწერებში, არც ზეპირ გამოხველბასა და, ასე განსიწეთ, კერძო საუბარშიც კი პირველი პირი არ ჩანს (და თუ ჩანს, ისიც მხოლოდ მრავლობითში — ზოგადად): ავტორი თითქო განწე დგას (იდეალური სტილი მეცნიერებაში). დამახასიათებელია განმარტებითი ლექსიკონის VIII ტომის წინათქმის ბლოო ფრაზა: „უველას, ვინც ამ საქმეს დაიხმარა, მოლოობა ითქმის“. ეთქმისო, — ბრძანებს ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, და არა: „გვიინდა ვუთხრაოო“, ანდა: „მადლობას ვუხდითო“...

არნოდ ჩიქობავას უშუალო მასწავლებლები მეცნიერები იყვნენ. მათ შორის ივანე გავახიშვილი მისი იდეური აღმზრდელიც იყო. მაგრამ ცხოვრების მათალითსა და ზნეობრივ იდეალს არნ. ჩიქობავა მეცნიერების მიღმაც ეძიებდა. და აკი პოვა კიდეც — ილია ქავჭავაძეში. ვინაც მოუსმენია არნოდ ჩიქობავას ზეპირი გამოხველბები და რაიმე მაინც წაუკითხავს ილია ქავჭავაძის საჯარო გამოხველბების შესახებ, ძნელია თავი ლაღწიოს ამ ანალოგიას: არნოდ ჩიქობავა ჩვენს წარმოდგენაში აცოცხლებს ილია—ორატორის შთაგონებულ სახეს — აზრის სიმწიფითა და ნების სიმტკიცით, რკინისებური ლოგიკითა და პოლემიკური ელვარებით, ამავე დროს, მეცნიერულად აკადემიზმითა და სახელმწიფო მოღვაწის ღირსი სიღარბიანლით...

ცხოვრება არნოდ ჩიქობავასათვის ისეც და ისეც სკოლა იყო: არა საღბინებელი, არაძედ განსაცდელ-განსაწმენდელი. აღბათ, ამიტომაც არნოდ ჩიქობავას სკოლა — მეცნიერული და მოქალაქეობრივი — იყო ერთგვარი საბუო — სახვერე, რომლის „ქარის გამრიგე“ იყო ნადაგ ფხიზელი და მოუსყიდველი მეწვერე, ამ ძნელი სკოლის მარადიული მოწაფეცა და მასწავლებელიც.

შუკიბ აზრილონიძე



ბატონი არნოლდი ჩიქობავა ექვს ათეულ წიგნზე მეტ ხანს ამზიერებდა ქართულ ფილოლოგიას, როგორც სიტყვიანი საქმისა და საქმის სიტყვის კაცი. მის მოღვაწეობაში სიტყვა და საქმი ერთმანეთს არასოდეს დაშორებია.

ბატონი არნოლდი გამორჩეული აღმზრდელი და მასწავლებელი იყო. მას ურევლთვის მიაჩნდა, რომ მკვლევარისათვის ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის გარდა მეცნიერული პატროსნებაც სავალდებულოა. ბატონ არნოლდს აზროვნების ჰერმეტიკ მასწავლებელსაც უწოდებენ. მისი სიტყვებია: „ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლეს რა გამოვლევს). ცოდნის შეგებებს კი ახალგაზრდა შემდეგშიც შეიძლება, თუ მთავარი იცის და აზროვნება თავის დარგში შეუძლია“.

ქართულ მეცნიერებაში ყველაზე მეტად ივანე ჯავახიშვილს აფასებდა. ამიტომაც იყო, მის სამუშაო კაბინეტში წიგნებით რამდენიმეულ კედლებს არასოდეს მოსცილებია ივანე ჯავახიშვილის ფოტოსურათი.

ქართულ მწერლობაში რუსთაველის შემდეგ ილია ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

ბატონ არნოლდს მრავალმხრივი განსწავლულობის, ცხოვრებისეულ საკითხთა ღრმა,

ზედმიწვევითი ცოდნისა და მისი მსმენელებზე გალაცემის საოცარი უნარი ჰქონდა. მისგან ბევრჯერ მოვლისმენია ონიჭი, მსაფუძვლიანი, მკაცრი ლოგიკური მსჯილობის წესზე აგებული, იუმორით რამშვენიერული საუბრები. მას შეეძლო თითქმის სპეციალისტის დონეზე გადმოეცა ანალიზი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და დაცილებული საკითხებისა.

წავიდა ბატონი არნოლდი — ჩვენი დროის დიდი ენათმეცნიერი. ინტერულ-კავკასიური საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებელი და სულისჩამოღებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი, ქართული ეროვნული საუნჯის — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის — შექმნის ორგანიზატორი და მთავარი რედაქტორი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველი დოქტორი, კავკასიურ ენათა კათედრის დამაარსებელი, მრავალზე მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყობი და განმახორციელებელი, შემოქმედებითად მოაზროვნე მეცნიერი და ერის ჭეშმარიტი მოღვაწე.

წავიდა ბატონი არნოლდი და აღტოვა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა — თხუთმეტი წიგნი, ოთხასამდე გამოკვლევა და, გარდა ამისა, მადლი, მადლი სიბრძნისა და სიკეთისა.

ოზარ მამიშვიტი, ეთარ ვიგლიანი, ნინო რუსხაძე, რამაზ აბაშანი

ქართული ლიტერატურა დიდი პნათიენნიერის თვალში

არნოლდი ჩიქობავა ის დიდი მოაზროვნე იყო, რომისაც სპეციალისტის განათლება ჰქონდა მიოტოლოგი სულ სხვაგვარად დარგში. მაგრამ, ბიერისგან განსხვავებით, იგი ამ ცოდნის თეოლოგიურ რემონსტრირებას როდი ახდენდა: მას მკაცრად ჰქონდა შემოსაზღვრული თავისი კვლევა-ძიების, მეცნიერული მოღვაწეობის ფარგლები; სხვაზე უკეთ იცოდა, რომ „როცა სპეციალისტი მონათესავე დარგების ვითარებაში საფუძვლიანად ერკვევა, მას შორს ვახიერის შესაძლებლობა აქვს და ეს სპეციალურ საკითხებზე მსჯილობას სინათლეს მატებს“ — რომდენი რამ ჯაკეთა ბატონმა არნოლდმა დიეტრატურისათვის საზოგადოდ და კერძოდ კი ქართული მწერლობისათვის. ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, მართლ მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონა-

წილობით მომზადებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეკომენდიც ხომ სრულიად საკმარისია მისი დიდი დეაქლის ცხადსაყოფად ქართული მწერლობისათვის.

არნოლდი ჩიქობავას მეცნიერულ ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთრა ქართული სალტერატურო ენის პრობლემების შესწავლას. ცოცხალი ხალხური მეტყველების სავანმურთან კავშირი დიდ მეცნიერს სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო კავშირად მიაჩნდა.

ვანსაკუთრებით ღირებულად მეცნიერს მწერლის ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შესწავლა ესახებოდა, რადგანაც „ამ გამოჩნდება, რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა“.



დიდად ფასეულია არნოლდ ჩიქობავას ნაშრომები მხატვრული სტილის შესწავლის თვალსაზრისით.

თვითონ ბატონმა არნოლდმა მოგვცა მხატვრული მეთუველები სტილის ანალიზის საინტერესო ნიმუში ილია ჭავჭავაძის პროზის პერსონაჟების (ლილია ლენია, გიანა ჭრიაშვილი) მეთუველების მაგალითზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გარდა, არნოლდ ჩიქობავას მიიღარ მეცნიერულ მემკვიდრეობას ამშვენებს ბრწყინვალე პორტრეტები, სტატიები, რომელიც ქართველ მწერალთა ფაქტობრივ დახასიათებას ისახვენ მიზნად.

ბუნებრივია, არნოლდ ჩიქობავას ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ენობრივ-სტილისტურ მხარეს მან რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა. დიდი მეცნიერის მიერ ამ ოცი წლის წინ ნათქვამი: „ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყარო, გმირთა სულიერი განცდები ფართო გასაქანს იძლევა ფილოსოფიური და ფიქოლოგიური რეფლექსებისათვის. და მინც, „ვეფხისტყაოსანი“, პირველ ყოვლისა, მხატვრული, პოეტური ნაწარმოებია“, სადღესოდაც სათანადო გათვალისწინებას საჭიროებს.

ილია ჭავჭავაძის მძლავრი ფიგურა, მისი განუყოფელი როლი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში არის არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე შესანიშნავი სტატიის საგანი.

ილია, აკაკი, ვუა — ის გაუთმევეი სამეუღლია, მეცნიერის აზრით, რომელიც ახალი ქართული ლიტერატურის დიდებას ქმნის. ისინი „ახალი ქართული ლიტერატურის სამ დედაბოძს“ წარმოადგენენ, ხოლო მათი შემოქმედება კი „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურყევი საფუძველია“.

ჩვენი დროის ქართველ პოეტთაგან თავისი „ჩაგვარიანი სიტყვით“ დიდი მეცნიერის განსაკუთრებული ინტერესისა და სიყვარულის ობიექტი გიორგი ლეონიძეა. გიორგი ლეონიძის ფრთიანი ფრაზის, ძარღვიანი სიტყვის დამოწმება უუყვარდა ხშირად.

არნოლდ ჩიქობავას შექმნილი აქვს ჩვენი ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის დიდი მოამბეგების: ივანე ჯავახიშვილის, კორნელი

კეკელიძის, ნიკო მარის, იოსებ ყიფიანი, სიმონ ჯანაშიას, ვარლამ თოფურიაის, ნიკო ბერძენიშვილის, გრიგოლ კიკნაძისა და სხვების ბრწყინვალე პორტრეტები.

ბატონ არნოლდის წერილებს დებულებების ხასიათი აქვს: ნათქვამს იქით ყოველთვის იგულისხმება დიდი ცოდნა და დიდი შინაარსი, ნაზაობა ნებისმიერი აზრის გაშლისა და განმარტებისა. არნოლდ ჩიქობავა ყოველთვის საკუთრივ ობიექტს ახასიათებს და არასოდეს გვახვევს თავს ობიექტთან თავის პირად დამოკიდებულებას.

როცა უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დაარსდა, არნოლდ ჩიქობავა გვერდში ამოუდგა ამ კაბინეტის დამაარსებელს, თავის უმცროს მეგობარს გრიგოლ კიკნაძეს. არნოლდ ჩიქობავა და მისი მოწაფეები შეუდგნენ კაბინეტში ვაჟას უმიდრესი ლექსიკონის შესწავლის დიდ საქმეს.

ბატონი არნოლდი ამ კაბინეტთან არსებული ვაჟას მუდმივი სემინარის აქტიური წევრი იყო. მისი ყოველი გამოჩენა, მონაწილეობა სემინარის სხდომებზე სემინარის წევრებისათვის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენდა. ბატონი არნოლდი ინტერესით ადევნებდა თვალს თანამედროვე ქართული მწერლობის ცოცხალ პროცესებს. მას სჭეროდა, რომ დიდ გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვას თვავანთი ღირსეული მემკვიდრეები დარჩათ.

ანა კალანდაძის ორმაღ ინდივიდუალურ პოეზიაში იგი ხედავდა სალიტერატურო ქართულის მონაპოვარისა და ცოცხალი ხალხური მეთუველების ბედნიერ შერწყმას.

საზოგადოდ მკაცრი, შეუვალი, დაუნდობელი მოკამათი თითქოს ერთბაშად გადასხვაფერდებოდა, როცა საქმი ქართველ მწერალს შეეხებოდა, როცა მეცნიერი ქართული ლიტერატურის შესახებ იწყებდა საუბარს.

თუ ქართული სალიტერატურო ენა მისი კვლევის ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, ქართული პოეზია მის სულისმოთქმას წარმოადგენდა...

რაც დრო გაივლის, არნოლდ ჩიქობავას ნაზრების უშუი უფრო და უფრო გამლიერდება, კიდევ უფრო გათვალსაჩინოვდება მისი დიდი მემკვიდრეობის შინაგანი სიმღღრე და მრავალფეროვნება.

ვლადიმერ მინაშვილი





ჯარჯი ფხოველი

მწერლის პირველი რომანი

ქართულ პროზაში დაშვიდრდა სამყარო, სადაც ერთმეორეს ენასკება რეალური და ზღაპრული, მოძრაობს, დუღს და თავისი და უნდობელი სიმართლითა და ცოდვა-მადლით აჭაფებული მორევადან ამოისვრის ახალ-ახალ კრისტალებს. და ისინიც, სამყაროს დუღილში გამოვლილი კენჭები, ცდილობენ, რომ თავისი ნატურფალი აღბეჭდონ მიწამყარზე. მათი სულიერი იერი თითქოს სიწმირისეული ხილვებიდან მოდის: ისინი ლანდებივით რიალებენ საკუთარი უმწეობის, ადამიანური სისუსტეების, სექსის, ღალატისა და ვერაგობის მტკიცე ღობით შემოწერილ მიწაზე.

ეს გახლავთ ადამიანთა ცხოვრება, ადამიანთა მიწა, ადამიანთა ვნებებით გაჭერებული სივრცე, სადაც მოსალოდნელია ყველაფერი ამქვეყნიური და სადაც კაცთა შორის შეხვედრებით ზღაპრისა და მითის უხორცო პერსონაჟებსაც, და ეს ამბავი სრულიადაც არაა საქვერცხელი. ეს გახლავთ რეალიზმის გზა, მისი ერთგულება, რადგან უეჭველია, რომ ზღაპრისა და მითის სამყარო რეალურ სამყაროზე არანაკლებ მოქმედებს ადამიანთა ცხოვრებაზე, ცვლის და ამდიდრებს მას.

ა. ყურაშვილის „ცთომილთა დღესასწაული“ გვიხატავს ისტორიული, რეალიზმის ანარქულს. ეს გახლავთ ცდა, წარმოსახვა იმისა, თუ როგორ აისახება რომელიმე მივარდნილ სოფელში დიდი სამყაროს ამბები, ქვეყნიური უკულმართობები თუ სიკეთე...

ჩვენ ვხედავთ, რომ კაცთა ყოფიერებას რაღაც შორეული, გამოცანადქცეული შიშის ჩრდილი დასცემია: უენაიროდ, ყველაზე გაქედლილ არსებად ქცეულა ადამიანი. მას ფეხზე დედგომა, გამოსარჩლება და ამბოხი უკვე აღარ შეუძლია.

რა დარჩენია ამგვარ ყოფაში ჩავარდნილთ? რა უნდა ქნას ანალოგიურ სიტუაციაში მოხვედრილმა ადამიანმა?

ბრძოლა და ხელის გამოღება მის ფიზიკურ და სულიერ ძალებს აღემატება. ადამიანური სიმაღლეები მისთვის უკვე აღარ არსებობს. ის თავისი ცხოვრების განმგებელი აღარაა. მისი ბედისწერის ბორბალს ატრიალებს ზემოლავრი მოვლენების ხელი.

ყოველდღიური ყოფის წვრილმანები, ყოველდღიური რომის ალიაქოთი თუ გააძლიებინებს ამგვარ ყოფაში მოხვედრილთ.

ა. ყურაშვილის რომანის გმირებიც სწორედ სოფლის ყოველდღიურ ორომტრიალში არიან ჩაფლულნი. უნუგეშოდ დაკარგული სულიერი სიმშვიდის მიუხედავად, ისინი მაინც ებიძებიან ცხოვრების მღვრიე ზვირთებს. და, ალბათ, ადამიანთა გამძლეობის საიდუმლოც აქაა: კაცი მაინც ფუსფუსში, ორომტრიალში და ყოფიერების წვრილმანებში ჰპოვებს ნუგეშის მარცვალს, რაც არ უნდა შავად მოქუფროს მისი ცა.

„ცთომილთა დღესასწაული“ ამოწილულია მიწამყარი, სადაც არაფერი სტაბილური და მყარი არაა და სადაც ყველაფერი წამიერად შეიძლება თავდაეკირა დაღვეს.

აქ ბედისწერის მისტიურ ძალებს შერთვია სოფლის მკვიდრთა მზვანობა, შური, ვერაგობა... და ეს ერთიან გორგალად ქცეული ძალა თავისი სურვილისა და ნების მიხედვით დაატარებს ადამიანს. მათი ცხოვრება ემორჩილება რაღაც სტიქიურ, მოუხელთებელ ძალას, რომლის სამირკველი, დასაყრდენი რომანში არა ჩანს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ის ძალზე ახლოსაა და ის ბატონობს ადამიანთა ვნებებზე.

რა არის ეს? ავტორმა ეგებ ბოროტი სტიქიონის ტრიალს მაანდო რომანის გმირები? ერთი შეხედვით, შესაძლოა, ასეც მოგვეჩვენოს. მაგრამ მთლად ასე როდია...

უსამართლობის, განუკითხაობის, შურისა და ღალატის, ომებისა და დამანგრეველი ამბოხის გვერდით წყნარი, ყოველდღიური ცხოვრე-

ბის სურათიც ირეკლება და ეს რომ არა, კაცთა ცხოვრება მართლაც გაუსაძლის ჯოჯობეთად და განსაცდელად იქცეოდა. მისი რელიეფისა და არსის წარმოსახვა უაზრო და გაუსართლებელი გახდებოდა.

ქვითინსა და სიმწრის ლულულულს მშვიდი, ყოფითი სურათები ენაცვლება და ეს გაბლავთ სულისმოთქმის, წამითი შესვენების ადგილები.

„კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთი ბატარა მთის ძირას ლევანამ საწისქვილე ადგილი ამოირჩია; ორ-სამ წელიწადში წისქვილის ფიცრული კედლები კოროლის სასურავ-ქვეშ მოაქცია, ბორბალიც დააყენა ფეხზე, ლამაჟნიაც მოამარჯვა — ასწევდი, დაღერღავდა სიმინდს, დასწევდი — წმინდად ჩამოგიფეკვდა. ბორბლის საყულარა ვირიბიდაც რკინის კობრჩხალით საიხედავ ჩაამარგა. სახრილე — სამთურაც კომბედა შემოაყრდა დოლაბს. ზვიმირი იმ ზომისა ჩამოჰქიდა, სამი-ოთხი ფონალი თავისუფლად ჩაეტეოდა. ზვიმირზე ისე ლამაზად გამოთლილი ლაკორელია და რიკრიკა გამოაბა, თვალი ზედ დაგრჩებოდა. ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ სასიამოდ არიკრიკედობდა სარეკელა, როგორი წყაპა-წყუპით წამოვიღოდა მარცვალი ლაკორელას უხიდან და ქვის გუგულადან ზეამოწვდილი ხომეში გადაეშვებოდა ჩხრიალ-ჩხრიალით, ქვემოთ ხომ პირდაფჩენილი ჩიბელათა ელოდა; იქვე ჩიბის ერთ კუთხეში ჩოტილა ჰყუდი და ფრინველის ნაკრტინთ შერკული საფოთარა გადახრილა ცალ გვირდზე... წყალსადინარი ღაროშაპიც გაეჭრა და მოეშაღებინა ლევანას, ალაგ-ალაგ რიყისა და ნაშალი ქვის ნარევი კედელი ამოეყვანა, სარუეს ალიზით მტკიცედ შეეკრა და გამოეღეს ორივე მხრიდან. სათავეში ფაცერი ჩაედგა, წყლის გასაშვები სადგულაც მზად იყო...“

შესაშური სიზუსტით აღწერს ავთანდილ ყურაშვილი წისქვილის ნაწილებს, მათს განლაგებას.

„გვიმის ღარი გამორჩუნტულ-გამოხანაიკებული ქვის მრგვალი ნაჭრებისაგან კეთდება. თითო ასეთი ქვის სიმაღლე ერთი წურთა თუ იქნება. გვიმს ექვსი-შვიდი ლამაზად გამოყვანილი მოკოპიტებული ქვა მიაქვს სჭირდება. ხაგანგებოდ მომზადებულ საგვიმ მასადას, ბაღდადის ქვას რომ ეძახდნენ აქაურები, ჭერ საკალაუზო რკინას დაჰკრავდნენ, შემდეგ ტარალს გადაატარებდნენ, შიმშა — თარაზოში გამოსწონიდნენ, თუ სწორი კუთხე ხჭორდებოდა, გონიოს მოიშველიებდნენ. თუ ბლავი ჩამოჰყავდათ — გობიურს, გვიმის დასაშაადებლად კი ყველაზე მეტად გობიური სახელობდა. გვიმის საძირე ქვა, საფშტივირ რომ ჰქონდა ამოტეხილი და ტირიფისაგან გამოთლილ ფშტივირს აგებდნენ ზედ, ოცი სან-

ტიმეტრის სიგანისა თუ იქნებოდა. სიმაღლის მატებასთან ერთად, გვიმი თანდათან სიგანესაც იმატებდა, მისი სიფართო ერთ მეტრს წორდებოდა თავში. ქვას ქვაზე ისე ოსტატურად მიადგამდნენ, ერთი კვირაუამის გამოხდომა და წვეთი წყალი რაა, გვიმიდან იგვიცერ გაუხავდა...“

სოფლური ცხოვრების სიმშვიდე, აუშვრეველი ყოფის რიტმი ახლავს ამ სურათებს, რომელთაც უამთუამ გადასხვის ხლოდვ გამოგნებელი მოთქმისა თუ ქვითინის ხმა, ამ მრავალსახოვანი განსაწმინდელის თანამდეგად, მის ძირეულ ნაწილად რომ ქცეულა.

„დავიკარგეთ, შვილო, ცოდვის სათავე გადმოსვდა, ეშმაკმა გამოგვივლო ლაქებში, უკულმა დაბრუნდება ქვეყანა, უკულმა წავა ჩვენი საქმე...“

ეს გაბლავთ ბარბაღი, ლევანის დედა... ხოლო მერე მოდიან თამბი, ბატა, თუთი ბაბილინე და სხვანი... „უკულმა დაბრუნებული სოფლის“ მკვიდრები, სამყაროს ამ ერთი ღრუბლიანი დღის ქირისუფლები.

„წუთისოფელი კი ბრუნავდა — მწვანეს ყვითელი ცვლიდა, ყვითელს — ნაცრისფერი, ნაცრისფერს — ისევ მწვანე... თუთიას კი უამატარიალი ვერაფერს აკლებდა, მის ბაგეპირზე კვლავ გაწაფული იდგა და ხალისობდა“ თუთია ზღაპრის პერსონაჟით მარადქალური და მარადახალგაზრდაა. ის არის მარილი ამ ქვეყნისა და სანამ ის არის, სოფელსაც არ უწყერია მოსვენება.

თანაც სოფელს სატანური, ყოვლისშემძლე ძალა შემოსჩვევია და მოუსხველეთის გზაზე ერეკება.

საბედისწერი უამი ცდის სოფლის მკვიდრთა მოთმინებას, აწრთობს მათს ხასიათს, თუმცა ამ ქამბრობალოში, ამ უსაშველო მესხობინახში და განუკითხობაში არენაზე გამორდინადმიანური სისუსტეებიც: შური ღალატი, მადებელრობა... სოფელი ღრღნის საკუთარ სხეულს, ანადგურებს თავის თავსა და თავის მონაგარს.

„ლევანა გულამომჭდარი გაჰყურებდა თოვლში გამოქვინლ სოფლის შარაგას. წუხელი, შვილმა რომ ამბავი ამოუტანა, იმან სულ მოკლა და გაანადგურა კაცი. „წუთუ ეგ არის ჩვენი ცხოვრება, — ლაპარაკობდა გულში, — ბალახით ავალტიკვენ მიწიდან. ადგებიან და ისე გაგიყენებენ გზას, ვინმე მოსარჩლე არ გამოგინდებდა. აბა, რა სჭირდა გიორგი აბაშიძეს ასაურელი და გადასასხლებელი, თოფი იმას არა ჰქონდა და ხანჯალი, წერა იმან არ იცოდა და კითხვა. ერთია, სიტყვას დაგრეხავდა, რწყილს აქლემს მოავადებინებდა. მაგარამ

ჯარჯნი ფსოველი
მწერლის პირველი რომანი

მისი ნაგრები სიტუვა ორღობეს არ გაცდებო-
და. სოფლის თავში მაინც ვერ გაატანდა, ვის-
თვის რა უნდა დაეშავებია... უცებ დასცემი-
ან! ადღ. რის წამოღება შეგიძლია და ხელით
ტარება არ გეზარება, ყველაფერი წამოიღე,
ჩვენ არ გიშლითო, ებრძანებიათ თოფიან კა-
ცებს... ხორგოსთან მივარდა თურმე, ზედ ვა-
დაეხზო და აქეთიანდა: „ვაი, ჩემო სიმწრით ნა-
ორეყო და ნაჩორკნო, ვაი, ჩემო სისაწყლემო
მოკუანელი ქურო და მარიაო...“ როგორც
უცებ აუვარდა. ისე უცებ შეუწყვეტია მოთ-
ქმა. გარეთ გამოსულა, საწყალს თირი ქვის
ფერს ედო თურმე...“

ვინ არიან „თოფიანი კაცები?“ ცხადია, რომ
ისინი ძალმომრეობის, განუკითხაობის იარა-
ღად გვევლინებიან. მაღე მათი ნაეკაცარი ცე-
ცხლი ღერავს სახელმწიფ აბრიალად.

თამბი წწორედ „თოფიანი კაცების“ შიშით
გამოსჭრის ყელს საკუთარ ცოლს და თვითო-
ნაც თავს იკლავს.

ჩვენმა ლიტერატურამ იცის ისეთი ტრაგედია,
როცა მომხდურთა ხელში ჩაეარდნას ცოლმა
ქმრის ხელით ირჩია სიკვდილი. ოღონდ აქ
მსგავსი ტრაგიკული სიტუაცია სულაც არ იქმ-
ნება. დაუფიქრებელი, გაუმართლებელი და გა-
ნუსჯელი ხომ არაა თამბის საქციელი? ამ სა-
ფიქრალს აღძრავს „ცთომილთა დღესასწაუ-
ლის“ ეს მონაკვეთი.

თითქმის ოთხი თაობის ცხოვრება ამთლიან-
ნებს დროს იმ მონაკვეთს, რომანში რომაა
მოცემული. აქ გაისმის ექო შორეული ომების,
რევოლუციის, და ეს ყველაფერი სოფლური
ცხოვრების წიაღში თავის განსხვავებულ ტალ-
ღებს წარმოქმნის, იქმნება ბედისწერის ახალი
ხლართები, განსაწმენდლის სტეტა ცეცხლში
შეშლდება ადამიანთა ხასიათები, ნათდება სო-
ფლისა და სოფლის მკვიდრთა ავკარგი...

„ცთომილთა დღესასწაული“ რეალურ
პლანს ენაცვლება ზღაპრული შრე: სადარუხა-
ნო და მისი მკვიდრნი. და როგორც რეალურ
სოფელს, სადარუხანოსაც რაღაც მარადიული,
თანამდევ შიში დასწოლია. ეს შიში ძვალ-
რბილში აქვს გამჭდარი დიდსა და პატარას. ეს
გახლავს სისხლში შერეული რამ, რასაც ვე-
რაჟინ ვაქცევია, რაც წუთისოფლის ნაწილად
ქცეულა და ხორციელსაც თითქოს მის გარე-
შე აღარ შეუძლია არსებობა.

ნიწანდობლივად ედერს ბაბილოს სიტყვე-
ბი: „განა ამაზე დიდი უბადრუტობა იქნება რა-
მე? ადამიანმა იცოდე, ხვალ თუ ზეგ მიწა გას-
კდება, ცა ჩამოგენგრავთ, დვარცოფი გადაგივ-
ლის, ცა და მიწა ერთმანეთს შეემღვრება და
შეემუქრება, სიკვდილის ცელი გამოვარდება.
გაგივლის და გადაგხსიავს, შენ კი უღონო,
უსუსური და არაფრის შემძლე, გულხელდაკ-
რეფილი უნდა იდგე და ელოდე განგების გა-
ვანჩინების აღსრულებას, ეს არის ჩვენი სიციცხ-

ლე და ეს არის შენი მოწომილი წუთისოფ-
ლი, უფალო! ქიუელებივით ვიწმანებნით, ამ
ორი დღის სავალზე — ქირი და ათეუნი-
ლება, შიშისი და წყურვილი, აუხდენელი ნა-
ტვრა და ჩამქრალი ოცნებები, გაუთავებელი
მწუხარება და მოურჩინელი წყალულები,
მტრობა, შური, ავკაცობა, ხოცვა და ელტა,
სისხლი და სისხლი, შიში, შიში, შიში...
დაუსრულებელი შიში და კანკალი. განა ღირდა
ამ ცეცხლისიკედებში მოსვლა, უფალო, ასეთი
ორი დღისთვის? „განა ღირდა?“ — თავის თავს
შეეკითხა თუ უფალს მოსთხოვა პასუხი, აღარ
ახსოვს ბაბილოს... ის კი კარგად გაიგონა და
ეცნო, მშობელი დედის ხმა რეკდა ყურებში:
„განა ღირდა? განა ღირდა, ასეთი ორი დღი-
სათვის მოსვლა, უფალო?“

მაგრამ თვით რომანის კონცეფცია და გმი-
რთა ხასიათები გვეუბნება რომ „ღირდა“, რა-
დგან ტანჯვისა და მოთმინების გზით ვინც გაი-
ვლის სულიერ განსაწმენდელს, ავკარგის მიმ-
ღები და მხახველი ხორციელი არ შეიძლება
რომ დამბადებელსა ჰგმობდეს, თავის გაჩენსა
სწეველიღეს.

რომანში ჩანს, რომ ყოველივეს ხარბად ეგე-
ბებიან ცხოვრების ორომტრიალში გადაშვებუ-
ლი ნაწეცები, არაფერს არ უარყოფენ: შრო-
მას, ბრძოლებს, სისხლისღვრას, სექსუალურ
სიშმაგეს... ზღაპრული პერსონაჟების დარად,
ისინიც იფუფქებიან ბედისწერის კუპრში, რათა
კიდევ ერთ გარსსაც გააღწიონ, მიუახლოვდ-
ნენ რაიმე მიწანს...

მათი ბედისწერის ცა დამძიმებულია პირ-
ქუში ღრუბლებით. და ისინიც ამ მოქუფრული
ცის ქვეშ როგორღაც სიშმარისა თუ ზღაპრის
პერსონაჟებივით შემოჰყავს მწერალს. ზღაპრე-
ბის ენას მიადევნებს, ზღაპრებში ნანახი ფე-
რებით ხტავს მათს მიმტევებელ პირისახეებს.
მათს მხარ-მკლავსა და ძძუთ-მერდს, მათს ლა-
ნდებს, მათს ყოფიერებას...

არა მარტო ა. ყურაშვილის „ცთომილთა
დღესასწაული“, არამედ ჩვენი სხვა მწერლებ-
ის ზოგიერთი საკმაოდ გახმაურებული წიგნიც
დამაჩერებლად გვიჩვენებს რა თანამედროვის
საკმაოდ დაუფლოთა და საძირკველგამოცილი
სასიათს, გვეუბნება, რომ ადამიანური რწმენის
ნაწერევეზე გამძლე შენობა ვერ აიგება. რას-
კონლიკოვის მეგვიდრებს მარად გააწამებს სუ-
ლისშემძვრელი ნოსტალგია იმისა, რაც რწმე-
ნად იყო დალექილი მის სულში, ხოლო მან,
მეტი თავისუფლებისა და თავისთავადობის მო-
წადინემ, უარყო და „განდევნა“ ის.

თუ ისტორიის შორეთის გვას ის მოსდევდა
მარტოეული, შემადილი ძალის წინაშე ეს
მდგომარეობა უმსუბუქდებოდა თავისივე რწმე-
ნის ძალით.

შემდეგ კი რაღა დარჩა?
დარჩა მხოლოდ მარტოობა, წამლექავი მა-

ტოზა ნადირისა, რომელსაც უოველ წამს შე-
უძლია კლანჭები მოყვანის სისხლით დაისე-
ლოს.

განა ამგვარი არსებების ჯოგი არ არის „თო-
ფიანი კაცები?“ ისინი განუყოფელად ბტონო-
ბუნ, აწყობენ ათასგვარი სტიკებს, იგონებენ
ქალბ ბრალდებებს და ა. შ.

ეს გახლავთ რეალობა. და ეს ამბავი მხოლ-
ოდ ამ პატარა სოფელში კი არ დატრიალდა
ათეულობით წლების წინ, არამედ იმ ხასიათ-
ის ძალმომრეობანი დღესაც თავს იჩენს და ზე-
რის დედამიწის სხვადასხვა ნაწილში. შედეგი
კი ყველგან ერთიდაიგივეა: იქებება ადამიანი.
მდაბლდება და ქრება ის ღვთიური თვისებები
რაც ხორციელის სულს შეიძლება ჰქონდეს.

ამ ამბავზე ლიტერატურა თვალს ვერ დახუ-
ჭავს, ვერ მოითმენს, როცა თვალსა და ხელს
შუა ქრება საუკუნეებში გამოტარებული სიუ-
ვარულისა და ჰუმანიზმის პრინციპები და ლი-
რებულდებიან.

ლიტერატურა ამხელს, სააშკარაოზე გამო-
აქვს და ამაშია მისი ძალა. სულის წინსვლაც
წარსულის მავალითების გათვალისწინებით შე-
იძლება მხოლოდდამხოლოდ.

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა
„ცთომილთა დღესასწაული“.

ზემოსხნებული ტენდენცია, შესაძლოა, ტექ-
ნოლოგიური დროის თვისებაც იყოს.

თავისი „გორისა“ და სისხლის რწმენა საძი-
რკველია უოველგვარი სიკეთისა, ადამიანთა კე-
თილშობილური ქმედებისა, სულიერი თავისუ-
ფლებისა და ყველა ადამიანური სიკვდილისა.

დარღვეული ხასიათის ხორციელი, რწმენა-
გაბზარული არსება კაცურკაცობის იმ უტყუა-
არ საძირკველს ვედარ იგრძნობს თავისთავში
და მისი არსებობის მიზანიც გაფერმკრთალებ-
და, შეეზრდება პრაგმატიკულ სწრაფებს და
ჩვენი თვალწინ აღიმატება გაურკვეველი ვი-
ნაობის ნადირი და ის დაბრუნდა როდღ დაუდ-
გება ჩვენს წინაპრების მიერ საუკუნეობით შე-
ქმნილ სულიერ და ესთეტიკურ ღირებულე-
ბებს.

ამგვარი ტიპის ხორციელს ხელწიფება იმ
ბოროტებათა ჩადენა, რასაც სამართლიანად
დებრძვის ჩვენი საზოგადოება და ლიტერატურა:
ეს გახლავთ კანბალიზმი, ქურდაცავიობა, ძა-
ვლთაწამბილწველობა, და სხვა უკუღმართო-
ბანი...

ა. ყურაშვილს დღემდე ჩვენი მკითხველი იც-
ნობდა პოეტური კრებულებით. მაგრამ მე შე-
ჩვენება, რომ პოეტმა მთლიანად ვერ გაარღვია
რომელიღაც ჭადონური წრე, თუმცა არა ერ-
თი კარგი ლექსი თუ სტრიქონი შექმნა.

მის პროზაულ ქმნილებაზე მსჯელობისას
უნდა ითქვას, რომ ის თავისი მწერლური თვი-
სებებითა და მოწოდებით პროზაიკოსია. ეს იგ-
რძნობა მის ლექსებშიც და რომანებშიც...

ფიქრობ, რომ თავის მთავარ სათქმელს მის
მავალში ის უდავოდ პროზის ენით იტყვის.
თუმცა არც ის ამბავია გამორიცხული, თუ
უარი თქვას პროზასთან ჰილილზე და კვლავ
პოეტური ხმის დაბლს მიჰყვებს...

ა. ყურაშვილის რომანზე საუბრისას ცოტა
რამ უნდა მეთქვა პერიფერიებში მომუშავე
მწერლებზეც. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უკვე
სხვა წერილის თემაა.

ერთი რამ კი ცხადია, რომ გეოგრაფიულ
პროვინციის ცნებას არ ემთხვევა ლიტერატურ-
რული პროვინციის ცნება. ლიტერატურულ
პროვინციალიზმს აქვს თავისი ნიშნები და მან-
კიერებანი:

ეს გახლავთ კრიტიკის მენტორულობა, რო-
ცა კრიტიკა მკითხველის ორიენტირებაზე კი არ
ფიქრობს, არამედ წერს მწერლის მისამართით.
მწერლის გასაგონად...

ეს გახლავთ განაწყენებული, ამბიციით შე-
პრობილი მწერლები მცდელობა, რომ რა-
დაც არ უნდა დაუჭდეთ თავი დაიცვან კრიტი-
კისაგან. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ბო-
ლო წლებში ჩვენში არ დაწერილა კრიტიკუ-
ლი წერილი, რაზეც განაწყენებულ მწერალს
პასუხი არ გაეცას...

ეს არის გაუთავებელი პანეგირიზმი, ლიტე-
რალურის კულისების ქორიკანობა, კარიკრის
გაფეტიშება...

ეს მანიერებანი, როგორც ვთქვით, პროვინ-
ციალიზმის უტყუარი ნიშნებია და მათ ნამდ-
ვილ ლიტერატურასთან არავითარი საერთო
არა აქვს.

ტენდენცია, რომელიც თანამედროვე ქართულ
პროზას წარმართავს, გახლავთ რეალიზმის უტ-
ყუარი ნიშნებით აღბეჭდილი. მისთვის უცხოა
ხელოვნური ჩარჩოები, დოგმატური მიჯნები
და სხვა.

ეს არის მცდელობა დროის ერთიანობის წა-
რმოსახვისა: წარსულის, აწინდელისა და მო-
მავლის უამრავი ნაკუწის ერთ ძაფზე ასხმის,
მათი შეერთების, ბუნებითი კავშირების დაძე-
ვნის, ქაოსის გამოთლიანების მცდელობა.

ა. ყურაშვილის „ცთომილთა დღესასწაულიც“
ამ ტენდენციას აგრძელებს — ტენდენციას,
რომლის მკაფიო გამოსახვასაც ვხვდებით სხვა
გამოჩენილი პროზაიკოსების შემოქმედებაში.
უპირველესად იმათ პროზაში, ვინც თანამედ-
როვეთა გართულებულ სულს დასტრიალებს.
ვინც დღევანდელ მანიერებებს ჩაჰკრიკტებს
და წარმოსახვს, გულოვნად გადაგვიშლის, რი-
თაც რეალიზმის განუზრებლ ერთგულებას ამტ-
კიცებს.

ეს გახლავთ მონაპოვარი ბოლო წლების ქარ-
თული ლიტერატურისა: ა. სულაკაურის „თე-
თრი ცხენი, გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წე-
ლწადი“, „რეკვიემი“, ნ. დუმბაძის „მარადი-
სობის კანონი“, თ. ბიბილორის „შვიდი ხმისა



და ტორლოსათვის“. ო. კილაძის რომანები, რ. კეიჭვილის „მუსიკა ქარში“, ო. იოსელიანის „ქალი გამოვიდა ქმრის ხალაქტად“, გ. დონან-ნევილის „ცალ-ცალკე და ერთად“, ს. პაიჭაძის ჯ. ქარჩხაძის, რ. მიშველაძის... მოთხრობები.

ამავე ტენდენციას აგრძელებენ ზ. კალანდია („წვარაკი“), ჯ. დავლიანიძე („წონასწორობა“) ნ. გელაშვილი („ამბრნი, უმბრნი და არაბანი“), გ. ჩოხელი („ადამიანთა სევდა“), მ. ბაბუიძე და სხვა ახალგაზრდა პროზაიკოსები.

რეალიზმი ყოველი ქემშარიტი მწერლის შემოქმედებაში ახალაზალ ფერებს იძენს. წარმოგვიდგება მრავალხანოვან, სიუჟეტის მაღლით ცხებულ ველად, რომელსაც მიუგნებელი, ჭეკაც ფენდაუდგამი ადგილები ამშვენებს.

ლიტერატურული აღმოჩენები თვით ჩვენს ტრადიციების ერთგულ მწერლობასაც ახალ სულს უდგამს, ახალ-ახალ საკმელებს უდებს.

საუყუნეობით გამოცდილი და დამკვიდრებული ფორმების გვერდით იქმნება ახალიც. აქ რამე პრიორიტეტი ან ანტიგონიზმი გამოიციხულია და არცაა მოსალოდნელი. თუმცა არასოდეს ყოფილა, რომ სიახლე დომინანტის გაფორმებას არ შეხვედროდეს. ასეა ეხლაც და ეს სულაც არაა საგანგაშო ამბავი. მომავალში უფრო ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. დაიწმინდება დინება, ამ ძიებებიდან ზოგი რამ უკვალოდ გაქრება, ხოლო ზოგიც ჩვენი ლიტერატურის უკვდავ ტრადიციებს შეემატება.

ყველაფერს მომავლის მკითხველის გემოვნება და ინტერესები გადაწყვეტს. ეს უნდა გვახსოვდეს, რადგან სიახლეების ხელაღებით უარყოფის მოყვარულთა ზოგი აზრი ხშირად აბნევს საქმეში ჩაუხედავ მკითხველს, ხელს უშლის არჩევანის სისწორეში...

ჭერ კიდევ საუწყის დასაწყისში დიდმა ჩაბლინმა ბელოვნიების სიბრტყეზე დააყენა ხორციელის დაბნეულობა, აღწუსა შემთხვევითობების, ბედისწერის, მოულოდნელობების მეფობა მის მყიფე სულზე.

ეს იყო ახალი მატერიის ათვისების დასაწყისი. ტრაგედია ცრემლით კი არ აღიქმებოდა. არამედ სიცილით, რაც ეფუძნებოდა არა დაკარგულის ნოსტალგიურ გახსენებას, არამედ დაკარგულის, დარღვეულის ერთგვარ მოულოდნელ, პროპორციებმოშლილი სურათის წარმოსახვას, მის ჯადოსნურ, ზღაპრულ იერს.

ეს არ გახლდათ მარტო ფანტაზიის ვარჯიში. ეს იყო რეალიზმის ახალი მატერიის აღმოჩენა, რამაც ლიტერატურაშიც მკოვა გამოძახილი (კაფკა), ეს გახლდათ სამყაროს კონველსია; მიწა შეირყა, დაიზარა, რეალობამ ახალი სახე მიიღო. ის არცკლა ჩვენს ლიტერატურაშიც...

დღეს, ტექნოლოგიურ ხანაში, ადამიანი ყველა მატერიკზე, სოფლად თუ ქალაქად თითქმის თანაბარ სიტუაციაში — სიტუაციური თა-

ნაბრობა და თანაზიარობა მის სულს მტკნალ ლებად ერთგვაროვან სიბრტყეზე აყენებს.

იშვიათობად იქცა პერიფერიული მოულოდნელობანი. პროცესების გლობალურია და ტექნოლოგიური დროის ნიადაგარი ყველგან თითქმის თანაბარი სიზშირით აღწევს. ცვლის ხორციელის ხასიათის ისტორიულ კონტურებს, მის შინაგანობას.

რადაც იკარგება, რადაც ემატება. მწერლობა აღწუსხავს ამ ცვლილებებს.

ტრადიციაც ხომ თაობების გულმოდგინე ძიებაში და სიანლის დამკვიდრების წყურვილმა შექმნა.

მხოლოდ ამ გზით სიარული, ერთეულების დაუოკებელი ლტოლვა სიახლისადმი, თვითგანახლებისადმი, მათი თვგამოღება თუ ააცილებს ჩვენს ლიტერატურას ერთფეროვნებას. შაბლონს, სტანდარტული „საშუალო“ პროდუქციის დახვავებას...

ექსპერიმენტი ლიტერატურის „ფუფუნება“ ოციანი წლების შემდეგ ამისი უფლება ჩვენს მწერლებს თავისთვის თითქმის არ მიუციათ...

მერე დაიწყო სამოციანი, სამოცდაათიანი წლები... ძიების, ექსპერიმენტების ხანა.

რას მოუტანს ის ჩვენს ლიტერატურას? ამის თქმა ჭერაც ძნელია: ცნობილია, რომ ათიანი და ოციანი წლების ლიტერატურული ექსპერიმენტების უმეტესობა უკვალოდ გაქრა, მაგრამ იმ დუღილიდან გამოიკვეთა დიდი სახელები, რომლებიც ქართულ ლიტერატურას სამარადისოდ დაამშვენეს...

ბოლოს ორიოდ სიტყვა ამ წერილის მიზანზეც უნდა ვთქვა. არავის ახსოვს იმის მაგალითი, რომელიმე ქართველ მწერალს მავანი კრიტიკოსის აზრი რომ აეტაცოს და თავისი დაწარმოები იმის მიხედვით გამართოს და გაეწვორებინოს.

ეს ამბავი, ალბათ, არც მომავალშია მოსალოდნელი, ამაზე საუბარი საჭიროა, რადგან კრიტიკულ წერილებში ჭერაც კიდევ გაისმის ხმა. რომ მისი მიზანა მწერალს დაეხმაროს, შეეხილეს, და ა. შ. ამგვარი „თანადგომა“ მწერლებს მხოლოდ აღიზანებთ და მეტი არაფერი.

აქ ერთი რამეა საკითხავი: მწერლობისათვის რეცეპტების მიწოდებისას მავან კალმოსანს ხომ არ ავიწყდება თავისი მთავარი და ერთადერთი მისია: მკითხველის გემოვნების აღწრა. მისი სწორი ორიენტირება? ვიყოთ რეალისტები: მკითხველის დაგეგვა, მისი ინფორმირება ევალება. ამ მოვალეობის ერთგულებაში უნდა გამოჩნდეს კრიტიკული აზრის სიმამლე.

ამ წერილის წერისას მე იმ მკითხველზე ვფიქრობდი, ვინც მომავალში ა. ყურაშვილის რომანს ხელში აიღებს.



ხმები გამჭვირვალე ბურჟუაზიან

თემურ აბულაშვილის მოთხრობაში — „ჩიტები უფასოდ“ — მუნჯი ბიჭის, ბასილის ამბავია მოთხრობილი. ბასილი თავს გადახდენილ ამბავს ჰყვება, მძიმე გამოცდილების ამბავს; ჰყვება ნათლად, ემოციურად და მთელი ამბავი მკაფიოდ წარმოგვიდგება თვალწინ.

ყოველი მწერალი თავისი გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს, წერს იმას, რაც კარგად იცის, რასაც მის თვალწინ ჩაუვლია ან თავად უფილა იმ ამბისა თუ თავგადასავლის მონაწილე. გამოწაკლის არც თემურ აბულაშვილია, მასაც წარსულში ნანახი სურათის აღდგენა სურს ან იქნებ გავიწილი ხმების აღდგენა, უფრო უსუსტად, ერთიცა და მეორეც, რადგან თუ წიგნის წინათქმავში, ანუ მიმართვაში მკითხველთადმი, წერს: ყოველთვის თვალწინ მდება ბავშვობის ხსოვნაში შემორჩენილი სურათიო, პირველსავე მოთხრობაში, „ქვა და გზა“, ვკითხულობთ: „წარსული გამჭვირვალე ბურჟუაზია, კი არ ხდება, ხსოვნაში შემორჩენილი ხმები გესმის“.

მოთხრობა „ქრიზანთემის ჩითილი“ ასე მთავრდება: „იმ დღეს, იქნებოდა თორმეტის ნახევარი, რომელი მანქანაც კი ჩაიქროლებდა ავტოსტრადაზე — მანქანიდან ყველა დანახავდა თბილისში ჩაცუცქულ ნახდისქულიან გლეხსა და თხუთმეტობედ წლის მცხეთელ ბიჭს; ისინი მიწიდან სათითაოდ იღებდნენ ქრიზანთემის ჩითილებს და ჩანთაში ალაგებდნენ“. ეს უკვე მოთხრობის ფინალია, დასრულებული, გაყინული სურათი; მაგრამ ეს გაყინული სურათი სწრაფი მოძრაობითა და განუწყვეტელი ხმაურით იქმნებოდა. ერთმანეთს ცვლიდნენ კალიფორნიკოსური ფერები და არეულ-დარეული ხმები, „ღრჭილი, ჭახჭახი, სიგნალები, ახრიალებული მოტორის ხმა“, ტემპი თანდათან მატულობს, იძაბება და ავტორსაც აქეთკენ მიჰყავს თხრობა, ცდილობს მქროლავ მანქანებს შორის მოქცეულა, ველოსიპედზე მჭდომი ბიჭის ყოფა გადმოხსცეს; ბიჭისა, ვისაც ველოსიპედის საზურგით ქრიზანთემის ჩითილი მიაქვს დეიდასთან; თანაც არა მხოლოდ ბიჭისა, არამედ ადამიანური ყოფისა, ან ბუნების ნაწილისა, ან თუნდაც მთელი სამყაროსი, რკინაქვეყნულ მდინარეში რომ მოქცეულა და ძარღვები ებერება, ნერვები ეწეწება, სული ეწინიება. იცვლება მანქანები, ფერები, იცვლება ხმები, ხასიათები და ეს ყველაფერი მშვიდობიანი, წყნარ ტონებში აღბეჭდი-

ლი სურათით ბოლოვდება. ამ სურათის დანახვა ყველას შეუძლია, ვინც კი ავტოსტრადაზე ჩაივლის და მაინც ვერავინ ხედავს თხუთმეტობედ წლის ბიჭს, ნახდის ქულიან გლეხსა და ქრიზანთემის ჩითილს; ვერ ხედავდნენ მამინაც, როცა ეს ჩითილი მათთან ერთად მიუყვებოდა გზას და ვერც მერე, როცა შეუწყალბლად დაეცახნენ, გადაქვლეს და უკანმოუხედავად გააგრძელეს გზა. ასეთია განწყობა „ქრიზანთემის ჩითილისა“, ესაა „წარსულის სურათისა“ და „ხმების“ შერწყმა, რასაც ავტორი აწონასწორებს და არჩეული გზით მიმართავს.

უნდა აღვნიშნო ამ მოთხრობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი: ის, რომ აქ გამოყენებულია მხატვრული ხერხი, რომელსაც ახალგაზრდა ქართველი მწერლები მიმართავენ; ეს გახლავთ გარემოს, სიტუაციის არა თანამიმდევრული, არამედ დანაწევრებული აღწერა. ეს ხერხი, ძირითადი ამბისათვის, ფონის შექმნის ჩინებული საშუალებაა; ამ ხერხს წარმატებით იყენებს ვია ლომაძე („კაცი გალავანზე“, „თაბაშირის კაცი“) და ლიტერატურულმა კრიტიკამაც უკვე აღნიშნა ეს ფაქტი. თუმცა ეს მეოთხედი ფართოდ არ არის გაშლილი თემურ აბულაშვილის მოთხრობაში, მაგრამ რკინის ნიაღვარში, მანქანების უწყვეტ ჭაჭუში აღმანიანა ერთმანეთისაგან დაშორება, გათიშვა, სწორედ, ამ ხერხითაა წარმოჩენილი: „...გრძელთმთიანმა ჰაბუკმა, საჭეზე ხელები რომ ეწყო, მანქანიდან თავი გადმოყო და მუქარით მუშტი მოუდერა. გადარჩენს! ოთხ რისხვადქვეყნულ სახეზე დამცინავმა ლიმილმა გაიიღვა. ქალიშვილებს უნდოდათ ქალაქგარეთ ცოტადღენი საიამ ეგებათ და ვოლც ვიგინდარას თავშეუყავებელი ლანძღვა-გინება დაადევნეს. მერე ერთი ჩაღისფერთმთიანი ქალიშვილი სწრაფად წამოქანდა, სარკესთან ჩამოკიდებულ გრძელთმთიან სათამაშო მაიმუნს წვიპურტელ წარატყა და ბიჭისკენ ხელი გაიშვირა...“ ... კაცმა საათს დახედო. მერე სიჩქარე გამოცვალა, ოდნავ მარცხნივ დაიწია და სიგნალი მისცა. „ნელა, სად გეჩქარება?“ აბულაშვილად შევკაბიანი ქალი. „აქლემის ნაბიჯით როდემდე ვიაროთ?“ საუვედურგარეული კილოთი თქვა კაცმა. „ნუ ჩქარობ, თუ დღერთი გწამს!“, პირველად ზომ არ ვზივარ? ნუ გეშინია!“ კაცი თავდაჭერებული ჩანდა. ისევე გამოცვალა სიჩქარე, საქარე მინა გაალო და სარკიდან უკანმოშვად მანქანებს გახედა. „მეშინია? — უკ-

მაყოფრლოდ გაიმერა შავკახიანმა ქალმა. — სული მებუთება. ბენჯინის სუნის ატანა აღარ შემძლეა. — სახელური სწრაფად დაატრიალა და ფანჯრის შინა დასწია. — ან იმის შემდეგ მანქანაში როგორ ვჭდები?”

თემურ აბულაშვილის პროზის ანალიზისას, ვფიქრობ, ორი დეტალის — სურათისა და ხმების — შემავსებელი ჯაჭვის მიგნება და დასრულებული ფერწერული ტილოს შექმნის პროცესისათვის თვალის გადავწვება მთავარა. ფერწერა შემთხვევით არ მიხსენდება, რადგან სწორედ ფერთი შესრულებულ კომპოზიციებზედ შესახება თემურ აბულაშვილის მოთხრობები; უფრო სწორად, ფერად, გახმოვანებულ კომპოზიციებზედ; ფილმის, კინოსურათის ასოციაცია კი არ აღმძვრის, არამედ, სწორედ, ხმოვანი ფერწერული ტილოს, სადაც ერთიმეორეში გადადის ფერები და ხმები და ნელ-ნელა იყვებება კონტურები, კომპოზიცია იკრება.

მოთხრობაში, „ქვა და გზა“, გარემოც ნაცნობია და ხასიათებიც; იგრძნობა მშობლიური ელფერი და სითბო, მაგრამ გზაც და გზის ბოლოს მდებარე, „შოის სხივებში ვახვეული ქალაქიც“, პირობითობაა, რადგან სხვა რამ არის წინ წამოყვანილი; დაბატლდა მძაფრი კონფლიქტი. ქიდილი საქუთარ თვითან, ათასჯიხის განმეორებულ შესთან, ეისაც ხან ბარაბა პქვია, ხან არჩევანი, ხანაც დოჩია. აწმყოში გადმოსული, აწმყოდტყეული წარსული აწვალბებს არჩევანს, სულს უბუთავს, თავისთან ეძახის ბარაბა; ახლა დოჩიას დროა, დოჩიამ უნდა იარსებოს და გაიმეოროს იგივე, რაც მანამდე სხვას უყვებოდა, თანაც ისე, რომ ეკონება სრულებით ანლებურად და განსხვავებულად ცხოვრობო. ყველაფერი ქვასთან იწყება, გავლის გრძელ გზას და ისევ ქვასთან ბრუნდება, გულზე დასადებ ქვასთან; ამას ესწრაფიან აღამიანები, ქვას ასდევნიბიან, ყიდულობენ, ფული არ ენანებთ ოღონდ სასურველი ქვა შეიძინონ; გზის შუაგულში კი ერთი სურათია გაყინული; მეორდება ხმები, სიტუაცია და კვლავ და კვლავ გაისმის: — „როდემდე უნდა ვიყო შენი შეგარდი, როდემდე? მომწყინდა ამდენი ქუთის დარიგება. მე შინა ჩემთვის ვიცხოვრო, ჩემთვის ცალკე!“ ეს მარადიული კონფლიქტი უდევს საფუძვლად აღამიანის ცხოვრებას, მაგრამ ცხოვრება ამით არ თავდება; ცხოვრება გააუღმებელი აწმყოა, რომელიც მომავალს უახლოვდება და ყოველ წამს წარსულს იმეორებს, რაც ხმებითა და სურათებით ევლინება გზის დასასრულში გასულ აღამიანებს და სოფლის წარმავლობასა და მარადიულობაზე ჩააფიქრებს, შიშით ადავსებს და უცნაურ ნუგეშსაც უწილადებს. წარსულიდან აღძრული სურათები თუ ხმები მოთხრობაში შინაგანი მონოლოგებით ან წარსულთან

გასაუბრებით არის გადმოცემული. ბარაბასთან (ძილში) ჩხუბით დაღლილი არჩევანი მდგომარეობა და აბლაბუდას ხედავს. „ძაფებში ვახლართული მწერი ამაოდ ცდილობდა თავის დაღწევას. „ამ ბადეს მთელი სიცოცხლე ვქსოვდი, მთელი სიცოცხლე!“ ეს მართკ მოხდენილი დეტალი კი არ არის, თხრობის დამაგვირგინებელი აკორდიცაა, რაც სიმძაფრება და პოეტურობას სძენს მთელ სიტუაციას. ამ მოთხრობის შორეული პარალელი შეიძლება მოგვიანებით გამოკვეთებულ მოთხრობაში დავეძნოთ („მეწიწვილი ბიჭი და სახედარი“) აქაც სოფლის წარმავლობა წამოყვლა წინა პლანზე და აქაც ამოხილულა ლამაზი სურათი: „მეწიწვილი ციხე გაღვანთან შეჩერდებოდა ხოლმე... „სამეფო კოშკიდან“ გადაჰყურებდა ალაუნის ქალებს. „მეფობა ერთხელ ყველას უნდა“, გაიფიქრებდა და იდუმალი სიამით გალაღებული დაშვებოდა თავვექ.“ მაგრამ მოთხრობის სტილი და განწმობა სულ სხვა მხარის მიემართება და სხვა, ისევ ბოლოდროინდელ მოთხრობაშია საძიებელი („გამხმარი ლეფი“). „ქვა და გზა“ კი თუ რაიმეს მოგვაგონებს, ისევ მის მეზობელ მოთხრობას (კრებულში), რომელიც, ერთი შეხედვით, სულ სხვა პრობლემაზეა დაწერილი.

„ყადიში მალე გამოჩნდება“ კონკრეტულ სიტუაციაზეა აგებული. აქ, თითქმის ყველაფერი განსაზღვრულია, ადგილიც, დროც, სასაუბრო კილოცა და ხასიათებიც. ერთი შეხედვით „მიგრაციის“ პრობლემის აღმოჩენაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მთელი მოთხრობა ყადიშის ძიება; ყადიშია საფუძველი, რასაც უნდა დაეყრდნოს ოქახი და რაზეც უნდა აშენდეს სოფელი. სწორედ ეს საფუძველი ვერ უპოვნია ლექსოს და აფორიაქებულია. დრო აღარ იომენს, საძირკველის ჩახშმა კი გვიანდება. კრიტიკული სიტუაციაა, უფრო მეტაც, კრიზისულია; ირდევვა საწყისი ყოველთვის, თავი და ბოლო ეკარგება ცხოვრებას; წყდება კავშირი აღამიანთა შორის; უცხოვდება მამა და შვილი; კონფლიქტი მძაფრდება ბერიკას მუშაობისას, წერაქვი წაუჭვრება ტარიდან და მამას ხვდება შუბლში. „რადაზე უბედურება დატრიალდებოდა,“ — ჩაიბუტბუტა და უფრო შეშინდა, გული ბავა-ბუგით ეხმინებოდა.“

ყოფითი მოთხრობისათვის ამგვარი, დაძაბული სიტუაცია — შვილი, მართალია უნებურად, მაგრამ მაინც მამის სისხლს დაღვრის — სახიფათოა, რადგან შესაძლოა შეიცვალოს ის, რითაც იწყებოდა მოთხრობა. ამგვარ შემთხვევაში განმუხტვა, გაწონასწორება არის საჭირო და, ამ ეტაპზეც, სურათი და ხმები ავტორის ერთ-ერთი ძირითადი იარაღია, მისი საშუალებით გადმოიცემა საკვანძო მომენტი მოთხრობისა, რაც ბუნებრიობას ანიჭებს მთელ სიტ-



უაციას. (სახლიდან გამოქცეული ბერია თა-
კოს შეხვდება და ვენახში შეიტყუებს. მათ
მოულოდნელად გადაეურება ლექსო) „... გარინ-
დებულნი იდგა ლექსო. ეს ამბავი თითქოს ოდენ-
დაც უნახა და საკვირველი აღარაფერი იყო.
დრო უკან-უკან დატრიალდა. ფეხშიშველმა
ბიჭმა თუთუბოიანი ფერდობი ჩაირბინა, ცა-
მეტმილას წყალთან მივიდა და ნავში ჩახტა.
მერმე დიდხანს, ძალიან დიდხანს ბანაობდა,
უინულივით წყალი იყო, სიცივის კი სრულე-
ბით ვერ გრძნობდა. თითქოს დიდი ხნის წი-
ნანდელი წაში განმეორდა. ლექსო ცოცხალი
და მოელვარე თვალებით მისჩერებოდა ბაბა-
ლეს. განმეორდა და გაქრა, თავის ადგილას
გადინაცვლა.“

სურათი და ხმები თემურ აბულაშვილის
აღქმის თავისებურებაა, რაც შემდგომ მხატვ-
რულ ხერხად იქცევა, დეტალბუნად უაღიბდება,
მაგრამ მხოლოდ ეს დეტალები არ არის თე-
მურ აბულაშვილის პროზა, და თუ მის წიგნს
დავუკვირდებით, შევაჩნევთ — მოთხრობები
იმგვარად არის დალაგებული, რომ თანდათან
გადავყვართ ეტიუდიდან მოზრდილ მოთხრო-
ბამდე.

„მდინარეს მიაკვს ამბავი“ ხასიათებით და
სიმბოლოებით დატვირთული ნაწარმოებია. მას-
ში ახლადშექმნილი ოჯახის ამბავიც არის მო-
თხრობილი და მოხუცი, დავრდომილი ცოლქ-
მრისაც, უბედური, შემოილი ქექქელასიც და
მრავალშვილიანი ათანელასიც: ამ მრავალწახ-
ნავა უოცის აღწერისას მწერალი ცდილობს
დახატოს ადამიანური ცხოვრების ურთიერთ-
საწინააღმდეგო მხარეები, დაპირისპირებულ-
ბა ადამიანის ცხოვრებისა.

„... იცი, თებრონე, ჩვენში მცენარე ხარობს,
ერთი. ზაფხულობით მინდვრები ივსება, ბრწყინ-
ნავს, ბრწყინავს. ძალზე უნააღური მცენარეა,
შეილო, ჩემო! ხალხს მისთვის ექვსი სახელი შე-
ურქმევია: ქელეშბალები, ცახცახა, წუმწუმუა, ყო-
რის ყაყაო, ქრისტესისხლა და ქრისტეს ცრემ-
ლები. გაიგონე თებრონე, ქრისტესისხლა და
ქრისტეს ცრემლები. ... — ტირილიც ღმერთის
მოგონილია, ღვთიურია. ერთი თუ იცინის, მე-
ორე უნდა იტიროს. მზე დაწვა და მთვარე
შობა. ესაა ცხოვრება...“

პროზის ყოველ ტიპს თავისი კანონები
აქვს და თუკი ისეთი ეტიუდური ხასიათის მო-
თხრობის წერისას, როგორც არის „ქრიზან-
თემის ჩითილი“, დიდი სიფრთხილია საჭირო,
რომ ზედმეტი ფრაზა კი არ გამოეროს, „მდი-
ნარეს მიაკვს ამბავში“ გაშლილი თხრობისას
ახალი პრობლემა წარმოიშობა; აქ უკვე ამბავ-
თა ერთმანეთისგან დაშორებაა მოსალოდნე-
ლი. ექვარეშეა რაც უფრო მეტია ამბავი და
ხასიათები, უფრო მეტია მათი გაფანტვის, ხე-
ლიდან გაქცევის საშიშროება; ეს საშიშროება
იგრძნობა, კიდევ მოთხრობაში, მაგრამ ნაწარ-

მოების მთლიანობის გადარჩენას, ავტორის ხე-
ყვარულის გადმოცემით ახერხებს.

და ეს არის სიუჟარული მიწისა: „წავიდა
აღექსა, გაჰყვენ ქურდები, ჩადაგ ჭკიდილი,
ხელები გაშალა და ლოცვასავით დაიჩრდიო-
ლა: — ვერაფერსა გრძნობთ? ...ჭეჩილს სი-
ცოცხლის, პურისა და ხატის სუნი ასდის...
მესროლეთ, სისხლდაღლებო!“

„ჩიტები უფასოდ“ ბოლო მოთხრობაა თე-
მურ აბულაშვილის წიგნში. ავტორს ამ მოთ-
ხრობის სათაური დაურქმევია მთელი წიგნი-
სათვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს უნდა
იყოს კრებულის ყველაზე დატვირთული ნაწი-
ლი. „ჩიტები უფასოდ“ შეკრული და მძაფრ-
განწყობილია ნოველაა. ნოველა-მოთხრო-
ბი, სადაც ერთი ხასიათი ამომართულა, რეალუ-
რსა და ირეალურს შორის ირბევა და თავისი სიმ-
ძაფრითა და ემოციურობით პოეტურობას
ანიჭებს. ერთი შეხედვით, სადა და დუნე
თხრობას. სწორედ პოეტურობას, რადგან შე-
მთხვევით არ უნდა ჰქონდეს ამ ნოველას ეპი-
გრავად დართული იაპონელი პოეტის, ტოს.
ლექსი.

ნოველის გმირი, ბასილი, პირველყოფილი,
შურსყვენილი ბუნების შვილია. მისი სიმუნჯე
იმაზე მიუთითებს, რომ გარესამყაროსთან ურ-
თიერთობაში მას მეტყველება არ სჭირდება;
ბასილის ადგილი ბუნებაშია, ტყეში, სადაც
„გაზაფხულზე ოთხი ბოძი ჩავასვი, და ფან-
ჩატური ვავაკეთე. ავიღოდი მალა, წამოვწ-
ვებოდი აჩხენიან და მთელ დღეს იქ ვაღამებ-
დი. ვფიქრობდი. თვალდახუჭული გავეურებიდი
სიმორეს. ვერაფერს ვხედავდი ვერც შორს და
ვერც ახლოს. იმუამად ყველაფერი სიბნელეში
იყო მოქცეული. მხოლოდ ჩიტების სტვენა და
ქიქიკი მესმოდა. მე მათ ფიქრში ვესაუბრე-
ბოდი. ჩიტები გამოაცხებდნენ შორს, ძალიან
შორს და საღამოთი შინ დაბრუნებისას ისევ
მათი ხმებით ივსებოდა ოთახი.“

სოფლისთვის უცხოა ბასილი, მაგრამ აქ რა-
მდენიმე მონათესავე სული მაინც იგულება,
ვინც უადვილებს ადამიანებთან ყოფნას და,
ტკივილის გავლით, ხორციელი სიცოცხლის
დათმობას უძენილებს. ადამიანებთან ყოფნა
უჭირს ბასილს და სწორედ მათთან მიდის,
რათა ბოლომდე შეიგრძნოს მათი სიცოცხე და
სიმახინჯე. ამიტომ მიდის ბასილი ქალაქში.
მიდის რათა წამალი ჩამოუტანოს დედას, ან,
უფრო სწორად, თავის თავს უშოვოს წამალი.
ბასილს ჩიტები მიაკვს ქალაქში, ჩიტები ანუ
მისი, საკუთარი სამყარო, რაც არავის სჭირ-
დება.

მოთხრობის ფინალი მძაფრია და კონფ-
ლიქტურიც, რაც საერთოდ ახასიათებს თემურ
აბულაშვილის შემოქმედებას და ბოლოდროინ-
დელ ნაწარმოებებშიც იჩენს თავს.

ფილოსოფიურ ცნებათა ქართული ტერმინების შესახებ

ფილოსოფიური აზროვნება ენის წიაღში და ენის ბაზაზე მიმდინარეობს. პათეტიკურად რომ ვთქვათ: ფილოსოფოსს, პოეტისთვის, ისე სჭირდება სიტყვა, როგორც მხატვარს ფერი და მუსიკოსს ბგერა.

ფილოსოფია აზროვნების პროცესია. ფილოსოფია მაშინ არსებობს, მაშინ არის რეალური, როცა აზროვნება მიმდინარეობს. აზრი სიტყვაში მნიშვნელობის სახით არსებობს. თუ სიტყვის მნიშვნელობა არ ღვივდება, მაშინ აზროვნება არ ღორციელდება. არ მიმდინარეობს. უფრო ნათელია სიტყვის შინაარსის მოძრაობა, ანუ აზროვნება, ორი ან მეტი სიტყვის შეერთების, წინადადების შექმნის დროს. წინადადების შექმნა შეუძლებელია წინადადებაში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა მოძრაობის, დაკავშირების, ანუ აზროვნების გარეშე. თუ წინადადებაში შემავალი სიტყვათა მნიშვნელობანი ერთმანეთს არ უკავშირდებიან, თუ ურთიერთ მიმართების დროს რაღაც ახალ მნიშვნელობას არ წარმოქმნიან ე. ი. თუ ახალ მნიშვნელობად არ გარდაიქმნებიან, მაშინ წინადადება არ „წარმოქმნილია“, არ შექმნილია, მაშასადამე, აზროვნებას ადგალი არა აქვია.

ძირითადად იგივე ვითარებაა წინადადების „აღქმის“, გაგების დროსაც. წინადადება რომ გაგებოთ, ჭირ წინადადების შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობა უნდა გახდეს ჩვენთვის ნათელი; შემდეგ ამ მნიშვნელობათა დაკავშირებით წარმოქმნილ ახალ მნიშვნელობას უნდა ვწვდეთ, თუ კი, რა თქმა უნდა, წინადადების სიტყვათა მნიშვნელობანი ერთმანეთს უკავშირდებიან. ე. ი. წინადადების გაგება წინადადების შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა გაღვივებას, ახალ მნიშვნელობად შედგებას, აზროვნებას ნიშნავს.

წინადადების მნიშვნელობის აღქმა, ე. ი. აზროვნება, შეუძლებელია, თუ წინადადების წევრთა მნიშვნელობა უცნობია. წინადადება ვერც მაშინ გააზრდებოდა, თუ წევრთა მნიშვნელობანი არ ესადაგებოდა, არ უკავშირდებოდა ერთმანეთს. შეუძლებელია, მაგალითად, ერთ მნიშვნელობად გააზრდებოდა წინადადება: ყინვაა შენის მეგობრობა.

მაშასადამე, აზროვნებისთვის უპირველესია

სიტყვის მნიშვნელობის სიცხადე და მნიშვნელობათა შეერთების უნარშეერთება დაკავშირება. სიტყვას მნიშვნელობის სიცხადესა და მნიშვნელობათა მისადაგებულ დაკავშირებას, განსაკუთრებული ყურადღება ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობის დროს უნდა მიექცეს, ვინაიდან აზრის სიცხადესა და გარკვეულობისათვის ფილოსოფიას, თითქმის, სხვა არაფერი გააჩნია, გარდა სიტყვისა.

ჭირ საერთოდ ზოგიერთი სიტყვა და სიტყვათა კომპლექსი ვნახოთ, სადაც გაბუნდოვნებულია ან სულაც დაბნელებულია სააზროვნო ობიექტი. თანამედროვე ქართულში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული სიტყვა ლამბატიცმბა. ზეგების დამტკიცება, თანამდებობაზე დამტკიცება, დებულების (თეორემის) დამტკიცება და სხვა. ადვილი მისახვედრია, რომ სიტყვა ლამბატიცმბა ნაწარმოებია სიტყვიდან მბატიცმ. მბატიცმ (მყარი, მაგარი) ძირიდან ქართულ ენაში სახვედრად ბუნებრივია წარმოება სიტყვისა ბანბატიცმბა (გამტკიცება). ქართული ენის მცოდნესათვის ბუნებრივი ე. ი. აზრის და გასაგებია გამოთქმები: საზღვრების გამტკიცება, ხასიათის გამოწვლილი, გამტკიცება, რწმენის გამტკიცება, ცოდნის გამტკიცება და მისთანანი. მაგრამ, როგორც ვთქვა, მბატიცმ ძირიდან არის ნაწარმოები სიტყვაც ლამბატიცმბა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აქტებისა და ზღაპრუვითობების კონტექსტში სიტყვა ლამბატიცმბა (მაგალითად: ამა თუ იმ კანონის დამტკიცება, თანამდებობაზე დამტკიცება, კრებამ დაამტკიცა), ასე თუ ისე, ბუნებრივად გვეჩვენება, ქართულისათვის ჩვეულებრივი, ბანბატიცმბა. ლამბატიცმბა, ბანბატიცმბა. ლამბატიცმბა ფორმებთან ანალოგიით. მაგრამ გამოთქმაში: თეორემის (დებულების) ლამბატიცმბა, სიტყვა ლამბატიცმბა ხელს უშლის აზრის (ამოცანის) გარკვეულობას, სინათლეს,

თეორემა, აქსიომისაგან განსხვავებით, ისეთი დებულებაა, რომელიც აღებული თავისთავად ცხადი, აშკარა, ნათელი არაა. თეორემის შინაარსი რომ ცხადი და ნათელი გახდეს მსჯელობათა გარკვეული ციკლი, აზროვნების პროცესია საჭირო. ქართულად ამ პროცესს ლამბატიცმბას

უწოდებენ. მოდიო, კარგად დავაკვირდეთ რას ვხედავთ? მაშინ, როცა „ვამტკიცებთ თეორიას.“

გეომეტრიის სახელო კურსში არის ასეთი თეორემა: ვერტიკალური კუთხეები ტოლია. როგორ „დამტკიცებთ“ ჩვენ, ვერტიკალური კუთხეები რომ მართლაც ტოლია? ამისათვის საჭიროა, როგორც სახელომდგენლოშია, ნაბიჯ-ნაბიჯ გავთვალსაზიროთ ჯერ, ვერტიკალური კუთხეების რაობა, უნდა დავინახოთ, რომელია ვერტიკალური კუთხეები: შემდეგ, უნდა ვაიხსენებოთ, ადრე დავინახეთ, მოსაზღვრე კუთხეების თვისება: მოსაზღვრე კუთხეების ერთად, გავიხსენებოთ კუთხეები შედგენენ, ე. ი. მოსაზღვრე კუთხეების ჯამი 180°-ია. შემდეგ ისევ უნდა დავინახოთ, რომ ვერტიკალური კუთხეები გაშლილ კუთხეებზე ტოლი მოსაზღვრე კუთხეები აქლიათ ე. ი. უნდა დავინახოთ, რომ ვერტიკალური კუთხეები ტოლია. ანრივად, დავინახავთ, შევხედოვთ, თვალსაჩინო ვახდებდა ჩვენთვის ვერტიკალური კუთხეების ტოლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ვათვალსაზიროებთ თეორემის შინაარსს. ვათვალსაზიროებთ და ვამბობთ, ვამტკიცებთო, ე. ი. ვერ ვამბობთ რასაც ვაკეთებთ, ან რაც იცავთ, არ ვიცით რას ვამბობთ. საუბრადღებობა, რომ ამ პროცედურას რუსულად **доказательство** ჰქვია და არა **утверждение**.

უკვირ მეტყველებაში, უფროსად-გაზეთებში, წაგნებში ხშირად შევხვდებით გამოთქმას: გამოკვლევა, ექსპერიმენტმა... დამტკიცა (დაადგინა) ძოხაზრება, ან... დამტკიცა (დაადგინა) აზრი. ასეთი კონტრაქტები. უმჯობესია მტკიცებ ძირიდან ნაწარმოები განამტკიცა ფორმა გამოვყენებთ: განამტკიცა დებულება, აზრი, მოხაზრება. როგორც უფროსი ითქვა, დამტკიცება ფორმა დამტკიცება, დამტკიცება ფორმის ანალიზიერია და უც უფროსი ისეთ კონტრაქტებს ჰგულობს, რომლებიც დამტკიცება დამტკიცება-დამტკიცება ნიუ-ანსს შეიცავენ. დებულებას, აზრს დადგენა უნდა არ ესადაგება. დებულებაზე ითქმის: წამოაყენა, დაიცვა, განამტკიცა, უარყო. დამტკიცება დამტკიცება არ შეიძლება. ამიტომ არ ვარცა ვამბობთ: აზრის, დებულების დამტკიცება.

ქართლისათვის აზრიანი და გასაგებია გამოთქმა: განამტკიცა აზრი (შეხედულება, დებულება). აზრის „მტკიცებ ვაძღობა“, აზრის დამაჯერებლობის, სარწმუნოობის ვაზრდაა. იტუქმებელია აზრს ფიზიკური სიმტკიცე (სიმყარე, სიმადრე) მიეწეროს. ამიტომ ვათვალსაზიროებთ აზრის (დებულების, თეორემის) დამაჯერებლობის, ანუ განმტკიცების საშუალებაცაა. აზრს შეიძლება დამაჯერებლობა შეემატოს, განმტკიცდეს გამოცდილების დამოწმებითაც, სხვა აზრიდან გამომდინარეობის ჩვენებითაც. სათანადო შენიშვნით აქ ავტორიტეტიც შეგველო დავგვასახელებინა. იმ-

იტომ შეგველო ავტორიტეტიც დავგვასახელებინა, რომ აზრის, დებულების განმტკიცება, მისი დამაჯერებლობის ვაზრდაა. „სიმტკიცე“ აზრის აგებულებაში არაფერს არ სცვლის, იგი მისი სარწმუნოების გამოთქმა, ანუ ფსიქოლოგიური დახასიათებაა. აზრის (დებულების, თეორემის) გათვალსაზიროება, სწორედ რომ აზრის აგებულების სტრუქტურის შეცვლა; მისი ობიექტური დახასიათებაა. ამიტომ გამოთქმაში: **მამტკიცებ** მის **დამტკიცება** (სიტყვა დამტკიცება გამოთქმაცაა რომ ვაზარობს) ვაბუნდოვანებელია, მინამდვილია სავნის (თეორემის) ობიექტური და სუბიექტური (ფსიქოლოგიური) დახასიათების განსხვავება. ეს რასაკვირველია, ხელს უშლის, აბრკოლებს აზროვნების ვალევივებს.

ამგვარი სიტყვა და სიტყვათა კომბლექსი, ალბათ, ბევრს შეიძლება დაიძებნოს. მეცნიერული აზროვნების ვაშლა-განვითარებისათვის, „ენობრივი უსუსტობანი“, მართალია, შემადგენელი იქ არის, მაგრამ მომავალიდებნება არაა. მეცნიერულ აზრს ვაღვივება-მომარაობისათვის, სიტყვის მნიშვნელობის ვარცა, სხვა საშუალებაცაა ვაჩინა: ობიექტურ ფაქტებზე დავკვირება, ცლა (ექსპერიმენტი), მოდელი, სქემა, ფორმულაცაა ა. შ.

ზოგიერთი ფილოსოფიური განზოგადოება და რელიგიური წარმოდგენა მხოლოდ და მხოლოდ ენის ბაზაზე და ენის საშუალებით არსებობს. მაგალითად, სუბსტანცია, არსი, შინაარსი, მარადიულობა, ომერტი, აბსოლუტი, სული, უკიდავება, სულიწმიდა, ჯოჯოხეთი, შინაინი დამე. ამიტომ თუ ფილოსოფიური აზრის გამოთქმელი სიტყვები და წინადადებანი შესაბამისი ენის წინადადებანი, ენის ბუნებიდან არ ვაპირიანდა, მაშინ ამ ენაზე ფილოსოფიური აზროვნება შეუძლებელია. შეიძლება დავისწავლოთ ეს სიტყვები და წინადადებანი, დავიუკვიროთ, ვილაპარაკოთ ამ სიტყვებით, ვწეროთ კიდევ, მაგრამ ენის შინაინი წიალის მკერდისმიერი სუნთქვის გარეშე, ცოცხალი ფილოსოფიური აზროვნება შეუძლებელია.

ისტორიულად ფილოსოფიური აზრის განვითარება, ძირითადად, ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, ინგლისურ და ზოგიერთ სხვა, ჩვენთვის უცხო ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ფილოსოფიური აზრთა (ცნებათა) აღმნიშვნელ ქართულ სიტყვათა (ტერმინთა) შექმნა-შემუშავებას, ძირითადად, თავისებური გზა აქვს. თავისებურება აქ ისაა, რომ ფილოსოფიური ცნებათა ქართული ტერმინები იქმნებოდა არა ფილოსოფიურ ცნებათა მიმკვამპის, არამედ ფილოსოფიური კვლევის მონაპოვართა მტკიცებების სარეცხში. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ვთარგმნიდით, ვთარგმნიდით და უნდა ვთარგმნიდით ქართულ ენაზე (და არა მარტო ქართული სიტყვებით) ფილოსოფიურ ცნებათა სხვა ენის წიალში შექმნილი ტერმინები.

უნდა ვთარგმნოთ მეტი, მაგრამ ფილოსოფიურ ცნებათა ტერმინების თარგმნა შესაძინებლად განსხვავდება, ჭერ-ჭერობით ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი თარგმნისაგან.

არა აღნიშნავს, ასახელებს ჩვენს ირავლივ არსებულ საგნებსა და მოვლენებს: მთას, ზღვას, ქვას, წვიმას, სეტყვას; მცენარეებს, ცხოველებს; აღამიანთა ურთიერთობებს: სიყვარულს, თანაგრძობას, მეგობრობას. პატივისცემას, შურს, სიძულვილს... აღამიანის სულიერი ცხოვრების ფაქტებს: შეგრძნებებს, აზრებს, განცდებს... ქცევის სახეებს: შრომას, თამაშს, მწიკლად, ჩვენი უწყა-ცხოვრების უაღრესად მრავალფეროვან ელემენტს. სიმარტივისათვის თუ უკელა ელემენტს საგანს ვუწოდებთ, მაშინ შეგვიძლია ზოგადად ვთქვათ, რომ სიტყვა აღნიშნავს, ასახელებს საგანს. ქვეყნად მრავალი ხალხი, ერთი და ენა არსებობს, ხალხთა და ერთა უწყა-ცხოვრება, ძირითადად, ერთნაირი ელემენტებისაგან შედგება: სხვადასხვა არის მცენარეები და ცხოველები, მთები, ტყეები და მდინარეები; იყავ გრძნობენ, აზროვნებენ, შრომობენ, თამაშობენ, შურთ, უყვართ და ა. შ.

დაუსვათ, რომ მე ჩემს დღეში არ ვამიგონია არცერთი რუსული სიტყვა და პირველად ახლა მოვიხმინე МОРЕ. მისი მნიშვნელობა რომ გავიხსენებ, უნდა შევიტყო რას აღნიშნავს, რას ასახელებს იგი. როცა იმ საგანს დამანახებენ, რასაც МОРЕ აღნიშნავს, მე სულ ადვილად შემიძლია მისი ფარდი ქართული სიტყვა მოვიძიო, ანუ ქართულად ვთარგმნო რუსული სიტყვა. იმეგარ თარგმნას, როცა უცხო სიტყვას, ამ სიტყვის მნიშვნელობის საგნის ქართულ სასულს ვეფარდებთ, შეიძლება ჩვეულებრივი, ან მარტივი თარგმნა ვუწოდოთ.

ახლა ჩვენ ისეთი სიტყვის თარგმნაზე ვლაპარაკობდით, რომელსაც მნიშვნელობად ზოგადი გრძნობადი ხატი აქვს. გრძნობადი ხატი, ჩვეულებრივ, ერთეულია, ინდივიდუალურია. მაგრამ სიტყვის მნიშვნელობის ხატის ინდივიდუალობის შემქმნელი კონტურები ისე ფერმკრთალი და მოციმციმეა, რომ ადვილად ჰგუობს სხვა კონკრეტულის ჩანაცვლებას. ამიტომ შეიძლება დაპარაკი სიტყვის „ზოგად გრძნობად“ ხატზე, ანუ სიტყვის ზოგად მნიშვნელობაზე. ამნაირ სიტყვათა მნიშვნელობის აღქმა გრძნობადად, ხედვით, უფრო ზუსტად, წარმოდგენით სწორი იქნება.

მაგრამ სხვანაირ ვითარებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ე. წ. აბსტრაქტული სიტყვის მნიშვნელობას ვწვდებით. აბსტრაქტული სიტყვების მნიშვნელობას ზოგადი, ე. ი. სხვადასხვა ერთეული შემთხვევისათვის იგივეობრივი, საერთო გრძნობადი ხატი არ გააჩნია. ამნაირ სიტყვებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სანიმუშო გრძნობადი ხატი აქვთ. აბსტრაქტულ სიტყვას (პატიოსნება, სიყვარული, კაცკაცობა, მეგობრობა, თანადგომა და სხვა), შეუძლებელიცაა ზოგადი, სხვადასხვა შემთხვე-

ვისათვის იგივეობრივი. გრძნობადი ხატი მქონდეს, ვინაიდან, პატიოსნება, მაგალითად, უმარტულურსომანეთისაგან განსხვავებულ კონკრეტულ ქცევაში შეიძლება გამოვლინდეს. ამიტომ აბსტრაქტული სიტყვის მნიშვნელობის წვდომისათვის ხედვა (წარმოდგენა) აღარაა საქმარისი, აქ აზრიც მონაწილეობს. მაგალითად მამზობრობის როკილიმე (სანიმუშო) ქცევის გრძნობადი ხატის ბუნაზე, ამ ქცევის ღირებულების გააზრებაც სდება, რა თქმა უნდა, ეფემერულად და საგანგუნო დაზუსტების გარეშე.

თავისებურია აბსტრაქტული სიტყვების წარმუშობის ისტორია. უკვიდა აბსტრაქტული სიტყვის წარმუშობის თვალმინებება, ალბათ, შეუძლებელია, ზოგან — ძალიან ძნელია, მაგრამ ისეთი შემთხვევაც არსებობს, რომელიც ადვილად ეჩვენებდებარება განხილვას. როგორც ითქვა აბსტრაქტული სიტყვები სანიმუშო გრძნობადი ხატის მნიშვნელობას (ღირებულებას) ვამოთქვამენ, ასახელებენ. სიტყვა მეგობრობით დასახელებული საგანი — მეგობრობა — მრავალნაირ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გაწვლინდეს. რუსთაველი ერთგან, მაგალითად, სამს ასახელებს.

„სამი არის მოყვარისაგან მოყვარბისია გამოჩენა: პირველ, ნდომა სიახლოსა, სიშორისა ვერ მოთმენა; მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა; გავლენა (შეწენა) და მოხმარება; მისად რგებად ვიღოთა ბრენა.“ (777)

ქართულმა ენამ მეგობრობა ზიარი ვარცილიდან პურობის, მე-გობ-არების თვალსაჩინო ხატში გააზრანა. სრულიად თავისუფლად შეიძლება რომ სხვადასხვა ენაში, აბსტრაქტული სიტყვის ეტიმოლოგიურ ძირად, განსხვავებული სანიმუშო თვალსაჩინო ხატი აირჩიოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აბსტრაქტულ სიტყვათა, ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაში, ზოგჯერ, ეროვნული ყოფის, წენ-ჩვეულების, ფსიქოლოგიის ანარტიკლი გამოხატვის.

ეროვნული თავისებურებანი კიდევ უფრო ნათლად ჩანს მოქმედება-საქმიანობის და შრომის იარაღების სახელებსა და მათგან წარმოებულ სიტყვებში. ფრაზეოლოგიურ ერთეულებისა და ილიომების ეროვნულ თავისებურებებზე სიტყვას აღარ ვავაგრძელებ.

საგნებსა და მოვლენებს შორის მრავალგვარი მიმართება-დამოკიდებულება არსებობს: ზოგი საგანი ახლა არსებობს, ზოგი ადრე იყო, ზოგიც შემდეგ იქნება. საგნები არსებობენ ერთმანეთის გვერდით, ზევით, წინ, უკან; ერთი მიწეზია, მეორე — შედეგი; ზოგი საგანი უფრო მძიმეა, ზოგი — მსუბუქი, ზოგი გამჭვირვალეა, ზოგიც — ბნელი; არსებობს თბილი, ცივი, ღბილი, უხეში, უფერული, ჭრელი და ა. შ. საგანი. მოკლედ რომ ვთქვათ, საგნები

მრავალნაირად გვიან და მრავალ-
ნაირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.
კონკრეტული ვითარება-სიტუაციის თუ საკრიო-
ების მიხედვით ჩვენ საგნებს შორის შეიძლება
ან ასეთი და ასეთი მსგავსება დავიზოთ, ან
ასეთი და ასეთი განსხვავება მოვიძიოთ.

ენის შემქმნელი ცნობიერებაც ხედავს სა-
განთა ამ მრავალფეროვან მსგავსება-განსხვა-
ვებას. იგივე, რაიმე დაუსახელებელ საგანს და-
სახელებულ საგანთან რომელიმე მსგავსებით
ან განსხვავებით ვააზრობთ. მაგალითად,
ფსპარი და უფსპარული; ტვალნი და წპაროს-
ტვალნი (მართლაც ხომ აქვს თვალის ფორმა წყა-
როს ფესვიდან ზედაპირზე გუნდა-გუნდად ამო-
ფრქვეულ წყალს). წპაროსტვალნი სავსებით რე-
ალური, კონკრეტულ საგანს აღნიშნავს. ამ სა-
განს — წყაროსთვალს — მრავალი თვისება
აქვს. ამ თვისებათაგან ზოგიერთი, სიტყვა წყა-
როსთვალს შეენიჭებება, გაუშინდგანდება და ახ-
ალი სიტყვა — წპაროსტვალნი — დაიბადე-
ბა. წყაროსთვალისგან ე. ი. ლაღად, მსუბუქად,
თავისუფლად, თავისუფლად შეიძლება, სხვადა-
სხვა ენაში საგანთა სხვადასხვაგვარი მსგავსება-
განსხვავება რომ ჩართოს სიტყვის ქმნადობა-
ში.

ერთი ძირიდან სიტყვათა წარმოქმნა, სიტყ-
ვათა ოჯახი, ზოგჯერ თავისებურია, ეროვნუ-
ლია: სახლი, მოსახლე, სახლიცა... ეროვნუ-
ლი და თავისებურია ზოგიერთი სიტყვის მნი-
შვნელობის არჩევულებრივად ფართო დიაპა-
ზონიც. ხანმოულოდ სიტყვა დედს-ს დავასხე-
ლებ: შედედება, მაწნის დედა, დედას პური,
დედაშიწა, ადგილის დედა, დედაფუძე, დედა-
ბოძი, დედაზარი, დედაენა. ქართულ კაცს შე-
უძლია თავისუფლად თქვას და ქართველისა-
თვის თავისთავად ვახაგები იყოს: ლვინის დედა,
ვაზის დედა, სიყვარულის დედა, სიბრძნის დე-
და...

სიტყვათა ასეთი ფართო მნიშვნელობის სა-
ფუძველი არაა, ღრმა ფილოსოფიური განზო-
გადობები მიკვლეული თუ მოპოვებული, სამე-
ყაროს რაღაც ძირეული ნიშანთვისება. იგი არც,
ახე თუ ისე, შეგნებულ მსოფლმხედველობას
ემყარება. მისი საფუძველია თავდაპირველი და
სტიქიური, სინკრეტული მსოფლშეგრძნება, სამე-
ყაროს მითური აღქმა, რომელიც მსოფლიურ
ენაზე ამეტყველებულ ყოველ ერს საყოფარ-
გაჩნია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველი ეროვნული
ენის საფუძვლად ძევს თავდაპირველი, ანუ
წინარემცენიერული მსოფლშეგრძნება, რომე-
ლიც არა მარტო საგნებსა და მათ ურთიერთ-
დამოკიდებულებებს ასახელებს, არამედ გარკ-
ვეულად ახარისხებს და ახასიათებს კიდევ მათ.
ამ პირველყოფილი წარმოდგენების დახარის-
ხება-დახასიათების საფუძველზე იქმნება ზო-
გიერთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობასაც არც

ზოგადი კრძნობადი ხატი აქვს და არც სანამ
შო კრძნობადი ხატი. ამგვარი სიტყვის მნიშ-
ვნელობა თავდაპირველი ცნობიერების განსხ-
ვებისა და ახლა მისი ფართო მნიშვნელობა სიტ-
ყვათა სხვადასხვა კომპლექსის კონტექსტშია
გამტოვებული.

ამრიგად, არსებობს ენის თავისებური, ე. ი.
ეროვნული სტრუქტურა, რომელიც მრავალს
ილემენტისაგან არის აგებული. შემთხვევით ჩვენ
ამ სტრუქტურის მხოლოდ ზოგიერთი ელემ-
ენტს შევხვებით, უპირისპირად ზედაპირულად და
ფრაგმენტულად. თარგმანს, რა თქმა უნდა, ერ-
თი ენის ეროვნული სტრუქტურით გამოთ-
ქმული შინაარსის მეორე ენის ეროვნული
სტრუქტურით გამოთქმა. ენის ეროვნული
სტრუქტურა ცნობიერების სამომქმედო არსე-
ნალია. მისი უფულებეულობა ან დარღვევა
ხელს უშლის, ბორკავს ცნობიერების წარმო-
ობას.

ფილოსოფიური შინაარსის ქართულ ლიტე-
რატურაში, სამწუხაროდ, ხშირია ისეთი ტრე-
შინი და გამოთქმები, რომლებიც არ თან-
ხმობიან აზრის გამოხატვის ქართული ენის
სტრუქტურას და ამიტომ ან სავსებით გაუგე-
ბარე რჩებიან, ან, უცხო სიტუაციათა, მათი
გაგება „თარგმანს“, სწორ ქართულ ფორმაზე
დაეყვანას მოითხოვს.

გამოთქმები: ზნეობრივი აზრდა, ესთეტი-
კური აზრდა — ბუნდოვანი გამოთქმები. ეს
გამოთქმები რაღაც მნიშვნელოვანისა და სა-
ჭიროს შთაბეჭდილებას, იქმნიან მაგრამ ნათ-
ლად და გარკვეულად ვერ ასახელებენ ამო-
ცანას, საქმეს. ვინც მოისურვებს ნათელი და
აზრიანი ვახალოს ის ამოცანა, რაც გაბუნდო-
ვანებულია გამოთქმაში — ზნეობრივი აზრდა,
მან იგი ქართული ენისთვის ბუნებრივ გა-
მოთქმეზე — ზნეობის აღზრდა — უნდა და-
იყვანოს. არ შეიძლება იმის იმედი გვქონდეს,
რომ თანდათანობით, ხშირი გამოყენების გა-
მო, ზნეობრივი პალზრდა ზნეობის პალზრდის
მნიშვნელობას შეიძენს. არ შეიძლება, რად-
გან იგი ეწინააღმდეგება ამგვარ ვითარებათა
ქართულად გამოთქმის ზოგად წესს: ბავშვის
აღზრდა, ხასიათის აღზრდა სპორტსმენის,
აღზრდა და მისთანანი. ესთეტიკა უცხო სიტ-
ყვა და იგი ისედაც გაუგებარია, ესთეტიკურ
აზრდას — თავი რომ დავანებოთ, ხინათ-
ლისა და გარკვეულობისაოვის, უშეიძებნია გე-
მოვნების აღზრდა დაწერა.

უაზროა გამოთქმა (ტერმინი): აბსოლუტური
ერთი, შეფარდებითი ერთი. თუ აბსოლუტუ-
რი ერთი, მაშინ აბსოლუტური შვიდიცა და
აბსოლუტური რვანახევარიც. ერთი რაოდე-
ნობას გამოთქვამს საგნისას. იგი საგნის რაოდე-
ნელობა და არა საგანი. საგანი შეიძლება
მნიშვნელოვანი იყოს და უმნიშვნელოც; დი-
დიცა და პატარაც, წითელიც, ქრელიც. ერთი

კი მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობა: იგი ორის ნაჩვენავია, სამის — მესამელი და ა. შ.

ბანჰვრმბატ და ცმცხალი ბანჰვრმბატ: არსებობს რუსული ტერმინი живое созерцание. ამ ტერმინს ვხვდებით ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ ფილოსოფიურ დებულებაში. ქართულად იგი ცმცხალი ბანჰვრმბატ არის თარგმნილი. გამოთქმა ცოცხალი განვერტა ქართულად არაფერს არ აღნიშნავს. ვინც რუსული: живое созерцание არ იცის, ქართულით: ცმცხალი ბანჰვრმბატ ვერაფერს ვერ გაიზრებს. ვერტა, განვერტა ქართულში სახანგებოდ ორგანიზებულ, ძალისხმევით ხედვას ნიშნავს. ამიტომაც ახე ბუნებრივი ქართული — შორსმვრმბატში. Созерцание, მით უმეტეს живое, სულაც არ არის სათანადოდ ორგანიზებული ხედვა. იგი გარემოს ყოველდღიური ჩვეულებრივი აღქმაცაა. ყველა ვერტა — სიტყვანი ქართული ფილოსოფიური ტერმინი: ცოცხალი განვერტა. ისტორიული ვერტა, მვერტელებითი მატერიალიზმი, მსოფლმვერტელებობა არაფერ ბუნებრივი, არამედ უსაგნო და, ამიტომ, გაუგებარია საერთოდ. როგორც ჩანს, სიტყვა ვერტა ქართულში იმ შინაარსს არ გამოთქვამს, რაც ინტუიცია, созерцание, Anschauung სიტყვებს აქვთ შესაბამის ენებში. აშკარაა, რომ ვერტა — სიტყვიანი ქართული ფილოსოფიური ტერმინები საფუძვლიან გადასწავლებას მოითხოვს.

არსებობს დაუფიქრებელი, ზერტედი და ანტიტომ არასწორი, მცდარი წარმოდგენები. მცდარი წარმოდგენების უმრავლესობა რელიგიური შეხედულებებანია, მაგრამ არსებობს სხვა ხასიათის მცდარი წარმოდგენებიც. ამგვარი წარმოდგენების მცდარობა ნათელი ხდება სხვათაგან მონაცემთა შეგერების, აწონდაწონის, გააზრების შედეგად. მცდარ წარმოდგენას სწორად ეს ზერტედი, გაუაზრებელი ხასიათი არის დაჭერილი, ამგვარ წარმოდგენების ზოგადი სახეობით Vor-urteil — გერმანულად пред-взсудок — რუსულად. აღმათ სხვა შინაარსი აქვს გერმანულ სიტყვას Aberglaube და რუსულს — суеверие.

დავადე თა ნიკო ჩუბინაშვილების რუსულ-ქართული სოქიციონების გარდა, ყველა რუსულ-ქართული სოქიციონი სიტყვებს пред-взсудок და суеверие ერთი და იგივე ქართული სიტყვით ცრურწმენა თარგმნის. ამ საკითხში სინათლის შეტანა ძნელი საქმეა და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ამას კი ვიტყვი: რომ ნამეტანი გავრცელებული სიტყვა ცრურწმენა, მაგრამ, მე მგონი, ბრმა რწმენა უფროა ის, რასაც ჩვენ ცრურწმენას ვუძახით, „რისთვის მომიკად ყმაწვილის ბრმა სარწმუნობა“.

ახლა კანტის ფილოსოფიის ზოგიერთი ცნების ქართული ტერმინების თაობაზე მინდა

ვთქვა რამდენიმე სიტყვა. კანტის ფილოსოფიის სიძნელე საყოველთაოდ ცნობილია.

კანტის თეორიული ფილოსოფია შეიქმნა ცოდნის თეორიას. კანტამდე ყველა ფილოსოფოსი თვლიდა, რომ მეცნიერება, მეცნიერებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ცოდნას უნდა წარმოადგენდეს. ზოგი ფილოსოფოსი აღიარებს შემეცნებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ცოდნის შესაძლებლობას, ზოგი უარყოფს. კანტის თვალსაზრისი ცოდნისა და სინამდვილის დამოუკიდებულების შესახებ სრულიად ახალი და ორიგინალურია: ცოდნა, მეცნიერება არ არის ცოდნისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილის შესწავლის შედეგი, სინამდვილის შესწავლა და შექმნა ერთი და იგივე პროცესია. ერთი და იგივე იმიტომ, რომ სინამდვილეცა და ცოდნაც მოწესრიგებული, ერთმანეთთან დაკავშირებულ შეგარძნებებს წარმოადგენს. რადგან ცოდნას, მეცნიერებას გონებას აქვს, ამიტომ, კანტის თეორიის მიხედვით ცოდნის, რომ სინამდვილესაც გონებას აქვს. კანტის აზრის გასაგებად აქ პატარა დანმარტებაა საჭირო. საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს გონება — ონერტის აქტს იმერტებდეს — არარობისაგან აქვს დეუს სამყაროს! გონება მხოლოდ მოწესრიგებულ, კანონზომიერ სინამდვილეს აქვს. გონებას ეძლევა შეგარძნებები, რომლებიც გამოწვეულია გონებისაგან „ხელშეუხებელ“ რაღაც ნივთისაგან. გონებამ არაფერი არ იცის ამ რაიოსთაგან ნივთის შესახებ. ამრიგად, არსებობს აღმანის გრძობის ორგანოებზე უცნობი თავისთავადი ნივთის მოქმედებით გამოწვეული მრავალფეროვანი და მოუწესრიგებელი შეგარძნებები და გონება. გონებამ ან შეგარძნებებიდან უნდა შექმნას მოწესრიგებული და კანონზომიერი სინამდვილე, ანუ ის, რაც მან იცის სინამდვილის შესახებ.

კანტი გონების ამ მოქმედებას იკვლევს, აჩვენებს როგორ აქვს გონება უწესრიგო, ქაოტური შეგარძნებისაგან საგნებსა და საგნებს შორის კავშირებს. ის, რასაც ჩვენ ვხედავთ (აქტის ობიექტები) და რაც ვიცით (არსი, მოვლენა, მიზეზი, შედეგი, ურთიერთკავშირი) შექმნილია გონების მიერ შეგარძნების დაკავშირების შედეგად. გონება, რომ ვთქვით ზოგადად, შეგარძნების დაკავშირების უნარია.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: საშინელი ქარია. შევდივართ ოთახში და ვხედავთ — ფანჯარა თოვანია. ფარდები ფრიალებს, იატაკზე ყვავილის ქოთანია გლია. მაგრამ რა მოხდა? ჩვენ ვხვდებით: ქარს ფანჯარა გაუღია; ფანჯარა რაღაზე მდგარ ყვავილების ქოთანს წამოსდებია; ქოთანი გადმოვარდნილა, გადარჩენილა, არ გატეხილა. ყველაფერი რაც ჩვენ დავინახეთ: — ქარი, ღია ფანჯარა, ფარ-

ღების ფრიალი, იატაკზე დაგდებული ყვავი-
ლიების ქოთანში, კანტის მიხედვით, მხოლოდ
და მხოლოდ ერთი მეორის გვერდით და ერთი
მეორის შემდეგ „დალაგებულია“. სივრცითა
და დროით მოწყობილობით, გაფორმებული
შეგრძნებება, დრო და სივრცე, კანტის აზ-
რით. ობიექტურად, გონებისაგან დამოუკიდებ-
ლად კი არ არსებობს, არამედ შეგრძნებების
გრძნობადაც (ოასანახად) დაამფორმებელი გო-
ნების უნარია.

მაგრამ ჩვენ იმის საფუძველზე რაც დავი-
წყებთ, მიხმბდომ — ქარს ფაჩარა გაუღია.
ფანჯარას რატიდან ყვავილიების ქოთანი გად-
მოუღვია. აქაც, ჩვენს მიხედვრებში: ქარს
ფანჯარა გაუღია: ფანჯარას რაფიდან ყვავი-
ლიების ქოთანი გადმოუღვია — კანტის მიხედ-
ვით, ქარად დაფორმებული შეგრძნებათა ჯგუფ-
ით გონებამ მიწვწობრივად დაკავშირდა და
ფანჯარად დაფორმებულ შეგრძნებათა ჯგუფ-
თან (ქარს ფანჯარა გაუღია), გაღებული ფან-
ჯრის შეგრძნებათა ჯგუფი კი — იატაკზე დაბ-
დებული ყვავილების ქოთანის შეგრძნებათა ჯგუფ-
თან (ფანჯარას რაფიდან ყვავილიების ქოთანს გად-
მოუღვია). მიწვი, კანტის აზრით, ობიექტუ-
რად, გონებისაგან დამოუკიდებლად კი არ არ-
სებობს. არამედ საუნების (შეგრძნებების) მი-
წვე-შედეგობრივად დაკავშირების გონების
უნარია. რა უნარია ეს? კანტი ამ უნარს
Verstand-ს უწოდებს.

არის ერთი ტერმინი, რომელიც ჰაერით
არის საჭირო ფილოსოფიაში მუშაობისას.
ამ ტერმინს გერმანულად Begriff, რუსულად
понятие მქვია. ქართულად მას ცნებებს უწო-
ლებენ. ცნება ქართული ენის ბუნებრივი
სიტყვა არაა. იგი წმინთ დასახელებული
ტერმინის ქართულ ექვივალენტად შეგნებუ-
ლად არის შექმნილი. ამგვარი პასპორტის
სიტყვები სხვაგვრა ქართულში. საერთოდ ყვე-
ლა ენაში არსებობს ასე შექმნილი სიტყვ-
ები. მე, სუბიექტურად, მჩიჩენება, რომ სიტყვა
ცნება ვერ გაბუნებრივდა ქართულში. ყოველ
შემთხვევაში მე ძლიერ გამიჭირდა მისი ათ-
ვისება და დიდხანს მერეოდა სიტყვა მ ც ე ნ-
ბ ა შ ი. ახლაც, ზოგჯერ დაფიქრება მჭირდება
მისი გააზრებისათვის და, უცნო სიტყვა-
სავით, ჩუმად ვთარჯინი წოდებ „ჩემთვის გა-
საგებ ენაზე“. ობიექტურად კი იმის თქმა შე-
მიძლია, რომ ფილოსოფოსთა წრეში, რომელთაც,
როგორც ვთქვამ, ჰაერით სჭირდებათ ეს
სიტყვა, ჩვეულებრივი, არასამეცნიერო საუ-
ბრისას ცნება არ გამოიგონია. ასე თუ ისე,
მე ამჭერად სიტყვა ცნების ნაცვლად, სიტყვა
მოაზრებას გამოვიყენებ. ისე, სხვათა შო-
რის, „ეფესის ტყუასანში“ ერთი ასეთი ტა-
ეზია „სჯობს გამოჩენა, აზრობა საქმისა
დასაგანისა“ (868). ქართულში სიტყვები:
შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, მოაზრება —

ცნობიერების სხვადასხვა მოქმედებას ასახე-
ლებენ.

Verstand-ის ქართულად განსჯად-
მისი თაობაზე პროფესორი ნ. დანელია წერ-
და: „გერმანული სიტყვა „Verstand“ უდრის
არა ქართულ სიტყვას „განსჯა“, არამედ „გა-
გებას“. ქართული განსჯა კი უდრის გერმა-
ნულ „Urteilstkraft“, რომელსაც კანტი განს-
ხვავებს „Verstand“ სიტყვისაგან. კანტის
„Verstand“ არის ცნებათა (მოაზრებათა —
რ. შ.) უნარი. მისი საშუალებით გიბეზლობთ
ცნებებს ანუ გაგებას (ე. ი. მისი საშუალებით
ვაზრებთ ანუ ვიგებთ — რ. შ.). ვინც გერ-
მანული Verstand გადმოთარგმნა როგორც
„განსჯა“, მას ვაჩუქებია ვაღუენა რუსული სი-
ტყვისა рассужок, რომელიც იხმარება გერ-
მანული „Verstand“ სიტყვის რუსულ ექვი-
ვალენტად, მაგრამ იხმარება უმართებულოდ...
ამრიგად, გერმანული „Verstand“ — ნიშ-
ნავს არა განსჯას, არამედ „გაგებას“, ტერმი-
ნი „განსჯა“ უმართებულოდ არის შემოღე-
ბული ვაგების ნაცვლად, მაგრამ ახლა უკვე
ვიან არის მისი შეცვლა, რადგან შეცვლით
შემოსულმა სიტყვამ უკვე ტრადიციის ძალით
მოიპოვა სამოქალაქო უფლება“ (სერგე და-
ნელია, კანტის ექვივალენტი და ფილოსოფიური
მოღვაწეობა, თბილისი, 1977, 114-115).

პროფ. ნ. დანელიას დამოწმებული აზრიდან
ორი პუნქტი მინდა ვამოვეყ. ა) Verstand-ის
მნიშვნელობათაგან, კანტის ფილოსოფიის კონ-
ტექსტში, გაგება-ზე უფრო მარტივად სიტყვა
მი იხვედრა მეჩვენება; ბ) „სიტყვამ უკვე
ტრადიციის ძალით მოიპოვა სამოქალაქო უფ-
ლება“ — ფიგურალური, ხატრვანი გამოთქ-
მა და ზუსტი მნიშვნელობა არა აქვს. საჭი-
როა სათანადო ტექსტების ანალიზით გამო-
ვარკვიოთ განსჯა სიტყვამ, ხეხნებული
ტრადიციის ძალით, მართლა შეიძინა თუ არა
მიხვედრა-გაგების მნიშვნელობა. როგორც
ცნობილია, დღევანდელ ქართულში, ისე რო-
გორც ადრე, მიხვედრა, გაგება სავსე-
ბით ბუნებრივი და სიცოცხლისუნარიანი სი-
ტყვისა და ამიკომ რაგინდ ხანგრძლივი ტრა-
დიციით არ უნდა ჰქონდეს ამ „შეცვლით
შემოსულ სიტყვას“, მაინც შეცვლია მიხვედ-
რის, გაგების ნაცვლად განსჯის გამოყენება.
განსჯა სიტყვის მნიშვნელობას სრულიად გარ-
კვეული ადგილი აქვს ქართულ ლექსიკაში.
ეს მნიშვნელობა შეიძლება დახასიათდეს რო-
გორც სხვადასხვა მოსაზრებათა აწონ-და-
წონა, შეჭერება, ბჭობა, როგორც ვამბული
აზროვნების პროცესი; იგი შესამჩნევად გან-
სხვავდება მიხვედრის, გაგების მნი-
შვნელობისაგან, სადაც აზრის მოქმედების
ერთი აქტი, ერთი გაუღება დაფიქსირებული.
ამრიგად, საგნებს (შეგრძნებებს), კანტის



აზროთ, გონების გარკვეული უნარი ახარისხებს (აკავშირებს) მიწვევად და შედეგად, სუბსტანციად და აქციდენციად... ეს უნარი არის მიხვედრა. მიხვედრის უნარის გამოკვლევას კანტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. რა და რა სახისაა მიხვედრა? რისი და რისი მიხვედრა შეუძლია მიხვედრის უნარს? რადგან მიხვედრა აზრია და არა გრძნობა, ამიტომ მიხვედრის სახეებიც აზრის სახეები ანუ მოაზრებანი იქნებოან. მიხვედრის უნარის გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდება მიხვედრის ძირითადი მიმართულებანი ე. ი. აღმოჩნდება მიხვედრის ძირითადი მოაზრებანი (ცნებები). ჩვენ ვხვდებით რამდენია საჯან: ერთია, რამდენიმეა, ყველაა. ე. ი. რამდენობა მიხვედრის ერთი ძირითადი მიმართულებაა, მიხვედრის ერთი ძირითადი მოაზრებაა (ცნება); ჩვენ ვხვდებით მიწვევს, შედეგს, ურთიერთშემოქმედებას. ე. ი. საჯანთა შორის მიმართობის მიხვედრა, მიხვედრის სხვა ძირითადი მიმართულებაა. მაშასადამე, მიმართება მიხვედრის კიდევ ერთი ძირითადი მოაზრებაა, (ცნება) და ა. შ.

კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ ქართულ თარგმანში Von dem Leitfaden der Entdeckung allr reinen Verstandesbegriffe თარგმნილია „ჩველა წმინდა განსჯითი ცნების აღმოჩენის სახელმძღვანელო ძაღის შესახებ“. სწორი ქართულით უნდა იყოს: „წმინდა მიხვედრის ყველა მოაზრების აღმოჩენის სახელმძღვანელო ძაღის შესახებ“. სანამ ქართული სიტყვა მიხვედრა არსებობს, მანამ რამდენ ხანსაც და ვის მიერაც არ უნდა გაგრძელდეს სიტყვა განსჯის მობ. მარების ტრადიცია, შეუძლებელია განსჯამ მიხვედრის შინაარსი შეიძინოს. მიხვედრა სხვაა, განსჯა — სხვა. კანტის Verstand-ი ქართულად მიხვედრაა!

თანამედროვე ქართულში ცდა და გამოკვლევა ადვილიად გასარჩევი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებია. ცდა გარკვეული მიზნის მისაღწევად დაგეგმილი მოქმედებაა, გამოკვლევა კი — ცოდნა. ამა თუ იმ კონტექსტში, სიტყვამ გამოკვლევა შეიძლება განსხვავებული ნიუანსი შეიძინოს, მაგრამ ცოდნის მნიშვნელობის ელემენტი მას უოველთვის ახლავს. ამრიგად, ერთი ცოდნის სახელია, მეორე — მოქმედების. შეუძლებელია ქართული ენის მცოდნეს ერთმანეთში აურიოს ცდა და გამოკვლევა.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართველ კულტურის მოღვაწეებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ სიტყვა ცდა არ არის გერმანული Erfahrung-ის და რუსული опыт-ის ექვივალენტი. სხვათაშორის ვ. ი. ლენინის „მეტერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ 1930 წლის ქართულ გამოცემაში, опыт ყველგან გამოკვლევადა არის

თარგმნილი. უოველივე ამის შემდეგ უცნაურია, გაუგებარია რატომ დამკვიდრდა ცდა ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნების Erfahrung-ის შესატყვისად ქართულში ცდა. ამბობენ, წერენ კიდევ, ეს აღმათ რუსული опыт-ის ორი მნიშვნელობის (ცდა და გამოკვლევა) გაწურვადობის ბრალია. ძალიან სამწუხაროა, თუ ქართულში Erfahrung-ის შესატყვისად ცდის დამკვიდრებას ასეთი არასიმპატიური მიზეზი აქვს.

„წმინდა გონების კრიტიკის“ მთარგმნელი შ. პაპუაშვილი „ბოლოსიტყვაობაში“ წერს: „როგორც ცნობილია, დღეს მთელ ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში რატომღაც გაბატონებულია ტერმინი „ცდა“ Erfahrung (опыт)-ის შესატყვისად, არადა „ცდა“ არის der Versuch (попытка) და ვერ გამოხატავს die Erfahrung-ს, გამოკვლევას“. (იმაველ კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, 1979, გვ. 494). შ. პაპუაშვილი იმოწმებს სამ, საკმაოდ ავტორიტეტულ, გერმანულ ლექსიკონს, სადაც სიტყვა Erfahrung-ი ყველგან გამოკვლევის მნიშვნელობით არის გაშნარტებული. მთარგმნელი იმოწმებს, ავტორივე, დღის ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრიწის „განმარტებადია“ ერთ ადგილს: ცნობიერება გამოკვლევათაგან მიიღებს შეერებასა“, საიდანაც აშკარაა, რომ გამოკვლევას პეტრიწთანაც ცოდნის მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ Transcendentale Deduktion des allgemein moeglichen Erfahrungsgebrauchs der einen Verstandesbegriffe. შ. პაპუაშვილი მაინც ასე თარგმნის: „წმინდა განსჯის ცნებების საერთოდ შესაძლო ცდის ეული გამოყენების ტრანსცენდენტალური დედუქცია“.

ჭერ, ცდა სიტყვის ცდისეული ფორმის შესახებ. სეული- ბოლოსართი სიტყვას ძალიან კონკრეტულ ნიუანსს აძლევს. ზოგჯერ არასწორად გამბზობ ხოლომე, მაგალითად, მარქსისტული დებულება, მბრძმის დებულების ნაცვალად. ვისივე სეული, ვთქვათ, პეტრესეული — ნიშნავს პეტრეს ისეთ ნიშნავსებებს, ან ნივთს რასმე, რაც ადრე პეტრეს ახსიათებდა, ჰქონდა, ხოლო ახლა პავლეს ახსიათებს ან აქვს. მაგალითად, პეტრესეული უქმეობა (თუ პეტრე ახლაც უქმეობს, მაშინ პეტრესავით უქმის); პეტრესეული ქული და მისთანანი. ამ ანალოგიით: ცდისეული, ის რაც ადრე ცდას ახსიათებდა, ახლა კი სხვას რასმე ახსიათებს. ასე რომ ცდის ეული აქ არაფერ შუაშია.

მაგრამ მთავარი სხვაა, ვანა ახლახან არ დავიწმინთ „ბოლოსიტყვაობიდან“ შ. პაპუაშვილის აზრი, სადაც იგი გულდასმით (და სავსებით სწორად) ასახულებს, რომ Erfahrung-ს ქართულად გამოკვლევაა შეე-

საბამებმა [და ცდა-დ მისი თარგმანა გაუგებრობის შედეგად? მაშ რა მოხდა, რატომ იქცა Erfahrungsgebrauchs ცდისეული გამოყენებად? („წინადა გონების კრიტიკა“, გვ. 118). კანტის ფილოსოფიის შესახებ მსჯელობიხას გამოთქმები: ცდის მსჯელობა, ემპირიული ცდა, შესაძლებელი ცდის ტრანსცენდენტალური პირობები, ცდაში აუცილებლობის ძირითადი დებულება და მისთანანი, გერმანული ტექსტის შესაბამისი ადგილის არა მარტო სასწორი თარგმანია, არამედ ქართულად, უბრალოდ, უაზრო წინადადებებს წარმოადგენენ. უაზროა, მაგალითად. გამოთქმა: ცდის მსჯელობა, ცდას არაერთი მსჯელობა არა აქვს. ცდა მოქმედებაა. მაგრამ გამოცდილებას აქვს მსჯელობები. გამოცდილება ცოდნაა. ჩვენ ზოგჯერ, საწუხაროდ, ვმსჯელობთ გამოცდილების საფუძველზე.

გამოთქმას — ცდაში აუცილებლობის ძირითადი დებულება — არა აქვს დედანი, ე. ი. იგი არაა კანტის ტექსტის უშუალო თარგმანი. აქ, კონკრეტული საქითხის თაობაზე, კანტის მოსაზრების გადმოცემაა ნაცადი. ცდა (მოქმედება) არ არის კანტის თეორიული ფილოსოფიის კვლევის საგანი. კანტი აქ გამოცდილების ე. ი. ცოდნის შესაძლებლობის პირობებს იკვლევს. მაშასადამე, უნდა იყოს გამოცდილებაში აუცილებლობის ძირითადი დებულება. მაგრამ არც ასე შესწორებული ფორმით არის იგი უნაკლო, ვინაიდან კანტი გამოცდილებაში აუცილებლობა კი არ აინტერესებს, არამედ აუცილებელი გამოცდილება. ე. ი. ფრანზ ასე უნდა გადაკეთდეს: აუცილებელი გამოცდილების ძირითადი დებულება. ხოლო ზუსტად და სწორი ქართულით კანტის აზრი ამ პუნქტში ასეთია: აუცილებელი გამოცდილების საფუძველდებულება.

ერთი შეხედვით, შეიძლება კაცს მოეჩვენოს, საფუძველდებულება გერმანული Grundsatz-ის კალკია და ქართულად ძირითადი დებულება ჯობს. მაგრამ არც ისე უმტკივნელოა ასეთი ოპერაცია. ძირითადი ქართულში მთავარის მნიშვნელობას უერთდება. ძირითადს ან მთავარს მაშინ ვიტყვი, როცა სხვათა შორის ერთი ან რამდენიმე მთავარია, ძირითადია, დანარჩენი კი — არაძირითადი, არამთავარი. საფუძველი კი, სხვებში ერთ-ერთს კი არ არის, არამედ ყველგან არსობრივად განსხვავებულია, სხვები მას ეურდნობიან, ან მისგან გამომდინარეობენ. გამოცდილება (ცოდნა) აუცილებელი რომ იყოს, მას საფუძველი სჭირდება, რადგან ეს საფუძველი დებულებაა, ამიტომ — საფუძველდებულება.

ამრიგად, წერენ: ცდაში აუცილებლობის ძირითადი დებულება.

უნდა იყოს: აუცილებელი გამოცდილების საფუძველდებულება.

ბოლოს, სიტყვა სულის შესახებ. სული არც რაიმე კონკრეტული, ერთეული სახელია და არც ზოგადი გრძნობადი მქონე სიტყვა. მას არც სანიშნო სატი გააჩნია. სული არამეცნიერული წარმოდგენების საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვაა. როგორც ცნობილია, კაცობრიობის კულტურის გართ-რაული არსებობა წარმოდგენა რაღაც არამატერიალურ, უსხეულო არსების შესახებ, რომელიც სიცოცხლის მიმნიჭებელ ძალად იყო მიჩნეული. თავდაპირველი წარმოდგენების მიხედვით ამ არამატერიალურ, უსხეულო არსებას, სხეულთა დამოუკიდებლობადაც შეეძლო არსებობა. რადგან ხასიციცხლო ძალა, რაღაც დამოუკიდებელ უსხეულო არსებად იქნა გააზრებული, მას ადვილად დაუბავსრდა აღმაშენის სიცოცხლისათვის დამახასიათებელი თვისებები ე. ი. ისეთი თვისებები, რომლებიც სიცოცხლის ვარეუე არ არსებობენ: შეგრძნება, აზროვნება, ნებისყოფა, წნეობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, მაგალითად, ქართულ ენაში პრიმიტიულმა ცნობიერებამ სიცოცხლე ორ დიდ ჯგუფად გაყო: მსუნთქავი სიცოცხლე და ისეთი სიცოცხლე, რომელიც არ სუნთქავს და ამნარს დაყოფას მწმ-ბრივი წმრმის სახე მისცა. ქართველი ამბობს: ოთხი სული ცხვარი, ოჯახში ხუთი სული ვართ... მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იტყვის: ორი სული თევზი, მითუმეტეს — ორი სული მუხა. რასაკვირველია, ამნარს დაყოფას დღევანდელ მეცნიერულ წარმოდგენასთან საერთო არაფერი აქვს. სუნთქავს არა მარტო ცხვარი, მგელი, კაცი და ა. შ.; არამედ თევზიც, და მუხაც. მაგრამ ეს ენას ნაკლად არ ჩათვლება. ენა ხომ მეცნიერება არ არის! უფრო ზუსტად, ენის შემოქმედი ცნობიერება მეცნიერული ცნობიერება არაა.

შეიძლება გავაგრძელოთ ჩვენი ვარაუდი და ვთქვათ, რომ ზოგიერთ ენაში „მსუნთქავი“ სიცოცხლის საფუძველად რაღაც საერთო ძალა მოიწინა და მას თავისი სახელი დაერქვა. შეიძლება ასე განხდა სიცოცხლესთან დაკავშირებული ქცევა-თვისებათა აღმნიშვნელი სიტყვები: ფსიქე და პნევმა ბერძნულში, Geist და Seele გერმანულში, ДУХ და ДУША რუსულში. ქართულ ენაშიც იყო სიტყვა სამშინეველი — ფშინევა-სუნთქვის რაღაც მოპოტაზირებული ძალა — არსის გამოთქმელი. მაგრამ ამჯვარი დაყოფა-გამოყოფა, დღეს ჩვენთვის გაუგებარ, თავდაპირველ ქიმერულ წარმოდგენებს ემყარება.

უნდა გავაგრძელებთ სიცოცხლესთან დაკავშირებულ ქცევა-თვისებათა აღმნიშვნელ სიტყვათა წარმოშობის შემორე გადმოცემულ ვარაუდს. ზოგიერთ ენაში (მაგ. ბერძნულში, გერმანულში, რუსულში) რეალურად არსე-

ბოხს სულიერ მოვლენათა, არამეცნიერული, არაობიექტური, ემპირიული მთაბეჭდილებებისა და პრიმიტიული წარმოდგენების დაქვეყნებული დანსხვავებულ სიტყვებზე დაფიქსირებული. კლასიფიკაცია: როგორ ვთარგმნოთ იგი ქართულად?

ასეთი ამოცანის წინაშე მდგარი, XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მწერალი, ევგრემ მცირე წერდა: „ორსახე არს ბერძულსაჲ სახელით სულისაჲ ფსიქი, რომელი უმეტესსაჲ ადგილსა სამშვენიერისა წილ დაღებულ არს პავლესა შინა, და კულაჲ—მნევსა, რომელი—ენე თუთ თაჲაიისა სულისა არსებასა უწოდიან და წმიდისათჳს იგივე ითქუმიხ. ხოლო ქართველთა უღონოებისაჲან ერთი სახელი აქუს სულისა, ამისთჳს აწ მასვე და ერთსა ორგზის იტყჳს“ (A 217, XII ს. 822).

ამრიგად, უმეტესი, წერილობითი საბუთი არსებობს იმის თაობაზე, რომ ათი საუკუნის განმავლობაში ქართველი პნევმაზა და ფსიქის ნაცლად სულს „ერთსა ორგზის იტყჳს“. ასევე რელიგიურ ლიტერატურაში, სასაბურთო ენაში, მხატვრულ ლიტერატურაში. კარგია ეს თუ ცუდი? ნაკლია თუ ღირსება? არც კარგია და არც ცუდი; არც ნაკლია და არც ღირსება. დაბრკოლდა განა რაიმე იმის გამო რომ ქართველი სულს „ერთსა ორგზის იტყჳს?“. „ქართველი ერთ ეკლესიას ჰგუფს იმ ერებისა, რომელთაც მსპის მნაში (ხაჯასხა ჩემბა) შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა“. (კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 5. 1981).

ქართულში სიტყვა სული ასახელებს სიცოცხლისთან დაკავშირებულ მრავალგვარ აქტივობას, რომელიც სხეულებრივი არსებობა არ ჯაჩნიათ. მაგრამ იმის თაობაზე თუ სახელდობრ რანი არიან ეს აქტივობანი, ქართულ ენობრივ ცნობიერებას ძალიან გაურკვეველი წარმოდგენა აქვს. დიდი-დიდი რაც ამ მიმართულ თემაზე შეიძლება მოვიძიოთ ესაა პრიმიტიული, მეცნიერებადგილი, წარმოდგენა სასიცოცხლო აქტივობის მომნიჭებელ რაღაც უსხეულო არსების შესახებ. ამაზე მეტი არც იმ ენების ენობრივ ცნობიერებებს გააჩნიათ რაიმე, რომლებიც სულიერ მოვლენებს, ასე თქვათ. ორ ჰგუფად ჰყოფს და ამ ჰგუფებს განსხვავებული სიტყვებით აღნიშნავს. ენის ცნობიერებას სიტყვებისათვის Geist და Seele (გერმანულში), Дух და душа (რუსულში) განსხვავებული კონტექსტები აქვს და არა განსხვავებული საგანი, აღსანიშნი ობიექტი. ვგელო მათ მნიშვნელობებში ყოველთვის არის აქტიურობის, ცხოვრებუყოფლობის ელემენტი. აი, მაგალითად, რას წაიკითხავს დაინტერესებული კაცი დ. ნ. უშაკოვის „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ Дух... 8, რელიგიურ, მითოლოგიურ და თეოსოფიურ

წარმოდგენებში — ზებუნებრივი უსხეულო არსება“ (ტ. I, გვ. 814, 1935 წ.). „душа... რელიგიურ და იდეალისტურ წარმოდგენებში სხეულის საპირისპირო სიცოცხლის არამატერიალური საწყისი, უსხეულო არსება, რომელიც რჩება აღამიანის სიცოცხლის შემდეგ“ (იქვე, გვ. 817). Душа-ს განმარტებაში სიტყვა „ზებუნებრივი“ არ იხსენიება, მაგრამ „აღამიანის სიცოცხლის შემდეგ დარჩენილი უსხეულო არსება“ რომ ზებუნებრივია, ამახ, აღბთა. და-სახელებმა არ ქირდება. ხოლო ვლადიმერ დალის „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეთი შენიშვნაა «Дух и душа отделены здесь в разные статьи только для удобства приисканья произвольных (ტ. I, გვ. 504, 1978 წ.).

სიტყვა სული ქართულში სავსებით ბუნებრივად და თავისუფლად ზის იმ ქვემოთ დამოწმებულ კონტექსტებში. სადაც რუსული ენა სვამს სიტყვას Дух: სული წმინდა, ავი სული, „სული ბორბო, ვინ მოვიხმო ჩემბა წინამძღვრად“, სულიერი მამა, სულიერი მოძღვარი, სასულიერო წოდება, სულითი კულტურა, სულიერ-ღირებულებანი, სულით ძლიერი...

ახლა ზოგიერთი ის კონტექსტიც ვნახოთ, რომლებსაც ვ. დელი თავის ლექსიკონში საილუსტრაციოდ იმორწმება...

«Нечистый дух; Святой дух; Дай перевести дух; Здесь русским духом пахнет; Он духу его не терпит; Вольный дух (умеренный жар в печи, по выгребе жару или по испечению хлеба); Испустить дух; Быть в духе; Скакать во весь дух; Гончия на духах понесли...» (იქვე, გვ. 503).

შეიძლება განა დღევანდელმა ცნობიერებამ მონახოს რაიმე რამალური ნიშანი, რომელიც იბივიზობრივ სიტყვისათვის Дух დამოწმებული კონტექსტებისათვის? კონტექსტების რაოდენობის გაზრდა ორჯერ და უფრო მეტად შეიძლება. ხომ აშკარაა, რომ ენის (ამ შემთხვევაში რუსული) ცნობიერებას არა აქვს მხედველობაში რაიმე რამალური ნიშანი, რომელსაც სიტყვა Дух ასახელებს, აღნიშნავს? სიტყვა სულიც ამ ბუნების სიტყვაა ქართულში. მართალია, ამ ორი სიტყვის ფქტიური დიაპაზონი მთლად ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ძირითადად იგივეობიენი არიან. ამრიგად, რუსული სიტყვის Дух მაღალ მნიშვნელობას დღევანდელ ქართულში აბსოლუტურად უღანკარვოდ გამოთქვამს სიტყვა სული. აქ ყველაზე საურადღებო საბუთი ისაა, რომ ორივე სიტყვა, რუსულიც და ქართულიც, არამედვერულნი, პრიმიტიული ცნობიერების წარმოდგენა — რაღაც უსხეულო აქტიურ არსებას — ასახელებს, გამოთქვამს.

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა გონ მარცვლის გამოყენება Дух და Geist სიტყვათა



ქართულ ექვივალენტად. თავისთავად იგულისხმება, რომ ბონ-ში ბონება მნიშვნელობა არაფრისდიდებით არ უნდა გვაჯაქანოთ, თორემ მაშინ მთელი წამოწყება წულის ნაყვად გვექცევა. არადა ბონ-ი ხომ ბონება სიტყვის ძირია: გონ-იერი, უ-გონ-ო, სა-გონ-ებელი, შე-გონ-ება, მო-გონ-ება, გამო-გონ-ება, გონ-ს. ამ გაკრეკილ სიტყვას, თუ რაიმე მნიშვნელობა მაინც შერჩა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბონება-ა, ხოლო ბონება, როგორც ეს აღნიშნული წამოწყების ავტორმაც (და მიმდევრებმაც) კარგად იცინან, სულაც არ არის Geist-ისა და Dux-ის ექვივალენტი. შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ დროთა განმავლობაში, ხშირი გამოყენების გზით გონ-ი იმ მნიშვნელობას შეისისხლბორცებს, რომელიც ახლა მას მიქანდაკურად სურთ მიაწებონ. სანამ ქართული ენის ლექსიკაში სიტყვის ბონება მონათესავი სიტყვები იარსებებს, მანამ ბონ ძირში უოველთვის იკაფებს გონების მნიშვნელობა.

მაგრამ ვთქვათ და მართლა შეიძინა ბონ ძირმა სიტყვა სულის „მადლი ლი — მნიშვნელობა. რა მოხდება მაშინ? რა მოხდება და ახლა ბონება სიტყვას დაემუქრება მნიშვნელობის გაორმაგების საფრთხე.

Geist-ის ვონ-ად თარგმნის სურვილი და იღდა ჰეგელის ფილოსოფიის გაცნობამ გააჩინა. ჰეგელის ფილოსოფიაში აბსოლუტური ხული თავისთავის შემეცნებელი სუბსტანციაა. შემე-

ცნება კი, როგორც ცნობილია, გონების მანობაა. ჰეგელის ფილოსოფია Geist-ის რაციონალისტური ინტერპრეტაციაა. აქ იგი უოვლისშემძლე გონებად არის გააზრებული. ქართველ მთარგმნელს, აღბაო, ამიერომ მოეჩვენა შესაძლებლად Geist-ის ექვივალენტად ბონ-ის (გონების) გამოყენება. ხოლო სახელდობრ ბონ ფორმა კი იმერომ მოიძია, რომ სიტყვას ბონებად გერმანულად თავისი შესახევისი აქვს. ჰეგელის ფილოსოფიაში Geist-ის მნიშვნელობას ჰეგელის ოცორია ჰქმნის და არა გერმანული ენის ლექსიკა der Geist. Geist-ის მრავალი თეორია არსებობს თეოლოგიაა და ფილოსოფიაში; სხვადასხვა თეორიას იგი სხვადასხვაანირად აქვს გააზრებული, ამგვარი თეორიების თარგმნისას, თეორიის მიერ შექმნილი მნიშვნელობის გამომტკმელი ქართული სიტყვის ძიების ღზას რომ გავყუეთ, მაშინ Geist-ის უოველ თეორიისთვის ახალი ქართული სიტყვა დაგვეძრდება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სათარგმნი ენის ლექსიკის ექვივალენტი მოვიძიოთ ქართულ ლექსიკაში. ხოლო თუ ახალი სიტყვის შექმნის აუცილებლობა გაჩნდება, მაშინ იგი სიტყვის წარმოების, ქართული ენისათვის ბუნებრივ წესებიდან უნდა აღმოცენდეს. უველა ენაში იქმნება ახალი სიტყვები. ქართული ენა, რასაკვირველია, გამოწაკლისი არაა. მაგრამ უკვე არსებული, ცოცხალი სიტყვის ძირის ახალ, დამოუკიდებელ სიტყვად მიჩნევის სურვილი ახალი სიტყვის შექმნა არ არის.



1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50

გურამ ყორანაშვილი

ქართული სოციალიზმის რაობის შესახებ

ქართული ცივილიზაცია მსოფლიო —
ისტორიულ სქემებში.

სხვადასხვა მოაზროვნეთა მიერ შექმნილ მსოფლიო-ისტორიულ სქემებში ქართული ცივილიზაციის არსს, მის აღვივლ მსოფლიო ისტორიულ პროცესში ძალზე უმნიშვნელო ადგილი უკავია. შ. მონტესკიო „კანონთა სულში“ აღნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ ძველ კოლხეთში საგარეო ვაჭრობის აუვაკებას, რომელიც ახალ დროში, დიდი ფრანგი მოაზროვნის მიხედვით, ძალზე დაქვეითდა თურქებისა და სპარსელების ძალადობის გამო. ვოლტერიც აღნიშნავდა ძველად კოლხეთის განვითარებულობას, უარყოფდა სეზუსტრისის ლაშქრობის ფაქტს ამ ქვეყანაში, უ. შარდენის თხზულებაზე დაყრდნობით მიუთითებდა სამეგრელოს მკვეთრ დაქვეითებას (XVII-XVIII საუკუნეებში). უ. შარდენის აღნიშნული ნაშრომი დაედო საფუძვლად ფრანგი განმანათლებლების „ენციკლოპედიის“ რამდენიმე სტატიას საქართველოს შესახებ. დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის მსოფლიო-ისტორიულ სქემაში საქართველოს არავითარი როლი არ მიეკუთვნება, ეს მოაზროვნე სიმბატიებს ამუღავნებდა მხოლოდ „კავკასიური რასის“ ანორაოლოგიური ტიპის მიმართ.

უირობის ომის მიმდინარეობის გაშუქებისას საქართველო მოექცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყურადღების არგში, მაგრამ, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მათ არ შეეძლოთ ჩვენს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური (სახელმწიფოს ფორმების ისტორიის აზრით) ევოლუციის არსს ჩასწვდომოდნენ. ეს იმიტომ, რომ ქართული ცივილიზაციის აღნიშნული ასპექტების გამოკვლევა იმ დროს არათუ დასავლეთ ევროპაში, არამედ ჩვენშიც კი არ ხდებოდა. მარქსი და ენგელსი კარგად ერკვეოდნენ ჩვენს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაში. სახელდობრ, მარქსი აღნიშნავდა საქართველოს (ქართლ-კახეთის მნიშვნელობით) მშვენიერ პროვინციებს (ჯაზეთი „New-York Tribune“, 1858 წლის 15 იანვარი). ენგელსი აღნიშნავდა აგრეთვე იმ ვარემოებას, რომ შავი

ზღვის ქართულ სანაპიროზე (მდ. რონის ვაკის გამოკლებით) თავდაცვითი ომი შეიძლება დიდი წარმატებით მიმდინარეობდეს თვით უძლიერესი არმიის წინააღმდეგაც, რადგან მთიანი რელიეფის გამო ნაპირიდან მხოლოდ მცირედენი პოზიციის შემოვლა შეიძლებაო, თუ, რასაკვირველია, საქმეში სამხედრო ფლოტი არ ჩაერევა (იგივე გაზეთი, 1858 წ. 15 ნოემბერი). ენგელსმა „ოჯახის, კრძოლ საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“, მ. კოვალევსკის ნაშრომზე დაყრდნობით, აღნიშნა გვარის ინსტიტუტის არსებობა ფშავლებსა, ხევსურებსა და სვანებში.

რუს ისტორიოსოფოს ნ. ი. დანილევსკის სპეციალურ ნაშრომში ჰქონდა აღწერილი (1847 წ.) კავკასიის გეოგრაფია, მისი ხალხების (განსაკუთრებით მთიელების) ეთნოგრაფიული მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის კულტურულ-ისტორიულ ტიპებში (სულ 11 მთიელები) მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საქართველოსათვის. ასევე არ „გაუღიმა ბეღმა“ ჩვენს ქვეყანას ო. შენგლერის მსოფლიო-ისტორიულ კონცეფციაში (აქ ფიგურირებს რვა კულტურა). ა. ტოინბი თავის ისტორიულ-ფილოსოფიურ თეორიაში თავდაპირველად გამოჰყო 21 განვითარებული ცივილიზაცია პლუს 5 ცივილიზაცია, რომლებიც შეჩერდნენ (arrested) თავის განვითარებაში-პოლიენიური, ესკიმოსური, ნომადური, ოტომანური (თურქეთის) და სპარტანული. შემდეგში ცივილიზაციათა რაოდენობა მან დაიყვანა 18-მდე. აღნიშნულ თეორიაში ყურადღება აქვს მიქცეული ისეთ ხალხებს, რომლებსაც რაიმე საჭრძნობი კვალი არ დაუტოვებიათ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში და რომლებიც, თავისი კულტურული შემოქმედებით საქმოდ ჩამორჩებოდნენ ქართულ (აგრეთვე მეზობელ სომხურ) ცივილიზაციას. (ა. ტოინბი თავის ნაშრომებში საქართველოს ისტორიას მხოლოდ რამდენჯერმე, და ისიც გაცკრით, შეეხო).

კიდევ მეტი. თანამედროვე დასავლეთში ფართოდ გავრცელებული ე. წ. ლოკალური ცივი-

ლი სოციალდემოკრატიის და მასხაიანობის ბანური კემპარტიბანი — საზოგადოებრივი უფლებების მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების, საწარმოო ძალების მიერ წარმოებითი ურთიერთობებისა და ა. შ. განპირობებულობა საერთო კანონზომიერება იყო და არის უკვე საზოგადოებისათვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოს ისტორიისთვისაც. ამ პლანში საზოგადოებათა (ისევე როგორც ადამიანთა) ერთობა სრული კემპარტიბა, მაგრამ ამის საპირისპიროდ მცდარია მტკიცება წინაპირობების სანაწილი საზოგადოების (აგრეთვე ადამიანის) ერთიანი განვითარების კანონზომიერების შესახებ. აღნიშნული თვალსაზრისით მსჭედილობას განსხვავებულობა ცივილიზაციების შორის მხოლოდ მათ მიერ ფორმაციების გავლის დაჩქარებულობა შენელებულია აზრით თუ შეიძლება. ამდენად, აღნიშნული თვალსაზრისიდან თუ გამოვალთ, საქართველოს ისტორიული პროცესი ბევრად უფრო აჩქარებულად ვითარდებოდა, ვიდრე ძველ აღმოსავლეთში, მაგრამ უფრო შენელებულად — ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ისტორიკოსი ცივილიზაციების ისტორიის კვლევისას, — მათ შორის ქართული ცივილიზაციის შესწავლისას. — არ დაფიქრებულა გეოგრაფიკული საზღვრებისა, რა მიზეზითაც ხდებოდა ეს შენელებულობა-აჩქარებულობა.

ქართული ცივილიზაციის ისტორიის გაგება, რა თქმა უნდა, გულისხმობს ჩვენი გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული გარემოცვის, დემოგრაფიული სიტუაციების, ეროვნული ფსიქოლოგიის როლების გარკვევასაც. მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არც ამ მხრივია სახარბიელო მდგომარეობა. ის ტრადიცია, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს დამყარდა, კვლავ ძალაშია. კერძოდ გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში უაღრესად დაკნინებული იყო, ასევე იგნორირებული იყო დემოგრაფიული სიტუაციების მნიშვნელობა საზოგადოების ისტორიული პროცესში. რაც შეეხება ისტორიული გარემოცვის როლს, ხალხის ფსიქიკას, ეს საკითხები ისტორიკოსთა ცნობიერების მიღმა დარჩნენ. ჩვენი ისტორია გაიშალა სპეციფიკური სახის გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც ასე თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა საზოგადოებათა, განსაკუთრებით წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მრავალი ქვეყნის, გეოგრაფიულ გარემოთაგან (ვთუ ფშვავლა წერდა: „ჩვენ ბუნებაში ვართ, — იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავქვეყნოთ, დავემალნეთ?!) ცოცხალიც მისი ვართ, მკვდარნიც“), სპეციფიკურ ისტორიულ გარემოცვაში, რომელიც ასევე არანაკლებ განსხვავდებოდა სხვა ხალხების ისტორიულ გარემოცვათაგან, ჩვენს ისტორიას თავის დაღს ახვადდა სპეციფიკური დემო-

გრაფიული სიტუაციები, ჩვენი ხალხი ხასიათდებოდა ბევრ მხრივ განსხვავებული ეროვნული ფსიქიკით — და უოველივე ამის ჩვენი ეროვნული რესალე საჭიროა ისტორიული პროცესის მიცნობიერულ დაღრნეწ წარმოსადგენად. ამის მიუხედავად, ქართველი ხალხის ისტორიას შეისწავლიან ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინების გარეშე. როცა წარმოების წესის შინაარსს გადმოსცემენ, აქაც სულაც ვერ იძლევიან კონკრეტულ სურათს. ესეც გასაგებია: წარმოების წესის გაგება საზოგადოების გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული გარემოცვის, შესაბამისი დემოგრაფიული პროცესების გარეშე უაღრესად ნაკლებულია იქნება. თუ ამას ემატება საცოვრებლის, დასახლების ტიპების, ჩაცმულობის, კომუნიკაციების, სატრანსპორტო და სამხარო ტექნიკის, მატერიალური მოთხოვნილებების საერთოდ მოსახლეობის დაბალი და მაღალი ფენების მატერიალური ცხოვრების და ა. შ. გვერდის ავლა, ამ შემთხვევაში ისტორიული პროცესის გადმოცემა სულაც არ ჩაითვლება მიცნობიერულად.

უოველივე ამან გააძენლა ქართული ცივილიზაციის ნამდვილად მიცნობიერულ დაღრნეწ შესწავლა, მის გაცნობიერებაში ისტორიზმის პრინციპის ნამდვილი გამოყენება, ამით, წარსულში ჩვენი ეროვნული „მე“-ს ჩვენება. საბედნიეროდ, ეს ოციოდ წელია მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა ე. წ. ადრეკლასობრივ საზოგადოებათა შესახებ დისკუსიების გავლენით. კერძოდ, გ. მელიქიშვილმა რიგ შრომებში უჩვენა, რომ ჩვენს წინაპრებს მონათმფლობელური ფორმაცია არ გაუვლიათ და მის მაგიერ არსებობდა ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოება.* მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენი ცივილიზაციის მიცნობიერულ კვლევაში ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელი რჩება. სახელდობრ, შესასწავლია საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიული პროცესის ფონზე. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ისტორიკოსის შემეცნებას მძლავრი იმპულსები ეძლევა თავისი საკვლევი ობიექტის, ამ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის, გაცხადებაში (პირველად ამ მეთოდის პროდუქტიულობა გამოჩნდა შ. მონტესკიოს „სპარსული წერილებითა“ და ო. გოლდსმიტის „მსოფლიო მოქალაქით“). ჩვენი კულტურის კვლევისათვის უაღრესად საჭირო ეს გარემოება კარგად შეამჩნიეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ფილოსოფიას, კერძოდ, მის, ერთ-ერთ მთავარ დისციპლინას — ისტორიულ მატერიალიზმს. სამწუხაროდ ქართველი ფილოსოფოსები ამჟამად ნაკლებად იყენებობენ ჩვენი ისტორიული პროცეს-

* (ერთ ხანს ამ აზრს ავითარებდა ს. ჭანაშია).

ის, როგორც სისტემის, მთლიანობის გააზრებას. ამ მიზრით მათ შეასუსტეს ის ტრადიციები, რაც წინა ხნის ფილოსოფოსებმა — ს. დანელიამ, კ. კაპანტომ, შ. ნუცუბიძემ და სხვ. (ბევრია უწინ ივრემ მცირემ) შექმნეს აღნიშნული მიმართულებით. ეს კი ძალზე სამწუხარო გარემოებად უნდა ჩაითვალოს; ჯერ ერთი, თვით ქართული ფილოსოფიისათვის თავისთავად, მეორე იმ აზრით, რომ ჩვენის ისტორიული პრაქსის, ისევე როგორც მთლიანობის, მაგალიტად შეიძლება ისეთი საკითხების დაყენება, რომელთა არც დაყენება და, მით უმეტეს, გადაწყვეტა არ შეიძლება ჩინეთის, ინდოეთის, ინგლისის, საფრანგეთის და ა. შ. ისტორიის მაგალიტებზე. და ეს იმიტომ, რომ შოგავითი გარემოებით ჩვენი ისტორია უნიკალური იყო.

ჩვენი ცივილიზაციის სათავეებზე

მარქსისტული ისტორიული მემკვიდრეობაში მკვეთრად განსხვავდებიან აღმოსავლური (აზიური) და დასავლეთევროპული ცივილიზაციები. თუ აღმოსავლური ცივილიზაციები (ასევე ცივილიზაციები შავ აღრიკაში, ამერიკაში, პოლინეზიაში და სხვა) შეჩერდნენ სასოფლო თემზე, მიწაზე საერთო საკუთრებაზე, დესპოტური სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმის დანერგვა და ა. შ., კაცობრიობის ევოლუციის აღმაშენებელი განსახიერა წასავლეთში ევროპამ (ანტიკური და დედობრივი საზოგადოებები, კაპიტალიზმის გენეზისი). ამდენად, ჩვენს წინაშეა ცივილიზაციათა ორი მკვეთრად განსხვავებული ტიპი: ერთი მიხედვით დამახასიათებელი სტანდარტითაა მეორე დინამიზმით (ეს დღე განსხვავებულობანი არ აიხსნება რასობრივი ნიშნებით). საინტერესოა, თუ რომელი ამ ტიპთაგან მიეკუთვნებოდა ქართული ცივილიზაცია.

ცივილიზაციის ჩახახვა-განვითარებამ ჩვენს წინაპრებში, მაინც დაივიწყა კაცობრიობის მოწინავე ცენტრებთან შეიარაღებით. ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება. ტექნიკის შედარებით დაბალ დონეზე განვითარების მიუხედავად, ძვილ შუმერში, ეგვიპტეში და ა. შ. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა პირობებმა (ადგილად დასამუშავებელი და ნაყოფიერი ნიადაგები, დიდი მასშტაბების საირიგაციო მიწათმოქმედება, თბილი კლიმატი, რომელიც ამკირებდა აუცილებლად საჭირო მატერიალურ მოთხოვნილებებს უშუალო მწარმოებლობისაგან) ხელი შეუწყვეს საზოგადოების სტრუქტურის ვაროულებას, ამით ცივილიზაციის წარმოშობას. მაგრამ საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა სხვა ინდოეთისა და მოწინავე ცენტრებისაგან. იგივე ტექნიკურ ბაზაზე (ძირითადად შრომის ნეოლითური იარაღები) შედარებით მკაცრი ბუნებრივი პირობები, — მაგარი და შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგები, ტყის ფართო მასივები, შედარებით მკაცრი

კლიმატი, რომელიც განაპირობებდა უფრო მეტ აუცილებელ პროდუქტს უშუალო მწარმოებლობისათვის, — არ იძლეოდა შესაძლებლობას ცივილიზაციის განვითარებისათვის. ეს უნდა მომხდარიყო საზოგადოების ბუნებრივ ბატონობის უფრო მაღალ საფეხურზე, რაც, თავის მხრივ, ტექნიკის მეტი განვითარებისას გახდებოდა შესაძლებელი. ამას ადგილი ექნებოდა რკინის მეტალურგიის ფართო გავრცელების პირობებში. ძირითადად ასევე მოხდა ევროპის ისტორიაში. ამდენად, ქართული და დასავლეთევროპული ცივილიზაციების განვითარება მოხდა მსგავს ტექნიკურ პირობებში, ასევე ზომიერ ზონაში, რომელიც მოითხოვდა შედარებით პროდუქტის შესაქმნელად შრომის ნაყოფიერების მეტ განვითარებას.

ისტორიული გარემოება ჩვენი წინაპრების საზოგადოების ბევრად უკეთესი იყო ცივილიზაციის პიონერი ხალხების გარემოცვასთან შედარებით, რადგან პირველ შემთხვევაში არსებობდნენ სხვა უფრო განვითარებული ისტორიული ცენტრები, რომლებიც განვითარებისათვის იძულებულნი იყვნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხებს დამოუკიდებლად უხდებოდათ ცივილიზებული ეოფიერების დაწყება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფაქტორი საქართველოში ისეთი დამაჩქარებელი მაინც არ ყოფილა, როგორც ბერძნულ-რომაულ სამყაროში. ეს იყო მიზეზი ქართული ცივილიზაციის ჩახახვა-განვითარების შედარებით დაგვიანებისა და ნელი ტემპებისა.

აი ასეთ ტექნიკურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ (საგარეო გარემოცვის აზრით) წინამძღვრებში ჩაიხსნა ქართული ეთნიკური ინდივიდუალობა, ქართული ცივილიზაცია. (შოგავრ გვჩვენება ცდები „კლასური ცივილიზაციის“ ნტიციებისა. ასეთივე საფუძვლით შეიძლება მსჯელობა „ლაზურ“ (ლაზიის) ცივილიზაციაზე, მით უმეტეს, „იბერიის ცივილიზაციაზე“. მაგრამ არ მივგანჩნა მიხსენებულთა ერთი ეთნიკური ერთეულის დანაწევრება რამდენიმე ცივილიზაციადა).

გვაროვნული წყობილების დაშლა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობა საქართველოში სულაც არ მიმდინარეობდა იმ სახით, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში წარმოედგინათ ჩვენს ისტორიკოსებს. უკანასკნელთა მიხედვით, აღნიშნული პროცესების გაშლა ჩვენს წინაპრებთან იმავე სახით მოხდა, როგორც ბერძნულში და რომაულში. ასეთი მტკიცების კი გამოდიოდნენ ფ. ენგელსის ნაშრომიდან „ჩოხის... წარმოშობა“. სინამდვილეში ენგელსის ეს წიგნი აღნიშნული პროცესების განვითარებას გადმოსცემდა მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ისტორიულ სამყაროში, მაშინ როდესაც გერმანელებში და აღმოსავლეთის ხალხებში იგი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას სულ სხვა სახით იაზრებდა (იხ. აგრეთვე მისი

„ანტი-დიურინგი“). კერძოდ, უმრავლეს შემთხვევაში კლასების წარმოშობა მოხდა სასოფლო თემის მიწაზე კერძო საკუთრების უმინშვნილო განვითარების პირობებში. მის საფუძველს შეადგენდა ეკონომიკის განვითარების განსახლებული ფორმა. რა პირობებშიც გახდა შესაძლებელი შრომის დანაწილება უშუალო წარმოებასა და მმართველობაში დასაქმებულთა შორის და შედეგად — დაჩაგრული და ვაბატონებული კლასების წარმოშობა. ვაბატონებულთა კლასის წარმოშობის პარალელურად ხდებოდა სახელმწიფოს, როგორც ისეთი ორგანოს წარმოქმნაც, რომელიც აკმაყოფილებდა საზოგადოების საერთო ინტერესებს (ირივაციის მშრალ ქვეყნებში, ქვეყნის თავდაცვა).

ასე მოხდა საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. ჩვენი წინაპრების მიერ აღნიშნული მძაბრობებით განვლილი გზა იმეორებს ხალხთა უმრავლესობის მიერ განვლილ სათანადო საფეხურს და არა ბერძნულ-რომაულს. შესაბამისად, მონობის ინსტიტუტის განვითარება ჩვენში მეორეხარისხოვანია. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ვერ გადასტრუქტურის წარმომქმნელი ელემენტი. ამის მიზეზი გახლდათ მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების უმინშვნილობა (მიწის შესაკუთრეს წარმოადგენენ სასოფლო თემები), ასევე საკუთრების სხვა, მოძრავი ფორმების უმინშვნილოდ განვითარება, ექსპლუატაციის განვითარება საზოგადოების შიგნით (სახელმწიფო გადასახადების, ვალდებულებების ფორმით), ძლიერი შილიტარიისტული სახელმწიფოს არარსებობა, ამ მიზეზით იმპერიის შეუქმნელობა.

თუ ასეთ სოციალურ საფუძველზე ბევრგან სახელმწიფოს დისპოტური ფორმა განვითარდა, ჩვენს წინაპრებთან ეს არა ჩანს. საქარო ხელი-სუფლებების ძირითად ბირთვის შეადგენდა ხალხის ფართო მასები, ამასთანავე ირგვლივს საჭიროება ქვეყნის ეკონომიკაში შედარებით უმინშვნილო იყო, რის გამოც სახელმწიფოს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი განვითარება, მისი დისპოტის ფორმით წარმოქმნა კოლხეთსა და იბერიაში არ მომხდარა. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ შემდეგ მაგალიტებს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეოთხე მეფე ფარნაქოს ორიენტაცია სპარტაზე აუღია, დაუწყია დევნა ჩვენი ძველი ტრადიციული რელიგიისა და შესაბამისად — მფარველობა ცეცხლთაყვანისმცემლობისა. ამ ნიადავზე მომხდარა განხეთქილება მეფესა და „მკვიდრთა ქართლისათა“ შორის. ერისთავთა უმრავლესობა სათავეში ჩაედგინა ამ შეთქმულებას და მეფედ მოუწყვეთათ სომხეთის მეფისწული არშაი (უკანასკნელის ცოლი ფარნაქოსთან ნათესავი ყოფილა). ფარნაქოსს დახმარებანი სპარსნი და ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო ოპოზიციას (ქართველთა უმეტესობას) — სომხები. ომში გაუმარჯვიათ უკანასკნე-

ლებს, ხოლო ფარნაქომ კი მოუკლავდა. შემდეგ მოვიც ერისთავთა უმეტესობა წინააღმდეგე ყოფილა მეფეს ფარნაქოსის ძისა, თუდუქუთა ანასკუნელ მანც მოუხერხებია (რახაკვირველია, სპარსთა დახმარებით) დაეკავებინა ხანეულ ტახტი.

ჩვენი საისტორიო კრებულის მიხედვითვე, ქართლის XVIII მეფე ამაზასხს „შეექმნა ხილად, და აწყო მისხსხლეობად, და მისწყუნდა მრავალნი წარჩინებულნი“, რისთვისაც იგი მოიძულა „იქმნა ქართლისამან“. განმეორებულა შემთავწირილი სიტყვათა: მეფეს განდგომას ხუთი ერისთავი, რომელთაც თავის გამგებლობაში მყოფი ლაშქრით, აგრეთვე უცხო ძალებზე დაურდნობით, დაუმარცხებიათ და მოუყლია ამაზასხი (მას კვლავ სპარსნი ეხმარებოდნენ), ხოლო გამგებულა მისი დისწული რკვი. „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, როგორც ცნობილია, ცენტრალისტორიული ძალების, მეფის ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. ასე რომ, არ იქნებოდა სწორი თხზულების შესახამისი ნაწილის ავტორს — ლეონტი მროველს მყვანილი მაგალიტები თვითონ შეეთუხას, ნათუ უთუოდ უნდა არკულიყო რეალისტორიული ვითარება, ასახული ჩვენს უძველეს საისტორიო ქრონიკებში.

ძირითადედ ასეთვე ვითარება უნდა ყოფილიყო კოლხეთში. მართლაც, ბერძენი გეოგრაფისი სტრაბონი წერდა, რომ კოლხეთის მეფეები, ყოველ შემთხვევაში, სამეფოს დაუთულებების ხანაში, ქვეშევრდომებს ზომიერად მართავდნენო.

დიდი ხნის მანძილზე (რომლის შესახებაც ახლა გვაქვს საუბარი), ქართველური ეთნოსის საქმოდ ცენტრალიზებული იყო, მას მოიცავდა ორი პოლიტიკური ერთეული კოლხეთისა და იბერიის (ქართლის) სამეფოების სახით. განსაკუთრებით აქტიურობდა იბერიის სამეფო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით ჭოროხის შესართავამდე იყო ვასული, დასავლეთით კი ბუნებრივი საზღვრის, სურამის ქედს იქით მას შეუქმნია არგეთის საერისთავო ვიანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე. იგი (იბერიის სამეფო) აგრეთვე აქტიურ როლს ასრულებდა იმდროინდელ საერთაშორისო სარბილზე, კერძოდ, ებრძოდა პონტოს სამეფოს, სომხეთს, რომს, პართიას. რომს მისი დაპყრობა თვით პომპეუსის ძლიერმოსილი ლაშქრობის შემდეგაც კი ვერ გაუბედავს (ცხადია, ამაში იბერიის ძლიერებას გარკვეული მნიშვნელობა მქონდა, მაგრამ უშთავრესი იყო რომაელებსადმი მისი მიმხრობის მიზანი პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში). ასე რომ, ძველ ხანაში ჩვენი წინაპრების საზოგადოებამ „შინაგანი“ ევოლუციით სავსებთა შესაძლებელი იყო ქართველური ეთნოსის გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს ქვეშ აქედან გამომდინარე თავისი დადებითი შედეგებით. მაგრამ ამას ხელი შეუშალა არახელსაყრელმა საგარეო ვითარ-



ბამ, სახელდობრ იმან, რომ ჩვენს სამხრეთ დასავლეთით ჩამოყალიბებულმა პონტოს სამეფომ დაიპყრო კოლხეთი, ხოლო ეს დაიპყრობული ქვეყანა შემდგომში შესცვალა რომმა. ცხადია, იბერია კოლხეთის დაპყრობისას (უფრო სწორად, შემოერთებისას) უნდა დაედგინა ამ სახელმწიფოების წინააღმდეგობა, რაც მას არ შეეძლო. თუ არა ეს საჯარო დაბრკოლებანი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა შეიძლებოდა საქმოდ ადრე, ძვ. წ.-ის ბოლო საუკუნეებსა ან ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში.

საბოლოოდ, ვარი ისტორიული ვარდმოცვა ჩვენი წინაპრებისათვის ძველად, ცივილიზაციის განვითარების საწყისი ფაზის ხანაში, ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო. სკვითებისა და კომერილების შემოსევების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე, დიდ ხანს ადგილი არ ჰქონია უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის შემოსევას. რაც შეეხება პონტოს სამეფოს (კოლხეთში), სპარსთა, რომაელთა და სხვათა დაშქრობებს, ესენი სულ სხვა ხასიათისა და არც ისეთი დამანგრეველი იყვნენ, როგორც მოძთაბარეთა შემოსევები. კოლხეთისაგან განსხვავებით იბერია საქმოდ დიდ ხანს, სამეფოს შექმნიდან თითქმის შვიდი საუკუნის განმავლობაში, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება კულტურას (ვიწრო აზრით), იგი ჩვენს წინაპრებს აღნიშნულ ხანაში მნიშვნელოვნად არ განუვითარებიათ. არქეოლოგიური მასალებით ჩანს, რომ მოსახლეობის ზედაენის, ელიტის ცხოვრება (ყოფა) საქმოდ კომფორტული იყო, მას აუცილებლად შეთვისებული ჰქონდა ბერძნულ-რომაული სულიერი კულტურის ბევრი მომენტიც. იქნებდა იმის შთაბეჭდილება (განსაკუთრებით კოლხეთში), რომ ბერძნული კულტურა ზედაფენაში იმდენად მოძალებული იყო, რომ ადგილობრივი კულტურის განვითარების შედარებით სუსტმა ტენდენციებმა ვერ შესძლეს განმტკიცება. დამოუკიდებელი კულტურის განვითარება ვერ მოხდა თვალსაჩინოდ აგრეთვე იბერიაში. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ ანტიკური მემკვიდრეობა (legacy, наследие), ძველი ქართველური ეთნოსის მიერ შექმნილი, სულაც არ ყოფილა მნიშვნელოვანი. საფუძვლად რომ დასდებოდა ახალ ქართულ კულტურას, ქრისტიანიზაციის შემდეგ რომ წარმოიშვა.

ძართული ცივილიზაცია ზრდის ფაზაში

თუ აღმოსავლეთისა და სხვა რეგიონების ბევრ ქვეყანაში მოხდა საზოგადოების სტაგნაცია, სასოფლო თემების, მიწაზე კერძო საკუთრების უმნიშვნელოდ განვითარებისა და დესპოტურ სახელმწიფოს საფეხურზე, ჩვენს წინაპრებში აღწერილი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ამით ჩვენი ცივილიზაციის ევოლუცია თვისებრივად განსხვავდებოდა აღმოსავლურისაგან და ემსგავსებოდა დასავლურს.

საქართველოს უმეტეს ნაწილში (მთიანეთისა და გვიანდელი ქიზიყის გამოკლებით) მხედრობის მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება, ანტიწერილგლეხური, ხოლო შემდეგ ფეოდალური ფორმით. თუ როდის და როგორი ტემპებით დაიწყო ქართული საზოგადოების ფეოდალიზაცია, ეს საკითხი ჰერჭობობს ნათელი არ არის. ს. ჯანაშიას მიხედვით, ახალი, ფეოდალური წყობილება გაბატონებული გახდა V-VI საუკუნეებში, ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა VIII-ს-ში, ხოლო გ. მელიქიშვილის აზრით მისი გაბატონება ვრცელდებოდა თვით XI-XII საუკუნეებმდე. ყოველ შემთხვევაში როგორც არ უნდა იყოს, აუცილებელი ფაქტია ფეოდალიზმის ვამარკვება საქართველოში. გადასვლა ძველ, სასოფლო თემებზე დაფუძნებულ ქართული საზოგადოებისა ფეოდალიზმზე მოხდა, როგორც ცნობილია, ერთი და იმავე ეთნოსის შიგნით, გარეგან ბარბაროს ხალხის ჩარევის ვარკვე. იგი არ იყო დაკავშირებული საწარმოო ძალების თვალსაჩინო ზრდასა და დაქვეითებასთან და მიმდინარეობდა საწარმოო ძალების უკვე წინა საუკუნეებში მიღწეულ დონეზე. ამ მხრივ დიდი განსხვავება შეინიშნება საქართველოსა და დასავლეთევროპულ ცივილიზაციებს შორის. ამ უკანასკნელის ქრისტიანული ხანის ცივილიზაციამ, როგორც ცნობილია, განვითარება დაიწყო კულტურის (ღართო აზრით) კატასტროფის, ეკონომიკისა და სულიერი კულტურის მკვეთრი დაქვეითების პირობებში, რაც ანტიკური საზოგადოების მონათლევობდური ხასიათის ვარდა ნაწილობრივ გამოწვეული იყო ახალი ეთნოსის (გერმანელების) ჩარევასთან ამ ცივილიზაციაში. საქართველოში კი საქმე სულ სხვანაირად იყო.

ახ. წ.-ის IV საუკუნის პირველი მესამედის ბოლოდან საქართველოში დაიწყო კულტურის აღმავლობა. ახალი რელიგიის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გადაქცევამ გამოიწვია დამწერლობის ღართო ვავრცილება, არქიტექტურის (სასულიერო ხასიათისა), ლიტერატურის, ახალი სალიტერატურო ენის განვითარება. ჩვენს ხალხსა საგრძნობი ნაბიჯი ვადგადა ეთნიკური კონსოლიდაციის გზაზე. იმავე ახალი რელიგიის წყალობით საქართველო მტკიცედ ჩაება ქრისტიანული კულტურის ორბიტაში. ამ ვარკვეობამ კი დიდად დადებითი როლი შეასრულა ჩვენს ისტორიაში (თუმცა მოგვიანებით ამავე მიზეზის გამო ჩვენი ხალხი მკვეთრად დაუპირისპირდა მამამლიანურ სამყაროს).

ფეოდალიზმის განვითარებას საქართველოში იმ ზომამდე არ მიუღწვია, როგორც დასავლეთ ევროპის უმეტეს ხალხებში. ეს ითქმის თვით ადრეული ფეოდალიზმის სტადიის მიმართაც. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეს განვითარება არ მისულა ქვეყნის სრულ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციამდე, ჩვენმა წინაპრებმა, როგორც შედარებით ძველი სახელმწიფოებრიობის ტრა-

ლიციების მქონე ხალხმა. შეძლეს მისი შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ამის მოწარმე მიზეზი მანც ის იყო, რომ მტრული ისტორიული გარემოცვა, მასთან ინტენსიური პოლიტიკური ურთიერთობა აუცილებელს ხდიდა სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახით არსებობას თუნდაც ქვეყნის ცალკეული დიდი ისტორიული თემების ფარგლებში.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხდა. გეოგრაფიული პირობები აქ არაფერ შუაშია: ისინი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში საქაოლ ოპტიმალური იყო და იძლეოდა შრომის ეკონომიკური დანაწილების თვალსაჩინოდ გამოშის საფუძველს. მაგრამ ბუნებისაგან მოციმული ეს შეუძლებლობა ჩვენმა წინაპრებმა მშინ (სამწუხაროდ, მარტო მაშინ არა) ვერ გამოიყენეს. ამაში „ლაშაშავი“ იყო სპარსთა და არაბების შემოსევათი. მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტა შემოსელების დროს, მოსახლეობაზე ხარკის დადება, ცხადია, ვამორცხვებმა ნორმალური პირობების შექმნას სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, ქალაქების განვითარებისათვის. ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პოლიტიკური ცენტრალიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით — არ მომხდარა ეკონომიკურ საფუძველზე; ხელსაყრელმა ისტორიულმა გარემოცვამ — არაბთა სახალიფოს დაშლამ, შემდეგში მამადიანთა ენერჯის უდიდესი ნაწილის გათანაღებებამ ევროპელი ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლველად — კარგი წინამძღვრები შექმნა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ისტორიული ფარგლის გამოწვევამ (challenge) ჩვენში შენაგერისი პასუხი (response) მკოვა. მხოლოდ ქართული ისტორიული პროცესის უდიდესი მოვლენა — ქვეყნის გაერთიანება ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლების ქვეშ. მართალია, ობიექტური ლოგიკა არც ამ შემთხვევაში უბოლოა სწორხაზოვანად: მაგრამ III-ის მიერ თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ბევრ მხრივ თავიდან დაიწყო, რაც განაპირობა XI ს-ის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკიანთა შემოსევებმა საქართველოში, მაგრამ ჩვენი l'élan vital, créateur (სასიცოცხლო, შემოქმედებითი სწრაფა) საქმარის აღმოჩნდა იმისათვის, რომ გადაეღობა ეს დაბრკოლება. ამით დაიწყო ჩვენი ისტორიის უბრწყინვალესი პერიოდი — „ოქროს ხანა“...

როგორც უნდა კამათობდნენ ჩვენი ისტორიკოსები საქართველოში ადრეული ფეოდალიზმის ბოლო ქრონოლოგიური მიჯნის თაობაზე, ერთი რამ ცხადია: საქართველოს თავის „ოქროს ხანაში“ სულაც არ ამოწურავს ის შესაძლებლობანი, რასაც ფეოდალიზმი იძლეოდა ეკონომიკის განვითარებაში, საქართველო ამ ხანაშიც კი მნიშვნელოვნად არ ვასცილებია ფეოდალიზმის მეორე პერიოდის საწყის ფაზას. მართლაც, მწველობიანობა (ეკონომიკის განვითარების

აუცილებელი პირობა). ცენტრალიზაცია საქართველოს ახლანდელ მქონდა მიღწეული, ხოლო ამ პირობათა გარეშე საქალაქო წარმოების შემდგომი განვითარება (არსებულ ქალაქებში), ახალი ქალაქების მნიშვნელოვანი რაოდენობით გავრცელება, ამით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობათა თვალსაჩინო ზომებით განვითარება, ძველი ურთიერთობების რღვევა და ა. შ. მძლავრად ვერ განვითარდებოდა. ახალი პროცესების ასე გაშლისათვის კი რამდენიმე საუკუნე ზინც იყო საჭირო. მაგრამ ეს შანსი ჩვენმა წინაპრებმა დაპყრავს გარე ობიექტური მიზეზების გამო.

შექმნილი ცენტრალიზებული სახელმწიფო მეფის ხელისუფლებით, ბიუროკრატიით, არმითა და ა. შ. თითქმის ადვილად უნდა გადასულიყო დესპოტურ ფორმაში, რის მაგალითებიც ძველ (ფართო აზრით) ისტორიაში უამრავია (განსაკუთრებით აღმოსავლეთში). მაგრამ ჩვენი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელმა შინაგანმა საწყისებმა ვამორცხვებს ასეთი პოლიტიკური პროცესი. ამ პერიოდის შესახებ ვ. ჯავახიშვილი წერდა: „ამგვარად, საქართველოს მეფეების ახი წლის (ე. ი. ყუთლუ-არხანის დახის გამოსვლამდე, — გ. ყ.) მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობილთა როგორმე გაემგარებინათ, ფუქად ჩაურათ“. ეს შინაგანი საწყისები გახლდათ: ერთმანეთს საკუთრების (მიწაზე) მალალი განვითარება, ან ნიადაგზე პიროვნების (ფეოდალითა) პოლიტიკური თავისუფლების აუცილებლობა, იიდი ხნის დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციები. ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვაროვნებს შორის მართალია, ერთი მხრივ, აფერხებდა საერთო საქმეს (უწინ ქვეყნის გაერთიანებას, შემდეგ — მის ექსპანსიას ქვეყნის გარეთ), მაგრამ მეორე მხრივ, იგი (ეს ბრძოლა) არახულ მოვლენას წარმოადგენდა უმრავლესი აღმოსავლური ქვეყნების მატიაწეში. კიდევ მეტი: იგი, განსაკუთრებით ყუთლუ-არხანის (ამ პიროვნების ეროვნული წარმომადგობა (ნაყიჩა-ჯარობა) სულაც არ აცინებს ქართული დემოკრატიის ისტორიის მატიაწეს. ცხადია, ყუთლუს პოლიტიკური მოღვაწეობის შინაარსისა და მიართულების განმსაზღვრელი იყო ქართული კულტურული გარემო) დახის გამოსვლა, მსოფლიო — ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, წარმოადგენდა რა მეფის ხელისუფლების პარლამენტით უზღუდვდის პირველ მცდელობას. ერთი სიტყვით, მან 80 წლით დაასწრო ინგლისში ანალოგიურ, წარმატებით ცდას. აქტიური პოლიტიკური ძალა იყო აგრეთვე სასულიერო წოდება. ჩვენი ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური ევოლუცია საინტერესოდ უნდა წარმართულიყო, მას უნდა დაედგინა ოპტიმალური დემოკრატიული ხასიათის ხალხის ცენტრალურ ხელისუფლებასა და საზოგადოებას (ფეოდალთა კლასს) შორის. უფრო შორეულ მომ-

ვალში მას დამატებოდა მისამდე წოდების გამოვლაც ცენტრალურ პოლიტიკურ არეალზე. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ეს შანსიც დაკარგა. შემდგომი ხანის ისტორიულ ვითარებაში სოციალურ-პოლიტიკური და ა. შ. პროგრესი ფუფუნება ვაზდა, დღის წესრიგში დაისვა თვით ჩვენი ეთნოსის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი.

„ოქროს ხანა“ უაღრესად ნაყოფიერი პერიოდი გამოდგა ქართული სულიერი კულტურის აყვავებისათვის. კიდევ მეტი, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ამ პერიოდის ქართულ სულიერ კულტურაში შეინიშნება მთელი რიგი მომენტებისა, რაც მოგვიანებით დასავლეთ ევროპის ხალხების რენესანსულ კულტურაში გვხვდება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია ჩვენი სულიერი კულტურის მაღალი, დასავლეთ ევროპის საზოგადოების წმინდა ფეოდალური ურთიერთობის პერიოდისათვის მიუღწეველი დონე. ამ ფაქტის ახსნა ჩვენმა ისტორიკოსებმა სცადეს „შენახაბისი“ ეკონომიკური ბაზისის „მისაღებებით“, მაგრამ მიზეზი აღნიშნული მოვლენისა ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების სპეციალურ ისტორიულ პირობებში უნდა ვეძიოთ.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ხელსაყრელი საგარეო კულტურული გარემო, რაც აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა. ბიზანტიური კულტურის სახით ქართულ კულტურას მეზობლად ბევრ მხრივ ცოცხალი ანტიკურობა გაჩნდა. ასევე ცხოვლად კონტაქტირებდნენ ქართულთან არაბული და სპარსული კულტურები, საიდანაც ჩვენში მოდიოდა მძლავრი იმპულსები საერო კულტურის განვითარებისათვის. ქრისტიანულ უცხოეთში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართული მონასტრები. შემდგომში კულტურული ცხოვრება კონცენტრირებული იყო თბილისში, რომელსაც სრულიადაც ვერ შეიღრებოდა ამ ხანის დასავლეთ ევროპის ერთმედიმე ქვეყნის დედაქალაქი. ქართველ ფეოდალთა ნაწილი ცხოვრობდა დედაქალაქში, გაჩნდა რა საქმოდ ფართო გონებრივი შორიონტი. დასასრულს, ჩვენი სულიერი კულტურის განვითარებას თვალსაჩინო სტიმულს აძლევდა საქართველოს პოლიტიკური აღერთანება. ჩვენი კულტურის შემქმნელ ელიტას (იგი განსხვავებით პოლიტიკური ელიტისაგან, წმინდა ქართული შემადგენლობისა იყო), რასაკვირველია, დიდად შთააგონებდა საქართველოს დაქცევა დაქუცმაცებული, დაპურობილი ქვეყნიდან წინა აზიის უდიდეს სახელმწიფოდ.

აღნიშნული მოვლენის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სულიერი კულტურის (ან როგორც მთლიანი, ან მისი რომელიმე შემადგენელი მხარის) ბაზისისაგან შეფარდებით დამოუკიდებელი განვითარების გამოვლინების კონკრეტულ მაგალითთან. ამრიგად, ჩვენი საზოგადოების გაქრისტიანების შემდეგ სულიერი კულტურა აღმავლობის გზას დაადგა, რაც არაბობა-

ის ვაქრობის შემდეგ განახლდა უცხოეთში არსებული ქართული მონასტრებისა და ტაძრების რტეში. ეს პროცესი დაავიწყდა ხანაში.

მაგრამ სულიერი კულტურის აღმავლობა XI-XII საუკუნეებში ეფუძნებოდა ვიწრო სოციალურ ბაზას (მაქმნიდნენ საერო და სასულიერო ფეოდალები), იგი (ეს კულტურა) კონცენტრირებული იყო სატახტო ქალაქ თბილისში. მოქალაქეთა უვნა ჩვენთან არც გაფორმებულია წოდებად, სხვა ქალაქები კი ჭერჭერობით არავითარ თვალსაჩინო კულტურას არ ჰქმნიდნენ. სწორედ აღნიშნული გარემოებით, ქართული სულიერი კულტურის ვიწრო სოციალური ბაზით შეიძლება აიხსნას ჩვენი კულტურის ასე მკვეთრი დაქვეითება, რაც XII საუკუნიდან დაიწყო. ფართო სოციალურ-ეკონომიკური ბაზის არსებობის პირობებში გარეშე მტერთა შემოსევებს არ შეეძლოთ გამოეყვიათ ჩვენი ასეთი კულტურული კატასტროფა.

პართული ცივილიზაციის განვითარების მკვეთრი შეფარება

ქართულ ცივილიზაციას ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაში“ სულაც არ ამოუწურავს ის შესაძლებლობანი, რასაც ფეოდალური ფორმაცია იძლეოდა, კაპიტალიზმის გენეზისამდე მას საქმოდ გზა ჰქონდა გასავლელი. ძალზე პრობლემატურია შექმნილ ისტორიულ გარემოცვაში, ქართული საზოგადოების მიერ კაპიტალიზმის განვითარების დამოუკიდებლად დაწყება. მხოლოდ ისტორიის გამოცდილება აჩვენებს, რომ კაპიტალიზმის თავდაპირველი განვითარება (მანუფაქტურულ სტადიაზე) ერთ ქვეყანას დამოუკიდებლად, საკუთარი ძალით არ შეიძლო, ამისათვის საჭირო იყო საქმოდ განვითარებული ისტორიული გარემო, ამდენად ხელსაყრელი ეკონომიკური, ტექნიკური და ა. შ. იმპულსები ამ გარემოდან. საქართველოს კი ასეთი გარეისტორიული გარემო არა ჰქონია. კაპიტალიზმის გენეზისი თავდაპირველად უნდა მომხდარიყო საზღვაო ცივილიზაციის ქვეყანაში. საქართველო (თუმცა იგი შავი ზღვის ნაპირას მდებარეობს) XI-XII საუკუნეებში არ გამოდარა საზღვაო ცივილიზაციის ქვეყანა. საერთოდაც შავ ზღვას, მის აუზში მდებარე ქვეყნებს, განსაკუთრებით თურქეთის განვითარების ხასიათის გამო, არ შეეძლო მძლავრი დამაჩქარებელი ფაქტორი გამხდარიყო ქართული საზოგადოების წინსვლისა კაპიტალიზმის მიმართულებით.

აღნიშნული ხასიათის განვითარება მოითხოვდა აგრეთვე შესაბამის დემოგრაფიულ სიტუაცი. კერძოდ, ხელისომობის, ვაჭრობის და ა. შ. განვითარების პირობა ვახლავთ ქარბი მოსახლეობის გაჩენა აგრარულ საზოგადოებაში. იმისათვის რომ გლუხების ნაწილი ხელისონებად, ვაჭრებად და ა. შ. იქცეს, საჭიროა შედმეტი მოსახლეობა

ბის დაწოლა წარმოების არსებულ საშუალებებზე (მიწაზე). მაგრამ ასეთი დემოკრატიული სიტუაცია ჩვენში, მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, გამოიცხა გარეშე მტერთა შემოსევებში.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული შუა და წინა აზია საუკუნეების განმავლობაში ნადგურდებოდა ჩამორჩენილი, მომთაბარე ტომების სიერ. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი უპირველესად მომთაბარე ხალხების დიდი სიძლიერე კი არ იყო, არამედ — აღნიშნულ საზოგადოებათა შინაგანი სტრუქტურის სისუსტე. აღმოსავლური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განაპირობებდა ამ ტიპის საზოგადოებათა სუსტ თავდაცვისუნარიანობას. სწორედ ეს იყო საფუძველი ამ დიდ ისტორიულ რევოლუციებში მომთაბარეთა მიერ შექმნილი უზამბაზარი იმპერიებისა. ნომადების ტაღლები მძლავრად ეხეთქებოდა აზიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსაც — საქართველოს. ამ ისტორიულმა საშუარომ კი, სხვა აღმოსავლური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბარბაროსებისადმი საქმიად დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა, რის შედეგაც იყო და არის ჩვენი ეთნოსის ფიზიკური გადარჩენა. ეს აიხსნება როგორც მისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით (მთავარიან რელიეფი); ასევე სოციალური პირობებით (სამხედრო საქმის ორგანიზატორი ფენი — ფეოდალთა კლასის არსებობა, მოსახლეობის ფართო მასების მემორული ხასიათი).

მანც დამპყრობელთა პირველი ტაღლებსათვის (ხვარაზმელები, მონღოლები) საქართველო არ აღმოჩნდა ისეთი მტკიცე ზღუდე, რომელიც მას თავისი შინაგანი პოტენციით შეეძლო უყოფილიყო. ამ სისუსტეს ხსნის სუბიექტური ხასიათის ფაქტორები — ფეოდალური, დეცენტრალისტული ძალები, რომლებიც ასე მდგრად იბრძოდნენ თვით გიორგი III-ისა და თამარის მეფობის ხანაში და რომლებმაც თავისი ეგზოტიკური მისწრაფებებისათვის ახლა მხოვს თარღო გაქანება; ქართველთა მეტისმეტი მედიოკრობა, რამაც ჩვენს წინაპრებს ხელი შეუშალა საჯარო საფრთხე რეალორად აღექვათ (ეს აღნიშნული აქვს ჯალალ-ედინის ისტორიკოსს); და დასასრულს, სამეფო კარის მორალური გადავარება (ყველაზე შთამბეჭდავია ამ მხრივ თვითონ ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მავალითები).

ჩვენი მონღოლთა ბატონობა შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა (სულ ასობდე წელი). გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველომ შეძლო სათანადო ძალები მოეკრიბა გაერთიანებისათვის. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის ვასკლის შემდეგ თემურ-ლენგის რვაჯისმა შემოსევამ საქართველო წელში გატყა. ამ მტარვალის ისტორიის არენიდან გაქრობის შემდეგ

საქართველომ კიდევ ერთხელ სცადა გაერთიანება ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ) დროს, მაგრამ შემდგომი ხანის საგარეო მოვლენებმა ამ მცდელობის შედეგები გააცანტვეს. პოლიტიკური დაცემულობა (საქართველოს დაყოფა სამეფო-სამთავროებად) საქმის მხოლოდ ერთი მხარე იყო, იგი ამავე დროს ქართული საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების საფუძველს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ხალხის ფართო ფენების ნებისყოფა, მისი ოპტიმისტური განწყობილება, მანც არ გატეხილა, ჩნდებოდნენ ნათელი პიროვნებები, რომლებიც სათავეში ედგნენ და აღფრთოვანდნენ საკუთარი ეროვნული „მეობისათვის“ მებრძოლთ.

ჩვენი ისტორიის ფიზიკულ დამპყროვებელს არ შეიძლება მხედველობის არედან გამორჩენილი შავი ლაქა — ხშირი ლალატანობა, რომლის ისტორიის გადმოცემასაც რამდენიმე მოზრდილი წიგნი დასჭირდებოდა. ამის მიზეზი, მხოლოდ ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის — ფეოდალიზმის ბუნებაში არ მდგომარეობს. მიზეზს არც თავისთავად ქართველი ხალხის ეროვნული ფსიქიკა წარმოადგენს. მთავარი მიზეზი იყო კვლავ და კვლავ განუწყვეტლად ჩვენდამი მტრულად განწყობილი ისტორიული გარემო, რომელიც ხელს უწყობდა ადამიანთა ზეობრივ დეგრადაციას. საბედნიეროდ ეს მხოლოდ ზედაფენებში შეინიშნებოდა და არა ხალხის ფართო მასებში. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ქართულ ცივილიზაციას წინა აზიის მრავალი ძველი ცივილიზაციის ბედი ეწეოდა, იგი თანამედროვე ისტორიული სინამდვილე აღარ იქნებოდა. ერთი სიტყვით, მორალური დაქვეითება ჩვენი ძველი ელიტის ნაწილისა სტიმულირებული იყო ჩვენდამი დაპირისპირებული ისტორიული გარემოცვით. მაგრამ ეს ელიტა ძირითადად ჯანსაღი, პატრიოტულად განწყობილი იყო, სწორედ იმედგა სათავეში ჩვენი ხალხის მასების ბრძოლას ეროვნული თვითმყოფადობის, „ქართველობის“ შენარჩუნებისათვის.

განვიხილოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: კლასობრივი ბრძოლის გაშლა ჩვენი ისტორიის ძნელბედობის ხანაში, ძნელბედობისა, რომელიც ხშირად რამდენიმე საუკუნის მანძილზე (განსაკუთრებით XIII-XVIII სს.) გრძელდებოდა. საერთოდ ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლა პროგრესის მძლავრი სტიმულია. მაგრამ კითხვა ისმის: რა ბედი ეწევა ხოლმე კლასობრივი ბრძოლის განვითარებას მტრულ ისტორიულ გარემოცვაში, თანაც იმ საზოგადოებაში, რომელიც თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირეა. ამაზე ნათელ პასუხს ვპოულობთ ფ. ენგელსის ნაშრომში. ვაწეროდა, რომ სანამ სოციალისტურსინარჩენი ხალხი შეგორკილია უცხოელი დამპყრობელით, იგი აუცილებლობით წარმართავს მთელ თავის მის-

წარუდებებს, მიუღ თავის ენერჯის გარეშე მტრის წინააღმდეგ ისე რომ, ხანამ მისი საშინაო ცხოვრება პარალიზებული რჩება, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განვითარებისათვის. ენგელსის აზრით, ირლანდია, რუსეთი მონღოლთა უფელქეში და ა. შ. იძლევიან ამ დებულების ნათელ დადასტურებას.* აქედან ცხადია: თუ კლასთა ბრძოლა სოციალური განვითარების საფუძველს წარმოადგენს საერთოდ, ზოგან, სპეციფიკურ სიტუაციაში, იგი ხალხის ნორმალური ისტორიული მსვლელობისათვის ხელისშემშლელი ხდება. ხოლო თუ ეს გარემოცვა პერმანენტულად მტრულია რომელიმე საზოგადოებისათვის, მაშინ, რასაკვირველია, ამ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის გაშლა საუკუნეების განმავლობაში არ ხდება. სახელდობრ, ასე იყო საქართველოში. მართლაც, ჩვენი ძველი ისტორიის (ფართო გაგებით) მანძილზე გლეხთა ფართო გამოსვლებს ფეოდალთა კლასის წინააღმდეგ ადგილი არა ჰქონია.

ამით, რასაკვირველია, სულაც არ დგება ეპოქის ქვეშ კლასთა ბრძოლის დიდი მნიშვნელობა საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს პროგრესულ მსვლელობაში. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის საქართველოში განვითარების შესაძლებლობა კლასობრივი ბრძოლის გაშლის საფუძველზე გამოირიცხა, ქვეყნის უპირველეს სასიცოცხლო ამოცანად იქცა უშუალოდ ფიზიკური, ეროვნული „მეს“ შენარჩუნება; დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებამოლოცება, ქვეყნის შემდგომი პროგრესი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

რაც შეეხება კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გადრძელებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე მესამე წოდების გამოჩენით, ეს გამოირიცხა. და ეს უბრალოდ მოხდა ჩვენში ამ სოციალური ფენის ჩამოუყვანილობის გამო.

ქვეყნის ფეოდალიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სათავადოთა სისტემის წარმოშობა, რამაც ჩვენი ცივილიზაცია კიდევ უფრო დააშორა აღმოსავლურს და დაუახლოვა დასავლურ ცივილიზაციას (ტიმოტიევი აზრით). უშუალო პოლიტიკურ პლანში აღნიშნულმა მოვლენამ უფრო დააქვეითა ჩვენი ხალხის წინააღმდეგობის უნარი მტრული გარემოცვისადმი. მაგრამ ეკონომიკის თვალსაჩინოდ განუვითარებლობის გამო არ იყო ის საიმედო ბაზა, რა საფუძველზედაც საქართველოს ხელახალი ცენტრალიზაცია განხორციელდებოდა. ეს ვერ ხდებოდა წმინდა პოლიტიკურ საფუძველზეც. ამის ხელისშემშლელი პირობა, ისევე როგორც ძველ „ანტიკურ“ ხანაში, — მტრული ისტორიული გარემო იყო, ამკრალა ყოილობაშური ირანა და თურქეთი, რომელთა მულდები ექსპანსიის ობიექტებად წარმოადგენდნენ ქართული სამეფო-სამთავროები. გიორგი სააკაძის ეპოქა-

ის პერიოდში, 1626 წელს (ბახალეთის ომში), თიბურაზ I-ისა და მისი მომხრეების განმარტების შემთხვევაში, თითქმის იქმნებოდა შესაძლებლობა საქართველოს სამივე სამეფოს გაერთიანებისა. მაგრამ ეს შანსიც, როგორც ცნობილია, დაიკარგა.

აღნიშნული მიმართულებით ფრიად საყურადღებო მოვლენა იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ ერეკლე II-ის მიერ, აგრეთვე საქართველოს პოლიტიკური ნაწილების 1790 წლის შეთანხმება სახმედრო კავშირის თაობაზე. ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში თითქმის ისახებოდა ელემენტები, რომელთა შემდგომ განვითარებას ახალ, შედარებით ხელსაყრელ ისტორიულ გარემოში (იმპულსები დასავლეთ ევროპული დერუსული ცივილიზაციებისაგან) ხანგრძლივი კრიზისიდან უნდა გამოეყვანა ქართული საზოგადოება. ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე ისახებოდა ახალი პერსპექტივები (რაც არ არსებობდა XI-XII საუკუნეების ჩვენი პოლიტიკური სისტემის სინამდვილეში) საზოგადოების ყოველმხრივი განახლებისათვის, მაგრამ შემდგომი ხანის მსვლელობამ აჩვენა, რომ ახლის ჩანასახები ძალიან სუსტად იყო, ძალზე არასაკმარისი იმისათვის, რომ ამო მნიშვნელოვანი, ახალი ევოლუცია გამოეწვიათ. ეს მოხდა სხვა ვითარებაში, ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობის პირობებში. მაგრამ ამის მიუხედავად, ქართულმა ცივილიზაციამ მაინც განიცადა აღორძინება. ახალ ისტორიულ პირობებთან ერთად ამის საფუძველი გახლდათ ის დიდი ტრადიციები, ის, ასე ვთქვათ, კულტურული გენოფონი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჩვენი ცივილიზაციისათვის.

ამრიგად, ქართული ცივილიზაცია ბევრი აღმოსავლური ცივილიზაციისაგან განსხვავებით საქმაოდ დინამიკური იყო. თუ მან ახალ, დასავლეთევროპულ ცივილიზაციასთან მნიშვნელოვან კონტაქტებამდე უფრო მეტად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი, ამაში „დამანაშავე“ იყო მისი საგარეო ისტორიული გარემოცვა, ის საზოგადოება, რომელიც, მარქსისა და ენგელსის კონცეფციით, სპეციფიკურ აზიურ, აღმოსავლურ ფორმაციას წარმოადგენდა. ამდენად, არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ თავისი ისტორიული შინაარსითაც ქართული ცივილიზაციის ევოლუცია დიდ სიახლოვეს იჩენდასავლეთ ევროპის განვითარებასთან. ეს გარემოება ბევრ რამეს გვიხსნის ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიასა და სულიერ კულტურაში, როგორც XIX საუკუნის დამდეგამდე, ისე მეტწილად და თითო XX საუკუნეში. მიგვაჩინა, რომ მხოლოდ ეკონომიკური საფუძველით თვით XX საუკუნის ქართული კულტურის გაგება ძალზე არადამაჩერებელი იქნებოდა. ამ გარემოების გააზრება შეიძლება აგრეთვე ჩვენი კულტურის წარსულით, ასე ვთქვათ ქართული კულტურის ინერციით.

* K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 18, 30-555).

50-იანი წლების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროზა

(ვოლფგანგ კოჰენი)

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ფაშისმის ანაბეჭდების შემდეგ გერმანიელი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა, რომელიც აღინიშნა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განახლებით. ეს მეტად რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი იყო.

ფაშისტური დიქტატურის დამხობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ნაციონალური იდეოლოგიის, კერძოდ, გერმანული რასის უპირატესობის შესახებ მოძღვრების აღმოფხვრას. საჭირო იყო იმ მიწვევების მხილვა და განადგობა, რამაც გერმანია ჯერ ფაშისმამდე, შემდეგ კი უდიდეს პროვინციულ კატასტროფამდე მიიყვანა.

ფრანს-ლიტერატურის წარმოშობა უშუალოდ არის დაკავშირებული მესამე რეიხის დამსხვრევასთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნასთან.

ისტორიულ სიტუაციას, რომელშიც გერმანიელი ხალხი აღმოჩნდა ფაშისმის განდევრების შემდეგ, მართებულად უწოდებენ „ნუ-ფლოან წერტილს“. ნანგრევებად იყო ქცეული ნატურალური და სულიერი სამყარო. გერმანიელმა კულტურამ უდიდესი ზარალი განიცადა ფაშისმის მძინარების თორმეტი წლის მანძილზე. არა ერთი და ორი მწერალი ემიგრაციაში ღარდაცვალა, ზოგი გერმანიის ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა, ნაწილიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეძებდა თავშესაფარს. მათ შორის იყვნენ თომას მანი, ბერტოლდ ბრეხტი, ჰენრიხ მანი, ანა ზეგერსი, იოჰანეს ბებერი, ერს მარია ზემერკი, ლიონ ფოიხტვანგერი, და მრავალი სხვა. ერის საუკეთესო მოაზროვნეთა მოსაზრებამ და გაფრთხილებამ გამოიწვია გერმანული კულტურის საერთო დროის დაცემა.

ომის შემდეგ გერმანულ მიწაზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ასაკის, შეხედულებისა და სტილის მწერლებმა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ფრანს-ლიტერატურის მრავალფეროვნება. ემიგრაციიდან დაბრუნდა მწერალთა დიდი ნაწილი, აქტიურად შეუდგნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას ის მწერლებიც, რომლებმაც ფაშისმის ბატონობის თორმეტი წელიწადი დემილში გაატარეს.

მაგრამ ისინი, რომლებმაც სახელი გაუთქ-

ვეს და მსოფლიო აღიარება მოუტანეს ფრანს-ლიტერატურას იყვნენ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი მწერლები. ბევრი მათგანი ომში იბრძოდა, მაგალითად, ვოლფგანგ ბორხერტი და ჰენრიხ ბიოლი. მათ ჯერ არ გააჩნდათ საკუთარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, სპეციალური განათლება, მაგრამ უკვე ბევრის მომსწრენი იყვნენ. ჰენრიხ ბიოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი წერდნენ ომზე, შინ დაბრუნებაზე, იმაზე, რაც ნახეს ომში და რაც დახვდათ შინ, დაბრუნების შემდეგ, — ეს კი იყო ნანგრევები, მოკუთხებული და სულიერად გაპარტახებული ადამიანები. აქ კიდევ იწოდება ომის შემდგომ დასავლურ გერმანულ ლიტერატურას „შინდაბრუნებულთა ლიტერატურა“, „ომის ლიტერატურა“, „ნანგრევების ლიტერატურა“.

ომის შემდგომი ფრანს-პროზა კავშირს წყვეტს მე-19 საუკუნის ეპიკური რეალიზმის ტრადიციებთან და ნატურალიზმთან, ის გაიმიჯნა აგრეთვე ისტორიულ და ფსიქოლოგიურ რომანთან, უარყოფილ იქნა ფსიქოლოგიით და ილუზიებით დატვირთული ნაწარმოებები, უნიკალობა გამოეცხადა კლასიკისა და რომანტიზმის ცნებებს, ყალბ პათოსს. პოეტური მაღალფარდოვნება გაცვეთილად და მოძველებულად იქნა მიჩნეული. უკვლა წერდა ომის შესახებ, პატარა, უბრალო ადამიანებზე, რომლებიც სასაკლაოზე გარეცხ. წერდნენ მათ დაბრუნებაზე დაცარილებულ სახლებში, მოგვითხრობდნენ მათ უიმედობაზე, დამსხვრეულ ცხოვრებაზე — ეს იყო იმდროინდელი ლიტერატურის მთავარი თემა. ინფიდელუალური განცდების შესახებ თხრობა შეცვალა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა თემატიკამ. მოხდა სინამდვილის ასახვის მანამდე არსებული ლიტერატურული ფორმებისაგან გაუცხოება. ეპიკის, ლირიკის, დრამის გამოშხვეული საშუალებები სულ სხვა, ახალ გზას დაადგა. სინამდვილის გადმოცემის უკვლავ შესაფერის და გამართლებულ საშუალებად მიჩნეულ იქნა გროტესკული და აბსურდული ფორმა (მოგვიანებით ამ ხერხს სრულყოფენ გიუნტერ კრასი და მარტინ ვალტერი), ხოლო რომანის ტრადიციული კომპოზიცია ტრივიალურად და არადამჯერებლად ითვლებოდა.

შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ლიტერატურული პროცესის მიუხედავად დასავლეთ გერმანიაში ბევრი მწერალი მინც ერთიან პოციციაზე დადგა, ეს იყო ანტიფაშისტური პლატფორმა, თუმცაღა მათ შორის იყვნენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანები. ცნობილი მწერლების გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომელთა სახელები მაშინ ნაკლებად ან სულ არ იყო ცნობილი.

ამ დროისათვის ნიშანდობლივია კიდევ ერთი ლიტერატურული მოვლენა: ომისშემდგომი დასავლეთგერმანიელი მწერლები ეწაფებიან ევროპის დანარჩენი ქვეყნების და ამერიკის ლიტერატურულ მიმართულებებს, რომლებსაც ისინი ერთგვარად ჩაიხრჩნენ ფაშისმის ბატონობის პერიოდში იზოლირებულად ყოფნის გამო. სასწავლო გარემოს პროზის, მისი მეთოდების ათვისება და გერმანულ ლიტერატურაში დანერგვა ნაჩქარევად ხდებოდა. რასაც არაორგანული და ერთობ ხელოვნიური სახე ჰქონდა. განსაკუთრებით დიდი იყო გატაცება ფრანგული ეგზისტენციალიზმით და ამერიკული რომანი. ომის შემდგომ პირველ წლებში ლიტერატურაში ვაბატონდა „მაგური რეალიზმი“, სადაც სინამდვილე გადმოცემულია მითების საშუალებით, სიუჟეტი გადატანილია ფანტასმაგორულ სფეროში, „მაგური რეალიზმი“ საუთუნის დასაწყისის ავანგარდისტული მიმართულებების მოდიფიკაცია.

ომის შემდგომ ფართო გავრცელება პოეზია მიუყვარაღმა ლიტერატურაში. ავტორები შეუფერადებლად მოუთხოვნიდნენ სამყაროს მათ მიერ ფაშისმის დროს გადატანილ საშინელებზე. ამ ნაწარმოებებს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მან თავისი დადებითი წვლილი შეიტანა ფერ-ს პროგრესული ლიტერატურის განვითარებაში.

50-იანი წლების დასაწყისი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მძლავრი ეკონომიკური აღმავლობით ხასიათდება, რომელსაც „ეკონომიკურ სასწაულს“ უწოდებენ. ამ მოვლენას ეყრდნობოდა ფერ-ს კანცლერის ადენაუერის რესტრუქციული პოლიტიკა. აქედან მოყოლებული ანტიფაშისტურ და პროგრესულ წრეებში დიდი გავრცელება პოეზიაში. 1955 წელს ფერ ნატოს ბლოკის წევრი გახდა. შემოდგომულ იქნა სამხედრო ვალდებულება. დასავლეთ გერმანიის ქალაქებში მარშირება დაიწყეს ბუნდესკერის ქარისკაცებმა, გამოვიდა ე. წ. საგანგებო კანონი, რომლის მიხედვითაც საპირობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო დემოკრატიული თავისუფლების შეცვლა დიქტატურით და ა. შ. ამ კანონს ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ იასპერსმა „დამონების იარაღი“ უწოდა.

1947 წელი მეტად მნიშვნელოვანია დასავ-

ლურ-გერმანული ლიტერატურისათვის. ამ წელს ჩამოყალიბდა მწერალთა გაერთიანება ფერ-47, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ფერ-ს ლიტერატურის მძლავრი აღმავლობა. ამ ქვეყნში გაერთიანებულმა მწერლებმა პირვლემმა დაგვიტანა თავის ნაწარმოებებში ის უბედურება, რაც ომმა მოუტანა გერმანელ ხალხს. ახალგაზრდა ავტორებს უჭირდათ წერა, არ ჰქონდათ ზნეობრივი ორიენტირება, მისაბამი ლიტერატურული სახეები. არ იყო ტრადიციები, სამწერლო ენაც კი ახლებური, თავისი საკუთარი უნდა შეეცნათ. ისინი განმსჭვალული იყვნენ საერთო სიძულვილით ნაციისტური წარსულისადმი და მტკიცედ იდგნენ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ პოზიციებზე. ქვეყნის წევრები ისწრაფოდნენ გაეცნობიერებინათ წარსული, ჩასწვლამოდნენ ფაშისმის წარმოშობის ისტორიულ და სოციალურ-კლასობრივ მიზეზებს. ისტორიის მწარე გაკვეთილი, ტრაგედიული და თან სამარცხვინო, მუდამ მოუშუშებელი იარაა გერმანიელთა შემეცნებაში. ეს ის მუდმივი ფაქტორია, რომელმაც მრავალი პროცესი განაპირობა ფერ-ს ლიტერატურაში. ქვეყნში გაერთიანებულ მწერალთა ნაწარმოებები ერთიანად ახლობელი და მტკივნეული იყო როგორც ავტორებსათვის, ისე მთელი გერმანიელი ხალხისათვის. „ქვეყნის-47“ ორი ათწლეულის მანძილზე წარმოადგენდა თანამედროვე დასავლეთგერმანული მწერლობის სახეს, განსაზღვრავდა მის ლიტერატურულ ცხოვრებასა და კრიტიკას. დღემდე ვერც ერთი სხვა ლიტერატურული გაერთიანება ვერ შეედრება მას თავისი გავლენით. ძალიან დიდი იყო ამ ავტორთა როლი ეროვნული კულტურის წინაშე. მათ საფუძველი ჩაუყარეს კრიტიკული რეალიზმის ტრადიციას დასავლეთ გერმანულ მწერლობაში.

50-იანი წწ. დასაწყისში გამაფრდა იდეური ბრძოლა ფერ-ის ლიტერატურაში. „ქვეყნის-47“-მა მოიხიზა სამხედრო მინისტრის შტრაუსის გადაყენება, რომლის პოლიტიკურ საქმიანობაშიც რევანშისტული ტენდენციები მუდამ იდებოდა.

რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო ამ პერიოდში სულ მალე საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი მწერლების, პ. ბიოლის, გ. ფრანკის, ა. ანდერსის, მ. ვალხერის და ვ. კოპენის ჯ.ა. როდესაც დასავლეთ გერმანიაში გამოიკვეთა რევანშისტული მიმართულებები, ბევრი ანტიფაშისტი მწერლის შემოქმედებაში დიდი მხატვრული სიძლიერით გაისმა წარსულის გამოიკვების შიშით ნაკარანხები გაფრთხილება. აი რას წერდა ვ. კოპენი: „ყოველი სტრიქონი, რომელსაც ვწერ, მიმართულია ომის, ჩაგვრის, არაადამიანობის, უფულობის, მკვლელობის წინააღმდეგ. ჩემი წიგნები ჩემი მანიფესტია. როგორც ადამიანი მე უძლური ვარ, როგორც მწერალი — არა“.

კოლფგანგ კომენი ერო-ეროი ფრიალ სა-
ინტერესო მიწრალია დასავლითგერმანულ პრო-
ზაში. იგი სოციალურ-კრიტიკული რომანის
წარმომადგენელია. ფაშინის ბატონობის პე-
რიოდში კომენი ემიგრაციაში მიყოლებოდა.
ომის დამთავრების შემდეგ იგი მიუხედავად და-
სახლად, სადაც ზედიზედ გამოვითა მისი სამი
რომანი. ესაა: „მტრედები ბალახზე“ — 1951
წ., „სათბური“ — 1953 წ. და „სოციალური რომ-
ანი“ — 1954 წ. როგორც კრიტიკა აღნიშნავს,
ეს რომანები უკლოაზე მნიშვნელოვანი ნაწარმო-
ებია, რაც იმ პერიოდში — ზერმანულ ენაზე
დაიწერა. მათ ხშირად განიხილავენ როგორც
ტრილოგიას ომის შემდგომი დასავლეთ გერმანიის
შესახებ. ისინი მოუწოდებდნენ ზერმანულ
ხალხს სიუბილენსაკენ, რადგან, როგორც
ვთქვით, მთ-იანი წოდების დასაწყისში უკვე ნათ-
ლად შეინიშნებოდა სახიფათო რევანშისტუ-
ლი ტენდენციები.

რომანი „მტრედები ბალახზე“ გვიჩვენებს
ამ-იანი წწ. დასაწყისის დასავლეთ გერ-
მანიის სინამდვილის მკაფიო და დამაჭრებელ
სურათს. მოქმედება მიუხედავად ხდება. ქვეყანა
უკვე ისევ ნანგრევებდა არის ქცეული, მაგრამ
ქვერ შეინიშნება „ევროპოპიური სასწაულის“
ნიშნები. ხალხი დოლარის ციბე-ცხელებით
არის შეპყრობილი. აღამიანები გაწვდებულნი
და სულიერად დაქვითულნი არიან. თავდავიწყ-
ებით ვაჭრობენ უკვირდელითური არსებობისა-
თვის სივარტით, შოკოლადით, საგარეულო
ნივთებით, ყალბი ანტიკვარით, საყოფარი თა-
ვით, სამშობლოთი. საბრძოლო რომანის ცენტ-
რალური გმირი ფილიპი, როგორც ზოგადი
სახე ომისშემდგომი გერმანული მწერლისა და
ინტელექტულისა, რომელიც ვანწირულია, თუ
არ ქლბანა ფილმის სცენარები ან სტატეები
დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის აღორძინე-
ბის, ანუ „ევროპოპიური სასწაულის“ შესახებ.

მუმანიშზე ლაპარაკის დროს რომანის
ერთ-ერთი გმირი მოიხველიებს გერტრუდა
სტაინის სიტყვებს მტრედების შესახებ, რომ-
ლებიც ბალახზე დაფარულებენ და უსახბის
ხელში ჩავარდნა იმუქრებენ. მტრედები მი-
უხედავად მცხოვრებნი არიან. მათში მთელი
გერმანელი ხალხიც შეიძლება ვიკვლიდნით.
კომენი გლარწმუნებს ზოგადი მუმანიშმის
უმწეობაში, თუ ის პროგრესულ პოლიტიკურ
ძალაში არ ვადიზარდა.

„სათბური“ 1953 წ. გამოქვეყნდა. რომან-
ში ზერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
უკვე გარკვეულ პოლიტიკურ ძალს წარმოა-
დგენს. ზერმის სათაური ვვიდნა აქვე დავსუშ-
ტრო. გერმანულად მას das Treibhaus აქვია.
შმნას treiben, კონტექსტის მიხედვით, გერ-
მანულში მრავალი მნიშვნელობა აქვს. სიტყ-
ვა das Treibhaus შეიძლება ვავიგოთ, მავალი-
თად, როგორც სავიგოთ ან კიდევ სახლი, სა-

დაც სხვადასხვა მკვინაციები ხდება. ამ სიტყ-
ვის ორივე ინტერპრეტაცია სავსებით შეიქ-
ბამება რომანის იდიოლ-შინარსობებში.
ზანდასახულებას. თუმცა ის სათბურსაც ნიშ-
ნავს ზერმანულ ენაზე, სწორედ ასე მქვა-
რომანის რუსულ თარგმანში — «теплица».
გაუგებრობის თავიდან ასცილებლად სა-
თაურის ქართული და რუსული თარგმანები
გავადიდებურეთ, მით უმეტეს, რომ ეს ნაწარ-
მოები ქართულად ჭერ არ არის თარგმნილი.
ასე რომ, მას ჩვენც „სათბურს“ უწოდებთ.
მოქმედება ხდება ბონში, „ევროპოპიური სას-
წაულის“ ფონზე. ბონის და ზუნდესტატი გა-
მხდარა სათბური, სადაც დაბუდებულან და
უგვიან ნიონარისტური ელემენტები.

რომანის ეპიგრაფში ლაპარაკია იმაზე,
რომ საქირთა დიდ უსამართლობაზე აღშ-
ფოთება, თორემ თავად კერასოდეს შევძლებთ
სამართლიანი საქმეების ვაკეთებას. რომანის
გმირი, იგი ზუნდესტატის დეპუტატია, აღს-
დგა უსამართლობის წინააღმდეგ. შავრამ
პარლამენტში მისი გამოხვლები იგვივა, რაც
ულაბანოში ჟალდისი, რადგან ის მარტო
ბოროტების ვარემოცვაში და არ ძალუბის
სათბურის კვლეების ვანგრევა. კომენის გმი-
რი დეგრადირებულია. მიუხედავად პოლიტი-
კური უმწეობისა, ბონის სათბურს შინც
სურს რესპუტატის თავიდან მოცილება. რომა-
ნის გმირი კეთილი ზრახვების სისრულეში
ვერმოყვანის მსხვერპლი ხდება.

„სათბური“ ბერიოზული პოლიტიკური
რომანია. ის XX ს-ის ზერმანული კრიტიკუ-
ლი რეალაზმის ტრადიციის მოვავაონებს.
მასში შეუფერადებლად და სატირულად
არის დახატული ბონის პოლიტიკური აღმოს-
ფერო. კომენი ვანვამით გვიხატავს შილიტა-
რისტული და რევანშისტული ძალეების აღორ-
ძინებას დასავლეთ გერმანიაში. რევილიტარი-
ზაცია კვლავ უყვლავ აქტუალური სავანი
გამხორა. სასტიკი პოლიტიკურ კრიტიკად
ფერს კომენის სიტყვები იმის შესახებ, რომ
დეპუტატები ცლიობენ ვარდის წულის სურ-
ნელით დაფარონ ვანწრის სუნი, თუმცა ეს
მათ არ ვამოლეოათ, ხალხს მათი აღარ სჭირა,
სხდომის დღეებში მათ პოლიცია იცავს ხალ-
ხისადა.

უნდა აღინიშნოს. რომ მიუხედავად
„სათბურის“ დიდი მამხილებელი ძალისა, რომ-
ანში ახალული დასავლითგერმანული სინამ-
დვილი და პოლიტიკური აღმოსფერო შინც
ცალმხრეად არის დახატული. ამ-იან წწ. ში
დასავლეთ გერმანიაში მშვიდობისმოყვარე
ძალეები რომ საქმოდ ძლიერი არ უოფილი-
ყო, ვინ იცის, კვლავ რა სავალალო შედეგი
მოჰყვებოდა რევანშისტული ძალეების ვამო-
ცობლებას. მიუხედავად დიდი პოლიტიკური
პესიმიზმისა, „სათბური“ დღემდე რჩება ბო-

ნის წყობილების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გაბედულ და ხმამაღალ კრიტიკად.

3. კოპენის მესამე რომანი „სიკვდილი რომში“ აქამებს და მხატვრულად ასრულებს დასახელებულ წინა“ ორ რომანში ახსებულ დასავლეთ გერმანიის სოციალურ-პოლიტიკურ სურათს. რომანი შესანიშნავად გადმოგვცემს მოცემული ეპოქის დრამატისმს. მწერალი განვაშთ მიჯვანიშენებს მოსალოდნელ ახალ ხილავზე. უკვე 1950 წ. უფრონად „კვიკვიში“ გამოქვეყნდა ცნობილი ფანისტიის ოტო სკოტ-ცენის მიმართვა ვადარჩენილ ნაციტთა მიმართ, რომელშიც ის მოუწოდებს თავის თანამოაზრეებს კვლავ დაიარაჟონ და გაერთიანდნენ საერთო საქმისათვის, რეგენსისათვის. რომანში „სიკვდილი რომში“ ვხედავთ, როგორ ეძებენ ჰიტლერის ძველი თანამებრძოლები ერთმანეთს. იუდეანი ესესის ყოფილი გენერალია. ომის შემდეგ მან აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანას შეაფარა თავი. ის რომელიც არაბული ქვეყნის სახელით ოფიციალურად არის დასაქმებული იარაღის შესყიდვით. მას დღესაც სიკვდილი მოჰქვს დადამინებისათვის. საკუთარი ოქსასრულის წინ იუდეანი მინც ასწრებს უდანაშაულო ახალგაზრდა ებრაელი ქალის მოკვლას, რითაც კიდევ ერთხელ უმტიციებს ფიურერს თავის ერთგულებას. მასში განსახიერებულია თავად ფაშიზმი. ნაწარმოების პერსონაჟები რომში ხვდებიან ერთმანეთს. აქ ჩამოსვლა იუდეანისათვის დაკავშირებულია გერმანიაში დაბრუნებასთან, სადაც მას ვადარჩენილი ნაციტები ელიან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოება მზადაა მიიღოს იუდეანი. 1970 წ. კი გერში ვამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც ომის დამანაშავეების დასჯა უკიდურესად შერბილებულია და მინიმუმამდეა დაყვანილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაწარმოებში ერთ-ერთი დიდი ქალაქის ბურგომისტრი, ავტორი მას ირონიულად ქალაქის მამასაც უწოდებს. წინათ იგი ფიურერის დამფინანსებელი და ძველი ნაციტური შეთქმულების წევრი იყო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგი, როგორც ვხედავთ, ისევ ხელისუფლების სათავეშია. ტყუილად როდი ვამოსთქვათ ის პერსი უკმაყოფილებას, როცა ამბობს, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი ადგილები კვლავ ძველმა პოლიტიკოსებმა დაიკავეს. 3. კოპენი შემთხვევით არ უკავშირებს ნაციზმის ხანის ბანკის და გენერალს ერთმანეთს. ბურჟუაზიის შეკავშირება ნაციტურ მილიტარიზმთან ხომ ფაშიზმის ერთ-ერთი დასაურდენი იყო. დასავლეთ გერმანიაში ისინი, სამწუხაროდ, კვლავ ერთად ყოფნას ცდილობენ.

რომანის „სიკვდილი რომში“ მთავარ

გმირად მინც ახალგაზრდა კომპოზიტორი ზიგფრიდი უნდა ჩაითვალოს. იგი ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი ცხოვრების აბსურდულობის აღიარება ზიგფრიდის ერთადერთი რწმენაა. ის იმდენად ტრავმირებულია ნაციზმით, რომ ვეღარ ჩერდება გერმანიაში. ზიგფრიდი რომში დასახლებულა, იგი ხომ რენესანსის კერაა. გარდა ამისა იტალია არ არის მისი სამშობლო, რომელმაც კაცობრიობას მსოფლიო ომი დაატანა თავს. ზიგფრიდი მზადაა ნებისმიერი ქვეყანა აღიაროს თავის სამშობლოდ, სადაც არ იქნება მარშები, ქედმაღლობა სხვა ერების მიმართ, რომში შედგა მისი სიმფონიის პრემიერა. ეს მუსიკა წარმოადგენს ავტორის მიერ აღქმულ სამყაროს. იგი მოკლებულია ჰარმონიას და მისგანაა წინააღმდეგობით არის აღსავსე. მასში აისახა ეპოქის საშინელებები, საკონცენტრაციო ბანაკები, გაზის კამერები. ამიტომაც ზიგფრიდის სიმფონია რთულია. მუიჯანა და შემამოფოთებელი. იგი უდრის როგორც ცხოვრების განაჩენი, რომანში ის ყვავილების ქოთნებით დაფარულ უღაბნოსთანაა შედარებული. ზიგფრიდის მუსიკა არის პროტესტი ბურჟუაზიული სამყაროსადმი, მაგრამ სიმფონია დამარცხდა იმიტომ, რომ ავტორს არ სწამს არაფერი ამქვეყნად, გაწვეტილი აქვს კავშირი რეალობასთან. მისი მუსიკა უსიცოცხლო და უშინაარსოა. ზიგფრიდი აღიარებს, რომ ნაწარმოები შეიძლება უტეთები და ხალხისათვის მისაღები ყოფილიყო, (თუმცა ბურჟუაზიული ელიტა აღფრთოვანებით უყრავს მას ტაშს), თავად რომ ცოტა სიცოცხლის რწმენა ჰქონოდა. ზიგფრიდი ტრაგიკული ბედის კომპოზიტორია. მან თავისი ეპოქის უარყოფას ვერ დალაწია თავი. ამ კონტექსტში ერთგვარი ასოციაცია გვიჩნდება თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ გმირის გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ტრაგიკულ სახესთან. ამას შონბერგის მუსიკაზე დაპარაკიც აძლიერებს კოპენის რომანში. საერთოდ, „სიკვდილი რომში“ თავისი სათაურიდანვე გვიჩვენებს თ. მანთან ერთგვარ კავშირს; მხედველობაში გვაქვს მისი უკვდავი ნოველა „სიკვდილი ვენეციაში“. ამ ნოველის ფინალური ფრაზა აღებულია რომანის ეპიგრაფად.

„სიკვდილი რომში“ განმსჭვალულია კაცობრიობის მომავლისადმი შურუნეულობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებით. ის შესანიშნავად გადმოგვცემს მოცემული ეპოქის დრამატისმს. რომში, ამ მარადიულ ქალაქში, სადაც ოდესღაც ღმერთები ცხოვრობდნენ, ახლა ვადარჩენილ ნაციტებს მოუყრაით თავი, ისინი მესამე რეიხის აღორძინებას ლა-



პარაკობს თავის რომანში, არ არის დეკადან-
სის პერიოდის სიკვდილის კულტი. ის ისტო-
რიულად და სოციალურად კანონზომიერია.
გფრ-ის ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება
მწერალი. რომელსაც ასე დაუზოგავად ემ-
ხილებინა ფაშისტური იდეოლოგია, რამაც
აღამიანი სოციალურად სახიფათო გიჟად აქ-
ცია.

კოპენი შეგნებულად აგრძელებს დასა-
ვლეთგერმანულ ლიტერატურაში ჰენრიხ მა-
ნის და ალფრედ დობლინის კრიტიკული რეა-
ლიზმის ხაზს. ლიტერატურის მკვლევარის
რ. სამარინის აზრით, იუდეანის სახე დიდი
ფორმადის სატირული განზოგადებაა, რომელ-
საც ბადალი არა ჰყავს დასავლეთგერმანულ
ლიტერატურაში. კოპენი თავის რომანებში,
სადაც ომისშემდგომი პირველი ათწლეული
სიმბატომატურად და ნიშანდობლივად არის
დახატული, აღწევს ე. წ. ეპიკურ სამართ-
ლიანობას. ავტორი არ იჩენს მიყრდნობას,
მუდამ ობიექტურია, არ სძულს ის, ვისზე-
დაც მოგვითხრობს. კომპოზიციურად და
სტილისტურად ის შეგნებულად უკავშირ-
დება ჯოისს, ფოლკნერს, რადგან ნაწევრების
და ფრაგმენტების სახით წერის მანერა, პა-

რალელური სიუჟეტები, ასოციაციებმა
ნაგანი მონოლოგები და ექსპრესიული
კოპენს თანამედროვეობის ასახვის სწორ და
შესაფერის საშუალებებად მიაჩნია, თვლის,
რომ ეს სტილი შეესაბამება ომამაგლილი და
შემდგომი თაობების შეგრძნებებს, მათ მწარე
ტამოცდილებას. ცნობილი დასავლეთგერმანე-
ლი მწერალი ალფრედ ანდერში ვ. კოპენის
წერის მანერას კინოკამერით დანახულ სამყა-
როს აღარებს. იგულისხმება მოჭრელების სინ-
ქრონული გადმოცემა, მონტაჟი, დისტანცია
აღწერილ სინამდვილესთან, მოჭმელება ერთი
დღის განმავლობაში ხდება და ა. შ.

ვოლფგანგ კოპენი ერთ-ერთი პირველთა-
განია, რომელმაც სახელი გაუთქვა გფრ-ის
ლიტერატურას. წლები, როცა მწერლის სა-
უკეთესო რომანები იწერებოდა, დეკორატი-
ულად დასავლეთ გერმანიაში აღენაურვის რესტავ-
რაციული პოლიტიკის პერიოდს. მეტად ძნე-
ლი იყო გზის გაკვლევა. ამიტომ არ შეიძ-
ლება რწმენით არ შევხედოთ გფრ-ის ლიტე-
რატურას, ლიტერატურას, რომელიც მუდამ
ოპოზიციას იყო მთავრობის პოლიტიკურ
და იდეოლოგიურ დოქტრინებთან.

ჰენრი მანსმარტი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-22,
პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-25,
პროზის — 72-26-30, „ნიცის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 10.11.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.01.86 წ. ქალაქის ზომა
70 × 108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ.
თაბახი 15.85 შეკვ. 2598 უე 04517 ტირაჟი 60.000

საქართველოს კვ ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები:

1. გიგინაშვილი რ., მებრძოლი თ. — ლექსები, „მერანი“
2. დუმბაძე მ. — მარა ტვენი ქართულ ლიტერატურაში, „მერანი“
3. კობერიძე ნ. — ბაღში ეკალი ჰეპავის, „მერანი“.
4. სულააური ბ. — ზოდინაძის გორბალი, ლექსები, „ნაკადული“
5. ჩორღელი ვ. — ნაკირი, მოთხრობები, „ნაკადული“
6. ტოგონიძე ბ. — ვარდისფერი შინაა, მოთხრობები, „ნაკადული“
7. მოლაშხია ზ. — მიწიღუღოება, ლექსები, „ნაკადული“
8. ჯოხაძე მ. — შეხვედრა, მოთხრობა, „ნაკადული“
9. ჯაფარაშვილი ლ. — ქარი და ციყვიები, ლექსები, „ნაკადული“
10. მიწინაშვილი ა. — უმველდღიერობის მიღმა, „მერანი“

651/18



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

ფანტონი 60 353.

0622560 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ